

საქართველოს უზენაესი სასამართლო

SUPREME COURT OF GEORGIA

მართლმსაჯულება
J U S T I C E

№ 2

სამეცნიერო-პრაქტიკული რეცენზირებული ჟურნალი
Scientific-Practical and Reviewed Journal

2008

ISSN 1512-3448

რედაქტორი

მიხეილ გობიშვილი

სარედაქციო კოლეგია:

გიორგი ბერძული
ავთანდილ დემეტრაშვილი
მანია ვაჩაძე
ლალი ლაზარაშვილი
ბესარიონ ლოლაძე
თევდორე ნინიძე
ნუბუარ სხირტლაძე
იური ტყეშელაშვილი
გიორგი ტყეშელიაძე
მარიამ ცისკაძე
სოფიო ცისკაძე
ზურაბ კლიერიშვილი
ნათია ჯგერაძე
გიორგი ხუბუა
სანდრო ჯორბენაძე

ნომერზე მუშაობდნენ:

ჟურნალისტი
ქეთევან ტყეშელაშვილი
სტილისტი
მანია დუმბაძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა
ემა ჩიბირიკიანი
ფოტოუზრუნველყოფა
დავით ხიზანიშვილისა

ახალი ამბები

თეორეტიკოსმა და პრაქტიკოსმა იურისტმა სამოქალაქო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები განიხილეს..... 5

საზოგადოებისა და მართლმსაჯულების საკითხებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია.....6

ქართველი მოსამართლეებისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლების ვიზიტი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.....7

საერთო სასამართლოების ხუთი ახალი მოსამართლე8

იუსტიციის უმაღლესი სკოლის ახალი მსმენელები.....8

სპიკერ-მოსამართლეების, მესამე სექტორისა და ჟურნალისტების ერთობლივი სემინარი9

მოსამართლის პროფესიული დღე.....10

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის შეხვედრა სტუდენტებთან.....11

გერმანულ-ქართული სამეცნიერო კონფერენცია ჰამბურგის მაქს-პლანკის ინსტიტუტში..... 12

ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის რეალური განხორციელება.....14

რა უნდა იცოდეს საზოგადოებამ სასამართლო სახელმძღვანელო წინადადებების, ანუ „გაიდლაინის“ შესახებ.....18

გამამართლებელი განაჩენები და დარბაზიდან გათავისუფლება..... 21

ინფორმაცია საქართველოსა და ევროპის ქვეყნების სასამართლოების მიერ საქმეთა განხილვის საშუალო ვადების თაობაზე..... 32

მეცნიერება

დავით მუშლაძე, ლევან კველაძე

ბრძოლა ორგანიზებული დანაშაულობის (მაფიის) წინააღმდეგ: შედარებითსამართლებრივი ანალიზი.....35

მაია ივანიძე

სისხლის სამართლის პოლიტიკის არსი54

გიორგი ლანჩავა

კომპიუტერული დანაშაული.....63

GIORGI LANCHAVA

Computer Crime.....74

დავით სუსიტაშვილი, თეა სუსიტაშვილი	
სამოქალაქო ნორმების მოქმედება დროში.....	82
თამარ ჩიტოშვილი	
ქონების უსასყიდლოდ განკარგვა, როგორც უსაფუძვლოდ გამდიდრების საფუძველი.....	91
მაკა სალხინაშვილი, ნიკოლოზ შუბლაძე	
ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეებზე გამოტანილი დადგენილების (განკარგულების) გასაჩივრების თავისებურებანი.....	100
NINO CACUA	
Peculiarities of administrative proceeding.....	105
ზურაბ კნელაშვილი	
საგადასახადო საიდუმლოების ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტი.....	113
დოქტორანთა ფორუმი	
ქეთევან ცხადაძე	
ადმინისტრაციული გადაცდომა და მისი გამოჯვანა სისხლის სამართლის დანაშაულისაგან.....	124
KETEVAN TSKHADADZE	
Administrative offence and its delineation from crime.....	132
ბაკურ ლილუაშვილი	
უცხოელები, როგორც მხარეები, სამოქალაქო პროცესში.....	138
BAKUR LILUASHVILI	
Foreigners, as parties in civil procedure.....	144
ქეთევან ჯაფარიძე	
უსაფუძვლო გამდიდრებით წარმოშობილი ზიანის ცნება. მისი ანაზღაურების წესი და საფუძველები.....	148
ახალი წიგნები	
დიდი პალატის გადაწყვეტილებებში გამოყენებულ ნორმათა განმარტებანი.....	160
სამაგიდო წიგნი მოსამართლეებისათვის.....	161
რეკომენდაციები.....	162
სამართალი და კინო 100 ფილმში.....	163
ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო.....	164
საავტორო უფლებები ცხოვრებაში.....	165
გამოზატვის თავისუფლება.....	166

**თეორეტიკოსთა და პრაქტიკოსთა იურიისტებმა სამოქალაქო
კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები
განიხილეს**

2008 წლის აპრილში სასტუმრო „შერატონ-მეტეხი პალასში“ გაიმართა კონფერენცია თემაზე: „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში განხორციელებული უახლესი ცვლილებების და დამატებების ანალიზი“.

კონფერენცია უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილმა გახსნა. ეს უკვე რიგით მესამე შეხვედრაა, რომელიც უზენაესი სასამართლოს ინცია-



ტივით გაიმართა. ამჯერად კონფერენციაში ადვოკატებთან ერთად სამეცნიერო წრეების წარმომადგენლებიც იღებდნენ მონაწილეობას.

კონფერენციაზე მოხსენება გაკეთდა საკასაციო სასამართლოში სამოქალაქო საქმეთა დასაშვებობის კრიტერიუმებზე, საქმეთა ზეპირი განხილვისა და სასამართლოში სამოქალაქო დავის მონაწილე მხარეთა დაბარების თაობაზე.

კონფერენციის მუშაობა დადებითად შეაფასეს როგორც ორგანიზატორებმა, ასევე, მოწვეულმა სტუმრებმა.

როგორც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილმა განაცხადა: „კონფერენციაზე სამართლის საკითხებზე ერთად იმსჯელეს პრაქტიკოსმა და თეორეტიკოსმა იურიისტებმა. დღეს აქ მომხსენებლები არიან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ის პროფესორები, რომლებიც თეორიულად ასწავლიან სამართლის საკითხებს სტუდენტებს. ამ სამართალს კი პრაქტიკაში იყენებენ მოსამართლეები. თეორიისა და პრაქტიკის შერწყმა კი ორივე მიმართულების განვითარებას უწყობს ხელს“.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გია ხუბუამ აღნიშნა: „დღევანდელი კონფერენცია არის უზენაესი სასამართლოს მხრიდან განხორციელებული მნიშვნელოვანი ინიციატივა, რომელიც ხელს შეუწყობს პრაქტიკისა და თეორიის შერწყმას, ასევე, იურისპრუდენციის ერთ-ერთი უმთავრესი წყაროს – სამოსამართლო პრაქტიკის შესწავლას. ძალიან მნიშვნელოვანია ისიც, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის სასიკეთო ასპექტებზე ადვოკატებმაც გაამახვილეს ყურადღება, რადგან ისინი ყველაზე უფრო ნათლად გრძნობენ ამ ცვლილებების საჭიროებას. ამასთანავე, იურიდიული სამეცნიერო საზოგადოება და იურიდიული განათლება ორიენტირებული უნდა იყოს საკანონმდებლო ცვლილებებსა და სასამართლო პრაქტიკის მოთხოვნებზე. შესაბამისად, ჩვენი სტუდენტებიც მიიღებენ პრაქტიკაზე ორიენტირებულ თეორიული ცოდნას“.

საზოგადოებისა და მართლმსაჯულების საკითხებისადმი მიმდინავე საერთაშორისო კონფერენცია



2008 წლის 5 მაისს სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილმა საერთაშორისო კონფერენცია გახსნა. კონფერენცია საზოგადოებასა და მართლმსაჯულებას შორის ურთიერთობებს მიეძღვნა, რომლის მიზანი სასამართლოებისა და საზოგადოების ურთიერთობისთვის ახალი იმპულსის მიცემა და საზოგადოების მხრიდან სასამართლოებისადმი

ნდობის განმტკიცება იყო.

კონფერენციაში ქართველმა, სომეხმა, აზერბაიჯანელმა და გერმანელმა მოსამართლეებმა, ადვოკატებმა, ჟურნალისტებმა, განათლების სისტემისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა.

კონფერენციის მონაწილეებმა ერთმანეთს თავიანთი ქვეყნების საზოგადოებასთან ურთიერთობის გამოცდილება გააცნეს, ასევე ისაუბრეს სამოქალაქო საზოგადოების სამართლებრივ განათლებაზე, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების დამკვიდრების საკითხებზე, კერძოდ, თუ როგორ შეიძლება სასკოლო განათლების ფარგლებში სამართლებრივი ცოდნისა და სამართლიანობის შეგრძნების განმტკიცება. გერმანელმა მოსამართლეებმა ისაუბრეს ე.წ. „ღია კარის“ დღის შესახებ, როგორც სასამართლოსა და საზოგადოებას შორის გამჭვირვალე ურთიერთობის ხელშეწყობის ღონისძიებაზე.

კონფერენციის მუშაობა დადებითად შეაფასეს ქართველმა და უცხოელმა მოსამართლეებმა.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილმა აღნიშნა: „ეს იყო მორიგი კონფერენცია, რომელიც გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის (GTZ) ორგანიზებით ჩატარდა. კონფერენცია იმითაც იყო საინტერესო, რომ მასში, წინა წლებისაგან განსხვავებით, ჟურნალისტები და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებიც იღებდნენ მონაწილეობას. სტუმრები გაეცნონ ჩვენს გამოცდილებასა და ამ მიმართულებით გადადგმული კონკრეტული, ქმედით ნაბიჯებს. ჩვენ ვისაუბრეთ იმ ღონისძიებებზე, რასაც სასამართლო აკეთებს საზოგადოებასთან ურთიერთობის გამჭვირვალობის მიზნით, იქნება ეს სპიკერ-მოსამართლის ინსტიტუტის ამოქმედება, ჟურნალისტებთან ერთად ტრენინგების ჩატარება, საინფორმაციო კლიპების მომზადება, თუ კიდევ სხვა, მრავალი ღონისძიება, რომელიც სასამართლოსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობების გაუმჯობესებას უწყობს ხელს“.

**ქართული მოსამართლეებისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
ნარკომადგენლების ვიზიტი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში**

მიმდინარე წლის 6 აპრილიდან 13 აპრილამდე სამართლის პროექტის – „სამართლისა და სასამართლო სისტემის მხარდაჭერა საქართველოში“ (GTZ) ორგანიზებითა და დაფინანსებით ქართველი მოსამართლეები და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლები სასწავლო ვიზიტის ფარგლებში გერმანიის ქალაქებში: დრეზდენში, ბაუცენსა და ლაიპციგში იმყოფებოდნენ.

ვიზიტის მიზანი იყო ქართველი მოსამართლეებისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლების მიერ გერმანული ადმინისტრაციული სასამართლოების მუშაობისა და სტრუქტურის, ადმინისტრაციული სამართალწარმოების თავისებურებებსა და გერმანულ კოლეგებთან ერთად აქტუალურ საკითხებზე მსჯელობა.

ქართული დელეგაცია ესტუმრა საქსონიის ფედერალური მიწის ადმინისტრაციული სასამართლოს სამივე ინსტანციას, დაესწრო პირველ და მეორე ინსტანციის სასამართლო პროცესებს, დელეგაციის წევრებს შესაძლებლობა ჰქონდათ, უშუალოდ გასაუბრებოდნენ საქმეთა განმხილველ მოსამართლეებს და დაეხმათ შეკითხვები აღნიშნულ საქმეებზე. ქართველი მოსამართლეები და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლები გაეცნენ, თუ როგორ ხდება სასამართლოში შემოსული სარჩელის დარეგისტრირება, კომპიუტერული პროგრამით მისი აღრიცხვა და მოსამართლეებზე საქმეების განაწილება. მონაზულეს სასამართლოს სტრუქტურის ყველა რგოლი, რათა სრულყოფილი სურათი შექმნიდათ, თუ როგორ ფუნქციონებს საქსონიის ფედერალური მიწის ქალაქ დრეზდენის ადმინისტრაციული სასამართლო. პროგრამის ფარგლებში ქართული დელეგაცია ასევე ესტუმრა ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელიც უფლებამოსილია სამშენებლო ნებართვების გაცემაზე და მის ზემდგომ სამშენებლო ზედამხედველობის ორგანოს, რომელიც ადმინისტრაციულ საჩივრებს განიხილავს.

პროგრამის დასასრულს ქართული დელეგაცია ესტუმრა ქ. ლაიპციგს და მონაზულა გერმანიის ფედერალური ადმინისტრაციული სასამართლო, სადაც სტუმრები სასამართლოს პრეზიდენტს მიიღო. გერმანელი და ქართველი მოსამართლეების მიერ სურვილი გამოითქვა, რომ უფრო მჭიდრო კავშირი დამყარდეს ამ ორ სასამართლოს შორის. GTZ-მა მზადყოფნა გამოთქვა, შუამავლის ფუნქცია იკისროს აღნიშნული ურთიერთობის ჩამოყალიბებაში. ქართველ და გერმანულ კოლეგებს შორის გამოცდილების გაზიარების შედეგად ბევრი იდეა დაიბადა, რომელიც საქართველოს სასამართლო სისტემის ფუნქციონირების გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს.

ქართული დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე მიხეილ ჩინჩალაძე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე ვალერი ცერცვაძე, უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ნუგზარ სხირტლაძე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეები: ირაკლი შენგელია, ნანა კობახიძე, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეები: მამია ფხაკაძე, ილონა თოდუა, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამართლებრივი და ორგანიზაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი ბესარიონ ალავიძე.

GTZ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ახორციელებს რამდენიმე პროექტს სამართლისა და იუსტიციის მიმდინარე რეფორმების მხარდასაჭერად. ამ პროექტების ფარგლებში მიმდინარეობს ექსპერტების მოკლე და გრძელვადიანი ვიზიტით მოწვევა, რომლებიც საკონსულტაციო საქმიანობასაც ეწევიან და ატარებენ კვალიფიკაციის ასამაღლებელ ღონისძიებებს, ორგანიზებას უკეთებენ მოსამართლეთა სასწავლო ვიზიტებს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. ამას გარდა, GTZ დახმარებას უწევს ახალი კანონების გამოყენებასთან დაკავშირებული პუბლიკაციების გამოცემას.

საერთო სასამართლოების ხუთი ახალი მოსამართლე



2008 წლის 3 მაისს საქართველოს უზენაეს სასამართლოში მოსამართლეთა ფიცის დადების ცერემონია გაიმართა. 5-მა ახალმა მოსამართლემ – ლევან თევზაძემ, ნათია ქუთათელაძემ, თემურ გოგოზიამ, ვასილ მშვენიერაძემ და დავით მამისეიშვილმა – ღვთისა და ერის წინაშე ფიცი დადო.

ახლადდანიშნული მოსამართლეები იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გამოცხადებული კონკურსის შედეგად შეირჩა.

ახალი მოსამართლეების შერჩევას და მათ მომზადებას დიდ მნიშვნელო-

ბას ანიჭებს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილის განცხადებით, მოსამართლეების დანიშვნის დროს მთავარი კრიტერიუმი ხარისხია და არა რაოდენობა. არსებული ვაკანსიების შევსებას კი სასამართლო წინასწარ გააზრებული გეგმის მიხედვით ახორციელებს.

ახლადდანიშნულმა მოსამართლეებმა გაიარეს სწავლება იუსტიციის უმაღლეს სკოლაში და ფიცის დადების შემდეგ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში სამოსამართლო უფლებამოსილების შესრულებას შეუდგნენ.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის ახალი მსმენელები

2008 წლის 16 ივნისს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილმა იუსტიციის უმაღლესი სკოლის შვიდი ახალი მსმენელი: გონა აბუსერიძე, თამარ ჩანგიშვილი, ნინო მამულაშვილი,



შორენა ყაველაშვილი, ხათუნა ნადიბაძე, ზურა ძნელაშვილი და გიორგი ქაშაკაშვილი წარადგინა. მსმენელები სკოლაში სამოსამართლო გამოცდის ჩაბარებისა და სპეციალურ კომისიასთან გასაუბრების გავლის შემდეგ ჩაირიცხნენ.

სკოლაში 11 მსმენელი უკვე ეუფლება სამოსამართლო უნარ-ჩვევებს. კურსის წარმატებით დასრულების შემდეგ ისინი საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში მოსამართლეებად დაინიშნებიან.

2005 წლის 28 დეკემბერს მიღებული კანონის მიხედვით,

იუსტიციის უმაღლესი სკოლის დანიშნულებაა საერთო სასამართლოების სისტემის მაღალკვალიფიციური სპეციალისტების დაკომპლექტების მიზნით მოსამართლედ განმწესებული პირის – იუსტიციის მსმენელის – მომზადების უზრუნველყოფა. სკოლის დანიშნულება მოქმედი მოსამართლეების გადამზადებაცაა.

იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სწავლების ხანგრძლივობა 14 თვეა. სასწავლო კურსი 3 ეტაპად არის დაყოფილი: თეორიულ კურსს 9 თვის განმავლობაში გაივლიან, სტაჟირება 3 თვე გრძელდება, სემინარული მუშაობა კი 2 თვის განმავლობაში მიმდინარეობს.

საიქარ-მოსაპართლეების, მისავე საქორისა და ჟურნალისტების ერთობლივი სემინარი

2008 წლის 13-15 ივნისს, გულაურში გაეროს განვითარების პროგრამის – „სასამართლო სისტემის მხარდაჭერის“ პროექტის ფარგლებში ტრენინგი – „ეფექტური კომუნიკაციის უნარ-ჩვევები სასამართლოს, მედიასა და მესამე სექტორს შორის“ – გაიმართა.

ღონისძიების მიზანი სასამართლო ხელისუფლების გამჭვირვალობისათვის ხელშეწყობა, სპიკერ-მოსამართლეებს, ჟურნალისტებსა და



არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება იყო.

ტრენინგში მონაწილეობდნენ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ბატონი კონსტანტინე კუბლაშვილი, სამივე ინსტანციის სპიკერ-მოსამართლეები, მედიის წარმომადგენლები, სახალხო დამცველის მოადგილე გიგა გიორგაძე, არასამთავრობო ორგანიზაციების: „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“, „კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ცენტრის“, „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ წარმომადგენლები: მანანა კობახიძე, კობა ბოჭორიშვილი და მათა ხუციშვილი. კომპანია „სარკის“ მედიანალიტიკოს ლაურა კუტუბიძის ხელმძღვანელობით ტრენინგის მონაწილეებმა ერთობლივად განიხილეს ისეთი საკითხები, როგორებიცაა: სასამართლოს თემა მედიაში, სასამართლოს იმიჯის ფორმირება მედიისა და მესამე სექტორის მხრიდან, სასამართლოსა და მოსამართლის იმიჯი საქართველოს მედიასივრცეში და სხვ.

განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა მოსალოდნელ საკანონმდებლო ცვლილებაზე, რომელიც უკავშირდება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ამოქმედებას საქართველოში. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე ზაზა მენიშვილმა ტრენინგის მონაწილეებს გააცნო ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღებასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხი. მანვე უხელმძღვანელა ჟურნალისტების, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და სპიკერ-მოსამართლეების ერთობლივი მონაწილეობით გამართულ იმიტირებულ სასამართლო პროცესს, ფსიქოლოგმა ლევან შატბერაშვილმა კი იმიტირებული სასამართლო პროცესების ფსიქოლოგიურ და ფსიქოსოციალურ ფაქტორებსა და გავლენებზე ისაუბრა.

სემინარის მუშაობა დადებითად შეაფასა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ.

მოსამართლის პროფესიული დღე



2008 წლის 15 მაისს მოსამართლეებმა პროფესიული დღე აღნიშნეს. საზეიმო ღონისძიება მუსიკისა და დრამის სახელმწიფო თეატრის ეზოში გაიმართა, სადაც სპეციალურად ამ დღისთვის საქართველოს ყველა რეგიონიდან 150-მდე მოსამართლე შეიკრიბა.

საზეიმო ღონისძიება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილმა გახსნა და კოლეგებს პროფესიული და პირადი წარმატებები უსურვა: „ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ და მომავალში კიდევ უფრო მეტის გაკეთებას ვგეგმავთ

მოსამართლეების სოციალური პირობების გასაუმჯობესებლად. ჩვენი მთავარი საზრუნავი არის მოსამართლე, მისი იმიჯის ამაღლება და იმედი მაქვს, რომ მალე მოსამართლეობა ერთ-ერთ ყველაზე ღირსეულ პროფესიად იქნება მიჩნეული”.

საზეიმო ღონისძიება ოფიციალური მიღებით დაიწყო, რომელიც კლასიკური მუსიკის ფონზე მიმდინარეობდა. საზეიმო შეხვედრაზე საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ერთად ჟურნალისტებიც იყვნენ მიწვეულნი. მოსამართლეებმა და ჟურნალისტებმა თეატრის ეზოში სიმბოლურად მარადმწვანე ხე დარგეს.

შეხვედრის დასრულების შემდეგ მოსამართლეები და სტუმრები სპექტაკლ „ბედნიერი ერის“ წარმოდგენას დაესწრნენ, რომელიც ცნობილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის – ილია ჭავჭავაძისა და მწერალ ოთარ ჭილაძის ნაწარმოებების მიხედვით დაიდგა.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის შეხვედრა სტუდენტებთან

უზენაესმა სასამართლომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის მიმართულების სტუდენტებს უმასპინძლა. ეს შეხვედრა სასწავლო კურსის დასასრულს შედგა და განხორციელდა უზენაესი სასამართლოსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დეკანის ინიციატივით. კურსის მიზანი მომავალი ჟურნალისტებისთვის მართლმსაჯულების საკითხებზე ინფორმაციის მიწოდება.



ერთი სემესტრის განმავლობაში, კვირაში ერთ დღეს იყო. ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტებს ლექციებს უზენაესი, სააპელაციო და საქალაქო სასამართლოს მოქმედი მოსამართლეები უკითხავდნენ. ლექციების თემატიკა ძირითადად სასამართლო სისტემის ზოგად მიმოხილვას უკავშირდებოდა.

11 აპრილის შეხვედრა ამ კურსის შემაჯამებელი ლექცია იყო, რომელსაც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე უძღვებოდა. სტუდენტებმა დაათვალიერეს უზენაესი სასამართლოს შენობა, ისტორიული დარბაზი, გაეცნენ შენობის ისტორიას, დასვეს შეკითხვები სასამართლო რეფორმის მიმდინარეობისა და ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღებასთან დაკავშირებით. შეხვედრის დასასრულს სტუდენტებმა სამახსოვრო ფოტოებიც გადაიღეს.

გერმანულ-ქართული სამეცნიერო კონფერენცია ჰამბურგის მაქს-პლანკის ინსტიტუტში

მიმდინარე წლის 22-24 მაისს გერმანიაში, ქალაქ ჰამბურგში, მაქს-პლანკის სახელობის საერთაშორისო და საზღვარგარეთის კერძო სამართლის ინსტიტუტში, გაიმართა გერმანულ-ქართული სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც ქართული სამართლის ევროპეიზაციის თემას მიეძღვნა. კონფერენციას მაქს-პლანკის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი კლაუს ჰოპტი და ბრემენის და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტების პროფესორი ბატონი ლადო ჭანტურია მასპინძლობდნენ.

საქართველოს მხარეს კონფერენციაზე წარმოადგენდნენ სამართლის სხვადასხვა დარგში მოღვაწე მეცნიერ-იურისტები. კონფერენციის თემატიკა საკმაოდ ფართო იყო და განსხვავებულ საკითხთა სპექტრს მოიცავდა, დაწყებულს ქვეყნის კონტიტუციური მოწობის პრობლემებით და დამთავრებულს კერძო სამართლის იურიდიული პირების ორგანიზაციის საკითხებით. ასევე უყურადღებოდ არ დარჩენილა ქართული სამართლის ისტორიული განვითარება. კერძოდ, პროფესორ ბესარიონ ზოიძის მოხსენებაში ხაზი გაესვა ევროპის ქვეყნებსა და საქართველოს შორის ისტორიულ-სამართლებრივ კავშირებს, რომელთა ფონზედაც საქართველოს არჩევანი სამართლებრივი სისტემის ევროპეიზაციის სასარგებლოდ არამართო პროგრესულად, არამედ ტრადიციულ და ლოგიკურ არჩევნად ჩაითვალა.

პროფესორ ლადო ჭანტურიას მოხსენებაში ხაზი გაესვა საქართველოსა და ევროპის კავშირს შორის თანამშრომლობის ტრადიციებსა და განვითარების პერსპექტივებს, იმ ინტენსიურ თანამშრომლობას ჩვენს ქვეყანასა და გერმანიას შორის, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა საქართველოში თანამედროვე სამართლებრივი ბაზის ჩამოყალიბებას, განსაკუთრებით ადმინისტრაციულ, სამოქალაქო და სამეწარმეო სამართლის სფეროებში. მოხსენებაში ასევე, მართებულად აღინიშნა, რომ საქართველოში, გერმანიასა და ჩვენს ქვეყანას შორის აქტიური აკადემიური გაცვლების წყალობით მნიშვნელოვანწილად უკვე ჩამოყალიბდა იურისტების ახალი თაობა, რომელიც კონტინენტური ევროპული სამართლის საუკეთესო ტრადიციებზე არის აღზრდილი და უნარი შესწევს, ქვეყნის მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს სამართლებრივი სისტემის შემდგომ სრულყოფაში. სრულყოფაში კი, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ქართული სამართლის ევროპეიზაცია მოიაზრება.

თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი გიორგი ხუბუა თავის მოხსენებაში შეეხო საყურადღებო სამართლებრივ და სოციალურ პრობლემებს, რომელიც საქართველოს, სამართლებრივი სისტემის და, ამასთან, მოქალაქეთა სამართლებრივი შეგნების ევროპულ ყაიდაზე გადასვლის გზაზე, ჯერ კიდევ მოსაგვარებელი აქვს. სამართლებრივი კულტურისა და სამართლებრივი აზროვნების ევროპეიზაცია, როგორც კარგად ფუნქციონირებადი და წარმატებული სამართლებრივი სისტემის წინაპირობა, იყო მოხსენების ძირითადი ლაიტმოტივი. მიუხედავად ტოტალიტარული წყობილების გადმონაშთების არსებობისა, ქართული სამართლებრივი კულტურა მინც ევროპული სამართლებრივი კულტურის ნაწილად უნდა იქნეს მიჩნეული.

კონფერენციის მონაწილეთა მოხსენებების თემები, როგორც უკვე აღინიშნა, მრავალფეროვანი იყო. მონაწილეებმა განიხილეს სისტემური ახალიზის თეორიის თვალსაწიერიდან პოსტსაბჭოთა სივრცეში სამართლებრივი განვითარების ტენდენციები (სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორმა ლაშა ბრეგვაძემ), ევროპაში აღიარებული, შესაბამისი პრინციპებიდან გამომდინარე, საქართველოს ადგილობრივი მოწყობის დეცენტრალიზაციის პრობლემები (სამართლის დოქტორმა ირაკლი კობახიძემ), ქვეყანაში ევროპული ყაიდის სახელმწიფო

მოხელეთა აპარატის ჩამოყალიბების საკითხები (*პროფესორმა ლევან იზორიამ*) და კორპორაციებში ქონების შექმნისა და შენარჩუნების სისტემის ლიბერალიზაციის აკადრებიანობა (*სამართლის დოქტორმა გიორგი ჯუღელმა*).

გერმანულ მხარეს წარმოადგენდნენ მაქს-პლანკის საერთაშორისო და საზღვარგარეთის კერძო სამართლის ინსტიტუტის დირექტორები, პროფესორები: *რაინჰარდ ციმერმანი, იურგენ ბაზდოვი, კლაუს ჰოპტი*, მაინის ფრანკფურტის სააქციო ინსტიტუტის დირექტორი პროფესორი რუდიგერ ფონ როზენი, ასევე, ბრემენის უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს საპატიო მოქალაქე და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი როლფ კნიპერი. უშუალოდ მონაწილეთა გარდა კონფერენციის მსვლელობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლები და ინსტიტუტში ამჟამად მოღვაწე ქართველი ახალგაზრდები.

გამომსვლელთა მოხსენებებში დასმულ პრობლემებზე საინტერესო დისკუსიები გაიმართა. დისკუსიების მონაცვლეობით წარმართავდნენ პროფესორები *კლაუს ჰოპტი, როლფ კნიპერი* და რუდიგერ ფონ როზენი.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მოხსენებებში დასმულ ისეთ საკითხებს, როგორცაა თანამედროვე ბიუროკრატიის ჩამოყალიბების პროცესი საქართველოს მაგალითზე და ადგილობრივი მოწყობის ოპტიმალური სისტემა საქართველოსათვის. მონაწილეებმა ერთმანეთს აზრი გაუზიარეს, ასევე, სამართლის ჰარმონიზაციის საკითხებზე ზოგადად და სხვადასხვა ქვეყნის სამართლებრივი სისტემების დაახლოების რისკებსა და შესაძლებლობებზე. ყურადღების მიღმა არ დარჩენილა არც საერთაშორისო აკადემიური თანამშრომლობის გაძლიერების მნიშვნელობა და არც განათლების და კვალიფიკაციის ამაღლების ეფექტური გარემოს ჩამოყალიბების აუცილებლობა ქვეყნის შიგნით.

კონფერენციის მონაწილეთა დისკუსიებმა გვიან საღამომდე გასტანა, რამაც კიდევ ერთხელ ცხადყო გერმანელი კოლეგების დაინტერესება ქართული სამართლის პროგრესით და ამ მიზნის მისაღწევად თანამშრომლობისათვის მათი მზადყოფნა.

ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის რეალური განხორციელება

„სასამართლო რეფორმის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებაა. ცხადია, აღნიშნულის მიღწევას წლები სჭირდება, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ მშვიდად უნდა მივყვეთ დროს. პირიქით, სწორედ აქედან გამოდინარე, აუცილებელია ამ მიმართულებით ინტენსიური მუშაობა და მსოფლიოში აპრობირებული ყველა სათანადო მექანიზმის გამოყენება, რათა შედარებით მცირე დროში მივაღწიოთ შედეგს“, – ასეთია იმ შესავალი სიტყვის დასაწყისი, რომელიც „სახელმძღვანელო წინადადებების და რეკომენდაციების კრებულს“ (საზოგადოებისთვის „გაიდლაინებად“ ცნობილ წიგნს) აქვს წამძღვარებული. წინასიტყვაობის ავტორი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეა. წიგნი კი, აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, უკვე სამოსამართლო ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა.

„გაიდლაინების“ ისტორია

ტრადიციული დემოკრატიის სახელმწიფოების სასამართლოებს ამ მხრივ ქართულ სასამართლოსთან შედარებით უპირატესობა გააჩნიათ. ამ ქვეყნების სასამართლოები მრავალი წელია სასამართლო გადაწყვეტილებების საფუძვლიანი ანალიზის შედეგად ჩამოყალიბებულ სასამართლო პრაქტიკას მისდევენ.

უცხოეთში ეს პრაქტიკა მუდმივად ვითარდება და სპეციალური კრებულების სახითაც ქვეყნდება, რითაც ხელმისაწვდომი ხდება ყველასთვის. ამასთან, განსაკუთრებით საინტერესოა აღნიშნულ სახელმწიფოებში დამკვიდრებული ე.წ. „გაიდლაინების“ (რეკომენდაციების, სახელმძღვანელო წინადადებების) შექმნის პრაქტიკა. ამ მხრივ განსაკუთრებით ამერიკის შეერთებული შტატები გამოირჩევა.

საქართველოში სასამართლო გადაწყვეტილებების განზოგადების მცდელობა ადრეც იყო, თუმცა იგი მხოლოდ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებს მოიცავდა და გამოყენების თვალსაზრისითაც საკმაოდ შეზღუდული იყო, მიუხედავად იმისა, რომ 2000 წლიდან მოყოლებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები კრებულების სახით ქვეყნდებოდა და მოსამართლეებს ეგზავნებოდათ. როგორც არსებულმა სიტუაციამ აჩვენა, აღნიშნულმა პრობლემა ვერ მოხსნა. წლების მანძილზე სასამართლოებს მაინც გამოჰქონდათ გადაწყვეტილებები, რომლებიც მსგავსი გარემოებების მქონე საქმეებზე რადიკალურად განსხვავებულ შედეგს ადგენდა, ე.ი. არსებობდა უამრავი ნორმა, რომელზეც სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოებს სხვადასხვა მოსაზრებები გააჩნდათ და სხვადასხვა პრაქტიკას მისდევენ. არც თუ იშვიათად რადიკალურად განსხვავებული გადაწყვეტილებების მიღმა კორუფციული გარიგებები იმალებოდა.

სწორედ ამით იყო განპირობებული ის ფაქტი, რომ 2007 წლის 5 თებერვალს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანებით შეიქმნა მუდმივმოქმედი კომისია, რომელსაც საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკის ანალიზთან ერთად უცხო ქვეყნების გამოცდილებაც უნდა შეესწავლა. კომისიამ შეისწავლა ამა თუ იმ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით რა ტიპის გადაწყვეტილებები გამოჰქონდათ სასამართლოებს, როგორია ამ გადაწყვეტილებებთან მიმართებაში სასჯელთა სახეები, როგორია სასამართლოს განმარტებები.

წიგნი, რომელიც საზოგადოებამ „გაიდლაინების“ სახით გაიცნო, სწორედ ამ კომისიის ნაყოფიერი მუშაობის შედეგია.

„სამართლის ყველა ნორმასთან დაკავშირებით ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბებას წლები დასჭირდება, მაგრამ ჩვენ შედარებით უფრო სწრაფად უნდა შევძლოთ კონკრეტულ

პრობლემატურ საკითხთა მოგვარება და ერთგვაროვანი პრაქტიკის დანერგვა. საბოლოო ჯამში, ჩვენი მიზანია ნორმათა უმრავლესობასთან დაკავშირებით ასეთი ერთიანი მიდგომის განვითარება, რაც ხელს შეუწყობს სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებას”, – წერს „გაიდლაინების” წინასიტყვაობაში უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.

„გაიდლაინში” რომ ჩაეხედა...

პროცესის მონაწილე მხარეებს შორის „გაიდლაინებს” რომ უკვე ბევრი „მიმდევარი” გამოუჩნდა, იქიდანაც ჩანს, რომ საქმეების დიდი ნაწილი სააპელაციო სასამართლოშივე მთავრდება და მხარე, რომელმაც იცის, მისთვის საინტერესო საქმეზე უზენაესი სასამართლოს როგორი გადაწყვეტილება გამოვა, დროს გასაჩივრებაზე აღარ კარგავს.

თუმცა გამოწვევებიც არსებობს. მაგალითისთვის ერთ კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეს შემოგთავაზებთ. ადვოკატს არსებული სასამართლო პრაქტიკა რომ გაეთვალისწინებინა, თავისი დაცვის ქვეშ მყოფისთვის გაცილებით უკეთეს შედეგს მიიღებდა და დროს არც გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე დაკარგავდა.

სისხლის სამართლის საქმე, რომელიც ერთ-ერთმა საქალაქო სასამართლომ 2008 წელს განიხილა ჩვეულებრივი, რიგითი პროცესებისგან არაფრით განსხვავდება, რომ არა ერთი დეტალი – მსჯავრდებული გამოძიებასთან თანამშრომლობის და სასამართლოსთვის აღიარებითი ჩვენების მიცემის შემთხვევაში საპატიმრო სასჯელს ასცდებოდა და მისთვის დაკისრებული პასუხისმგებლობა მხოლოდ ზიანის ანაზღაურებითა და ჯარიმის გადახდით დასრულდებოდა.

საბრალდებო დასკვნის მიხედვით, განსასჯელ გ.კ-ს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული – მითვისება – ედებოდა ბრალად. საქმის მასალების თანახმად, მას სანოტარო აქტის საფუძველზე 2006 წლის 12 ივნისს მოქალაქე ლ.ნ-მ იჯარის ხელშეკრულებით „ფორდ-ტრანზიტის” მარკის მიკროავტობუსი გადასცა.

მეიჯარის წერილობითი თანხმობის გარეშე გ.კ-ს არ ჰქონდა უფლება, გაესხვისებინა იჯარის საგანი, სამი წლის განმავლობაში მას მეიჯარისთვის ყოველთვიურად 500 ლარი უნდა გადაეხადა. იჯარის ვადის გასვლის შემდეგ იგი მანქანაზე საკუთრების უფლებას მოიპოვებდა.

ამის მიუხედავად, გ.კ-მ მეიჯარესთან შეუთანხმებლად დაუდგენელ პირს აღნიშნული მიკროავტობუსი მიჰყიდა, ხოლო აღებული თანხა დახარჯა და ამით ლ.ნ-ს 7 300 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა.

ასეთია ამ საქმის იურიდიული შინაარსი, მაგრამ ის საინტერესო დეტალი, რაც ამ საქმეში იკვეთება, სასჯელის ნაწილს უკავშირდება.

იმ დანაშაულისთვის, რომლის ჩადენაშიც სასამართლომ გ.კ. დამნაშავედ ცნო, სისხლის სამართლის კოდექსი ჯარიმის გადახდევინებასთან ერთად 4-დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. სასამართლომ გ.კ-ს 4 წლითა და 9 თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა, ამასთან, მასვე დაეკისრა დაზარალებულის სასარგებლოდ 15 000 ლარის გადახდა.

„გაიდლაინის”, ანუ არსებული პრაქტიკის მიხედვით, თუკი განსასჯელი წინასწარ და სასამართლო გამოძიებაში დანაშაულს აღიარებდა, გამოძიებასთან ითანამშრომლებდა და დაზარალებულს ზიანსაც (7300 ლარს) სრულად აუნაზღაურებდა, იგი პატიმრობას ასცდებოდა, სასამართლო მას მხოლოდ 2500 ლარიან ჯარიმას დააკისრებდა და 2 წლის ვადით საქმიანობის უფლებას ჩამოართმევდა.

რატომ არის მნიშვნელოვანი ერთგვაროვანი პრაქტიკა?

ერთგვაროვანი პრაქტიკის მნიშვნელობაზე უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე, სისხლის სამართლის საქმეთა პალატის თავმჯდომარე ზაზა მეიშვილი გვესაუბრება:

– ერთიანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბება სასამართლო რეფორმის მნიშვნელოვანი საკითხი გახლავთ, რადგან ჩვენს რეალობაში იყო სიტუაციები, როცა ერთი და იგივე ფაბულის, ბრალის, ერთი და იგივე დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებების შემთხვევაში სხვადასხვა სასამართლოები იღებდნენ სრულიად განსხვავებულ გადაწყვეტილებებს. მაგალითად, ერთი და იგივე ფაბულის და ერთნაირი გარემოებების არსებობის დროს ერთ მსჯავრდებულს შეიძლება დანიშნოდა სამი წლით თავისუფლების აღკვეთა, მეორეს – 7 წლით, ხოლო მესამის მიმართ გამოყენებულიყო პირობითი მსჯავრი, ჯარიმა და ასე შემდეგ. ასეთი მიდგომა კი გარკვეულწილად პრობლემას წარმოადგენდა სამართლიანობის პრინციპის თვალსაზრისით.

თავად სახელმძღვანელო წინადადებები ეხება იმ ძირითად მუხლებს, რომლებსაც ხშირად იყენებენ სასამართლოები და შესაბამისად, განაწინაა ხვედრითი წილი ამ დანაშაულებებზე უფრო მეტია. მაგალითად, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ისეთი დანაშაულებები, როგორცაა: ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა, მითვისება, გამოძალვა, თაღლითობა. ასევე, გავრცელებული დანაშაულებების რიცხვს მიეკუთვნება და, შესაბამისად, „გაიდლაინებში“ მოხვდა, სამოხელეო დანაშაულთან დაკავშირებული მუხლები. საერთო ჯამში კი „გაიდლაინებმა“ მოიცვა პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ განხილული სისხლის სამართლის საქმეების დაახლოებით 61%, რაც სარეკომენდაციო შეხვედრების შედეგად შემუშავებულ რეკომენდაციებთან ერთობლიობაში იზრდება 80%-მდე.

აღსანიშნავია ისიც, რომ სახელმძღვანელო წინადადებები მხოლოდ სასჯელთან მიმართებაში რეკომენდაციებით არ ამოიწურება. კომისიამ ასევე შეიმუშავა წინადადებები ისეთ სამართლებრივ თემებთან დაკავშირებით, როგორცაა, მაგალითად, საკითხი, თუ როგორ უნდა განვასხვავოთ დამთავრებული და დაუმთავრებელი დანაშაული ერთმანეთისგან, როგორია სასამართლო პრაქტიკა ამ მიმართულებით, ასევე კონკრეტულ შემთხვევაში, მაგალითად, ჩადენილია განზრახ მკვლელობის მცდელობა თუ ჯანმრთელობის დაზიანება, ასევე, არის რეკომენდაციები ზიანის ოდენობის განსაზღვრასთან, ჯარიმის არგამოყენებასთან დაკავშირებით. რეკომენდაციებში პირდაპირ ჩაიწერა, რომ, თუკი ადამიანი არის სოციალურად დაუცველი და ეს დასტურდება შესაბამისი სამსახურების მიერ გაცემული ცნობის საფუძველზე, მის მიმართ არც ერთ შემთხვევაში არ უნდა დაინიშნოს ჯარიმა დამატებითი სასჯელის სახით.

„გაიდლაინი“ არ არის კონკრეტულ გარემოებაზე მიბმული მხოლოდ მარტივი მათემატიკური გათვლა. ეს არის დამხმარე მოსამართლეებისთვის, რომელიც ხელს უწყობს ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას და, საბოლოო ჯამში, სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებას.

– „გაიდლაინების“ და, შესაბამისად, ერთგვაროვანი პრაქტიკის დამკვიდრებას რა კონკრეტული შედეგი მოჰყვა?

– საკასაციო საჩივრების 88% არ კმაყოფილდება, ანუ ეს ნიშნავს, რომ საკასაციო ინსტანციაში შემოსული ყოველი 100 საქმიდან 88 საქმეზე გადაწყვეტილება რჩება უცვლელი, რაც ასევე ერთგვაროვანი პრაქტიკის დამსახურებაა.

– თუკი მოსამართლე არ იზიარებს არსებულ პრაქტიკას?

– კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ეს არის სახელმძღვანელო, სარეკომენდაციო წინადადებები და თუკი მოსამართლე მას არ ეთანხმება, მან პრობლემის გადასაჭრელად საკუთარი განსხვავებული ხედვა უნდა წარმოადგინოს და კომისიის წევრები მის მოსაზრებასაც განიხილავენ.

პრაქტიკის ჩამოყალიბება ცოცხალი, შემოქმედებითი პროცესია და იგი მუდმივად ვითარდება და იხვეწება.

„გაიღლაინის“ თანახმად, მოსამართლეს შეუძლია 6 თვით მეტი ან ნაკლები სასჯელი დაუნიშნონ განსასჯელს, ამ დროს მოსამართლე ითვალისწინებს საქმეში არსებულ სხვა გარემოებებსაც.

– რამდენად აქვს საზოგადოებას ინფორმაცია ერთგვაროვანი პრაქტიკის და „გაიღლაინების“ თაობაზე?

– მიუხედავად იმისა, რომ „გაიღლაინების“ შექმნაში მონაწილეობდა მხოლოდ სასამართლო, ბუნებრივია, ჩვენ გვაქვს სურვილი, რომ იგი პროცესის მონაწილე მხარეებმაც გაიზიარონ..

თუკი მხარე, ამ შემთხვევაში მსჯავრდებული და ადვოკატი, არ ითხოვს გამართლებას, იგი ეთანხმება მსჯავრდებას, მაგრამ ითხოვს მის შემსუბუქებას და ადვოკატმა ამავე დროს იცის, თუ როგორია მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის საქმეზე სასამართლო პრაქტიკა, ბუნებრივია, გონივრული იქნებოდა, რომ ადვოკატს ეს პრაქტიკაც გაეთვალისწინებინა. ასევე, პროკურორის შემთხვევაშიც – როცა ბრალდების მხარე იცნობს არსებულ პრაქტიკას, იგი მოვალეობის მოხდის მიზნით საკასაციო ან სააპელაციო საჩივარს არ შეიტანს. ვიმეორებ, თუ მხარეს, რა თქმა უნდა, რადიკალურად განსახვავებული პოზიცია არ აქვს. რაც შეეხება საზოგადოებისთვის „გაიღლაინების“ ხელმისაწვდომობას, ჩვენს მიერ გამოცემული მასალა გარკვეული რაოდენობით დაეგზავნა ადვოკატთა ასოციაციას. ასევე ვიზრუნეთ, რომ სახელმძღვანელო ფართო მასებისთვისაც ყოფილიყო ხელმისაწვდომი, წიგნს თან ელექტრონული ვერსიაც დავურთეთ. ამასთან, სახელმძღვანელო რეკომენდაციების სრული პაკეტი დევს უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე, რომლის მისამართია: www.supremecourt.ge, სადაც ნებისმიერ დაინტერესებულ ადამიანს შეუძლია სრულად გაეცნოს მას.

რა უნდა იცოდეს საზოგადოებამ სასამართლო სახელმძღვანელო წინადადებას, ანუ „გაიდლაინის“ შესახებ

ორი კონკრეტული საკმის ისტორია

წინასწარ განჭვრეტადი და ეფექტური მართლმსაჯულება – ეს იქნება შედეგი, რომელიც ქართულ სასამართლო პრაქტიკაში სახელმძღვანელო წინადადებების, ე.წ. „გაიდლაინების“ გამოყენებას მოჰყვება – ასეთია უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის შეფასება ქართული სამართლებრივი აზროვნებისთვის ჯერ კიდევ მიუჩვენებელი ტერმინის – „გაიდლაინის“ და „ერთგვაროვანი პრაქტიკის“ მიმართ.

რა არის „გაიდლაინი“? ვის მიერ შეიქმნა იგი და რა წერია მასში? სასამართლოში მიმდინარე რეფორმების მიმართ კრიტიკულად განწყობილი ადვოკატების ერთი ნაწილი ხშირად „გაიდლაინს“ უჩვეულოდ „დამაფრთხობელ“ საბურველში ხვევს და ამის გამო საქმეში ჩაუხედავ მოსახლეობას არასწორი წარმოდგენას უქმნის მასზე.

სინამდვილეში, პასუხი კითხვებზე ძალიან მარტივია და იგი ბევრჯერ გამხდარა სასამართლოს მიერ საჯარო განხილვის საგანი.

რა არის „გაიდლაინი“?

საზოგადოებისთვის რომ მარტივად გასაგები გახდეს, თუ რა არის „გაიდლაინი“, და რა წერია მასში, წლების მანძილზე ქართულ სასამართლოში გავრცელებული პრაქტიკიდან ერთ მაგალითს მოვიყვანო.

წარმოდგინეთ, რომ პოლიციამ ქურდობის ბრალდებით დააკავა ორი პირი, ერთი – თბილისში, მეორე – თელავში. ორივეს მანქანის ქურდობა ედება ბრალად. ორივეს ბრალი საქმის მასალებით დასტურდება, მაგრამ დანაშაულს არცერთი მათგანი არ აღიარებს და არც გამოძიებასთან თანამშრომლობს. შეიძლება ითქვას, რომ ორივე საქმე „წყლის წვეთივით“ ჰგავს ერთმანეთს. საინტერესოა, როგორი იყო მოსამართლის ვერდიქტი თბილისსა და თელავში? თბილისში დამდგარი განაჩენით სასჯელად ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა განისაზღვრა, ხოლო თელავის მოსამართლემ 7 წლით გაამწესა ციხეში მსჯავრდებული. თუ რატომ დადგა ორი იდენტურ დანაშაულზე სრულიად განსხვავებული სასჯელები, ამ კითხვაზე პასუხი რეფორმამდელ ქართულ სასამართლოში არ არსებობდა. კანონის თანახმად, ჩადენილი დანაშაული 4-დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებდა და მოსამართლეც, როგორც ჩათვლიდა საჭიროდ, იმდენს მიუსჯიდა.

თუმცა არც თუ იშვიათად, განსხვავებული „სამი წელი“ კორუფციული გარიგებების საგანიც ხდებოდა.

დღეს, რეფორმის შედეგად, სასამართლოში ერთგვაროვანი პრაქტიკა მკვიდრდება. ეს კი იმას ნიშნავს, დღეს ჩადენილი მსგავსი დანაშაულისათვის თელავსა და თბილისში დაკავებული დამნაშავე ერთნაირ სასჯელს მიიღებს. აი, მოკლედ და გასაგებად, თუ რა არის „გაიდლაინი“.

ახლა პასუხი კითხვაზე, თუ რა წერია მასში? ზოგიერთების მიერ ლამის „ჩეკას“ დროინდელ საბურველში გახვეული „გაიდლაინი“ სხვა არაფერია, თუ არა მოსამართლისთვის განკუთვნილი რეკომენდაცია, რომელშიც მაქსიმალურადაა გათვალისწინებული ყველა შესაძლო გარემოება კოდექსის კონკრეტულ მუხლთან მიმართებაში და დეტალურად არის მითითებული, თუ რა

სასჯელი უნდა დანიშნოს მოსამართლემ ამა თუ იმ მუხლით პირის მსჯავრდების დროს შესაბამისი გარემოებების არსებობის ან არარსებობის შემთხვევაში.

რაც შეეხება მესამე კითხვას – ვინ არის ამ რეკომენდაციების ავტორი? სასამართლოს არაერთხელ დაუფიქსირებია ამ კითხვაზე პასუხი „გასაიდუმლოებული სერობების“ მოყვარულთა გასაგონად – „გაიდლაინების“ ავტორი თავად მოსამართლეები არიან. სპეციალურმა კომისიამ, რომელიც დღისით, მზისით, შეიქმნა და ძირითადად მოსამართლეებისგან იყო დაკომპლექტებული, საკმაოდ შრომატევადი საქმიანობა გასწია და შეიმუშავა სახელმძღვანელო წინადადებები, რომელიც აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, უკვე იქცა სამოსამართლო ცხოვრების განუყოფელ ნაწილად და რომლითაც სულ უფრო ხშირად სარგებლობენ ადვოკატებიც.

ქვემოთ შემოთავაზებული ორი სასამართლო განაჩენის მოკლე მიმოხილვის შემდეგ საზოგადოებისთვის კიდევ უფრო ნათელი გახდება „გაიდლაინის“, და მისგან გამომდინარე, ერთგვაროვანი პრაქტიკის გამოყენების მიზანშეწონილობა.

ჯარიმა პატიმრობის ნაცვლად

რომ არა „გაიდლაინი“ და მასში მოცემული რეკომენდაცია, 177-ე მუხლის პირველი ნაწილით ბრალდებული ე.გ-ს სავარაუდოდ, ერთიდან სამ წლამდე პატიმრობას მიუსჯიდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ კანონი ამ დანაშაულის ჩადენისთვის ძირითად სასჯელად ჯარიმას ითვალისწინებდა, წლების მანძილზე ქართულ სასამართლოში დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, ფაქტობრივად შეუძლებელი იყო ადვოკატს წინასწარ განესაზღვრა, რას მიუსჯიდა მოსამართლე განსასჯელს – ჯარიმას, ერთ წელს თუ სამი წლით ციხეში ყოფნას.

საბრალდებო დასკვნის თანახმად, ე.გ-ს 2007 წლის 14 ივლისს ჩარგლის ქუჩაზე მცხოვრები ე.გ-ს ეზოდან ცხვრის ქურდობა ედებოდა ბრალად. დაზარალებულმა საკუთარ პირუტყვს ბრალდებულის ბინაში მიაკვლია და პოლიცია გამოიძახა.

ე.გ. პოლიციამ საკუთარ სახლში დააკავა.

შესაძლოა, მავანმა საყვედური ისევ სასამართლოს მისამართით გამოთქვას – ერთი ცხვრის გულისთვის ადამიანს ციხისთვის როგორ იმეტებთო, მაგრამ კანონის მოთხოვნათა შეუსრულებლობის უფლება არავის აქვს, მითუმეტეს – მოსამართლეს, რომელიც თავად არის კანონის აღმსრულებელი და ნორმის შემფარდებელი.

სასამართლო სხდომაზე დაკითხულმა განსასჯელმა წარდგენილ ბრალდებაში თავი დამნაშავედ ცნო და მოინანია იგი. სასამართლომ შემამსუბუქებელ გარემოებად მიიჩნია, ასევე, ის ფაქტი, რომ განსასჯელმა ითანამშრომლა გამოძიებასთან და იგი წარსულში ნასამართლევი არ ყოფილა.

„ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ე.გ-ს უნდა შეეფარდოს სასჯელის ისეთი სახე და ზომა, რაც ხელს შეუწყობს სამართლიანობის აღდგენას, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას და დამნაშავის რესოციალიზაციას“, – აღნიშნა მოსამართლემ განაჩენში და ე.გ-ს ჯარიმის სახით 2000 ლარის გადახდა დააკისრა.

სასამართლომ განაჩენშივე მიუთითა, რომ მსჯავრდებულს განაჩენის გასაჩივრების უფლება თბილისის სააპელაციო სასამართლოში ერთი თვის ვადაში ჰქონდა, თუმცა, როგორც წესი, „გაიდლაინის“ მიხედვით დადგენილი განაჩენების ძალიან დიდი ნაწილი აღარ საჩივრდება. „გაიდლაინი“, რომელიც ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების საფუძველია, არც ადვოკატს და არც მსჯავრდებულს აღარ უტოვებს გასაჩივრების „სურვილს“. ამ შემთხვევაში პატიოსანი ადვოკატი თავის კლიენტს ურჩევს, რომ მსგავს საქმეზე სასამართლოში უკვე არსებობს ჩამოყალიბებული პრაქტიკა, რომ მათი განაჩენიც ამ პრაქტიკის გათვალისწინებით დადგა და

ზეღა ინსტანციაში გასაჩივრება მხოლოდ დროისა და თანხის უაზროდ ხარჯვასთან იქნება დაკავშირებული.

გათავისუფლება სხდომის დარბაზიდან

კიდეე ერთი საქმე, სადაც „გაიდლაინი“ იქნა გამოყენებული, მობილური ტელეფონის ქურდობის ფაქტს შეეხებოდა. ამჯერად საქმე უფრო რთულად იყო, რადგან გ.მ-ს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში ედებოდა ბრალი, ანუ მის მიერ ჩადენილი ქურდობის მაკვალიფიცირებელი გარემოება მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებას (კანონის თანახმად, მნიშვნელოვან ზიანად 150 ლარზე მეტი თანხა ითვლება) გულისხმობდა, ეს კი სამიდან ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებდა.

სასამართლო რეკომენდაციების თანახმად, მოსასამართლემ გაითვალისწინა ის შემამსუბუქებელი გარემოებები, რომელიც განსასჯელის მიმართ არსებობდა; კერძოდ, განსასჯელი წარსულში ნასამართლევი არ ყოფილა; მას ჰქონდა მძიმე მატერიალური მდგომარეობა. ამავე დროს, აღიარებდა და ინანიებდა დანაშაულს, ამიტომ მის მიმართ დანიშნული რეალური სასჯელი – 3 წელი და ორი თვე – მოსამართლემ პირობითი მსჯავრით შეუცვალა და სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა.

სასამართლოში აცხადებენ, რომ საზოგადოების უკეთ ინფორმირებულობის მიზნით, ისინი კვლავაც გააგრძელებენ „გაიდლაინების“ გამოყენებით განხილული საქმეების გამოქვეყნებას.

გაეაპართლებელი განაჩენები და დარბაზიდან გათავისუფლება

თბილისის საქალაქო სასამართლოს ორი გამამართლებელი განაჩენი



თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილებით, ამერიკის მოქალაქის გაუპატიურებაში ბრალდებული, ჩხოროწყეული ფიზკულტურის მასწავლებელი პ. ჯალაღონია სასამართლო დარბაზიდან გათავისუფლდა.

მოსამართლემ პროკურატურის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა და განსასჯელი წარდგენილ ბრალდებაში მთლიანად უდანაშაულოდ ცნო.

სასამართლო პროცესზე სახელმწიფო ბრალმძებელმა განსასჯელისთვის სისხლის

სამართლის კოდექსის 137-ე კოდექსის პირველი ნაწილის (გაუპატიურება) შესაბამისად 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მოითხოვა, რასაც დაზარალებულის ადვოკატიც დაეთანხმა.

საქმე ეხება 2007 წლის 3 თებერვალს ნუცუბიძის პლატოზე მომხდარ შემთხვევას. დაზარალებული, 34 წლის ქალბატონი, რომელიც სპეციალური პროგრამის ფარგლებში ჩხოროწყეს მე-2 საჯარო სკოლაში პედაგოგად იყო მიწვეული, იმავე სკოლის ფიზკულტურის პედაგოგს 38 წლის პ. ჯალაღონიას გაუპატიურებაში ადანაშაულებდა. თავად განსასჯელი ბრალდებას კატეგორიულად უარყოფდა და ირწმუნებოდა, რომ ამერიკელ ქალთან სქესობრივი კავშირი ნამდვილად ჰქონდა, თუმცა – ნებაყოფლობით.

აღსანიშნავია, რომ ქრისტიანა ჰ-ს, პროგრამის ფარგლებში გაფორმებული კონტრაქტის მიხედვით, დაფეხმძიებისაგან დამცავი საშუალებები უნდა გამოეყენებინა, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში, მას კონტრაქტი ავტომატურად შეუწყდებოდა, რაც ფინანსურ დანაკარგებსაც გულისხმობს. განსასჯელის ადვოკატებმა ივარაუდეს, რომ ქრისტიანა ჰ-მ გაუპატიურება გამიზნულად მოიგონა, რათა შესაძლო ფინანსური პრობლემები თავიდან აეცილებინა.

მოსამართლემ ბრალდების მხარის მიერ სასამართლო სხდომაზე წარმოდგენილი მტკიცებულებები არასაკმარისად მიიჩნია. მისივე გადაწყვეტილებით, გამართლებულ პ. ჯალაღონიას, უკანონო პატიმრობის გამო, რეაბილიტაციის უფლებაც მიეცა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ კიდევ ერთი გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა. მოსამართლემ ბრალდებული ს. გოგოლაძე წარდგენილ ბრალდებაში – ქურდობის მცდელობაში – უდანაშაულოდ ცნო. გარდა ამისა, მოსამართლემ ს. გოგოლაძეს განუმარტა რეაბილიტაციის, ასევე, საგამოძიებო ორგანოების უკანონო და დაუსაბუთებელი მოქმედების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

ბრალდების მხარე ს. გოგოლაძის გასამართლებას სისხლის სამართლის კოდექსის მე-19-177-ე მუხლით ითხოვდა, რაც მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, სხვისი ნივთის ფარული დაუფლების მცდელობას გულისხმობს. საბრალდებო დასკვნის მიხედვით, „ს. გოგოლაძემ განიზრახა ქურდობა და მისი სისრულეში მოყვანის მიზნით 2006 წლის ივნისში ფარულად, კარიდან შეაღწია დიდ დილომში მდებარე მ. ნიკოლაძის საცხოვრებელ სახლში, თუმცა მან რაიმე ნივთის მოპარვა ვერ მოახერხა“.

სასამართლომ დასაბუთებულად ცნო დაცვის მხარის მტკიცებულებები და განსასჯელის მიმართ გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა.

23 დღის ჩეილის 16 წლის დედა თბილისის სააპელაციო სასამართლომ დარბაზიდან გაათავისუფლა

არასრულწლოვანი მსჯავრდებულის გ. კელენჯერიძის სამართლო პროცესი თბილისის სააპელაციო სასამართლოში 2008 წლის 12 ივნისს გაიმართა. 16 წლის მსჯავრდებულს ბრალი ქურდობისთვის ედება. არასრულწლოვანი 2007 წელს ქ. რუსთავის საქალაქო სასამართლომ ქურდობისთვის გაასამართლა და 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. სასამართლომ მსჯავრდებულს სასჯელი გამოსაცდელი ვადით დაუდგინა. გ. კელენჯერიძე მეორედ – 2008 წელს ისევ ქურდობისთვის კვლავ ქ. რუსთავის საქალაქო სასამართლომ გაასამართლა. აღნიშნული დანაშაული მან პირველი განაჩენით დადგენილი გამოსაცდელი ვადის გასვლამდე ჩაიდინა. ქ. რუსთავის საქალაქო სასამართლომ მსჯავრდებულს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

2008 წლის განაჩენით დადგენილ სასჯელს 2007 წლის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი – ერთი წელი და 6 თვე – დაემატა. გ.კელენჯერიძეს საბოლოოდ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლითა და 6 თვის ვადით.

განაჩენი სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრდა.

2008 წლის 12 ივნისს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლემ მსჯავრდებული სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაათავისუფლა და სასჯელის მოხდა გადაუკადა.

გათავისუფლების მოტივად მოსამართლემ მსჯავრდებულის არასრულწლოვნება და ახალშობილის კეთილდღეობა მიიჩნია. მომავალი თაობა ცინის პირობებში არ უნდა იზრდებოდეს.

სასამართლომ მსჯავრდებული დარბაზიდან გაათავისუფლა

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიამ 24 წლის ა.ბ.-ს ხუთწლიანი პირობითი სასჯელი შეუფარდა და სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაათავისუფლა. განსასჯელს ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მეორე ნაწილით, გათვალისწინებულ ქურდობაში ედება. საბრალდებო დასკვნის მიხედვით, იგი 2007 წლის 6 დეკემბერს, დაახლოებით ღამის 2 საათზე, გლდანის მასივში მდებარე. შპს „ანზორ რევაზიშვილის“ აბანოს შენობასთან მივიდა, რომელზეც მიშენებულია ადმინისტრაციისათვის განკუთვნილი ოთახი. დააზიანა კარის საკეტი და მოიპარა აბანოს ადმინისტრატორის კუთვნილი ნივთები, კერძოდ, „კორფუჯის“ ფირმის შავ-თეთრი ტელევიზორი, ელექტროგამათბობელი, უთო, რკინის გასაშლელი მცირე ზომის საწოლი და სხვადასხვა წვრილმანი ნივთი. იგი პოლიციის თანამშრომლებმა მაშინ დააკავეს, როდესაც მოპარულ ნივთებით, შემთხვევის ადგილიდან მიმალვას ცდილობდა.

ა. ბ-მ აღიარა ჩადენილი დანაშაული. სასამართლო პროცესზე ბრალდების მხარემ დააყენა შუამდგომლობა საპროცესო შეთანხმების გაფორმების თაობაზე. სასამართლომ დააკმაყოფილა აღნიშნული შუამდგომლობა და განსასჯელს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, რაც შეუცვალა პირობითი მსჯავრით და სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაათავისუფლა.

არასრულწლოვანი დარბაზიდან გაათავისუფლეს

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიამ 2008 წლის 19 მაისს 15 წლის მ. მახმუდოვს აღკვეთი ღონისძიების სახით მშობლის მეთვალყურეობის ქვეშ გადაცემა შეუფარდა და სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა. მ. მახმუდოვს ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მეხამე ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულში, ანუ არაერთგზის ქურდობაში ედებოდა. ბრალდების თანახმად, 7 მაისს, დაახლოებით 15 საათზე, მახმუდოვმა ქანსაბადის სავაჭრო კონტეინერიდან მოიპარა საბავშვო-საკონდიტრო ნაწარმი, კერძოდ, მუყაოს ყუთში ჩადებული, 9 ლარად ღირებული 90 ცალი „ციცი-ბონი“ და შემთხვევის ადგილიდან მიმალვას ცდილობდა. იგი დიდუბე-ჩუღურეთის შს სამმართველოს თანამშრომლებმა სწორედ ამ დროს დააკავეს.

ბრალდების მხარემ მახმუდოვისათვის აღკვეთის ღონისძიების სახით წინასწარი დაპატიმრების შეფარდება მოითხოვა. ბრალდების მოტივაციით აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება საჭირო იყო იმ მიზეზით, რათა ბრალდებულს თავი არ აერიდებინა წინასწარი გამოძიებისა და სასამართლოსთვის, არ გაეგრძელებინა დანაშაულებრივი საქმიანობა, ხელი არ შეეშალა საქმეზე ჭეშმარიტების დადგენისათვის და დანაშაული ჩაიდინა პირობითი მსჯავრის დროს.

ბრალდებულ მახმუდოვის ინტერესების დამცველი ადვოკატი არ დაეთანხმა გამომძიებლის შუამდგომლობას მისი დაცვის ქვეშ მყოფის მიმართ პატიმრობის შეფარდების თაობაზე და სასამართლოს სთხოვა, ბრალდებულის მიმართ არ ყოფილიყო გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების არც ერთი სახე, ვინაიდან ზარალი მცირე მნიშვნელობის, ხოლო ბრალდებულს არასრულწლოვანი იყო.

აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახის შერჩევის საკითხის გადაწყვეტისას სასამართლო მხედველობაში იღებს ბრალდებულის პიროვნებას, წარდგენილი ბრალდების სიმძიმეს. მართალია, ბრალდებულ მ. მახმუდოვი წარსულში ნასამართლევა, მაგრამ იგი არის არასრულწლოვანი, 15 წლის, გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს. მას ზრდის მართლაც დედა. ბრალდებულის დედამ კ. მახმუდოვამ თანხმობა განაცხადა, უზრუნველყოფს შვილის სათანადო ქცევა და პროცესის მწარმოებელ ორგანოში გამოცხადება, რასაც დაეთანხმა ბრალდებულს.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, სასამართლომ მ. მახმუდოვს აღკვეთის ღონისძიების სახით მშობლის მეთვალყურეობის ქვეშ გადაცემა შეუფარდა და მიიჩნია, რომ მშობელი უზრუნველყოფს არასრულწლოვანი ბრალდებულის სათანადო ქცევას, მის გამოცხადებას საგამომძიებო ორგანოში და სასამართლოში.

რუსთავის საქალაქო სასამართლომ ორი არასრულწლოვანი განსასჯელი სხლომათა დარბაზიდან გაათავისუფლა

არასრულწლოვან ო. ღ-ს და ნ. ჯ-ს გამოძიება რუსთავში მცხოვრები თ. ბუაჩიძის ბინაში უკანონოდ შეღწევას და 2748 ლარად ღირებული ნივთების ქურდობას სდებდა ბრალად.

სასამართლო სხლომაზე განსასჯელებმა თავი ნაწილობრივ ცნეს დამნაშავედ. მათ ბინიდან მხოლოდ ნივთების ნაწილის გატანა აღიარეს. მათივე ჩვენებიდან ირკვევა, რომ ერთმანეთი გაიცნეს ბაზრობაზე, სადაც თ. ბუაჩიძეს, რომელსაც ჰქონდა ავეჯის მაღაზია, ეხმარებოდნენ ავეჯის გადაზიდვაში. ბაზრობაზევე გაიგეს ნაცნობისგან, რომ მან ბინის გაყიდვის შემდეგ აღებული თანხა თ. ბუაჩიძეს მიაბარა შესანახად. მეგობრებმა ბუაჩიძის ბინის გაქურდვა

გადაწყვეტეს. როდესაც ბინის გასაქურდად მივიდნენ, კარების შესამტკრევად ეზოში დაგდებული რკინის ე.წ. „არმატურა“ გამოიყენეს, შეამტკრიეს კარები და ბინაში ფულს დაუწყეს ძებნა. თუმცა ფული ვერ იპოვეს, მაგრამ როგორც ჩვენებაში მიუთითებდნენ, ბინიდან წყვილი წინდები, პლასტიკური ბარათი და ერთი ბეჭედი წამოიღეს.

დაზარალებულმა ქურდობაში არასრულწლოვნები დაადანაშაულა. მეორე დღესვე მათ თ. ბუაჩიძეს პლასტიკური ბარათი და ბეჭედი დაუბრუნეს.

შემთხვევიდან მეორე დღეს არასრულწლოვნები პოლიციამ დააკავა.

გამოძიებაში და სასამართლო პროცესზეც დაიკითხნენ მოწმეები, რომელთა ჩვენებებით დასტურდება, რომ ბუაჩიძის ბინა ნამდვილად თ. ლ-მ და ნ. ჯ-მ გაქურდეს.

სასამართლო სხდომაზე პროკურორმა არასრულწლოვნებისთვის სამი წლითა და 4 თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა მოითხოვა.

სასამართლო, გაეცნო რა წარმოდგენილი საქმის მასალებს, მოუსმინა დაზარალებულს, მოწმეებს და დადასტურებულად მიიჩნია, რომ აღნიშნული დანაშაული თ. ლ-ს და ნ. ჯ-ს მიერ არის ჩადენილი. თუმცა განსასჯელების მიერ სასჯელის დანიშვნის დროს გაითვალისწინა ის მიზანი, რისთვისაც სასჯელი ინიშნება, განსაკუთრებით არასრულწლოვნების შემთხვევაში. სასამართლომ თავის განაჩენში აღნიშნა, რომ „განსასჯელების მიმართ უნდა იქნეს გამოყენებული ისეთი ღონისძიება, რომელიც ხელს შეუწყობს მათ შემდგომ რესოციალიზაციას“. სასამართლომ სასჯელის დანიშვნისას მხედველობაში მიიღო დამნაშავეთა პიროვნება, მათი ასაკი, ქცევა დანაშაულის ჩადენის შემდეგ, ასევე, ის გარემოება, რომ განსასჯელები არიან არასრულწლოვნები და პირველად – სამართალში სასამართლოსთვის შემამსუბუქებელი გარემოება გახდა ის ფაქტიც, რომ სწავლის პარალელურად ისინი ფიზიკურად მუშაობდნენ.

სასამართლომ, ზემოთ აღწერილი გარემოებების გათვალისწინებით, არასრულწლოვან თ. ლ-ს და ნ. ჯ-ს სამი წლითა და 4 თვით პირობითი მსჯავრი მიუსაჯა, მათვე დაეკისრათ 3 500 ლარის ოდენობით ჯარიმის გადახდა, რომელიც კანონის საფუძველზე მათ მშობლებს დაეკისრათ.

საქალაქო სასამართლოს ჰუმანური განაჩენი – მოზარდები დარბაზიდან გაათავისუფლეს

არასრულწლოვან პატიმართა რიცხვს ორი მოზარდი – გ. ჯანელიძე და კ. კუნელაშვილი შეემატებოდა. თუმცა, რამდენიმე დღის წინ, საქალაქო სასამართლოს მოსამარტლემ ქურდობისთვის ბრალდებულ 15-15 წლის ბიჭებს შანსი მისცა – პატიმრობის ნაცვლად სამი წელი გამოსაცდელი ვადით ისინი სახლში გაუშვა. პროკურორი კი ითხოვდა პატიმრობის გარდა, ბავშვებს 4-4 ათასი ლარი ჯარიმასაც გადაეხადათ.

ფონიჭალის დასახლებაში მცხოვრები სკოლის მოსწავლეები – გ. და კ. ბინის გასაქურდად შორს არ წასულან. ნ. ბილბაოს ბინას მათ იქვე, ფონიჭალაში, მიაგნეს და 4300 ლარის ოქრო-ვერცხლი გაიტანეს. პოლიციამ ბავშვები ორი დღის შემდეგ, ნაქურდალით ხელში, ანუ ფაქტზე დააკავა. მართალია, დღეს ბავშვები პატიმრები არ არიან, მაგრამ სკოლაში ამჟამად მხოლოდ გ. სწავლობს, კ. კუნელაშვილი კი ამჟამად შპს „არქიტრავის“ მემონტაჟედ მუშაობს.

საბრალდებო დასკვნის თანახმად, მოზარდებს ბრალად ედებოდათ ქურდობა, სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული (სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ბინაში უკანონო შეღწევით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია), რისთვისაც ოთხ წლამდე პატიმრობა არ ასცდებოდათ.

როგორც საქმის მასალებშია ნათქვამი, 2006 წლის 31 მარტს, დაახლოებით 12 საათზე, მოზარდებმა „ვინმეს“ ბინის გაქურდვა გადაწყვიტეს. ამ მიზნით, დაახლოებით 15 წუთში ფონიჭალის დასახლებაში მცხოვრებ ნ. ბილბაოს საცხოვრებელს „ესტუმრენ“, საიდანაც ოქროს და ვერცხლის სხვადასხვა ნაკეთობები წაიღეს. დაზარალებულს მათ 4300 ლარის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი მიაყენეს, მაგრამ ამის მიუხედავად, ბიჭები ციხეს ასცდნენ. თავისუფლების ერთ-ერთი გარანტი მათი მხრიდან დანაშაულის გულწრფელი აღიარება გახდა.

მოზარდებმა მოსამართლეს იდენტური ჩვენებები მისცეს. განსასჯელმა კ. კუნელაშვილმა, რომელმაც წარდგინებულ ბრალდებაში თავი სრულად ცნო დამნაშავედ განმარტა, რომ ქურდობის დროს №70-ე სკოლაში მე-9 კლასის მოსწავლე იყო. 31 მარტს სკოლაში მას ექვსი გაკვეთილი ჰქონდა. თუმცა, მეექვსე გაუცდა, გარეთ გამოსულმა კი გ. დაინახა, რომელიც მისივე სკოლის მე-8 კლასში სწავლობდა.

მოსამართლეს მოზარდმა არ დაუმალა, რომ მეგობრები ექსპრომტად „ვინმეს“ ბინის გაქურდვაზე წინასწარ შეთანხმდნენ და... გასაქურდი ბინაც უცბად ამოარჩიეს. საქმე ისაა, რომ როგორც მოზარდი ყვება, „როდესაც ზემო ფონიჭალის მე-15 კორპუსს მივუახლოვდით, ამ კორპუსის სარდაფში ჩასვლა ბუნებრივი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად გადაწყვიტე, სადაც გ-ც ჩამომყვო“. მოულოდნელად ბიჭებმა სარდაფში გამოტყეხილი კედელი შენიშნეს, საიდანაც ზემოთ ასასვლელი კიბეები მოჩანდა – კიბე პირველი სართულის მობინადრესთან აღიოდა.

კუნელაშვილის ჩვენებით, თავდაპირველად სარდაფიდან გავიდნენ და ბინაში ზარი დარეკეს. შინ არავინ იყო. ამის შემდეგ კი კვლავ სარდაფში ჩავიდნენ და გამოტყეხილი კედლიდან. მართალია, კიბეზე ავიდნენ, მაგრამ კიბის თავზე სარდაფის სახურავი დახურული დახვდათ – სარდაფს სახურავად ზემოდან ტახტი ედო. ბიჭები არ დაბნეულან, ტახტი გადაბრუნეს, ბინაში შეაღწიეს. სახლში სხვადასხვა დასახელების ოქრო-ვერცხლი დახვდათ. როგორც ბავშვები ამბობენ, ნაკეთობების ნაწილი გაყიდეს და თანხა მოიხმარეს. თუმცა, როცა კ. ერთ-ერთი მოპარულ ნივთს ბიჭებს აჩვენებდა, პოლიციამ სწორედ ამ დროს დააკავა.

იდენტური ჩვენება მისცა სასამართლოს გ. ჯანელიძემ დანაშაულის აღიარების შემდეგ ორივემ სასჯელის შემსუბუქება ითხოვა, განაცხადეს – მზად ვართ ბინის პატრონს ზარალი ავუნაზღაუროთო.

რაც შეეხება დაზარალებულ ნ. ბილბაოს, რომელიც ქურდების დასჯასა და ზარალის ანაზღაურებას ითხოვდა, განაცხადა, რომ იმ დღეს სახლში დაახლოებით 16 საათისათვის დაბრუნდა, მაგრამ კარი ხელოსნის დახმარებითაც კი ვერ გააღო, ამიტომ სახლში სარკმლიდან შევიდა და გაოგნდა – სახლი მთლიანად არეული იყო... ვინაიდან ტახტი გადაბრუნებული დახვდა. პატრონი მიხვდა, რომ ქურდები სარდაფის მხრიდან იყვნენ შესულნი და წაღებული ჰქონდა იყო ოქროსა და ვერცხლის ნივთები, ასევე, სხვადასხვა დასახელების წვრილმანი, მათ შორის, ფოტოაპარატი.

დაზარალებულის მსგავსად პროკურორიც განსასჯელების კანონის მთელი სიმკაცრით დასჯას, ამასთან, დამატებით 4-4 ათას ლარი ჯარიმის გადახდას ითხოვდა, მაგრამ მოსამართლე ბრალმდების მხარეს არ დაეთანხმა. სასჯელის განსაზღვრისას მოზარდების ეკონომიკური მდგომარეობა გაითვალისწინა. პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოება გახდა ისიც, რომ მოზარდებმა დანაშაული დაკავებისთანავე აღიარეს და მოინანიეს. ისინი დანაშაულის ჩადენის მომენტში 15 წლისანი იყვნენ. ჰუმანურ განაჩენს ხელი შეუწყო იმანაც, რომ სასამართლოს წინაშე №70-ე საჯარო სკოლის დირექციამ გ., ხოლო სამსახურის ადმინისტრაციამ კ. დადებითად დაახასიათა. სწორედ ამ გრემოებებზე დაყრდნობით, ორივე მოზარდს მოსამართლემ გამოსაცდელად 3 წელი მიუსაჯა, ორივე არასრულწლოვანის ყოფაქცევას

პრობაციის სამსახური გააკონტროლებს. ბიჭებს კი აკისრიათ ვალდებულება რომ ამ სამსახურის ნებართვის გარეშე საცხოვრებელი ადგილი არ შეიცვალონ.

ჰუმანური განაჩენის პარალელურად, მოსამართლემ ყადაღა გ. ჯანელიძის მამის სახელზე რიცხულ ქონებას – სახლს დაადო. რაც შეეხება დაზარალებულ ნ. ბილბაოს ზარალს, 4300 ლარს, მისი გადახდა ორივე მოზარდს სასამართლომ სოლიდურად დააკისრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს მორიგი გამამართლებელი განაჩენი

თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2008 წლის 18 ივლისს მკვლელობის მცდელობაში მსჯავრდებული სხდომის დარბაზიდან გაათავისუფლა.

თ. ნემსიწვერიძეს პირველი ინსტანციის სასამართლომ მსჯავრი საკუთარი ქმრის განზრახ მკვლელობის მცდელობაში დასდო (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19.108-ე მუხლი) და 7 წლითა და 2 თვით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ პირველი ინსტანციის სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი გააუქმა, თ.ნემსიწვერიძე ქმრის მკვლელობის მცდელობაში უდანაშაულოდ სცნო და სასამართლოს სხდომის დარბაზიდან გაათავისუფლა.

სასამართლოს შემადგენლობამ მიიჩნია, რომ მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი იყო არა განზრახ მკვლელობის მცდელობა, არამედ განზრახ მსუბუქი დაზიანება, საკუთარი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა აღკოპოლიკი ქმრის აგრესიისგან. მსგავს ფაქტებს ინციდენტამდე არაერთხელ ჰქონია ადგილი, რაც საბოლოოდ თ.ნემსიწვერიძის სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფითა და საავადმყოფოში მკურნალობით სრულდებოდა.

სამართლიანი სასამართლოს წყალობით, 53 წლის ექიმმა ქალბატონი ოჯახსა და საზოგადოებას დაუბრუნდა.

უზენაესმა სასამართლომ ექვსჯერ ნასამართლევი განსასჯელი გაამართლა

საქმე, რომელიც უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ 2008 წლის 17 ივლისს დაასრულა ემოციებით დატვირთული იყო.

ექვსჯერ ნასამართლევი პატიმარი, რომელიც რამდენიმე დანაშაულის ჩადენაში იყო ბრალდებული სასამართლომ გაამართლა და დარბაზიდან გაათავისუფლა. ემოციები სასამართლოს გადაწყვეტილების მიმართ სწორედ პატიმარმა და მისმა ახლობლებმა გამოხატეს.

რაში ედებოდა ბრალი მსჯავრდებულს

საბრალდებო დასკვნაში 35 წლის მ. დავლიანიძის დანაშაული ასეა აღწერილი: '2004 წლის 13 მაისს, დაახლოებით 16.00 საათზე, მ. დავლიანიძე ნ. ებრალიძესთან ერთად იმყოფებოდა ქ. თბილისში, ენგელსის ქუჩაზე მდებარე საშუალო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე, რა დროსაც ისინი შევიდნენ სკოლის საპირფარეშოში. იმ დროს, როდესაც მ. დავლიანიძე და ნ. ებრალიძე იმყოფებოდნენ სკოლის დერეფანში, შეამჩნიეს, რომ ამავე სკოლის პედაგოგს, ლ. ხარაიძეს, საკლასო ოთახში დატოვებული ჰქონდა ხელჩანთა. მათ განიზრახეს მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებოდნენ აღნიშნულ ხელჩანთას და მასში არსებულ ფასეულობას. დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად, მ. დავლიანიძე შევიდა

საკლასო ოთახში და მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაეუფლა ლ. ხარაიძის კუთვნილ ხელჩანთას, ღირებულს 30 ლარად, რომელშიც იღო ფულადი თანხა 15 ლარის ოდენობით, ლოცვების წიგნი და სხვა პირადი ნივთები, რითაც დაზარალებულს მიაყენა 45 ლარის ზიანი. ამის შემდეგ მ. დავლიანიძემ ფარულად გატაცებული ხელჩანთა გადასცა ნ. ებრალიძეს, რომელმაც იგი დამალა ქურთუკის ქვეშ. ხელჩანთის ქურდობის ფაქტი დაზარალებულმა ლ. ხარაიძემ მალევე აღმოაჩინა და გამოიძახა ქ. თბილისის მთაწმინდა-კრწანისის შს სამმართველოს თანამშრომლები, რომლებმაც ნ. ებრალიძე დააკავეს შემთხვევის ადგილზე, რა დროსაც ჩატარებული პირადი ჩხრეკისას მისგან ამოღებულ იქნა ფარულად გატაცებული ლ. ხარაიძის კუთვნილი ხელჩანთა, ხოლო მ. დავლიანიძე შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. მანვე შეიტყო რა, რომ ჩადენილი დანაშაულისათვის დაკავებული იყო ნ. ებრალიძე, ვითარების გარკვევის მიზნით, მივიდა მთაწმინდა-კრწანისის შს სამმართველოში, სადაც ეს უკანასკნელი ეჭვიმტანილის სახით იკითხებოდა, მაგრამ, ვინაიდან მან სათანადოდ არ იცოდა ქართულად წერა-კითხვა, დიდ დროს ანდომებდა მის მიერ არჩეული დუმილის უფლების დაკითხვის ოქმში პროცესუალურად დაფიქსირებას. ამის გამო პოლიციის თანამშრომლებმა მ. დავლიანიძეს, როგორც მის ახლობელს, შესთავაზეს დაკითხვის ოქმში ნ. ებრალიძის ნაცვლად ჩანაწერების გაკეთება. მ. დავლიანიძე, მის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის მოსალოდნელი პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით, დათანხმდა პოლიციის თანამშრომლებს და ეჭვიმტანილის სახით დაკითხვის ოქმში, ნ. ებრალიძის ნაცვლად, გააკეთა ჩანაწერები, რითაც შექმნა რა ყალბი ოფიციალური დოკუმენტი, მოახდინა მძიმე დანაშაულის შესახებ სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულების ფალსიფიკაცია, რამაც გამოიწვია მძიმე შედეგი – ნ. ებრალიძე მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის მიცემულ იქნა ბრალდებულის სახით პასუხისმგებებაში და აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა დაპატიმრება.“

მეორე დანაშაულის ფაბულა კი ასეთია: „2005 წლის 28 ნოემბერს მ. დავლიანიძე იმყოფებოდა ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორიაზე, რა დროსაც შენიშნა, რომ მოქ. ლ. ნატროშვილმა გზის სავალ ნაწილზე გააჩერა მისი კუთვნილი „ჰონდა-სივიკის“ მარკის ავტომანქანა, სახ. № WOM-455 და გადმოვიდა სალონიდან, რა დროსაც მანქანის გასაღები დატოვა მორგებულ მდგომარეობაში. ამასთან, ავტომანქანაში დარჩა მისი ფეხმძიმე მუულე – თ. ზედელაშვილი, რომელიც იჯდა მანქანის წინა, მარჯვენა სავარძელზე. მ. დავლიანიძემ განიზრახა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, დაუფლებოდა აღნიშნულ ავტომანქანას. დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, იგი ჩაჯდა ლ. ნატროშვილის კუთვნილ ავტომანქანაში და თ. ზედელაშვილს, რომელსაც აშკარად ეტყობოდა, რომ ფეხმძიმედ იყო, დაემუქრა სიცოცხლის მოსპობით, თუ იგი რაიმე ხერხით შეუშლიდა ხელს. ამასთან, იმ მიზნით, რომ მის მიერ ავტომანქანის გატაცება არ შეფერხებულიყო და გაადვილებოდა დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანა, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობისა და მოკვლის მუქარით, არ მისცა თ. ზედელაშვილს ავტომანქანიდან გადასვლის საშუალება, რითაც უკანონოდ აღუკვეთა თავისუფლება და დიდი სიჩქარით დაძრა ავტომანქანა. თ. ზედელაშვილმა გააღო ავტომანქანის კარი და ცდილობდა თავის დაღწევას, მაგრამ მ. დავლიანიძემ კვლავ არ მისცა მანქანიდან გადასვლის საშუალება და თ. ზედელაშვილს მოკვლით დაემუქრა, თუ იგი არ შეწყვეტდა ყვირილს და მანქანიდან გადასვლის მცდელობას. თ. ზედელაშვილმა რეალურად აღიქვა მუქარა, რის გამოც იძულებული გახდა, დამორჩილებოდა მას. დაახლოებით 700-800 მეტრის გავლის შემდეგ, გზის სავალ ნაწილზე არსებულ ორმოსთან, მ. დავლიანიძე იძულებული გახდა, შეენელებინა მოძრაობა, რითაც ისარგებლა თ. ზედელაშვილმა და გადმოხტა ავტომანქანიდან, ხოლო მ. დავლიანიძე დაეუფლა რა ავტომანქანას, გააგრძელა მოძრაობა და მიიმალა შემთხვევის ადგილიდან. აღნიშნული ავტომანქანის

დაუფლებისას მ. დავლიანიძემ, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, გაიტაცა ასევე ლ. ნატროშვილის კუთვნილი მნიშვნელოვანი დოკუმენტები, ავტომანქანის ტექნიკური პასპორტი და ლ. ნატროშვილს მიაყენა 3500 აშშ დოლარის ზიანი.“

წაყენებული ბრალდების ნუსხა უკვე ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებით გრძელდება. ”2006 წლის 4 აგვისტოს მ. დავლიანიძე ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარებისათვის დაჯარიმდა 100 ლარით. მიუხედავად ამისა, მან არ გააკეთა სათანადო დასკვნები და კვლავ განაგრძო ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ მოხმარება, კერძოდ: 2006 წლის 30 ოქტომბერს მან ექიმის დანიშნულების გარეშე, უკანონოდ კვლავ მიიღო ნარკოტიკული საშუალება, რის შემდეგაც დაკარგა გონება. ამის გამო იგი ახლობლებმა გადაიყვანეს ქ. თბილისის V კლინიკურ საავადმყოფოში, სადაც დაუდგინდა დიაგნოზი – ნარკომანია. შესაბამისი მკურნალობის შემდეგ მ. დავლიანიძე იმავე დღეს გამოეწერა საავადმყოფოდან“ – ასეთია ის ფაბულა, რომელიც მსჯავრდებულის წინააღმდეგ პროკურატურამ წარმოადგინა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 7 სექტემბრის განაჩენით: მ. დავლიანიძეს მოეხსნა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით (2006 წლის 31 მაისის რედაქცია) წარდგენილი ბრალდება და ბრალდების ამ ნაწილში გამართლდა.

მასვე მოეხსნა საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მეორე ნაწილის „ე“, „ზ“, „თ“ ქვეპუნქტებით (2006 წლის 31 მაისის რედაქცია) წარდგენილი ბრალდება და ბრალდების ამ ნაწილშიც გამართლდა.

საქალაქო სასამართლომ მ. დავლიანიძე დამნაშავედ ცნო 177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მესამე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, 369-ე მუხლის მესამე ნაწილით – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, 273-ე მუხლით – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, 362-ე მუხლის პირველი ნაწილით – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს როგორც პროკურორმა, ასევე მსჯავრდებულმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 20 ნოემბრის განაჩენით არ დაკმაყოფილდა პროკურორის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა მსჯავრდებულის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა და გასაჩივრებულ განაჩენში შევიდა ცვლილება, კერძოდ

მ. დავლიანიძეს მოეხსნა საქართველოს სსკ-ის (2006 წლის 31 მაისის რედაქცია) 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით, 143-ე მუხლის მეორე ნაწილის „ე“, „ზ“, „თ“ ქვეპუნქტებით, 362-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილი ბრალდებები და ამ ნაწილში გამართლდა.

მ. დავლიანიძე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის (2006 წლის 31 მაისის რედაქცია) 177-ე მუხლის მესამე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, 369-ე მუხლის მესამე ნაწილით – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, 273-ე მუხლით – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 11 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საბოლოოდ საქმე უზენაეს სასამართლომდე მივიდა.

რა გადაწყვიტა უზენაესმა სასამართლომ

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ პროკურორის საკასაციო საჩივრის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს, მსჯავრდებულ მ. დავლიანიძის საკასაციო საჩივრის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ როგორც პირველი ინსტანციის, ისე სააპელაციო სასამართლოებმა უგულვებელყვეს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის მოთხოვნები საქმის ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად განხილვის თაობაზე.

საკასაციო პალატა თვლის, რომ მ. დავლიანიძის მსჯავრდებას საფუძვლად დაედო მხოლოდ ამავე ბრალდების საქმეზე ბრალდებულისა და მოწმის სახით დაკითხული ნ. ებრალიძის მიერ მიცემული არათანმიმდევრული, წინააღმდეგობრივი, მამნილებელი ჩვენებები, მაშინ, როდესაც გამამტყუნებელ განაჩენს საფუძვლად უნდა დაედოს მხოლოდ ეჭვისგამომრიცხავ, ურთიერთშეთანხმებულ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობა. კერძოდ:

სასამართლო პროცესზე მოწმის სახით დაკითხვისას ნ. ებრალიძემ დაადასტურა წინასწარ გამოძიებაში მიცემული ზემოაღნიშნული ჩვენება და დამატებით წინა ჩვენებისაგან განსხვავებულად განმარტა, რომ „ტუალეტში შესვლა უნდოდა მ. დავლიანიძეს, სკოლის ეზოში შევიდნენ და ავიდნენ მეორე სართულზე, ის პირველი შევიდა ტუალეტში, რომ გამოვიდა მ. დავლიანიძემ მიაწოდა ჩანთა, მან იკითხა, თუ რა იყო, მ. დავლიანიძემ უთხრა, რომ დაეკავებინა და ის მალევე გამოვიდოდა საპირფარეშოდან, მას ელოდებოდა, მაგრამ არ გამოჩნდა. ამ დროს კლასიდან გამოვარდა ერთი ქალი და ჩანთა გამოგლიჯა, ის მას ჩანთას არ აძლევდა, უთხრა, რომ პიროვნება, რომელმაც ჩანთა მისცა საპირფარეშოში იყო შესული, გამომძიებელსაც აუხსნა, რომ ჩანთა მისი არ იყო. ის და მ. დავლიანიძე იცნობენ ერთმანეთს 2003 წლიდან.“

დაზარალებული ლ. ხარაიძე როგორც წინასწარ გამოძიებაში, ასევე სასამართლო პროცესზე მიცემულ ჩვენებებში განმარტავს, რომ „როდესაც ის შევიდა ოთახში, ერთ-ერთმა მოსწავლემ უთხრა, რომ ვიღაც უცნობი შევიდა ოთახში და გაიტანა ხელჩანთა. ბავშვმა მიუთითა ვიღაც კაცზე, რომელიც გადიოდა ქუჩაში. ის მას გამოეკიდა და გააჩერა ადგილზე. თავის თანამშრომლებს სთხოვა დაერეკათ პოლიციაში, ის გაჩერებული ყავდათ სკოლის შესასვლელ კარებთან. მას რამდენჯერმე სთხოვეს, რომ დაებრუნებინა ჩანთა, მაგრამ ის უარზე იყო. ამ დროს მივიდნენ პოლიციის თანამშრომლები, მან მათ აუხსნა ვითარება, ყოველივე ამის შემდეგ ორი მოქალაქის თანდასწრებით მას ჩაუტარეს ჩხრეკა, რა დროსაც ქურთუკის უბიდან ამოუღეს ხელჩანთა. როგორც მისთვის განხილვა შემდეგ ცნობილი, ეს პიროვნება ყოფილა ნ. ებრალიძე.“ დაზარალებულმა ანალოგიური ჩვენება სასამართლო პროცესზე გაიმეორა.

ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ განაჩენით მ. დავლიანიძის მსჯავრდებას ქურდობის ნაწილში საფუძვლად უდევს მხოლოდ ებრალიძის მიერ მიცემული წინააღმდეგობრივი ჩვენებები, რომელშიც მითითებული ფაქტობრივი გარემოებები არ არის დადასტურებული საქმეში არსებული სხვა უტყუარი მტკიცებულებებით, რის გამოც უნდა შეწყდეს მ. დავლიანიძის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მეხამე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით მსჯავრდების ნაწილში.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საქმის მასალებითა და განაჩენით ასევე არ არის დადასტურებული მ. დავლიანიძის მიერ 369-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის (მტკიცებულებათა ფალსიფიკაცია) ჩადენა.

მართალია, პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე მ. დავლიანიძემ თავი ცნო დამნაშავედ 369-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებაში, მაგრამ მის მიერ მიცემული ჩვენებიდან რეალურად ირკვევა, რომ იგი არ არის გარკვეული თუ რას ნიშნავს მტკიცებულებათა ფალსიფიკაცია და თავს დამნაშავედ ცნობს მხოლოდ მასში, რომ თავისი ჩანაწერით გააყალბა ნ. ებრალიძის ეჭვმიტანილის სახით დაკითხვის ოქმი. კერძოდ, იგი დაესწრო ნ. ებრალიძის დაკითხვას, ოქმი გააყალბა თავისი ჩანაწერით, ბოლო ნაწილი დაწერა თავისი ხელით, რადგან ნ. ებრალიძეს უჭირდა ქართულად წერა, რაშიც თავს ცნობს დამნაშავედ, გამოძიებელი ამ დროს გასული იყო, ე.ი. მან ფაქტობრივად თავი ცნო დამნაშავედ 362-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებაში.

საბრალდებო დასკვნით მის მიერ 369-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა გამოიხატა მასში, რომ ვინაიდან ნ. ებრალიძემ სათანადოდ არ იცოდა ქართულად წერა-კითხვა, დიდ დროს ანდომებდა, მის მიერ არჩეული დუმილის უფლების დაკითხვის ოქმში პროცესუალურად დაფიქსირებას, ამის გამო პოლიციის თანამშრომლებმა მ. დავლიანიძეს, როგორც მის ახლობელს შესთავაზეს დაკითხვის ოქმში ნ. ებრალიძის ნაცვლად ჩანაწერების გაკეთება. მ. დავლიანიძე მის მერ ჩადენილი დანაშაულისათვის მოსალოდნელი პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით დათანხმდა პოლიციის თანამშრომლებს და ეჭვმიტანილის სახით დაკითხვის ოქმში ნ. ებრალიძის ნაცვლად გააკეთა ჩანაწერები, რითაც შექმნა რა ყალბი ოფიციალური დოკუმენტი, მოახდინა მძიმე დანაშაულის შესახებ სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულების ფალსიფიკაცია, რამაც გამოიწვია მძიმე შედეგი – ნ. ებრალიძე მიცემულ იქნა ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის და აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა დაპატიმრება. საკასაციო პალატა თვლის, რომ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში საბრალდებო დასკვნითა და განაჩენით დადგენილი ფაქტობრივი გარემოება, რომ მტკიცებულების ფალსიფიკაციამ გამოიწვია მძიმე შედეგი – ნ. ებრალიძე მიცემულ იქნა ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის, რაც აუცილებელია ფალსიფიკაციის დანაშაულებრივი ქმედების ობიექტური შემადგენლობისათვის, საქმის მასალებით არ არის დადასტურებული, რადგან ნ. ებრალიძის მიერ მ. დავლიანიძის მხილების შემდეგაც, ჩადენილი დანაშაულისათვის ნ. ებრალიძე მ. დავლიანიძესთან ერთად მიცემულ იქნა ბრალდებულის სახით პასუხისგებაში საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და ამავე მუხლის მესამე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, ხოლო 2007 წლის 10 თებერვალს ბრალდებულ ნ. ებრალიძის მიმართ შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა, ვინაიდან გავიდა ბრალდებულად სისხლის სამართლის პასუხისგებაში ყოფნის 12-თვიანი ვადა. ამდენად, მ. დავლიანიძის მიერ ნ. ებრალიძის ეჭვმიტანილის სახით დაკითხვის ოქმის გაყალბებამ, რაშიც მხილებულ იქნა მ. დავლიანიძე, გავლენა არ მოახდინა ებრალიძის ბრალეულობაზე, რომლის მიმართაც სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა არა იმის გამო, რომ მას არ დაუდასტურდა დანაშაულის ჩადენა მ. დავლიანიძის მიერ მტკიცებულების ფალსიფიკაციის გამო, არამედ 12 თვიანი ბრალდებულად სისხლის სამართლის პასუხისგებაში ყოფნის ვადის გასვლის გამო.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ უნდა შეწყდეს მ. დავლიანიძის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სსკ-ის 369-ე მუხლის მესამე ნაწილით მსჯავრდების ნაწილშიც, რაც შეეხება სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებულ ბრალდებას, რაშიც მ. დავლიანიძე მთლიანად ცნობს თავს დამნაშავედ, სწორად აქვს წარდგენილი. ამ

მუხლით მას სასჯელად დანიშნული აქვს თავისუფლების აღკვეთა 1 (ერთი) წლის ვადით, რაც მისი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებების გათვალისწინებით, რომ ჰყავს მეუღლე და მცირეწლოვანი შვილი, ასევე მისი წარსულში არაერთგზის ნასამართლობის მხედველობაში მიღებით უნდა შეეცვალოს ჯარიმით – 15 ათასი ლარის ოდენობით. მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ მ. დავლიანიძე პატიმრობაში იმყოფება 2006 წლის 15 დეკემბრიდან. ზემოაღნიშნულის გამო, საქართველოს სსკ-ის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, პატიმრობაში ყოფნის ვადის გათვალისწინებით, მ. დავლიანიძე სასამართლომ მთლიანად გაათავისუფლა დანიშნული სასჯელის მოხდისაგან.

ინფორმაცია საქართველოს და ევროპის ქვეყნების სასამართლოების ვიჩარ საქმეთა განხილვის საშუალო ვადაზე თაობაზე

2007 წლის 1 დეკემბრიდან 2008 წლის 1 მარტის ჩათვლით საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ განხორციელდა კვლევა, რომლის დროსაც შესწავლილ იქნა 6000-ზე მეტი საქმე. კვლევის მიზანი იყო სამივე ინსტანციაში საქმეთა განხილვის საშუალო ვადების დადგენა. იმავდროულად მიმდინარეობდა მსგავსი მონაცემების მოძიება ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოდან. კვლევის შედეგად გაირკვა, რომ საქართველოში სამივე ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის საშუალო ვადა შეადგენს: სამოქალაქო საქმეებზე - 18,3 თვეს, ადმინისტრაციულ საქმეებზე - 15,9 თვეს, ხოლო სისხლის სამართლის საქმეებზე - 12,6 თვეს. ევროპის სახელმწიფოებიდან მიღებულ ინფორმაციასთან ამ მონაცემების შედარების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს სასამართლო სისტემას ერთ-ერთი საუკეთესო შედეგი აქვს. კერძოდ, საქმეთა განხილვის საშუალო ვადა სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე საქართველოში ბევრად მცირეა, ვიდრე – იტალიის, გერმანიის და ნორვეგიის სასამართლოებში, ხოლო საქართველოში ადმინისტრაციულ საქმეთა განხილვის საშუალო ვადა ნაკლებია ესტონეთში შესაბამის საქმეთა განხილვის ვადაზე. აღსანიშნავია, რომ ესტონეთში, რომლის მოსახლეობა შეადგენს 1.542000-ს, დღეის მდგომარეობით მუშაობს 240 მოსამართლე (ყოველ 6425 მოსახლეზე – 1 მოსამართლე), სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის საშუალო ვადა მეორე ინსტანციის სასამართლოებში 11,8 თვეა, მაშინ, როცა საქართველოში, სადაც 284 მოსამართლეა დასაქმებული (ყოველ 15393 მოსახლეზე 1 მოსამართლე) და მხოლოდ მოსამართლეთა კორპუსის 400-მდე გაზრდით არის შესაძლებელი საერთაშორისო სტანდარტის მიღწევა (ყოველ 10000 მოსახლეზე 1 მოსამართლე), სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის საშუალო ვადა სამივე ინსტანციაში შეადგენს 12,6 თვეს, ხოლო მეორე ინსტანციის სასამართლოებში – 2,1 თვეს.

ამასთან, ევროპის მრავალ ქვეყანაში კონკრეტული საქმის განხილვა ერთ ინსტანციაში შეიძლება წელიწადზე მეტ ხანს გაგრძელდეს. მაგალითისთვის შესაძლებელია მოვიყვანოთ სლოვენის სასამართლო სისტემა, სადაც 1002 მოქმედი მოსამართლეა (ყოველ 1981 მოსახლეზე 1 მოსამართლე), საქმეთა განხილვის ვადა მხოლოდ რაიონულ სასამართლოებში შეადგენს: 1-დან 2 წლამდე სისხლის სამართლის საქმეების 23,10%-ზე, 2-დან 3 წლამდე – 13,20%-ზე, 3 წელზე მეტ ხანს გრძელდება 19,30%-ზე. დაახლოებით იგივე მონაცემებია სამოქალაქო საქმეთა განხილვისას, ხოლო ადმინისტრაციული საქმეების 52,10% იხილება 1-დან 3 წლამდე ვადაში. საქართველოში კი (მოსამართლეთა რაოდენობის და მოსახლეობასთან მათი თანაფარდობის მიუხედავად), საქმეების საერთო რაოდენობის მხოლოდ 1% იხილება (სამივე ინსტანციაში) 1-დან 2 წლამდე ვადაში.

კვლევის შედეგების მიხედვით შეიძლება თამამად ითქვას, რომ საქართველოს ახალი სასამართლო სისტემის სტრუქტურული მოდელი დიდ გავლენას ახდენს მართლმსაჯულების სწრაფ და ეფექტურ განხორციელებაზე. როგორც მოსალოდნელი იყო, სისტემის ინსტიტუციონალურმა ცვლილებებმა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ინტენსიურმა დანერგვამ ხელი შეუწყო სასამართლოებში საქმეთა დროულ განხილვასა და გადაწყვეტას.

კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაცია იხილეთ ქვემოთ მოცემულ ცხრილში (მონაცემები დამუშავებულია შესაბამისი ქვეყნების უზენაესი სასამართლოების და საელჩოების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე):

ქვეყანა	მოსამართლეთა რაოდენობა			საქმეთა გაცემის საშუალო ვალები		
				I ინსტ.	II ინსტ.	III ინსტ.
1. იტალია	I ინსტ.	II ინსტ.	III ინსტ.	სამოქალაქო საქმეებზე: 18.2 თვე მშვიდობის მსაჯულები (I ინსტ. სასამართლო პატარა საქმეებზე) - 27,7 თვე შრომითი დაევების განხილველი სასამართლო - 9,5 თვე სისხლის სამართლის საქმეებზე: 15.2 თვე	სამოქალაქო საქმეებზე: 46,8 თვე შრომითი დაევების განხილველი სასამართლო - 27,1 თვე სისხლის სამართლის საქმეებზე: 22,7 თვე	სამოქალაქო საქმეებზე: 31,8 თვე სისხლის სამართლის საქმეებზე: 8,3 თვე
	6798	1332	406			
სულ: 8536 მოსამართლე						
2. ესტონეთი	I ინსტ.	II ინსტ.	III ინსტ.	ადმინისტრაციულ საქმეებზე: 4,8 თვე	სამოქალაქო საქმეებზე: 6,3 თვე სისხლის სამართლის საქმეებზე: საერთო პროცედურები - 11,8 თვე; ალტერნატიული (სასჯელების შერევისთანადაკავშირებული) პროცესი - 3,3 თვე; მორიგებით დამთავრებულ საქმეებზე - 1,5 თვე; შემაჯამებელი პროცესი - 0,7 თვე	
	127	46	19			
სულ: 240 მოსამართლე						

ქვეყანა	მოსამართლეთა რაოდენობა			საქმეთა გაცემის საშუალო ვალები		
				I ინსტ.	II ინსტ.	III ინსტ.
3. გერმანია	I ინსტ.	II ინსტ.	III ინსტ.	სამოქალაქო საქმეებზე (2005 წლის მონაცემი): რაიონული სასამართლო - 4,4 თვე; მიწის სასამართლო - 7,4 თვე. ადმინისტრაციულ საქმეებზე (2005 წლის მონაცემი): 14,1 თვე	სამოქალაქო საქმეებზე (2005 წლის მონაცემი): მიწის სასამართლო - 4,9 თვე; მიწის უმაღლესი სასამართლო - 7,5 თვე. ადმინისტრაციულ საქმეებზე (2005 წლის მონაცემი): 8,7 თვე	ადმინისტრაციულ საქმეებზე (2005 წლის მონაცემი): 11,0 თვე
სულ: დაახლოებით 22000 მოსამართლე						
4. პოლონეთი	I ინსტ.	II ინსტ.	III ინსტ.			სამოქალაქო პალატაში - 3-4 თვე; სისხლის საქმეთა პალატაში - 4 თვე; შრომითი, ნორმატიული, სპეციალური უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი ურთიერთობების პალატაში - 4 თვე; სამხედრო პალატაში - 1-2 თვე.
			90			
სულ: 10000 მოსამართლე						

ქვეყანა	მოსამართლეთა რაოდენობა			სამმთავრობო ბაზილის საშუალო კაღები		
				I ინსტ.	II ინსტ.	III ინსტ.
5. ნორვეგია	I ინსტ. 516	II ინსტ. 161	III ინსტ. 19	სამოქალაქო საქმეებზე 6,1 თვე	სამოქალაქო საქმეებზე 8,0 თვე	სამოქალაქო საქმეებზე 5,9 თვე
	სულ: 696 მოსამართლე			სისხლის სამართლის საქმეებზე 2,7 თვე	სისხლის სამართლის საქმეებზე 4,7 თვე სამი პროფესიონალი მოსამართლის მიერ განხილულ საქმეებზე - 3,9 თვე ნაფიც მსჯეულთა მიერ განხილულ საქმეებზე - 4,9 თვე	სისხლის სამართლის საქმეებზე 2,9 თვე
6. საქართველო	I ინსტ. 209	II ინსტ. 54	III ინსტ. 18	სამოქალაქო საქმეებზე 7,7 თვე	სამოქალაქო საქმეებზე 6,8 თვე	სამოქალაქო საქმეებზე 3,8 თვე
	სულ: 281 მოსამართლე			ადმინისტრაციულ საქმეებზე 4,7 თვე	ადმინისტრაციულ საქმეებზე 6,3 თვე	ადმინისტრაციულ საქმეებზე 4,9 თვე
				სისხლის სამართლის საქმეებზე 5,3 თვე	სისხლის სამართლის საქმეებზე 2,1 თვე	სისხლის სამართლის საქმეებზე 5,2 თვე

ქვეყანა	მოსამართლეთა რაოდენობა				სამმთავრობო ბაზილის საშუალო კაღები							
					< 3 თვე	3 - 6 თვე	6 - 12 თვე	1-2 წელი	2-3 წელი	> 3 წელი		
7. სლოვენია	I ინსტ. 721	II ინსტ. 145	III ინსტ. 39	სხვა 97								
	სულ: 1002 მოსამართლე				სისხლი - სოლქო	12,20%	13,40%	18,80%	23,10%	13,20%	19,30%	
					სისხლი - რაიონული	27,60%	12,20%	15,10%	20,70%	14,00%	10,40%	
					სამოქალაქო - სოლქო	15,40%	21,50%	20,10%	28,90%	14,10%		
					სამოქალაქო - რაიონული	18,50%	13,60%	14,30%	26,20%	27,40%		
				ადმინისტრაციული	21,50%	9,90%	16,50%	52,10%				
					სამმთავრობო ბაზილის საშუალო კაღები							
					I ინსტ.	II ინსტ.	III ინსტ.					
8. საფრანგეთი *	I ინსტ.	II ინსტ.	III ინსტ.		1 წელი	2 წელი	9 თვე					
	სულ: დაახლოებით 8500 მოსამართლე											

*ინფორმაცია საქმეთა განხილვის ვადების თაობაზე მიღებულია საფრანგეთის იუსტიციის საბჭოსგან, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ხელმძღვანელობის საფრანგეთში ოფიციალური ვიზიტისას

დავით მუხლაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

ლევან ძნელაძე

ბრძოლა ორგანიზებული დანაშაულობის (მაფიის) წინააღმდეგ: შედარებითსამართლებრივი ანალიზი

ორგანიზებული დანაშაული კომპლექსური კრიმინალური ფენომენია, რომელიც განსაკუთრებულ ემპირიულ და ანალიტიკურ კვლევას მოითხოვს. ამ პრობლემის იურიდიულ ჩარჩოებში მოქცევა კავშირშია მრავალ თეორიულ, სოციალურ და პრაქტიკულ პრობლემასთან, მით უმეტეს, რომ ორგანიზებულმა დანაშაულმა დიდი ხანია ტრანსნაციონალური ხასიათი შეიძინა და თავისი მასშტაბებითა და დამანგრეველი ზემოქმედებით კაცობრიობისათვის რეალურ საფრთხედ იქცა.

წინასწარვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ვერც ერთი ქვეყნის კანონმდებლობაში, რომლებსაც ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გაცილებით ხანგრძლივი გამოცდილება გააჩნია, ორგანიზებული დანაშაულის ლეგიტიმურ განმარტებას ვერ ვნახავთ. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, სადაც ჯერ კიდევ ფედერაციისა და მიწების შინაგან საქმეთა მინისტრების 1999 წლის დირექტივებით ხელმძღვანელობენ.¹

საბჭოთა სინამდვილეში ორგანიზებულ დანაშაულთან დაკავშირებული პრობლემატიკა ერთ-ერთ ტაბუდადებულ თემად ითვლებოდა. იდეოლოგიური შეზღუდულობა, რომელიც დამახასიათებელი იყო საბჭოთა იურიდიული აზროვნებისათვის, ხელს უშლიდა ამ მეტად სერიოზული სოციალური პრობლემის სამართლებრივად მართებულ გააზრებასა და, შესაბამისად, მის მიმართ ადეკვატური ზომების გატარებას.²

საზოგადოებრივ ურთიერთობათა სფეროების ჩამოთვლას, სადაც აღნიშნული მოვლენა ვლინდება, გადაწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს, ვინაიდან ორგანიზებული დანაშაული ყველგან ჩნდება, სადაც სოლიდური ფულადი მოგებაა შესაძლებელი. უფრო მნიშვნელოვანია მისი სამართლებრივი არსის და მასთან ბრძოლის გზების განსაზღვრა. ¶

მეცნიერული კვლევის კომპარატივისტიკული მეთოდის გამოყენებით შევეცდებით, ავხსნათ, იურიდიული თვალსაზრისით რას წარმოადგენს ორგანიზებული დანაშაული, თანამედროვე ეტაპზე რა თავისებურებებით მიმდინარეობს მასთან ბრძოლა. ამ მიზნით საქართველოსთან ურთიერთკავშირში თანმიმდევრობით განვიხილავთ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ამერიკის შეერთებული შტატების, იტალიისა და რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის მიერ ამ მიმართულებით წარმოებულ კანონშემოქმედებით პროცესს; მოკლედ შევეხებით საერთაშორისო

¹Преступность и уголовная политика в Европе, Хелмут Кури (издатель), Бохум., 2004, с. 98.

²Долгова А. И. Системно-структурный характер преступности. Вопросы борьбы с преступностью, М., 1984, с.16.

აქტებს, ორმხრივ და მრავალმხრივ შეთანხმებებს, ვისაუბრებთ საქართველოს მიერ საერთაშორისო დონეზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან ორგანიზებული დანაშაული სამეცნიერო-პრაქტიკული დისკუსიების თემად გადაიქცა, რაც აშშ-ში ამავე პერიოდში განვითარებულმა პროცესებმაც განაპირობეს.³ ასეთი დისკუსიების პირველი ინიციატორი ფედერალური კრიმინალური სამსახურის მაშინდელი პრეზიდენტი ჰეროლდი იყო, რომელიც 1974 წ. პირველად შეეცადა ამ მოვლენისათვის, რომლის არსებობას თვით პოლიტიკურ წრეებშიც კი ყველა არ აღიარებდა, იურიდიული დახასიათება მიეცა. 1975 წ. შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა ორგანიზებული დანაშაულის ცნება შემდეგნაირად ჩამოაყალიბა: „ორგანიზებულ დანაშაულად არა მხოლოდ მაფიოზური ხასიათის პარალელური საზოგადოებების მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება ითვლება, არამედ რამდენიმე პირის მიერ ხანგრძლივი დროის განმავლობაში შრომის დანაწილებით ჩადენილი შეგნებული და სასურველი დანაშაულებრივი თანამოქმედება, რაც ხშირად თანამედროვე ინფრასტრუქტურის გამოყენებით ხდება, რომლის მიზანია, რაც შეიძლება მოკლე დროში მაქსიმალურად მაღალი მოგების მიღება.“⁴

ეს იყო გერმანიაში ორგანიზებული დანაშაულის ცნების ჩამოყალიბების პირველი მცდელობა, სადაც ორგანიზებული დანაშაულის კატეგორიისათვის მიკუთვნებადი დანაშაულებრივ ქმედებათა წრე მეტიმეტად იყო გაფართოებული, რათა კრიმინალური ჯგუფების წინააღმდეგ ბრძოლა ჯერ კიდევ ინკუბაციის სტადიაზე დაწყებულიყო.⁵ ორგანიზებული დანაშაულის ზემოაღნიშნული ცნების შემდგომი დახვეწის, ქმედების დამაფუძნებელი და მაკვალიფიცირებელი ნიშნების დაზუსტების მიზნით, გერმანიის იუსტიციისა და პოლიციის გაერთიანებულმა ჯგუფმა ასეთი საორიენტაციო განმარტება 1990 წელს შეიმუშავა: „ორგანიზებულ დანაშაულად ჩაითვლება ანგარებითა და საკუთარი ავტორიტეტის გაზრდის მიზნით გეგმაზომიერად ჩადენილი ქმედებანი, რომელთაგან თითოეული, ცალკე აღებული ან ერთობლიობაში, განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, თუ მასში მონაწილე ორზე მეტი პირი ხანგრძლივი ან განუსაზღვრელი დროის განმავლობაში შრომის დანაწილებით დანაშაულის ჩადენაში მონაწილეობს, იყენებს რა:

- საწარმოო, სამეურნეო საქმიანობისათვის დამახასიათებელ მეთოდებსა და სტრუქტურებს;
- ძალადობას ან დაშინების სხვადასხვა ხერხებს;
- გავლენას ახდენს პოლიტიკაზე, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე, საზოგადოებრივ მმართველობაზე, იუსტიციასა და ეკონომიკაზე.“

პროკურატურისა და პოლიციის ორგანოების საქმიანობაში ნეგატიური შედეგის თავიდან აცილებისა და მინიმუმამდე დაყვანის მიზნით იუსტიციისა და შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომელთა მიერ ერთობლივად დამატებით ორგანიზებული დანაშაულის ნიშნებისა და ინდიკატორების ვრცელი ჩამონათვალი იქნა შემუშავებული:

- დანაშაულის გულდასმით მომზადება და დაგეგმვა;
- დანაშაულის პროფესიული სიზუსტით შესრულება;
- მონაწილეთა მჭიდრო თანამოქმედება როლების შესაბამისი განაწილებით;
- დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავლების ლეგალიზაცია;

³საკითხს აშშ-ის კანონმდებლობის მიმოხილვისას ვრცლად შევეხებით.

⁴იხ: **ლ. წიკლაურის** სადისერტაციო ნაშრომი „ორგანიზებული დანაშაული და მასთან ბრძოლის სისხლისსამართლებრივი და საპროცესო საკითხები (შედარებითსამართლებრივი გამოკვლევა გერმანიის, საქართველოსა და რუსეთის მაგალითებზე)“, თბ., 1999, გვ.51.

⁵იხ: **ლ.წიკლაურის** დასახელებული ნაშრომი, გვ.53.

⁶ იქვე: **ლ.წიკლაურის** დასახელებული ნაშრომი.

– დანაშაულებრივი ქმედების კონსპირაცია (ზედმეტ სახელთა შერჩევა, ცრუმაგიერი პირების გამოყენება და ა.შ.);

– დანაშაულებრივი დაჯგუფების სტრუქტურირება (იერარქიული წყობა ორგანიზაციის შიგნით და სანქციების გამოყენება ჯგუფის წევრების მიმართ), სადაც ორგანიზაციის წევრებს შორის დაქვემდებარების წესი და ფორმა შეიძლება იყოს ოჯახური, კლანური ან მკაცრად იერარქიულად ჩამოყალიბებული სისტემით დაწყებული, თანასწორუფლებიანი „პარტნიორობით“ დამთავრებული, რაც წარმოებული ბიზნესის სახეზეა დამოკიდებული;

– ჯგუფის წევრთა და მათი ნათესავებისათვის დახმარების გაწევა, გამოძიების დროს მათი მფარველობა და ა.შ;

– თანამდებობის პირთა მოსყიდვა ან ასეთ პირთა სისუსტეების გამოყენებით თავიანთი გავლენის ქვეშ მოქცევა;

– ბორდლების, კაზინოების და სხვა მსგავს დაწესებულებათა კონტროლი, ხელშეკრულებათა დასადებად ცრუმაგიერი პირების გამოყენება;

– სასარგებლო საზოგადოებრივი აზრის შექმნის მიზნით, ტენდენციური სტატიების გამოქვეყნების ორგანიზება, აგრეთვე, პოლიტიკის, ხელოვნების ან სპორტის სფეროში ცნობილ და გავლენიან პირებთან კავშირების გამოძებნა.⁶

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ კანონმდებლობის შექმნისა და შემდგომი დახვეწის პროცესი, არ შეჩერებულა. წლების განმავლობაში სამართალდამცავ უწყებებსა და სამეცნიერო წრეებში დაგროვილმა გამოცდილებამ „ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობისა და ორგანიზებული დანაშაულის სხვა ფორმების წინააღმდეგ“, 1992 წელს მიღებულ კანონში ჰპოვა ასახვა. აღნიშნული საკანონმდებლო აქტის ამოქმედებამ გერმანიის სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში შესაბამისი ცვლილებები განაპირობა. ცვლილებები და დამატებები უპირატესად დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ჩამორთმევისა და ფარული ოპერატიული ღონისძიებების, სატელეფონო მოსმენებისა, ფარული გამოძიებისათვის სამართლებრივი საფუძვლების შექმნისაკენ იყო მიმართული, რასაც 1993 წ. „ფულის გათეთრების წინააღმდეგ“ კანონის მიღება მოჰყვა.⁷

მიუხედავად შექმნილი ფონისა, გერმანიის საკანონმდებლო ხელისუფლებას სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში ცვლილება არ შეუტანია, – კერძო ნაწილს კი დანაშაულის ახალი შემადგენლობები დაემატა (180-ა, 239-ა, 244-ა, 260-ა, 265-ა, 283-ა, 316-ა, 380-ა)⁸. სპეციალურად უნდა აღინიშნოს გერმანიის სსკ-ის 129-ე პარაგრაფით (დანაშაულებრივი გაერთიანების შექმნა) გათვალისწინებულ შემადგენლობაზე. პარაგრაფის პირველი ნაწილი ადგენს: „ვინც ისეთ გაერთიანებას ქმნის, რომლის მიზანია დანაშაულის ჩადენა, ანდა ვინც ასეთ გაერთიანებაში მონაწილეობს, როგორც მისი წევრი ან დახმარებას უწევს მას, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე ანდა ჯარიმით“. ამავდროულად, კანონმდებელმა ამ ამორფულ ფენომენთან ბრძოლის ეფექტური წარმოებისათვის აქცენტი ორგანიზაციული ხასიათის კანონების მიღებაზე გააკეთა, რომელთა მიზანი იმაში მდგომარეობდა, რომ ძირითადი ყურადღება პრობლემის გამომწვევ და ხელშემწყობ მიზეზთა პრევენციას უნდა დათმობოდა. აღნიშნული მიდგომის გაზიარებას ერთ-ერთი რეკომენდაციის სახით ვთავაზობთ ქართულ კანონმდებელს.

ამრიგად, გერმანული სისხლის სამართლის პოლიტიკა უპირატესობას დანაშაულის კონკრეტულ შემადგენლობებს ანიჭებს, მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული კი

⁷Преступность и уголовная политика в Европе, Хелмут Кури (издатель), Бохум, 2004, с.100.

⁸ის.ლ.წიკლაურის დასახელებული ნაშრომი, გვ.72.

აქცენტს დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული ქონების დადგენა-კონფისკაციაზე აკეთებს, ამუშავებს სპეციალურ საკანონმდებლო აქტებს ორგანიზაციული კანონების ჩათვლით.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ მიღებულ ღონისძიებათა შორის ერთ-ერთი პირველი „ავტობუსებში დანაშაულობის წინააღმდეგ და ქუჩებში უსაფრთხოების უზრუნველყოფის შესახებ“ 1968 წლის საკანონმდებლო აქტის მესამე თავია, რომელიც სამართალდამცავ სტრუქტურებს უფლებას აძლევდა, ხმის ჩამწერი მოწყობილობანი გამოეყენებინათ, რის შედეგადაც პირველად ფედერალურ სასამართლოებში ამ გზით მოპოვებული ინფორმაციის მტკიცებულების სახით წარდგენა გახდა შესაძლებელი.⁹

ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა 1970 წელს სამი კანონი მიიღო: „ორგანიზებულ დანაშაულობაზე კონტროლის შესახებ“, „საბანკო საიდუმლოებისა“ და „ნარკოტიკების გაცვლევაზე საერთო კონტროლის შესახებ.“ აღნიშნული კანონების მიღებით ცალსახად წარმოჩინდა, რომ სახელმწიფო ოფიციალურად აღიარებდა ორგანიზებული დანაშაულის არსებობას. პრობლემის სრულყოფილი შესწავლის შემდეგ კონგრესი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ორგანიზებული დანაშაული სახელმწიფოში განსაკუთრებით დახვეწილ და განვითარებულ ეკონომიკურ ინდუსტრიად გადაიქცა – საეჭვო ოპერაციები, კორუფცია და სხვადასხვა სახის ეკონომიკური მაქინაციები სახელმწიფოს მილიარდობით დოლარის ზარალს აყენებდა; ფული და გავლენა, რომელსაც დანაშაულებრივი ორგანიზაციები იყენებდნენ, არა მხოლოდ ასუსტებდნენ ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილურობას, არამედ სახელმწიფოს უსაფრთხოებასაც საფრთხის ქვეშ აყენებდნენ. შედეგად, სახელმწიფო ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიას საკანონმდებლო დონეზე ამუშავებს. აღნიშნული საკანონმდებლო აქტებით კანონმდებლები შეეცადნენ, ეფექტური მექანიზმები შეექმნათ ორგანიზებულ დანაშაულებრივ ჯგუფებთან ბრძოლაში და, რაც მთავარია, დანაშაულებრივი საქმიანობით მიღებული ქონების კონფისკაცია განეხორციელებიათ.

მეტიც, კონგრესმა იმავე წელს „ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“ კანონში ცვლილებები შეიტანა (ე.წ. „რიკო“), რომლის მიზანი იყო ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება ახალი სამართლებრივი მექანიზმებისა და ინსტრუმენტების გზით.¹⁰ ე. წ. „რიკოს“ აქტი მოქმედებაში მოდის, თუ არსებობს რეკეტული საქმიანობის მინიმუმ ორი შემთხვევა, რომელთაგან ერთ-ერთი ამ კანონის ძალაში შესვლის შემდეგ განხორციელდა, ხოლო უკანასკნელი – ბოლო რეკეტული ქმედების ჩადენიდან ათი წლის განმავლობაში. ქმედების შემადგენლობას ქმნის „განგრობადობისა“ და „დაკავშირებულობის“ ფაქტორები, რაც, თავის მხრივ, ქმნის რეკეტის „მოდელს.“¹¹ აქვე, კანონის მიზნებიდან გამომდინარე, სუბიექტი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი (ტერმინი – უკანონო – მოცემული საკანონმდებლო ნოვაციის მიზნებიდან გამომდინარე, ფართოდ არის გავრცელებული და მასში მოიაზრება პირის ქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება ზოგადად კანონს). „რიკოს“ კანონით დანაშაულად ცხადდება არა მარტო საწარმოს შექმნა რეკეტის გამოყენებით, არამედ მოცემული საწარმოს რეკეტული მეთოდებით მართვაც. აღნიშნული ეფექტურ მექანიზმად გვევლინება შესაბამისი უწყებებისათვის, სისხლის სამართლებრივი ბერკეტები გამოიყენონ იმ პირთა მიმართაც, რომლებიც ლეგალური ბიზნესის საფარქვეშ დანაშაულებრივ საქმიანობას ეწევიან.

მოცემული მუხლი დამატებითი სასჯელის სახით ქონების კონფისკაციას ადგენს. ქონების კონფისკაცია რეკეტული საქმიანობის დადასტურების შემთხვევაში სავალდებულო პროცედურას წარმოადგენს. აქცენტი პირის მიერ „რეკეტული საქმიანობის შესახებ“ კანონის დარღვევის

⁹Криминология, под редакцией **Джозефа Шели** (3-е международное издание), М., 2003, с.331.

¹⁰**Arrastia J.** Money laundering - VS perspective // money laundering control, Dublin, 1996, p.228-260.

¹¹ჟურნალი „თავისუფლება“ 6 (30) ივნისი, 2004, გვ.20.

დადასტურების მომენტზე კეთდება, რის შემდეგაც პირმა, „რიკოს“ კანონის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ შეძენილ წილზე ან/და აქციებზე ნებისმიერ საწარმოში, ასევე, საკუთრებასა ან ხელშეკრულებითი ხასიათის ნებისმიერ სხვა ურთიერთობაზე, რომელიც წარმოადგენს სხვა ლეგალურ ბიზნესზე ზემოქმედების წყაროს ან/და უკავშირდება პირს, რომელიც მართავს, აკონტროლებს ან მონაწილეობს ამ საწარმოს მართვაში „რიკოს“ კანონის მოთხოვნათა დარღვევით, აშშ-ის სახელმწიფოს სასარგებლოდ უარი უნდა თქვას.

ქონების კონფისკაციას სამოქალაქო წესით აშშ-ის სამართლებრივ სივრცეში ხანგრძლივი ისტორია აქვს, რაც შეეხება ქონების კონფისკაციას სისხლის სამართლის წესითა და ქონებაზე ყადაღის დადებას გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე, მათი დამკვიდრება სისხლის სამართალში უკავშირდება „რიკოს“ კანონს და მისი მიზანი მდგომარეობს ორგანიზებული დანაშაულობისათვის ფინანსური არხების დახურვაში. „სრული კონფისკაციის შესახებ“ 1984 წლის კანონმა სერიოზული ცვლილებები და დამატებები შეიტანა „რიკოს“ კანონში, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა დანაშაულებრივი საქმიანობით შეგროვებული ნებისმიერი ქონების კონფისკაცია. კონფისკაციას ექვემდებარება როგორც უძრავი, ისე, მოძრავი ქონება და ასევე, ფულადი საშუალებები. მეტიც, საკუთრების უფლება აღნიშნულ უკანონო ქონებაზე სახელმწიფოს წარმოეშობა დანაშაულის ჩადენისთანავე, რაც იმას ნიშნავს, რომ ბრალდების წაყენების მომენტიდანვე ქონებას ყადაღა ედება, რათა არ მოხდეს მისი ნებისმიერი სახით გასხვისება მანამ, სანამ გამამტყუნებელი განაჩენი კანონიერ ძალაში არ შევა.¹²

„რიკოს“ კანონის მიღება ექსპერტების მიერ შეფასებულია ახალ მიდგომად როგორც ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების, ისე, იმ ეკონომიკური ბაზის წინააღმდეგ, რასაც ეყრდნობა ორგანიზებული დანაშაული, რაც გაზიარებული იქნა საქართველოს მიერ.¹³ აქვე შევნიშნავთ, რომ მიუხედავად არაერთი საკანონმდებლო ნოვაციისა, აშშ-ში 70-იან წლებში ამ მიმართულებით სასამართლო პროცესები იშვიათობას წარმოადგენდა, თუმცა 80-იან წლებში ყველაფერი შეიცვალა. მაგალითისათვის შეგვიძლია დავასახელოთ საქმე – აშშ ტურკეთისა და რუსეთის აშშ-ის წინააღმდეგ 1983-84 წლებში.

ორგანიზებული დანაშაულის – „მაფიის“ სამშობლოდ ექსპერტების მიერ ტრადიციულად იტალია განიხილება. იტალიის სახელმწიფომ ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ საუკუნოვანი ბრძოლით გარკვეული გამოცდილება დააგროვა, რაც, ჩვენი აზრით, ამ მხრივაც საინტერესოს ხდის კომპარატივისტიკული კვლევის ხასიათს.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იტალიაში მაფია სახელმწიფო მმართველობის ყველა სფეროს აკონტროლებდა და უშუალო გავლენას ახდენდა პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე. იტალიური საზოგადოების პროტესტმა, რომელიც „სუფთა ხელების“ სახელითაა ცნობილი, სისხლის სამართლებრივი მექანიზმების ეფექტურად ამოქმედება შეძლო, რაშიც უდიდესი როლი კონფისკაციის ინსტიტუტმა ითამაშა. იტალიის სისხლის სამართლის კოდექსი ორგვარი სახის კოფისკაციას იცნობს: სისხლისსამართლებრივ პრობაციულს და ქონების პრევენციულ ჩამორთმევას. იტალიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 322-ე მუხლის მიხედვით, ქონების პრევენციული ჩამორთმევა მიზნად ჩადენილი დანაშაულის ან მისი გაგრძელების აღკვეთას ისახავს, ხოლო ქონების პრობაციული ჩამორთმევა დანაშაულის მტკიცებულებათა მოპოვებას.¹⁴

¹²Eric. R. Markus, `Procedural Implications of forfeiture under Rico, The CCE and the comprehensive forfeiture act of 1984. Reforming the trial Structure (1986) 59 Temple Laze Quarterly logz, 1097-1098.

¹³საკითხს ვრცლად საქართველოს კანონმდებლობის მიმოხილვისას შევეხებით.

¹⁴Effective methods to combat transnational organized crime in criminal justice processes, Franco ssRoberti, 2000, www.unafei.or.jp/pdf/58-11.pdf

იტალიაში ორგანიზებული დანაშაულის სახელმწიფოს ფინანსურ სისტემაში შეღწევამ და თანმდევა სერიულმა მკვლევლობებმა ახალ საკანონმდებლო პარადიგმას დაუდო სათავე. ამას 1982-1992 წლებში მიღებული 114 კანონი მოწმობს, რომლებიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ მიმართულია ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ. თითოეული მათგანი იმჟამინდელი საერთაშორისო სამართლებრივი აზრის ანარეკლია. ამ კანონთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია გენერალური პრევენქტის, დალა კიეზას მკვლევლობის შემდეგ მიღებული, 1982 წლის 13 სექტემბრის კანონი, რომელსაც „რონიორი ლა ტორეს“ სახელწოდებით მოიხსენიებენ (1982 წლის 30 აპრილს მაფიის მიერ მოკლული კანონპროექტების ავტორების – ქრისტიან-დემოკრატი მინისტრის, ვირჯინიო რონიორისა და კომუნისტების ლიდერის, პიო ლა ტორეს პატივსაცემად). კანონი არსებითად აშშ-ში 1970 წელს მიღებულ „რიკოს“ სახელწოდებით ცნობილი კანონის დებულებებს იმეორებს. ხსენებული კანონით სისხლის სამართლის კოდექსს 416-ბის მუხლი დაემატა, რომელიც მაფიოზური ტიპის დაჯგუფების ცნებას განსაზღვრავს.

იტალიური კანონმდებლობა ოთხი სახის დანაშაულებრივ დაჯგუფებას განასხვავებს: დაჯგუფება დანაშაულის ჩადენის მიზნით – სსკ-ის 416-ე მუხლი, ტერორისტული ან ლივერსიული დაჯგუფება – 270-ბის მუხლი, ნარკოტიკების ან სხვა ფსიქოტროპულ საშუალებათა ტრეფიკინგის მიზნით შექმნილი დაჯგუფება – 1970 წლის პრეზიდენტის დეკრეტის 74-ე მუხლი და მაფიოზური ტიპის დაჯგუფება – 416-ბის მუხლი. მაფიოზური ტიპის დაჯგუფება დანარჩენთაგან გამოირჩევა დაშინების, მორჩილების და ღუმლის (ომერტას) კომპონენტების (მაკავალიფიცირებელი ნიშნების) აუცილებელი არსებობით.¹⁵

„მაფიოზური ტიპის დაჯგუფება – პირი, რომელიც სამი ან მეტი პირისაგან შემდგარი მაფიოზური ტიპის დაჯგუფების წევრია, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ექვს წლამდე. ისინი, ვინც ხელს უწყობენ, მართავენ ან ორგანიზებას უწყვენ მაფიოზურ დაჯგუფებას, ისჯებიან თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან ცხრა წლამდე. მაფიოზური ტიპისა და დაჯგუფება, თუ მისი წევრები იყენებენ დაშინებას, ადგენენ მორჩილებისა და ღუმლის პირობებს, რაც ემსახურება დანაშაულის ჩადენას, ეკონომიკური საქმიანობის, კონცესიების, ლიცენზირების, კონტრაქტებისა და საჯარო სამსახურის განხორციელების ან მასზე კონტროლის პირდაპირ ან ირიბ დაუფლებას, უკანონო სარგებლის ან შემოსავლების პირადად თავისთვის, ან სხვა პირებისათვის რეალიზაციას... თუ დაჯგუფების წევრთა ეკონომიკური საქმიანობა, რომელიც მიზნად ისახავს კონტროლის მოპოვებას ან შენარჩუნებას, მთლიანად ან ნაწილობრივ ფინანსდება დანაშაულებრივი გზით ან დანაშაულიდან მიღებული შემოსავლებით, შედეგით ან მოვებით, ამ მუხლის წინა პუნქტებში ვგათვალისწინებული სასჯელი იზრდება მინიმუმ სამმაგად“...¹⁶

იტალიის ძირითად ანტიმაფიურ საკანონმდებლო აქტად მიიჩნევა „მაფიის წინააღმდეგ“ 1965 წლის 31 მაისის კანონი რომელმაც დროთა განმავლობაში არსებითი ცვლილებები განიცადა. კანონი მაფიოზურ დაჯგუფებათა წევრობაში ეჭვმიტანილ პირებს ეხება, რომლებიც დაჯგუფების ინტერესებისათვის იღწვიან და შესაბამისი მეთოდებითვე მოქმედებენ. ხსენებული კანონი მიზნად ისახავს მაფიის წევრთა თავისუფლების შეზღუდვას და, რაც მთავარია, მაფიის ფინანსურ კეთილდღეობას ემუქრება. აღნიშნული კანონის მე-2-ტერ მუხლის თანახმად,

¹⁵New England international and comparative law annual. Section 1963 (A) (1) of RICO and article 240 of the Italian penal code: two potential weapons against Russian organized crime”, Alexander R. Cain, www.nesl.edu/intjournal/voll2/rico.htm-48k

¹⁶**ა. მორგოშია**, იტალიის ანტიმაფიური კანონმდებლობა – ქონების კონფისკაციის საკითხები, თბ., 2004, გვ.34.

მოსამართლე იმ პირისათვის ქონების ჩამორთმევის შესახებ იღებს გადაწყვეტილებას, რომლის მიმართაც სისხლის სამართლის საქმის წარმოებაა დაწყებული, თუკი: მისი ქონების ღირებულება, პირის მიერ ოფიციალურად გაცხადებულ შემოსავლებს, მის მიერ განხორციელებულ ეკონომიკურ საქმიანობას არ შეესაბამება; გარკვეულ საფუძველზე ქონება დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებულად მიიჩნევა; მისი დანიშნულებაა დანაშაულებრივი საქმიანობისათვის გამოყენება.¹⁷

კანონი ქონების ცნებაში უძრავ და მოძრავ ქონებას აერთიანებს, მათ შორის, ფასიან 1ქალაქებს. რესპუბლიკის პროკურორის ან კვესტორის მოთხოვნის საფუძველზე ტრიბუნალი გადაწყვეტილებას იღებს ქონების სეკვესტრის შესახებ, რომელიც კონფისკაციას დაექვემდებარება, თუ მისი კანონიერი წარმომავლობა არ დადასტურდა. ქონების კანონიერი წარმომავლობა ბრალდებულმა უნდა დაამტკიცოს. სეკვესტრის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, ქონების უკანონო წარმომავლობას კი რესპუბლიკის პროკურორი ან კვესტორი ამტკიცებს. ამრიგად, მტკიცების ტვირთის შერეულ სახესთან გვაქვს საქმე.

ზემოაღნიშნული ნოვაცია მიღებისთანავე კრიმინალისტიკისა და ადამიანის უფლებათა დამცველთა კრიტიკის საგნად იქცა. მათი დიდი ნაწილი ამტკიცებდა, რომ ახლად დამკვიდრებული ინსტიტუტი უდანაშაულობის (არაბრალეულობის) პრეზუმციის კონსტიტუციურ პრინციპს ეწინააღმდეგებოდა. თავის მხრივ, ცვლილების ავტორები განმარტავდნენ, რომ ნოვაციის შემოტანას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის ეფექტური მექანიზმების შემუშავებასა და დამკვიდრების საქმეში. იტალიური კანონმდებლობა კი ზოგადად ყველა ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს ავალდებულებდა, მესამე პირებთან ურთიერთობა წერილობითი ფორმით ეწარმოებინათ, რაც იმას ნიშნავდა, რომ პირებს კანონიერი გზებითა და საშუალებებით შეეძინებოდა ქონებაზე საჭიროების შემთხვევაში მათი კანონიერი წარმომავლობის დამამტკიცებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა არ უნდა გასჭირვებოდათ. აღნიშნული მიდგომა გაიზიარა საქართველომაც.¹⁸

ორგანიზებულ დანაშაულთან მიმართებაში სამართლებრივი აზრის განვითარების თვალსაზრისით ჩვენთვის ასევე განსაკუთრებით საინტერესოა ისეთი პოსტსაბჭოთა სახელმწიფო, როგორცაა რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკა. წლების განმავლობაში ერთ სამართლებრივ სივრცეში არსებობამ ისევე, როგორც ბევრი სხვა პრობლემატური საკითხისადმი, ორგანიზებული დანაშაულისადმიც ერთგვაროვანი მიდგომა განაპირობა, რაც 1999 წლის 22 ივლისის საქართველოს ახალი სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამის ნაწილზეც აისახა.

რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსი ორგანიზებულ დანაშაულთან დაკავშირებულ საკითხებს ზოგადი ნაწილის იმ განყოფილებაში განიხილავს, რომელიც თანამონაწილეობით ჩადენილ დანაშაულს ეძღვნება. რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის პოლიტიკა დღემდე ტრადიციულ მიდგომას ინარჩუნებს, თუმცა იყო მცდელობა, შექმნილიყო სპეციალური კანონი ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ. 1995 წელს სახელმწიფო დუმამ „ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ ფედერალური კანონი მიიღო, რომელიც ფედერალურმა საბჭომ მოიწონა, თუმცა პრეზიდენტმა ადამიანის უფლებათა შესაძლო დარღვევის მოტივით მას ვეტო დაადო. მსგავსი პრობლემა შეექმნა „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ“ ფედერალურ კანონს, რომელსაც პრეზიდენტმა რამდენიმე წლის დაგვიანებით, 2001 წლის 7 აგვისტოს, მოაწერა ხელი¹⁹. ამასთან, ურიგო არ

¹⁷ **ამორგოშია**, იტალიის ანტიმაფიური კანონმდებლობა – ქონების კონფისკაციის საკითხები, თბ., 2004, ვვ.4.

¹⁸ საკითხს ვრცლად საქართველოს კანონმდებლობის მიმოხილვისას შევეხებით.

¹⁹ *Организованная преступность*, Санкт Петербург, 2002, с.34-35.

იქნება, მოკლედ დავახასიათოთ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის 1994 წლის 14 ივნისის №1226 ბრძანებულება „მოსახლეობის ბანდიტიზმისა და ორგანიზებული დანაშაულისაგან დაცვის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ“, რომელმაც 1997 წლამდე იმუშავა. ხსენებული ბრძანებულება არაერთხელ გამხდარა კრიტიკის საგანი, რაც დაკავშირებული იყო სამართალდამცავთა ბრძანებულებით გათვალისწინებულ ზოგიერთ უფლებასთან:

1. ეჭვიმტანილის დაკავება მოსამართლის ან პროკურორის სანქციის გარეშე 30 დღემდე ვადით;

2. ექსპერტიზის ჩატარება სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე;

3. წინასწარი საფინანსო-ეკონომიკური შემოწმება არა მხოლოდ კონკრეტული პირის, არამედ მისი ნათესავების, ასევე, მასთან მცხოვრები პირების ბოლო ხუთი წლის განმავლობაში და, ასევე, სხვა დაკავშირებული ფიზიკური, იურიდიული თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციების;

4. არადეკლარირებული საბანკო და კომერციული ოპერაციების არსებობა, როგორც წინაპირობა ფიზიკური და იურიდიული პირების საქმიანობის შემოწმებისა, რომლებიც ამ თუ იმ ფორმით კავშირში არიან ორგანიზებულ დანაშაულთან;

5. შინაგან საქმეთა და კონტრდაზვერვის თანამშრომელთა საწარმოს, ორგანიზაციის ან დაწესებულების შენობებისა და საწყობების დათვალიერების უფლება საკუთრების ფორმის მიუხედავად, ასევე, სატრანსპორტო საშუალების, მისი მძღოლების ან მგზავრების ჩხრეკის უფლება.²⁰

რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის 33-ე მუხლის (დანაშაულის თანამონაწილეთა სახეები) მე-3 ნაწილი ადგენს, რომ ორგანიზატორად ჩაითვლება პირი, რომელიც ორგანიზებას უკეთებს დანაშაულის ჩადენას ან ხელმძღვანელობს მის აღსრულებას, აგრეთვე, ის პირი, რომელმაც შექმნა ორგანიზებული ორგანიზებული ჯგუფი ან დანაშაულებრივი გაერთიანება (დანაშაულებრივი ორგანიზაცია) და ხელმძღვანელობს მათ. განსაზღვრებაში, ზოგადად მითითებულია ორგანიზებული დანაშაულის ცალკეული ფორმებზე.²¹ 35-ე მუხლის (დანაშაულის ჩადენა პირთა ჯგუფის მიერ) მე-4 ნაწილის თანახმად, დანაშაულის დანაშაულებრივი გაერთიანების (დანაშაულებრივი ორგანიზაციის) მიერ ჩადენილად მიჩნევისათვის საჭიროა მჭიდროდ შეკავშირებული ორგანიზებული ჯგუფის (ორგანიზაციის) არსებობა, რომელიც მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩასადენად არის გამიზნული ან ამავე მიზეზებით შექმნილი ორგანიზებული ჯგუფის არსებობა.

რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის 35-ე მუხლის მე-5 ნაწილი დანაშაულებრივი გაერთიანების (დანაშაულებრივი ორგანიზაციის) ხელმძღვანელის პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციის კრიტერიუმებს ადგენს. კერძოდ, პირს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება როგორც ორგანიზებული ჯგუფის ან დანაშაულებრივი გაერთიანების (დანაშაულებრივი ორგანიზაციის) შექმნის, ორგანიზებისა და ხელმძღვანელობისათვის ამ კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ასევე ორგანიზებული ჯგუფის ან დანაშაულებრივი გაერთიანების (დანაშაულებრივი ორგანიზაციის) მიერ ჩადენილი ყველა დანაშაულისათვის, თუკი ისინი მოცული იყო მისი განზრახვით.²²

რუსეთის კანონმდებელმა სსკ-ის 24-ე თავში (დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროების წინააღმდეგ) 210-ე მუხლი შეიტანა, რომელიც დანაშაულებრივი გაერთიანების (დანაშაულებრივი ორგანიზაციის) შექმნისა და ხელმძღვანელობისათვის პასუხისმგებლობას ითვალისწინებს.

²⁰Криминология, под редакцией: Вурлакова В.Н. и Кропачева Н.М., Санкт-Петербург, 2000, с.393-394.

²¹Ветров Н. И. Уголовное право, общая часть, М., с. 206-207.

²²Уголовное право (часть общая, часть особенная), под редакцией проф. Гаухмана Л. Д., М., 1999, с. 153.

პირველი ნაწილით დასჯადია დანაშაულებრივი გაერთიანების (ორგანიზაციის) შექმნა, რომლის მიზანია მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენა, ასეთი ორგანიზაციის, გაერთიანების ან მათი სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელობა, აგრეთვე, ორგანიზატორების, ხელმძღვანელების ან ორგანიზებული ჯგუფების სხვა წარმომადგენლების გაერთიანებისა და სხვა პირობების შექმნა მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა ჩასადენად. მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას დანაშაულებრივ გაერთიანებაში (ორგანიზაციაში) ან/და ორგანიზებულ ჯგუფთა ორგანიზატორებისა თუ ხელმძღვანელების ან სხვა წარმომადგენლების გაერთიანებაში მონაწილეობისათვის აწესებს. ამასთან, კერძო ნაწილის თითქმის ყველა მუხლში დამამძიმებელ გარემოებად ორგანიზებული ჯგუფის მიერ დანაშაულის ჩადენაა შეტანილი.²³

წარმოებული კვლევა გვაჩვენებს, რომ რუსეთის ფედერაციაში ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგია ბოლო ათი წლის განმავლობაში პრაქტიკულად არ შეცვლილა, სიმწირე – უცხოური გამოცდილების გაზიარებაში, მეტიც, არ არსებობს პოლიტიკური ნება ძირეული ცვლილებებისა, რაზეც მიუთითებს ის ფაქტიც, რომ წლების განმავლობაში პრეზიდენტს „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ“ კანონზე ვეტო ჰქონდა დადებული (აღნიშნული კანონი მიღებული იქნა საერთაშორისო საზოგადოების ზეწოლის შედეგად). ასევე, რამდენიმე წელია პრეზიდენტს „ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“ კანონზე ვეტო აქვს დადებული.

საქართველოს 1999 წლის 22 ივლისის სისხლის სამართლის კოდექსი ორგანიზებულ დანაშაულთან დაკავშირებულ საკითხებს, რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის მსგავსად, ზოგადი ნაწილის იმ განყოფილებაში განიხილავს, რომელიც თანამონაწილეობით ჩადენილ დანაშაულს ეძღვნება და, ზოგადად, 2004 წლამდე ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით ამ ორი ქვეყნის კანონმდებლობა თითქმის მსგავსი მექანიზმებით ხასიათდებოდა.

2004 წლიდან საქართველოში ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის თვისობრივად ახალი სტრატეგია იწყებს მოქმედებას, მხედველობაში გვაქვს 2004-2006 წლებში სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის საპროცესო, ადმინისტრაციულ საპროცესო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსებში შეტანილი ცვლილებები და 2004 წლის 24 ივნისის კანონი „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ“, რომელიც საქართველოს პარლამენტის მიერ 2005 წლის 20 დეკემბერს ცვლილებებით ხელახლა იქნა მიღებული.

2004 წლის 13 თებერვალს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსს დაემატა მე-7² თავი (ადმინისტრაციული სამართალწარმოება თანამდებობის პირთა უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევასა და სახელმწიფოსთვის გადაცემასთან დაკავშირებით), რომლის მიხედვითაც, პროკურორის დასაბუთებული სარჩელის შემთხვევაში თანამდებობის პირის, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის, ან დაკავშირებული პირის ქონებას მოსამართლე მოსარჩელე მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე ცნობს დაუსაბუთებლად, თუ საქმის წარმოების პროცესში მოპასუხემ ვერ წარუდგინა სასამართლოს ქონების ან ამ ქონებაზე კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები. კოდექსის ამავე თავში არის განმარტებული უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების ცნებები: უკანონო ქონება – ქონება, აგრეთვე, ამ ქონებიდან მიღებული შემოსავალი, აქციები (წილი), რომელიც თანამდებობის პირს, მისი ოჯახის წევრს, ახლო ნათესავს ან დაკავშირებულ პირს მოპოვებული აქვს კანონის მოთხოვნათა დარღვევით; დაუსაბუთებელი

²³Уголовное право (часть особенная) под редакцией проф. Петрашева В. Н., М., 1999, с. 313-314.

ქონება – ქონება, აგრეთვე, ამ ქონებიდან მიღებული შემოსავალი, აქციები (წილი), რომლის კანონიერი საშუალებებით მოპოვების დამადასტურებელი დოკუმენტები თანამდებობის პირს, მისი ოჯახის წევრს, ახლო ნათესავს ან დაკავშირებულ პირს არ გააჩნია ან იგი მოპოვებულია უკანონო ქონების გასხვისების შედეგად მიღებული ფულადი სახსრებით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 64¹-ე თავი კი ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა, რითაც მას შემდეგ, რაც რეკეტირის ან ქურდული სამყაროს წევრის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი შევა კანონიერ ძალაში, 30 დღიან ვადაში პროკურორი აღძრავს სარჩელს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით რეკეტირის ან ქურდული სამყაროს წევრის ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემასთან დაკავშირებით. ამასთან, 2006-2007 წლებში კანონში შეტანილა ცვლილებით პირთა წრე გაფართოვდა და სამოქალაქო წესით შესაძლებელი გახდა ადამიანით მოვაჭრისა და ფულის გათეთრებაში მონაწილე პირებისთვის ქონების ჩამორთმევა.

2007 წლის 4 ივლისს, საქართველოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად ზემოაღნიშნულმა ნოვაციებმა თავი სამოქალაქო კანონმდებლობაში მოიყარა, რაც წინგადადგმულ ნაბიჯად უნდა შეფასდეს, რამეთუ მიგვაჩნია, რომ სახელმწიფომ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებთან სამართლებრივი ურთიერთობანი სამართლოში დავების გზით უნდა გადაწყვიტოს და არა რეპრესიული მექანიზმებით. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნოვაცია უცხოური კარგად აპრობირებული გამოცდილების გაზიარების შედეგია, თუმცა შევნიშნავთ, რომ ნოვაციის სრულყოფილად ამუშავებისათვის აუცილებელია იტალიური გამოცდილების იმ მიმართულებითაც გაზიარება, რაც უკავშირდება პირთა საკანონმდებლო დონეზე დავალდებულებას, რათა სამართლებრივი ურთიერთობანი (მაგ. შრომითი ან სხვა ნებისმიერი ეკონომიკური ხასიათის) წერილობითი ფორმით აწარმოონ, რაც მისცემთ შესაძლებლობას, საჭიროების შემთხვევაში ქონების წარმოშობის შესაბამისი დოკუმენტაცია უპოვებოდ წარმოადგინონ. ამასთან, სახელმწიფო შესაბამისი სამართლებრივი პოლიტიკით ფიზიკურ და იურიდიულ პირებს ხელს უნდა უწყობდეს, რომ ეკონომიკური საქმიანობა მაქსიმალურად გამჭვირვალედ აწარმოონ, რისთვისაც მისაღებია გარკვეული ინტესივობით ლეგალიზაციის აქტების გამოცემა.²⁴

„ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ“ კანონს განსაკუთრებული ადგილი უკავია ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიაში, რომელიც თავის თავში ცვლილებათა პაკეტსაც მოიცავს მთელ რიგ საკანონმდებლო აქტებში, კერძოდ: სისხლის სამართლის კოდექსს მე-17¹ და 181-ე მუხლის (გამოძალვა) მესამე ნაწილი დაემატა. მე-17¹ მუხლმა რეკეტის, რეკეტული დაჯგუფებისა, რეკეტირის ცნებები შემოგვთავაზა. 181-ე მუხლის მესამე ნაწილით კი დასჯადია „ამ მუხლის პირველი ან მეორე ნაწილით გათვალისწინებული ქმედება ჩადენილი რეკეტირის მიერ“. მეტიც, კერძო ნაწილში 224¹-ე მუხლი გაჩნდა, რომელიც სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას რეკეტული დაჯგუფების საქმიანობის წარმართვისა და მასში მონაწილეობისათვის აწესებს.

„რეკეტი არის შემოსავლის ან სხვაგვარი ქონებრივი სარგებლის სისტემატურად მიღების მიზნით წარმოებული არაერთჯერადი და ორგანიზებული საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია განზრახვი დანაშაულის ჩადენასთან (თუ ნასამართლობა არ არის გაქარწყლებული ან მოხსნილი), თუ იგი განხორციელდა ორჯერ მაინც ხუთი კალენდარული წლის განმავლობაში, რომელშიც არ შედის რეკეტირის დაპატიმრებისა და სასჯელის მოხდის ვადა“. აქვე, ააშშ-ს „რიკოს“ შესაბამისი ნორმისაგან განსხვავებით, მოცემულ დისპოზიციაში რეკეტული ქმედების

²⁴ამ მხრივ წინგადადგმულ ნაბიჯად შეიძლება შეფასდეს „ამნისტიისა და არადეკლარირებული საგადასახადო შემოსავლებისა და ქონების ლეგალიზაციის შესახებ“ 2004 წლის 24 დეკემბრის კანონის მიღება.

ჩადენის ვადა ორჯერ არის შემცირებული იმის გათვალისწინებით, რომ აშშ-ში ხსენებული ნოვაცია მე-20 საუკუნის 70-იან წლებში დაინერგა, ათწლიანი ვადის განახევრება თანამედროვე მოთხოვნებიდან გამომდინარეობს. მეორე ნაწილის თანახმად, რეკეტულ დაჯგუფებად ითვლება თავისი საქმიანობით რეკეტთან დაკავშირებული იურიდიული პირი, აგრეთვე ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირთა ნებისმიერი გაერთიანება. იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დამკვიდრება სისხლის სამართლისათვის სიახლეა, რადგან სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის სუბიექტად ტრადიციულად შერაცხადი ფიზიკური პირი იყო მიჩნეული, ხოლო სისხლის სამართლის კოდექსში ხსენებული, 2006 წლის 25 ივლისს განხორციელებული ცვლილებებით იურიდიული პირის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა განისაზღვრა ამ კოდექსის შესაბამისი მუხლებით (მე-7, მე-40, 107-ე¹, 107-ე², 107-ე³, 107-ე⁴, 107-ე⁵, 107-ე⁶, 107-ე⁷).

იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მიზანშეწონილობის საკითხი სპეციფიკური სირთულის გამო განსაკუთრებულ შესწავლას საჭიროებს, რაც სცოდნება მოცემული ნაშრომის კვლევის საგანსა და მიზნებს.

მე-17¹ მუხლის მესამე ნაწილით, რეკეტირი არის პირი, რომელიც დამოუკიდებლად ან სხვა პირთან (პირებთან) ერთად წარმართავს რეკეტული დაჯგუფების საქმიანობას ან სხვაგვარად მონაწილეობს რეკეტული დაჯგუფების საქმიანობაში და მისთვის ცნობილია, რომ ეს დაჯგუფება რეკეტული დაჯგუფებაა, აგრეთვე, უკანონოდ წყვეტს ან მონაწილეობს რეკეტულ დაჯგუფებათა ან რეკეტულ დაჯგუფებასა და სხვა პირთა შორის დავების გადაჭრაში.

ზემოხსენებული სტრატეგიის ნაწილად შეიძლება მოვიაზროთ 2006 წლის 25 ივლისს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლის (ჯგუფური დანაშაული) მესამე ნაწილში შეტანილი ცვლილება, რის შედეგადაც ორგანიზებულ ჯგუფის ცნება შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

„დანაშაული ორგანიზებული ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ იგი განახორციელა დროის განსაზღვრულ პერიოდში არსებულმა, შეთანხმებულად მოქმედმა, სტრუქტურული ფორმის მქონე ჯგუფმა, რომლის წევრები წინასწარ შეკავშირდნენ ერთი ან რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად ან რომლის მიზანია პირდაპირ ან არაპირდაპირ ფინანსური ან სხვა მატერიალური სარგებლის უკანონოდ მიღება“. 27-ე მუხლს დაერთო შემდეგი ხასიათის შენიშვნა: ამ მუხლის მესამე ნაწილის მიზნებისათვის, სტრუქტურული ფორმის მქონე ჯგუფად მიიჩნევა ჯგუფი, რომელიც არ არის შემთხვევით შექმნილი დანაშაულის დაუყოვნებლივ ჩასადენად და რომელშიც არ არის აუცილებელი, ფორმალურად იყოს განაწილებული როლები მის წევრთა შორის, წევრობას ჰქონდეს უწყვეტი ხასიათი ან ჩამოყალიბებული იყოს განვითარებული სტრუქტურა.“

აღნიშნულ ცვლილებასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ მასში გაზიარებულია „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“ გაეროს კონვენციის მიდგომა ორი მიმართულებით: 1. მიზანი – ფინანსური ან სხვა მატერიალური სარგებლის უკანონოდ მიღება და ასევე ერთი ან რამდენიმე დანაშაულის ჩადენა და არა – რამდენიმე (როგორც ეს მუხლის ძველ რედაქციაში იყო მითითებული), რადგან სავსებით შესაძლებელია ორგანიზებული ჯგუფი შეიქმნას ერთი კონკრეტული დანაშაულის ჩასადენად; და 2. „პირთა მყარი ჯგუფის“ ცნების სანაცვლოდ კანონმდებელმა შემოგვთავაზა „სტრუქტურული ფორმის მქონე ჯგუფის ცნება“, რითაც მიგვაჩნია, რომ გათვალისწინებულ იქნა საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკაში არსებული წინააღმდეგობებიც, რაც „ჯგუფის სიმყარის“ მომენტის განსაზღვრასთან იყო დაკავშირებული, თუმცა კანონმდებელმა ბოლომდე ვერ აარიდა თავი შეფასებით კატეგორიებს

და კანონმდებლის მიერ გამოყენებულ ცნებას – განვითარებული სტრუქტურა – კვლავ სტრუქტურული ფორმის ჯგუფის სიმყარის დადგენის აუცილებლობამდე მივყავართ.

„ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 2005 წლის 20 დეკემბერის რედაქციაში კანონმდებელმა შემოგვთავაზა ქურდული სამყაროს, ქურდული სამყაროს წევრის, კანონიერი ქურდის ცნებები. სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა 223¹-ე მუხლი – კანონიერი ქურდობა, ქურდული სამყაროს წევრობა. ამასთან, სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე მუხლიც (დანაშაულის საგნის ან საშუალების ჩამორთმევა) ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა, რითაც უკვე შესაძლებელია როგორც დანაშაულის საგნისა და იარაღის, ასევე, იმ ქონების ჩამორთმევა, რომლის მიმართ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ქონება მიღებულია დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად. აშშ-სა და იტალიის გამოცდილების ამ მიმართულების საქართველოს მიერ იმპლემენტაცია განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმდენად, რამდენადაც სავსებით მართებულად ამ სახელმწიფოებს პრიორიტეტულად ორგანიზებული დანაშაულის ეკონომიკური ბაზის მოძიება და მისი ჩამორთმევა მიაჩნიათ.

საქართველოს პარლამენტის იურიდიული კომიტეტის მიერ მომზადებულ კანონპროექტის (საუბარია 2005 წლის 20 დეკემბერს მიღებულ „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ“ კანონზე) განმარტებით ბარათში ვკითხულობთ: „დღესდღეობით სხვადასხვა სახის გაერთიანებათა პარალელურად ქვეყანაში მოქმედებენ გარკვეულ წესებზე დაფუძნებული ორგანიზებული დაჯგუფებები, რომელთა საქმიანობის მიზნების და მეთოდების შესწავლისა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ჩამოყალიბებული პრაქტიკის განზოგადების შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოცემული დაჯგუფებები მთლიანობაში ქმნიან ე. წ. „ქურდულ სამყაროს“. ამ უკანასკნელის არსებობა არსებითად ეწინააღმდეგება განვითარებად საფეხურზე მდგომი სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესებს და, შესაბამისად, „ქურდული სამყაროს“ წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური მექანიზმების შექმნა სახელმწიფოს ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად ყალიბდება.“

მეცნიერ-იურისტთა დიდი ნაწილის მტკიცებით, ქურდული სამყარო მე-20 საუკუნის დასაწყისში აღმოცენდა. კრიმინოლოგიურ გამოკვლევებში ქურდული სამყაროს ჩასახვის, აღმოცენებისა და განვითარების თვალსაზრისით სხვადასხვა კლასიფიკაციას ვხვდებით. მეცნიერები ვერ თანხმდებიან ტერმინის – „კანონიერი ქურდის“ – წარმომავლობაზეც. ნაწილს მიაჩნია, რომ ავტორიტეტულმა დამნაშავეებმა თავად დაირქვეს ეს სახელი, რათა სხვა უფრო ნაკლებ ავტორიტეტულ დამნაშავეთაგან გამოცალკავებულიყვნენ და ასევე ხაზი გაესვათ, რომ მათი ქმედებები იყო „კანონიერი“. მეორე ნაწილი კი ამტკიცებს, რომ აღნიშნული ტერმინი საბჭოთა სპეცსამსახურების მიერ იყო შემოთავაზებული გარკვეული მიზნებისათვის, კერძოდ, საინტერესო მოსაზრებას ავითარებს ამ მხრივ ფილოსოფოსი გივი თევზაძე თავის წიგნში – „საქართველო: ძალაუფლების დაბრუნება“. მეცნიერი „ქურდული სამყაროს“ ინსტიტუტს განიხილავს სოციალური კონტროლის მექანიზმების ჭრილში და დასძენს, რომ „კანონიერი ქურდების ინსტიტუტი პარტიული ელიტის პირველმა ტალღამ მოიფიქრა..“ და საინტერესო პარალელებს გვთავაზობს შუასაუკუნეებში აღმოცენებულ ბერების ორდენებთან, მათი ცხოვრების წესთან, ქცევის კოდექსთან და ა.შ და თავის მხრივ, „ქურდულ სამყაროს“ შორის, რომელიც მეცნიერის მოსაზრებით ორ მიზანს ემსახურებოდა: მათი მეშვეობით საბჭოთა ხელისუფლება 1. თავიდან იცილებდა მომავალ პოლიტიკურ ოპონენტებს; 2. საკუთარ კონტროლქვეშ აქცევდა მათ.²⁵

რუსი მეცნიერი გუროვი, რომელიც წლების განმავლობაში იკვლევდა აღნიშნულ პრობლემატიკას „ქურდულ სამყაროს“ თანამედროვე ეტაპზე შემდგნაირად ახსიათებს:

²⁵„საქართველო: ძალაუფლების დაბრუნება“, გ. თევზაძე, თბ., 2003, გვ.81-84.

ქურდული სამყარო ეს არის ამორფული ორგანიზაცია, რომელიც გაერთიანებულია ქურდული კანონების გარშემო. მას არ გააჩნია მუდმივი დისლოკაციის ადგილი და მასში ყველა თანაბარი უფლებებით სარგებლობს. ამასთან, კავშირი ისე მჭიდროა, რომ ქურდები წარმოადგენენ ერთ მთლიან ორგანიზმს. მათი მართვის ორგანო არის კრება, სადაც წყდება ყველა ორგანიზაციული საკითხი. თანამედროვე კანონიერი ქურდი არის დანაშაულებრივი საქმიანობის ორგანიზატორი. მეცნიერს ამ ტიპის „კოოპორაციების“ ძირითად ფუნქციად დანაშაულებრივი ელემენტების შემოკრება, მათ შორის როლების განაწილება, გარკვეული დანაშაულებრივი სექტორების პირად კონტროლზე აყვანა (რეკეტი, ქურდობა, თაღლითობა და ა.შ.), საერთო ფულადი სალაროს ფორმირება, დანაშაულებრივ ჯგუფებთან შიდა და საერთაშორისო კავშირ-ურთიერთობების დამყარება მიაჩნია და აკეთებს ასეთ დასკვნას, რომ რუსეთისა და დსთ-ის ქვეყნების მაფიებს უკვე აქვთ თავიანთი ფილიალები გერმანიაში, აშშ-ში, პოლონეთში და სხვ.²⁶

საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში „კანონიერი ქურდების“ ინსტიტუტის გააქტიურების მძლავრ იმპულსად იქცა „კოოპერაციის შესახებ კანონის მიღება“, რითაც საბჭოთა კავშირში დაშვებული იქნა კერძო სამეწარმეო საქმიანობა. ამ მომენტიდან დაიწყო ჩრდილოვანი ეკონომიკის ლიდერთა ამოტივტივება, რომლებსაც დანაშაულებრივი გზით მოპოვებული საშუალებების ლეგალიზაციას მიჰყვებოდა ხელი. შემთხვევითი არ ყოფილა, რომ კოოპერატორთა 60 %-ზე მეტს კრიმინალური წარსული ჰქონდა და სხვადასხვა სახის დანაშაულისათვის იყო ნასამართლევი. „ბიზნესმენთა“ ამ ჯგუფმა ძირშივე მოახდინა კოოპერაციული მოძრაობის დისკრედიტირება, დანერგა არაკეთილსინდისიერი კონკურენცია და ხელში ჩაიგდო ბაზარი. რეკეტი და კორუფცია „ახალი თაობის“ ბიზნესმენების კაპიტალის დაგროვების პროპორციულად ვითარდებოდა.²⁷

ყოველივე ზემოაღნიშნული საფუძვლიან დაფიქრებას მოითხოვს, რადგან თამამად შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული ამორფული ინსტიტუტი, რომელიც კარგად ეგუება თანამდროვე მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ პროცესებს, პერიოდულად ცვლის რა თამაშის წესებს, კარგად ახერხებს ამ თუ იმ ეტაპზე საციცოცხლოდ აუცილებელი სახელისუფლებო კავშირების გამოძებნას და გვევლინება კარგად ორგანიზებულ კრიმინალურ ინდუსტრიად. შედეგად, ახალი ტიპის დანაშაულებრივი კლანები, ჩრდილოვანი ეკონომიკის წარმომადგენლები, მათი მფარველი მაღალი დონის ჩინოვნიკები და სამართალდამცავი სტრუქტურების კორუმპირებული თანამშრომლები ერთიანდებიან.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი პირს სჯის კანონიერი ქურდობისა და ქურდული სამყაროს წევრობისათვის (სსკ-ის 223¹ მუხლი), რის აუცილებლობასა წარმოადგენილი კვლევაც ადასტურებს, თუმცა, მეორე მხრივ, დაისმის კითხვა: იურიდიულად რამდენად სწორი ფორმა არის შერჩეული ამისათვის? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ“ საქართველოს 2005 წლის 20 დეკემბრის კანონის მე-3 მუხლს (ქურდული სამყარო, ქურდული სამყაროს წევრი, კანონიერი ქურდი), უნდა მივმართოდ:

1. ქურდული სამყარო – პირთა ნებისმიერი ერთობა, რომელიც მოქმედებს მათ მიერ დადგენილი/ალიარებული სპეციალური წესების შესაბამისად და რომლის მიზანია დაშინებით, მუქარით, იძულებით, ღუმილის პირობებით, ქურდული გარჩევის გზით, დანაშაულებრივ ქმედებებში არასრულწლოვანთა ჩაბმით, დანაშაულის ჩადენით ან დანაშაულის ჩადენისაკენ წაქეზებით მისი წევრებისათვის ან სხვა პირებისათვის სარგებლის მიღება.

²⁶Криминология, под редакцией В.Н Кудрявцева и В.Е Эминова, М., 1995, с. 260-264.

²⁷„კანონიერი ქურდები“, გ. ლობჯანიძე და გ. ლლონტი, თბ., 2004, გვ.72-73.

2. ქურდული სამყაროს წევრი – ნებისმიერი პირი, რომელიც აღიარებს ქურდულ სამყაროს და აქტიურად მოქმედებს ქურდული სამყაროს მიზნების განსახორციელებლად.

3. ქურდული გარჩევა – ქურდული სამყაროს წევრის მიერ ორ ან ორზე მეტ პირს შორის არსებული დავის გადაწყვეტა.

4. კანონიერი ქურდი – ქურდული სამყაროს წევრი, რომელიც ქურდულ სამყაროს სპეციალური წესების შესაბამისად ნებისმიერი ფორმით მართავს ან/და ორგანიზებას უწევს ქურდულ სამყაროს ან პირთა გარკვეულ ჯგუფს.

სისხლის სამართლის კოდექსის 223¹ მუხლის ანალიზი ცხადყოფს, რომ ამოსავალი ორიენტირი მუხლისათვის ქურდული სამყაროს ცნებაა. გამომდინარე იქედან, რომ ქურდული სამყაროს სახით უდაოდ საქმე გვაქვს ტიპურ ორგანიზებული ხასიათის დანაშაულებრივ ჯგუფთან, კანონის სათაური (საქართველოს კანონი ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ) პირდაპირ ამაზე მიუთითებს, მიგვაჩნია, რომ უმჯობესია ქურდული სამყაროს ცნება სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში არსებული ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის ცნებიდან გამომდინარეობდეს. ამასთან, ისიც გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, არავის შეიძლება განმეორებით დაედოს მსჯავრი ერთი და იმავე დანაშაულისათვის, მათ შორის, ე.წ. „კანონიერი ქურდის“ ამ ფორმით გასამართლების შემთხვევაში, თუ იგი სასჯელის მოხდის შემდეგ კვლავ განაგრძობს „კანონიერ ქურდობას“, შეუძლებელი გახდება მის პასუხისმგებლობის საკითხის დასმა.

მიგვაჩნია, რომ აღნიშნულ წინააღმდეგობათა გადაწყვეტა მარტივად არის შესაძლებელი იმ მიდგომით, რაც უკვე არსებობს სისხლის სამართლის კოდექსში ორგანიზებულ ჯგუფთან მიმართებაში, კერძოდ, ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ კანონის მე-3 მუხლი შეიძლება ამგვარად ჩამოყალიბდეს:

1. **„ქურდული სამყარო“ ან მსგავსი ტიპის ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი – ორი ან მეტი პირისაგან შემდგარი სტრუქტურული ფორმის მქონე ჯგუფი, რომელიც მოქმედებს მათ მიერვე შემუშავებული ქცევის სპეციალური წესების შესაბამისად, იყენებს დაშინებას ან/და მუქარას ან/და ღუმილის პირობებს და რომლის მიზანია დანაშაულის ან/და სხვა კანონსაწინააღმდეგო მოქმედებათა ჩადენით თავისი წევრების ან სხვა პირებისათვის სარგებლის მიღება.**

2. „ქურდული სამყაროს წევრი“ – ნებისმიერი პირი, რომელიც მოქმედებს ქურდული სამყაროს მიზნების განსახორციელებლად.

3. **„კანონიერი ქურდი“ – ქურდული სამყაროს წევრი, რომელიც ნებისმიერი ფორმით მართავს ან/და ორგანიზებას უწევს „ქურდულს სამყაროს“ ან მსგავსი ტიპის ორგანიზებულ დანაშაულებრივ ჯგუფს.**

ასევე, არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება ამავე კონტექსტში მსგავსი საქმიანობებიდან მიღებული შემოსავლების ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) პრობლემატიკას. 2003 წლის 6 ივნისის „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში დღემდე მიმდინარეობს ცვლილებები და დამატებები. იგივე შეიძლება ითქვას სსკ-ის 194-ე მუხლის დისპოზიციისაზეც, რომელიც საბოლოო სახით შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, ესე იგი უკანონო ან დაუსაბუთებელი ქონებისათვის კანონიერი სახის მიცემა, (ქონებით სარგებლობა, ქონების შეძენა, ფლობა, კონვერსია, გადაცემა ან სხვა მოქმედება) მისი უკანონო წარმოშობის დაფარვის მიზნით, აგრეთვე მისი ნამდვილი ბუნებისა, წარმოშობის წყაროს, ადგილმდებარეობის, განთავსების, მოძრაობის, მასზე საკუთრების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა უფლებების დამალვა ან შენიღბვა.“ კოდექსში გაჩნდა ახალი შემადგენლობაც, რომელიც კრძალავს მსგავს გზებით მიღებული ქონების ფლობას,

შეხვედრას, სარგებლობასა და გასაღებას. ამ შემთხვევაში რეკომენდაციის სახით შეიძლება შევთავაზოთ კანონმდებელს, რომ ამ მეტად რთული პრობლემის წინააღმდეგ საბრძოლველად კანონმდებლობის მუდმივ დახვეწასთან ერთად აუცილებელია დამოუკიდებელი მძლავრი მაკონტროლებელი სამსახურის არსებობა, რომელიც კვალიფიციურ ზედამხედველობას განახორციელებს საქართველოში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებზე და ხელს შეუწყობს ქვეყანაში სუფთა კაპიტალის შემოდინებას.

საქართველოს პარლამენტის მიერ 2005 წლის 8 ივლისს დამტკიცებულ „საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში“ სახელმწიფოს წინაშე მდგარ ერთ-ერთ ძირითად ამოცანად სწორედ ბრძოლა საერთაშორისო ტერორიზმის, კონტრაბანდისა და ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგაა გამოცხადებული.

– „საქართველოსათვის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია გადამჭრელი ღონისძიებების განხორციელება კონტრაბანდის, იარაღთა და ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობის, ადამიანების ტრეფიკინგის და სხვა სახის ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ.“

სახელმწიფოს მხრიდან ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აყვანა თანამედროვე მსოფლიოსა და საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური თუ ეკონომიკური პროცესების ფონზე საციცოცხლოდ აუცილებლად ისახება და, ამავდროულად, გამომდინარეობს სახელმწიფოს მხრიდან საერთაშორისო დონეზე ნაკისრი ვალდებულებებიდან.

კთანამედროვე ეტაპზე დანაშაულის და მათ შორის მისი ორგანიზებული ფორმების წინააღმდეგ ბრძოლა მრავალსახოვან მიდგომას საჭიროებს, რაც დაკავშირებულია დანაშაულის გამომწვევი და ხელშემწყობი მიზეზებისა ფაქტორების კვლევასთან, დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდების დაბალანსებასთან. ბოლო წლებში საქართველოში აქტიურად მიმდინარეობს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში კარგად აპრობირებულ გამოცდილებათა რეცეფცია,²⁸ ღრმავლება და მტკიცდება საგარეო კავშირები, როგორც საერთაშორისო, ისე, რეგიონალურ დონეზე, რომელიც „საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციით“ ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა და განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მოცემული პრობლემის დარეგულირების კუთხით. ამის დასტურია არაერთი საერთაშორისო დოკუმენტი: გაერთიანებული ერების 1988 წლის კონვენცია „ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ“ (საქართველო მიუერთდა 1997 წელს), სტრასბურგის 1990 წლის კონვენცია „ფულის გათეთრების, დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული შემოსავლების მოძიების, ამოღების და კონფისკაციის შესახებ“ (საქართველო მიუერთდა 2004 წელს), გაერთიანებული ერების 1999 წლის კონვენცია „ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის შესახებ“ (საქართველო მიუერთდა 2002 წელს), გაერთიანებული ერების 2000 წლის კონვენცია „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“ (საქართველო მიუერთდა 2004 წელს) და ა.შ.

გეოპოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელმაც თანამედროვე ეტაპზე წინა პლანზე წამოიწია, არის რეგიონალური ერთიანობის გააზრება და იმის გათვალისწინება, რომ ერთ რეგიონში მცხოვრებ ერებს აქვთ საერთო ინტერესები – იქნება ეს მშვიდობიანი თანაარსებობა, კეთილმეზობლური ურთიერთობების შენარჩუნება, მჭიდრო ეკონომიკური

²⁸ გველისხმობთ აღკვეთის ღონისძიებათა მიზნებისა და გამოყენების პრობლემატიკის ახლებურ გააზრებასა და საპროცესო შეთანხმების ფართოდ გამოყენებას, რასაც ნაშრომის ხასიათისა და მასშტაბების გათვალისწინებით არ შევხებივართ. ამასთან, საპროცესო შეთანხმება, როგორც ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის ინსტიტუტი მიგვაჩნია, რომ ცალკე კვლევას საჭიროებს.

თანამშრომლობა, სამართლებრივი დახმარების უზრუნველყოფა, გლობალური პრობლემებისადმი ერთნაირი დამოკიდებულება, თუ ურთიერთობა სხვა რეგიონებთან და ა.შ.

საერთაშორისო და რეგიონალური კავშირ-ურთიერთობათა დამყარების მიმართულებით სახელმწიფო დამოუკიდებლობის მოპოვებითანავე დგამდა ნაბიჯებს. თანამედროვე ეტაპზე დანაშაულის ტრანსნაციონალიზაციამ სასიცოცხლოდ აუცილებელი გახდა ყოველწლიური სემინარების, კონფერენციების ორგანიზება, სადაც გაწეული მუშაობის შეჯამებასთან ერთად გაანალიზდება წარმოქმნილი პრობლემები და დაისახება სამომავლო გეგმები, რაც იშვიათობას წარმოადგენს. ამასთან, ახალ ორმხრივ თუ მრავალმხრივ ურთიერთობათა დამყარებასთან ერთად აუცილებელია უკვე არსებულ ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა შესაბამისობაში მოყვანა თანამედროვე მოთხოვნებთან.

ვღა ბოლოს, წარმოდგენილი კვლევით შედეგადეთ, გარკვეული რეკომენდაციები შეგვეთავაზებინა კანონმდებლისა, თუ პრობლემით დაინტერესებული პირებისათვის. აღსანიშნავია, რომ ბოლო ათწლეულის განმავლობაში საქართველოში ინტენსიურად მიმდინარეობს უცხოეთში აპრობირებული ინსტიტუტების იმპლემენტაციის პროცესი. მიგვაჩნია, რომ კარგი იქნება, თუ თითოეული საკანონმდებლო ნოვაციის შემოტანა და საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ სფეროში დანერგვა საფუძვლიანი მეცნიერული დამუშავებისა და ექსპერტიზის ფონზე განხორციელდება, რათა შედეგად მივიღოთ საკანონმდებლო ბაზა, რომელიც სრულად იქნება ასახული უცხოური გამოცდილება, დააკმაყოფილებს ქვეყანაში არსებულ მოთხოვნებსა და ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია, 1995 წ. 24 აგვისტო.
2. გაერთიანებული ერების 2000 წლის კონვენცია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ (საქართველო მიუერთდა 2004 წელს)
3. შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის წევრი ქვეყნების მთავრობებს შორის დანაშაულთან და კერძოდ მის ორგანიზებულ ფორმებთან ბრძოლის თაობაზე, 1998 წ.
4. ხელშეკრულება სისხლის სამართლის საქმეებზე ურთიერთდახმარების შესახებ საქართველოს რესპუბლიკასა და ბულგარეთის რესპუბლიკას შორის, 1996 წ.
5. ხელშეკრულება საქართველოსა თურქმენეთს შორის სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი ურთიერთდახმარების შესახებ, 1999 წ.
6. შეთანხმება აზერბაიჯანის რესპუბლიკას, საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის ტერორიზმის, ორგანიზებული დანაშაულისა და სხვა მნიშვნელოვანი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ, 2005 წ.
7. შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და რუმინეთის მთავრობას შორის ტერორიზმის, ორგანიზებული დანაშაულის, ნარკოტიკებით, ფსიქოტროპული ნივთიერებებითა და პრეკურსორებით უკანონო ვაჭრობის და სხვა მძიმე დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში თანამშრომლობის შესახებ, 2005 წ.
8. შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და ლატვიის რესპუბლიკის მთავრობას შორის, 2001 წ.
9. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1999 წ.
10. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 1997 წ.
11. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, 1999 წ.

12. საქართველოს კანონი ამნისტიისა და არადეკლარირებული საგადასახადო შემოსავლებისა და ქონების ლეგალიზაციის შესახებ,“ 2004 წ.
13. საქართველოს კანონი ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ, 2005 წ.
14. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, 2005 წ.
15. ლ. წიკლაურის სადისერტაციო ნაშრომი „ორგანიზებული დანაშაული და მასთან ბრძოლის სისხლისსამართლებრივი და საპროცესო საკითხები (შედარებითსამართლებრივი გამოკვლევა გერმანიის, საქართველოსა და რუსეთის მაგალითებზე)“ თბ. 1999 წ.
16. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (ავტორთა კოლექტივი, წიგნი I), თბ., 2006 წ.
17. კრიმინოლოგია და სამართალდამცავი სისტემა საქართველოში (ავტორთა კოლექტივი), თბ., 2001 წ.
18. იტალიის ანტიმაფიური კანონმდებლობა – ქონების კონფისკაციის საკითხები, ანი მორგოშია, თბ., 2004 წ.
19. კანონიერი ქურდები, გ. ლობჯანიძე და გ. ლლონტი, თბ., 2004 წ.
20. საქართველო: ძალაუფლების დაბრუნება, გ. თევზაძე, თბ., 2003 წ.
21. ანტიკორუფციული მოძრაობა, თბ., 2003 წ.
22. Преступность XX века, Лунеев, В. В., М., 1997 г.
23. Экономическое преступность под редакцией проф. Лунеева В. В., М., 2002 г.
24. Транснациональная организованная преступность, Воронин Ю.А., Екатеринбург., 1997 г.
25. Ветров Н. И., Уголовное право (общая часть), М., 2002 г.
26. Уголовное право (часть обшая, часть особенная) под редакцией проф. Гаухмана Л. Д., М., 1999 г.
27. Организованная преступность, Санкт-Петербург., 2002 г.
28. Криминология, под редакцией Кудрявцева В.Н и Эминова В.Е., М., 1995 г.
29. Криминология, под редакцией: Вурлакова В.Н и Кропачева Н.М., Санкт. Петербург., 2000 г.
30. Криминология, под редакцией Джозефа Шели (3-е международное издание), М., 2003 г.
31. Старков О.В., Криминология, М., 2004 г.
32. Преступность и уголовная политика в Европе, Хелмут Кури (издатель), Бохум., 2004 г.
33. Проблемы борьбы с организованной преступностью и коррупцией, Иркутск., 2004 г.
34. Долгова А.И., Системно-структурный характер преступности. Вопросы борьбы с преступностью, М., 1984 г.
35. Гуров, А. И. профессиональная преступность: прошлое и современность, М., 1990 г.
36. James R. Richards Transnational crimnal organizations, cybercrime and money laundering, New York, 1999.
37. Shelly L. The treat to the world order. Organized crime: Contemporary issues. 1999.
38. Godson R, Olson W. Transnational Criminal Organization, organized crime: contemporary issues
39. Aderstanding organized crime in global perspective, London 1997.

რ ე ზ ი უ მ ე

სახელმწიფოს მხრიდან ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აყვანა თანამედროვე მსოფლიოსა და საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური თუ ეკონომიკური პროცესების ფონზე საციცოცხლოდ აუცილებლად ისახება და, ამავდროულად, გამომდინარეობს სახელმწიფოს მხრიდან საერთაშორისო დონეზე ნაკისრი ვალდებულებებიდან.

ვთანამედროვე ეტაპზე დანაშაულის და მათ შორის მისი ორგანიზებული ფორმების წინააღმდეგ ბრძოლა მრავალსახოვან მიდგომას საჭიროებს, რაც დაკავშირებულია დანაშაულობის გამომწვევი და ხელშემწყობი მიზეზებისა ფაქტორების კვლევასთან, დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდების დაბალანსებასთან. ბოლო წლებში საქართველოში აქტიურად მიმდინარეობს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში კარგად აპრობირებულ გამოცდილებათა რეცეფცია, ადგილი აქვს საგარეო კავშირების გაღრმავებასა და განმტკიცებას, როგორც საერთაშორისო ისე რეგიონალურ დონეზე, რომელიც 2005 წლის „საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციით“ ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა და განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მოცემული პრობლემის დარეგულირების კუთხით.

გეოპოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელმაც თანამედროვე ეტაპზე წინა პლანზე წამოიწია, არის რეგიონალური ერთიანობის გააზრება და იმის გათვალისწინება, რომ ერთ რეგიონში მცხოვრებ ერებს აქვთ საერთო ინტერესები – იქნება ეს მშვიდობიანი თანაარსებობა, კეთილმეზობლური ურთიერთობების შენარჩუნება, მჭიდრო ეკონომიკური თანამშრომლობა, სამართლებრივი დანშარების უზრუნველყოფა, გლობალური პრობლემებისადმი ერთნაირი დამოკიდებულება, თუ ურთიერთობა სხვა რეგიონებთან და ა.შ.

თანამედროვე ეტაპზე დანაშაულის ტრანსნაციონალიზაციამ სასიცოცხლოდ აუცილებელი გახდა საერთაშორისო და რეგიონალურ კავშირ-ურთიერთობათა გააქტიურება და, შესაბამისად, ყოველწლიური სემინარების, კონფერენციების ორგანიზება, სადაც გაწეული მუშაობის შეჯამებასთან ერთად, მოხდება წარმოქმნილი პრობლემების გაანალიზება და სამომავლო გეგმების დასახვა, რაც იშვიათობას წარმოადგენს. ამასთან, ახალ ორმხრივ თუ მრავალმხრივ ურთიერთობათა დამყარებასთან, ერთად აუცილებელია უკვე არსებულ ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა შესაბამისობაში მოყვანა თანამედროვე მოთხოვნებთან.

ქვემოთჩამოთვლილ ქვეყნებზე ყურადღება ძირითადად ორი მიზეზით შეჩერდა: მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული გერმანიაში, აშშ-სა და იტალიაში ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლა მიმდინარეობს, რაც ამ მიმართულებით კომპარატივისტიკულ კვლევას განსაკუთრებით საინტერესოს ხდიდა; ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ახალი სტრატეგიის შემუშავებისას საქართველომ ძირითადი აქცენტი აშშ-სა და იტალიაში ამ მიმართულებით კარგად აპრობირებული ინსტიტუტების დანერგვაზე გააკეთა. წარმოებული კვლევა გვაჩვენებს, რომ აშშ-მ და იტალიამ მიზნად თავიდანვე ორგანიზებული დანაშაულის ეკონომიკური ბაზის ბლოკირება დაისახეს, რამაც გაამართლა. მე-20 საუკუნის 90-იან წლებში აღნიშნული მიდგომა გაიზიარა გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამაც. საქართველოში ეს პროცესი ჯერჯერობით საწყის ეტაპზე იმყოფება, რაც ცვლილებათა სიახლის გათვალისწინებით გასაკვირი არ არის, თუმცა პირველი ნაბიჯი გადადგმულია – საკანონმდებლო ბაზა არსებობს, აუცილებელია მისი მიზანმიმართული დახვეწა და შემდგომი რეალიზაცია.

არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება სოციალური კონტროლის მექანიზმების გააქტიურებას, პრობლემათა გამომწვევ და ხელშემწყობ მიზეზთა პრევენციას, რაც გერმანიის ფედერაციული

რესპუბლიკის შემთხვევაში ორგანიზაციული კანონების მიღებაში გამოიხატა, რის შესწავლა და რეცეფცია გაცილებით ეფექტურს გახდოდა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ჩვენი სახელმწიფოს ბრძოლას.

წარმოდგენილი კვლევით შედეგად, გარკვეული რეკომენდაციები შეგვეთავაზებინა კანონმდებლისა, თუ პრობლემით დაინტერესებული პირებისათვის. აღსანიშნავია, რომ ბოლო ათწლეულის განმავლობაში საქართველოში ინტენსიურად მიმდინარეობს უცხოეთში აპრობირებული ინსტიტუტების იმპლემენტაციის პროცესი. მიგვაჩნია, რომ კარგი იქნება, თუ თითოეული საკანონმდებლო ნოვაციის შემოტანა და საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ სფეროში დანერგვა საფუძვლიანი მეცნიერული დამუშავებისა და ექსპერტიზის ფონზე განხორციელდება, რათა შედეგად მივიღოთ საკანონმდებლო ბაზა, რომელიც სრულად იქნება ასახული უცხოური გამოცდილება, დააკმაყოფილებს ქვეყანაში არსებულ მოთხოვნებსა და ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებებს.

მანია ივანიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის
პალატის მოსამართლე

სისხლის სამართლის პოლიტიკის არსი

რადგან ყოველი მეცნიერებისა და ხელოვნების მიზანი არის სიკეთე, მათ შორის ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი სფეროს მიზანიც იგივე იქნება. ასეთი სფერო არის პოლიტიკა¹. პოლიტიკაში სიკეთე არის სამართლიანობა, ხოლო სამართლიანობა არის სასარგებლო მთელი საზოგადოებისათვის – ასე განსაზღვრა პოლიტიკის მნიშვნელობა და არსი 24 საუკუნის წინათ ცნობილმა ფილოსოფოსმა და სწავლულმა არისტოტელემ.

მართლაც, პოლიტიკა თითოეული სახელმწიფოს არსებობის და სიცოცხლისუნარიანობის განმსაზღვრელი, მნიშვნელოვანი სფეროა. იგი სათავეს, დასაბამს ძველი ბერძნულიდან იღებს და დაკავშირებულია ტერმინებთან: „პოლის“ (ქალაქი-სახელმწიფო), „პოლიტეა“ – კონსტიტუცია, მოქალაქე, „პოლიტეს“ – სახელმწიფო მოღვაწე და ა.შ.

მაშასადამე უძველესი დროიდან მოყოლებული ტერმინი „პოლიტიკა“ გაიგივებულია მოქალაქესთან, სახელმწიფოსთან, საზოგადოებასთან და იგი თავისი არსითა და მნიშვნელობით საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს მოიცავს.

ბუნებრივია, ყველა ეპოქაში საზოგადოების გარკვეული ნაწილი სახელმწიფოს მეშვეობით ახორციელებს თავის პოლიტიკას, ე.ი. მისი პრაქტიკული საქმიანობის მიზანი სახელმწიფოებრიობის განმტკიცებაა. თუ ეს ყოველივე სამართლიანობის მიზნით და გზით ხორციელდება, მაშინ შეგვიძლია ვაღიაროთ, რომ სახელმწიფო პოლიტიკა საზოგადოების ინტერესების გამომხატველია.

მნიშვნელოვანი ცნების – „პოლიტიკის“ ქვეშ იგულისხმება ადამიანთა ურთიერთობაც, რაც ერთგვარად დაკავშირებულია სახელმწიფოსთან, სახელმწიფო მოწყობასთან და იმ ძირითად ინსტიტუტებთან, რომლებიც მოწოდებული არიან, რათა ადამიანთა თანაარსებობა განამტკიცონ. მაშასადამე, ეს არის საზოგადოებრივ-სამართლებრივი, პარტიული, საარჩევნო, მმართველობითი ორგანოების სისტემა, რომელიც მოიცავს და აერთიანებს ყველა საზოგადოებრივ საწყისს.

დამოუკიდებელი სისტემის სახით სისხლის სამართლის პოლიტიკის ჩამოყალიბება ისტორიული მოვლენების თანმიმდევრულად მოხდა.

პოლიტიკური სფერო პირველად მაკიაველის მიერ იქნა ფორმირებული. იგი სახელმწიფო ხელისუფლებას პოლიტიკურ ხელოვნებად მიიჩნევდა და აღიარებდა, რომ მიზანი ამართლებს საშუალებას.

მოგვიანებით, XIII-XIX საუკუნეებში, საზოგადოებრივ ურთიერთობების ცნებას ერთგვარად გაემიჯნა „პოლიტიკური ურთიერთობები“ და დამკვიდრდა ისეთი ტერმინები, როგორცაა – პოლიტიკური პარტიები, პოლიტიკური ორგანიზაციები, სახელმწიფო საქმიანობა, საპარლამენტო-წარმომადგენლობითი დემოკრატია, პოლიტიკური რეჟიმი, სამართლებრივი სახელმწიფო და ა.შ.

თავისთავად შეუძლებელია სამართლებრივ სახელმწიფოზე საუბარი, თუ რეალურ საზოგადოებრივ ცხოვრებაში აშკარად ჩანს შეუთავსებლობა მის პოლიტიკურ და

¹არისტოტელე, პოლიტიკა, ნაწილი პირველი, თბილისი 1995, გვ. 34.

სამართლებრივად სისტემებს შორის. რამდენადაც სამართლიანობა არის თანასწორი ადამიანებისათვის თანასწორი წილის მიცემა, ცხადია, სამართლებრივ სახელმწიფოში განსაკუთრებით ზრუნავენ მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობისათვის, კანონი კი მოქალაქეთა შორის ურთიერთსამართლიანი დამოკიდებულების გარანტიაა.

„სამართლებრივი თვალსაზრისით თვით ყველაზე სრულყოფილი კანონიც კი ვერ შეძლებს თავისი სამართლებრივი საწყისების განხორციელებას, თუ იგი არასამართლებრივი ხასიათისაა.“²

სახელმწიფოში არ შეიძლება არსებობდეს პოლიტიკურად ნეიტრალური კანონი, პოლიტიკის სფეროდან რაგინდ დაშორებულ ურთიერთობებსაც უნდა აწესრიგებდეს იგი, თვით ამ კანონის მიღების ფაქტი უკვე არის პოლიტიკა (როგორც საკანონმდებლო ორგანოში წარმოდგენილი გარკვეული პოლიტიკური ძალების კონსენსუსი).

კანონში ხორციელდება და ასახულია პოლიტიკისა და სამართლის ერთგვარი სინთეზი.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, იბადება გარკვეული კავშირი სამართალსა და პოლიტიკას შორის, რამდენადაც თავისი არსით სახელმწიფო პოლიტიკა სპეციფიური ხასიათისაა, პოლიტიკისა და სამართლის სინთეზსაც გულისხმობს. ამ მხრივ არც სისხლის სამართალია გამონაკლისი.

პოლიტიკისა და სამართლის, მათ შორის, სახელმწიფო პოლიტიკისა და სისხლის სამართლის ურთიერთკავშირისა და თანაფარდობის პრობლემები მეცნიერული კვლევის საგანს ოდითგანვე წარმოადგენდა.

ადამიანი, ნებით თუ უნებლიედ პოლიტიკური და ისტორიული პროცესების აქტიური მონაწილე ხდება. ამავე დროს ყოველი ეპოქის პოლიტიკური პროცესი ადამიანზე, როგორც პიროვნებაზე, უდიდეს გავლენას ახდენს. „საზოგადოების ფორმირებიდან გამომდინარე, ადამიანის წინაშე რიგი პრობლემები დადგა გადასაჭრელად, სახელდობრ: საზოგადოებისა და სახელმწიფოს მართვის, პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი მონაწილეობის... საარჩევნო სისტემის, საკანონმდებლო საქმიანობის შემუშავების და კიდევ სხვა მსგავსი, რომლის გადაჭრის და მოგვარების გარეშე ვერც ერთი სახელმწიფო თუ საზოგადოება ვერ იარსებებდა“³.

უნგრელი პოლიტიკოსი ანდრაშ ლანელი წერდა: „რამდენადაც თითოეული ადამიანის ცხოვრება მიმდინარეობს საზოგადოებაში, ამდენად არც ერთ ადამიანს არ შეუძლია თავი დააღწიოს პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობას“⁴.

ცნობილმა იტალიელმა მოღვაწე ჩეზარე ბეკარია მ სისხლის სამართლის პოლიტიკის გარკვეული მარცვალ ჩაღო თავის კლასიკურ ნაწარმოებში „დანაშაულისა და სასჯელის შესახებ“ და ყოველი სრულყოფილი კანონმდებლობის ამოსავალ დებულებად შემდეგი სიტყვები მიიჩნია: „უმჯობესია, დანაშაული თავიდან ავიცილოთ, ვიდრე დავსაჯოთ მისი ჩამდენი“⁵.

ჩვენი სისხლის სამართალი სხვა გზას დაადგა – ხალხის იურიდიულმა აზროვნებამ გამოკვეთა ის დედააზრი, რომ სისხლის სამართლის დანაშაული არა თუ მარტო კერძო პირს აძლევს ვნებას, არამედ – სახელმწიფოსაც, საზოგადოებასაც და ა.შ. სისხლის სამართალი სახელმწიფოს საქმეა.

ასეთი ფართო მნიშვნელობით წარმოადგინა სისხლის სამართლის მნიშვნელობა და მისი კავშირი „სახელმწიფო საქმესთან“ ქართველმა მოაზროვნე ნიკო ხიზანიშვილმა.⁶

²როგორ იქმნება კანონი, თბილისი 2000, გვ. 34.

³შ.ქავთარაძე, პოლიტიკური ფილოსოფია, თბ., 2001 გვ.5.

⁴ა.ლანელი, პოლიტიკური ფილოსოფია, თუ პოლიტიკა იხ. პოლიტოლოგიის საკითხები, თბ., 1992, გვ.56.

⁵Чезаре Бекария, «О преступлениях и наказаниях» М., 1991, ст. 230.

⁶ნ.ხიზანიშვილი, „რჩეული იურიდიული ნაწარმოები“, 1981.

„სამართლის უმთავრესი დანიშნულება სახელმწიფოსთან მოქალაქეების ურთიერთობის წესების დადგენა, ადამიანთა პირადი უფლებებისა და თავისუფლებების განახლებაა”, – წერდა ილია ჭავჭავაძე და, ბუნებრივია, სისხლის სამართლის მყარ დანიშნულებადაც იმავე პრობლემას მიიჩნევდა.⁷

სახელმწიფო პოლიტიკისა და სისხლის სამართლის ურთიერთკავშირს XX საუკუნეში არაერთი ნაშრომი მიეძღვნა.⁸

აღნიშნულ შრომებში მეცნიერთა გარკვეული ნაწილი ასაბუთებს, რომ სამართალი „თავისი არსით წარმოადგენს პოლიტიკურ კატეგორიას და აქვს პოლიტიკური შინაარსი”.

სამართალი შეუძლებელია წარმოვიდგინოთ „პოლიტიკის” გარეშე ისე, როგორც სიტყვა – „პოლიტიკური” სიტყვა – აუცილებელი შემთხვევაში იღებს „იურიდიულ” შინაარსს.⁹

საინტერესოა მკვლევართა გარკვეული ჯგუფის მოსაზრება, რომლებიც სისხლის სამართლის პოლიტიკის ტრადიციულ გაგებად იმ მიმართულებას მიიჩნევენ, რომელიც სისხლის სამართლის ნორმების გამოყენების შედეგად დანაშაულის თავიდან აცილებას უზრუნველყოფს.

მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ XX საუკუნის 30-იან წლებში სისხლის სამართლის პოლიტიკის ინსტიტუტის მიერ ვიშინსკის რედაქტორობით არაერთი საგანგებო კრებული გამოიცემოდა, რომელშიც ყველა პუბლიკაცია სისხლის სამართლის პოლიტიკას ეძღვნებოდა.¹⁰

მაშასადამე, როგორც არ უნდა განიმარტოს სახელმწიფოსა და საზოგადოების საქმიანობა დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში – „სისხლის სამართლის პოლიტიკად” ან „დამნაშავეობასთან ბრძოლის პოლიტიკად” – საუბარი ეხება ქვეყნის უმნიშვნელოვანეს მიმართულებას, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკური, სოციალური, იდეოლოგიური პოლიტიკის ეფექტურ ფუნქციონირებას.

საბოლოო ჯამში, მეცნიერთა მოსაზრებების შეჯერებითა და თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით, სისხლის სამართლის პოლიტიკის არსი შეიძლება განისაზღვროს როგორც თანამედროვე სახელმწიფო პოლიტიკის გამოხატულება დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ნორმები, რომელშიც სისხლის სამართლის პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებია ასახული, შეიძლება 4 ჯგუფად დაიყოს:

- ა) საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები და ნორმები;
- ბ) კონსტიტუციური ხასიათის ნორმები;
- გ) მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსში ასახული და განმტკიცებული და ნორმატიულ აქტებთან შესაბამისი ნორმები;
- დ) სამართლის სხვადასხვა დარგებით, სხვა ნორმატიული კანონმდებლობით განმტკიცებული და ნორმატიულ აქტებთან შესაბამისი ნორმები.

⁷ ვ. აბაშაძე, „ილია ჭავჭავაძე სახელმწიფოსა და სამართლის პრობლემები”.

⁸ Таганцев И.С. Курс советского уголовного права, общая часть, спб, 1983 г. ст. 5-52; Шаргородский М.Д. Вопросы общей части уголовного права, Л, 1955, ст.106-115; Загородников И.И. Советская уголовная политика и деятельность органов внутренних дел, М. 1972 г.; Владимиров В.А. Ляпуров Ю.И. Советская уголовная политика и ее отражения в действующем законодательстве, М., 1979г.; Дагель П.Е. Проблемы советской уголовной политики, Владивосток, 1992 г.; Загородников И.И. Советская уголовная политика и ее отражения в действии законе; Российское уголовное право – общая часть под редакцией Наумова, М. 1994, т. 266; И.Басхалов Основы уголовной политики, М., 1999 г., ст. 292.

⁹ А.И. Коробеев, Уголовно-правовая политика, тенденции и перспективы. Красноярск, 1991 г., ст. 7.

¹⁰ Проблемы уголовной политики под ред. А.Я. Вышинского М., 1937 г.

თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკაში საერთაშორისო ჰუმანიტარული თანამშრომლობა სულ უფრო ფართო მნიშვნელობას იძენს. ეს მოვლენა პირობითად შეიძლება „სისხლის სამართლის პოლიტიკის ჰუმანურ განზომილებად“ იწოდოს.

სისხლის სამართლის პოლიტიკის ამოცანათა რეალიზაციაში საერთაშორისო თანამშრომლობის აქტუალობა განპირობებულია იმით, რომ XIX საუკუნის ბოლოდან და ახალი ათასწლეულში ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს კაცობრიობის დემოკრატიული განვითარებისათვის ბრძოლა წარმოადგენს. ამის გამო, აქტიური მნიშვნელობის მქონედ რჩება ინტენსიურად მზარდი ეროვნული და ტრანსნაციონალური ხასიათის მქონე დანაშაულები, რომელიც თანამედროვე პერიოდში აქტუალურია და მოიცავს ომის, ეკოლოგიური, ორგანიზებული ხასიათის დანაშაულებს.

საერთაშორისო მნიშვნელობით საზოგადოებისათვის ყველაზე დიდ საფრთხეს წარმოადგენს ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან დაკავშირებული ქმედებები. არანაკლები მნიშვნელობის მქონედ რჩება იარაღითა და საბრძოლო მასალებით უკანონო ვაჭრობა, ტერორიზმი, კომპიუტერული დანაშაულები და სხვ. ამასთან დაკავშირებით პრინციპულად დგება ყოვლისმომცველი საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემის შექმნის საკითხი, რომელიც სამხედრო, პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროსთან ერთად ჰუმანიტარულ სფეროსაც მოიცავს.

საერთაშორისო ხასიათის ტრანსნაციონალური დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლაში სახელმწიფოთა საქმიანობის მაკოორდინირებელი უმაღლესი ორგანოა გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭო, რომლის შემადგენლობაში მუდმივად ფუნქციონირებს დანაშაულის თავიდან აცილებისა და მართლმსაჯულების განხორციელების საკითხებთან დაკავშირებული კომისია, რომელიც 5 წელიწადში ერთხელ ამზადებს და ატარებს გაეროს კონგრესებს დანაშაულობათა თავიდან აცილებისა და სამართალდარღვევასთან ბრძოლის საკითხებთან მიმართებაში. მათ მუშაობაში მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა სახელმწიფოს სისხლის სამართლის, პენიტენციალური სამართლის, კრიმინოლოგიის ექსპერტები, ფსიქოლოგები, სოციოლოგები, აგრეთვე, ადამიანის უფლებათა და მსხვერპლთა რეაბილიტაციის სპეციალისტები.¹¹

კონგრესზე მიღებული საერთაშორისო სამართლებრივი აქტების ჩამონათვალი ფართოა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს შესვლამ ევროსაბჭოში ევროპის ხელშეკრულებებთან მიერთების აუცილებლობა გამოიწვია, ამიტომაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს საფუძვლად საქართველოს კონსტიტუცია და საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები და ნორმები დაედო.

საქართველოს ახალი კონსტიტუცია, რომელიც 1995 წლის 24 აგვისტოს არის მიღებული, ჩვენი სახელმწიფოს უზენაესი კანონია. იგი ეყრდნობა ქართველი ერის მრავალსაუკუნოვან სახელმწიფოებრივ ტრადიციებსა და საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ძირითად პრინციპებს, იმავდროულად ჭეშმარიტად სუვერენული და დამოუკიდებელი სახელმწიფოს ძირითადი კანონია. მისი ამოცანაა დემოკრატიულ-სახელმწიფოებრივი წესწყობილების განმტკიცება, ეკონომიკური ძლიერება და სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობა. ეს ყოველივე კი ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვით უნდა განხორციელდეს.

მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციური მოთხოვნების დაცვა დემოკრატიული სახელმწიფოს მთავარ კრიტერიუმს წარმოადგენს, სახელმწიფოს მშვიდობიანი არსებობა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ადამიანი არა მხოლოდ სიტყვით, არამედ საქმითაც უმაღლეს ღირებულებად არის მიჩნეული, ხოლო მისი უფლებები და თავისუფლებები, სახელმწიფოს მთავარი საზრუნავი და დანიშნულებაა.

¹¹Международное сотрудничество в области прав человека. Документы и материалы, М. 1993, вып. 2, ст. 3.

საქართველოს კონსტიტუციის განსაკუთრებული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი სამართლის ყველა დარგის განვითარებისათვის ძირითადი იურიდიული ბაზაა, ე.ი. სამართლის სისტემის საფუძველია. მაშასადამე, სისხლის სამართლის პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განზოგადება მხოლოდ კონსტიტუციის ამოსავალი დებულებების შესაბამისად უნდა მოხდეს.

ამდენად, სისხლის სამართლის პოლიტიკის კონსტიტუციური რეგულირების ამოცანაა:

1. მოქალაქის, პიროვნების, ადამიანის ძირითადი უფლებების და თავისუფლებების დაცვა;
2. მათი ჩართვა სახელმწიფოს მართვის, ეკონომიკის საზოგადოებრივი ურთიერთობის სხვადასხვა სფეროში;

3. ისეთი ნორმატიული მექანიზმების (ბაზის) შექმნა, რომელიც აუცილებელია ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელებისათვის.

ამ მნიშვნელოვანი ამოცანების პირველი ასპექტი ასახულია კონსტიტუციის მე-2 თავში – „საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი“. დანარჩენი ორი ასპექტი ხასიათდება ამ უფლებების ცხოვრებაში გატარების ფორმით.

სისხლის სამართლის პოლიტიკის ამოცანათა ფორმირებისა და რეალიზაციისათვის განსაკუთრებული პოლიტიკური და სამართლებრივი მნიშვნელობა აქვს საქართველოს კონსტიტუციის I თავს – „ზოგადი დებულებები“. მხედველობაში გვაქვს მნიშვნელოვანი დებულება იმის შესახებ, რომ საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური წყობილების ფორმა არის დემოკრატიული რესპუბლიკა (მუხ.1 პ.2). ამასთან, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და სახელმწიფო საზღვრების ხელშეუხებლობა დადასტურებულია საქართველოს კონსტიტუციითა და კანონებით.

სისხლის სამართლის პოლიტიკის ამოცანათა რეალიზაციისათვის კონსტიტუციური დებულებაა საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლი, რომლის თანახმად, საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი. ის თავის ძალაუფლებას ახორციელებს რეფერენდუმის, უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმებით და თავისი წარმომადგენლების მეშვეობით.

სისხლის სამართლის პოლიტიკისათვის ასევე ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების პრინციპს (მუხ. მე-5), რაც იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლების დანაწილების პირობებში ხელისუფლების შტოები აწონასწორებენ ერთმანეთს.

სისხლის სამართლის პოლიტიკის, როგორც კონსტიტუციით რეგულირებული საგნის, დიდი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ საქართველოს კონსტიტუციის მთელი თავი მართლმსაჯულების რეგლამენტაციას ეძღვნება, კერძოდ, თავი მე-5 „სასამართლო ხელისუფლება“. ამ თავში ორგანულ ერთიანობაშია ფორმულირებული, როგორც სასამართლო მოწყობის, ასევე, სასამართლო წარმოების პრინციპები სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართალწარმოების დროს.

ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს, თავისი უფლებების დაცვის მიზნით მიმართოს სასამართლოს და მხოლოდ იმ სასამართლოს, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე.

კონსტიტუციური ხასიათის დებულებათა რიცხვს მიეკუთვნება ისეთი პრინციპები, როგორცაა სასამართლო გადაწყვეტილებათა სავალდებულობა, კანონისა და სასამართლოს წინაშე თანასწორობა მოსამართლეთა დამოუკიდებლობა, სამართალწარმოების ენა, საქმის განხილვის საქვეყნობა.

საქართველოს კონსტიტუციამ არა მარტო მოსამართლეთა დამოუკიდებლობა გამოაცხადა, არამედ განამტკიცა დებულება იმის შესახებ, რომ საქართველოში სამართალწარმოება მხარეთა თანასწორობის და შეჯიბრობითობის საფუძველზე ხორციელდება (მუხ. 85-ე) მოსამართლენი ხელშეუხებელი არიან (მუხ. 87-ე), ყოველივე ამას კი უდიდესი სამართლებრივი და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს.

ამგვარად, სისხლის სამართლის პოლიტიკის სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ საქართველოს კონსტიტუცია:

1. სისხლის სამართლის პოლიტიკის ამოცანების ფორმირებისა და რეალიზაციისას უმაღლესი იურიდიული ძალის მქონეა.

2. იგი უზრუნველყოფს სახელმწიფო პოლიტიკისა და სისხლის სამართლის პოლიტიკის ერთიანობას.

3. საქართველოს კონსტიტუციით დაცული საქართველოს მოქალაქის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები სისხლის სამართლის პოლიტიკის ძირითადი სამართლებრივი ორიენტირია.

4. სისხლის სამართლის პოლიტიკის ამოცანების განსაზღვრისას უმთავრეს მნიშვნელობას იძენს ის გარემოება, რომ საქართველოს პოლიტიკური წყობილების ფორმა დამოუკიდებელი რესპუბლიკაა.

5. კონსტიტუციით განმტკიცებულმა ხელისუფლების დანაწილების პრინციპმა სისხლის სამართლის პოლიტიკის ამოცანათა რეალიზაციაში ფართო ასახვა უნდა ჰპოვოს.

6. საქართველოს კონსტიტუცია სისხლის სამართლის პოლიტიკის ძირითადი მიმართულების განსაზღვრის საფუძველი და საქართველოში მართლმსაჯულების განმტკიცების უმთავრესი სამართლებრივი ბაზაა.

სისხლის სამართლის პოლიტიკა და მისი მიმართულებები ძირითადად ასახულია სისხლის სამართლის კანონში, რაც კონსტიტუციური დებულებების კონკრეტიზაციას, დეტალიზაციას წარმოადგენს და იმავდროულად არასისხლისსამართლებრივ კანონებში სისხლის სამართლის პოლიტიკის ასახვის საშუალებაცაა. სისხლის სამართლის პოლიტიკის ამოცანა თანამედროვე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პირველსავე მუხლშია ასახული. ამ მუხლის მე-3 პუნქტში მოცემულია სისხლის სამართლის კოდექსის მიზნები – დანაშაულებრივი ხელყოფის თავიდან აცილება და მართლწესრიგის დაცვა. ამ მიზნის განხორციელება კი შესაძლებელია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის, საქართველოს კონსტიტუციისა და საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმებისა და პრინციპების შესაბამისად. სისხლის სამართლის პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების გამომხატველია სისხლის სამართლის პრინციპები, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსში ცალკე ნორმის სახით არ არის გამოყოფილი, მაგრამ მთლიანობაში სისხლის სამართლის კოდექსის ძირითადი ამოსავალი საფუძველია.

ასევე მნიშვნელოვანია საკითხთა წრე, რომელიც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს თავისთავად ხასიათს ანიჭებს. სწორედ სისხლის სამართლის პოლიტიკის გათვალისწინებით დაზუსტდა, დაიხვეწა სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის ნორმები, სასჯელის მიზნები ახლებურად განისაზღვრა, გათვალისწინებულ იქნა არასრულწლოვანთა პასუხისმგებლობის თავისებურებები.

ასევე მოხდა ისეთი ქმედების დეკრიმინალიზაცია, რომლებიც ადრე დანაშაულად ითვლებოდა და, პირიქით, ისეთი ქმედების კრიმინალიზაცია, რომლებიც ადრე დანაშაულად არ იყო მიჩნეული.

აღნიშნულ ქმედებათა კრიმინალიზაცია განაპირობა როგორც ამგვარი დანაშაულების საზოგადოებრივმა საშიშროებამ, ასევე, მისმა ტრანსნაციონალურმა ხასიათმა. საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და კონვენციებით განმტკიცებული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, სისხლის სამართლის პოლიტიკის მოთხოვნებიდან გამომდინარე, საჭირო გახდა როგორც ჩვენი ქვეყნის კონსტიტუციით, ასევე, სისხლის სამართლის კანონმდებლობით.

ყოველივე ამან კი ასახვა სასამართლო პრაქტიკაშიც პოვა.

ამ თვალსაზრისით, ყურადსაღებია ადამიანის პირადი უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართული ისეთი დანაშაულები, როგორცაა: ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა (მუხლი 142-ე); რასობრივი დისკრიმინაცია (მუხლი 142¹), ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი მუხლი 143¹), არასრულწლოვანით ვაჭრობა (ტრეფიკინტი მუხლი 143¹), მძევლად ხელში ჩაგდება.

სისხლის სამართლის პოლიტიკის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და კონვენციებით განმტკიცებული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა ევროპული კონვენციის სტანდარტების შესაბამისად.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეზიდენტის განმარტებით: „გადამწყვეტი მნიშვნელობა ეროვნულ სამართალში ენიჭება კონვენციის ტექსტს, თუმცა ასეთივე მნიშვნელობა უნდა განეკუთვნოს შესაბამის სასამართლო პრაქტიკას, რომელიც კონვენციის ტექსტიდან გამომდინარეობს.“¹²

24 საუკუნის წინათ არისტოტელე დემოკრატიისა და ოლიგარქიის პირველ განმასხვავებელ ნიშნად სამართლიანობას მიიჩნევდა.

„სამართლიანობა ყველას თავისებურად ესმის და მიდიან გარკვეულ პუნქტამდე, მაგრამ, რასაც ისინი სამართლიანობას უწოდებენ, არაა სამართლიანობა აბსოლუტური მნიშვნელობით. სამართლიანობა უნდა იყოს თანასწორობა და ეს სწორიცაა“ – აღნიშნავდა იგი თავის გენიალურ თხზულებაში – „პოლიტიკა“.¹³

სამართლიანობის ამგვარი განმარტებიდან გამომდინარე, ადამიანის თანასწორუფლებიანობის მიზნით, არაერთი დოკუმენტი შეიქმნა, რომელიც თავისებურად განამტკიცებდა მოქალაქის უფლებებს და, იმავდროულად, სახელმწიფო პოლიტიკის მარცვალსაც შეადგენდა.

ჯერ კიდევ XVII საუკუნეში შეიქმნა ადამიანის უფლებების კონვენცია, რომლის ძალითაც ჩრდილოეთ ამერიკასა და ევროპაში საშუალო ფენად ჩამოყალიბებულ მეწარმეთა და ვაჭართა კლასი ბრძოლას იწყებს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

1948 წლის 10 დეკემბერს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაცია მიიღო, რითაც კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი ნაბიჯი გადაიდგა, რამეთუ მსოფლიოს სახელმწიფოთა აბსოლუტური უმრავლესობა აწერს მას ხელს. აღნიშნული დეკლარაციის 1-ლი და მე-2 მუხლი ყველა ადამიანს თანასწორუფლებიანად მიიჩნევს. ამავე დეკლარაციის მე-7 მუხლი მიუთითებს, რომ „ყველა ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე და, განურჩევლად რაიმე განსხვავებისა, უფლება აქვს, თანაბრად იყოს დაცული კანონით. ასევე ყოველი ადამიანის უფლებაა, თანაბრად იყოს დაცული ამ დეკლარაციის საწინააღმდეგო დისკრიმინაციისგან და ასეთ დისკრიმინაციის ყოველგვარი წაქეზებისგან.“¹⁴

ამავე უფლებას იცავს საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის შესახებ, რომელიც 1969 წლის 4 იანვარს შევიდა ძალაში, ასევე, დეკლარაცია რასისა და რასობრივი ცრურწმენის შესახებ მიღებული 1978 წლის 27 ნოემბერს.

რაც შეეხება საერთაშორისო პაქტს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, მისი 26-ე მუხლი მიუთითებს: „ყველა ადამიანი კანონის წინაშე თანასწორია და ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე კანონით თანაბარი დაცვის უფლება აქვს.“¹⁵

¹² **ლ.ვილდჰაბერი**, ადამიანის უფლება: როგორ უნდა იცავდეს მას სტრასბურგისა და ეროვნული სასამართლოები; ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, №1 2002 წ., გვ.63.

¹³ **არისტოტელე**, პოლიტიკა, ნაწილი I, თ., 1995, გვ.78.

¹⁴ **საქართველოს კანონები**, „ადამიანის უფლებათა შესახებ საერთაშორისო აქტები და კონვენციები“, თბ., 1999 წ., გვ.380.

¹⁵ **გაერთიანებული ერების კონვენცია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ და მისი დამატებითი ოქმები ადამიანთა ტრეფიკინგისა და მიგრანტთა უკანონო გადაყვანის შესახებ.**

თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ შესაძლებლობის ფარგლებში უნდა მიიღოს ზომები, რომლებიც აუცილებელია ამ კონვენციით გათვალისწინებული დანაშაულებების შედეგად დაზარალებული პირებისთვის დაზმარების აღმოსაჩენად და მათ დასაცავად, როდესაც ადგილი აქვს შურისძიებას, მუქარას ან დაშინებას! – ვკითხულობთ გაერთიანებული ერების კონვენციაში ადამიანთა ტრეფიკინგისა და მიგრანტთა უკანონო გადაყვანის შესახებ.

აქედან გამომდინარე, ყოველი სახელმწიფოს პოლიტიკის ნაწილს უნდა შეადგენდეს ტრეფიკინგის მსხვეპლის დაცვა და ზოგადად, ტრეფიკინგთან, როგორც ტრანსნაციონალური ხასიათის დანაშაულთან ბრძოლა.

„სამართლებრივ სახელმწიფოში უნდა შეიქმნას სპეციალური მექანიზმი, რომელიც ადამიანის უფლების დაცვის გარანტს უზრუნველყოფს. კანონის უზენაესობა სამართლებრივი სახელმწიფოს აუცილებელი კომპონენტია – ასე გამოხატავს კანონის უზენაესობას და მის წინაშე ყველას თანასწორობის პრინციპს ცნობილი ქართველი მეცნიერი ოთარ გამყრელიძე.¹⁶

მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული მოთხოვნები საქართველოს კონსტიტუციითა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსითაც არის განმტკიცებული.

ამ მიმართებით ჩვენი ქვეყნის სისხლის სამართლის პოლიტიკის მიზანსაც ტრეფიკინგთან, როგორც ტრანსნაციონალური ხასიათის დანაშაულთან, ბრძოლა წარმოადგენს.

აღნიშნული დანაშაული ერთ-ერთი ნათელი მაგალითია საერთაშორისო კონვენციებით განმტკიცებული ადამიანის პირადი უფლებებისა და თავისუფლების ეროვნული კანონმდებლობით დაცვისა, რაც სისხლის სამართლის პოლიტიკის ერთგვარ გამოხატულებასაც წარმოადგენს. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის სასამართლო პრაქტიკაც – არაერთი სისხლის სამართლის საქმე იქნა განხილული ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) კვალიფიკაციით (მუხლი 143¹).

ხშირ შემთხვევაში აღნიშნული დანაშაული ხორციელდება ადამიანის მიმართ უკანონო გარიგების გზით, აგრეთვე, ადამიანის მოტყუებით გაყვანით ექსპლუატაციის მიზნით, ასევე, ყალბი პირადობის მოწმობის დამზადებითა და გასაღებით, დაზარალებულის საზღვარგარეთ გაყვანით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენით საქართველოს მოქალაქე, ვინმე რ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და შეეფარდა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მან თურქეთში ყოფნისას თურქეთის მოქალაქესთან. ვინმე ზ-სთან ერთად შექმნა ორგანიზებული ჯგუფი, ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) განზრახვით. იგი საქართველოში დაბრუნდა, რათა თურქეთის რესპუბლიკაში ზ-სთან მოტყუებით, ვითომდა სამსახურში მოსაწყობად, ქართველო გოგონები ჩაეყვანა, მათი ექსპლუატაციის – პროსტიტუციაში ჩაბმის მიზნით.

აღნიშნულის განხორციელებას ისინი შეეცადნენ დაზარალებულის საპასპორტო მონაცემების შეცვლით – დაზარალებული, რომელიც ადრეც ტრეფიკინგის მსხვერპლი იყო, დაუკავშირდა სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებს და დანაშაული გამოვლინდა.

„მონაწილე სახელმწიფოები უნდა შეეცადონ, საზოგადოება უზრუნველყონ ინფორმაციის ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის არსებობის მიზეზების, სიმძიმისა და მის მიერ გაწეული საფრთხის შესახებ. საჭიროების მიხედვით, ასეთი ინფორმაცია შეიძლება გავრცელდეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებით და უნდა მოიცავდეს ზომებს, რომ უზრუნველყოფილი იქნეს საზოგადოების მონაწილეობა ამგვარი დანაშაულის თავიდან აცილებასა

¹⁶ო. გამყრელიძე, ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის”, თბ., 1998 წ., გვ.19.

და მის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში”, ამგვარია გაერთიანებული ერების კონვენციის მოთხოვნა თითოეული წევრი სახელმწიფოს მიმართ.¹⁷

ბუნებრივია, აღნიშნული მოთხოვნა განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციითა და ეროვნული სისხლის სამართლის კანონმდებლობით, ასევე, ჩვენი ქვეყნის სისხლის სამართლის პოლიტიკის ნაწილია.

ჩვენი ნაშრომის მოკრძალებულ მიზანი, სწორედ სისხლის სამართლის პოლიტიკური არსის წარმოჩენაა, რასაც შევეცადეთ ფილოსოფოსთა, მეცნიერთა შეჯერებული მოსაზრებების გადმოცემით, თანამედროვე ცივილიზებული ქვეყნების სტანდარტების გათვალისწინებითა და ჩვენი ეროვნული კანონმდებლობის მცირე ანალიზით.

¹⁷ გაერთიანებული ერების კონვენცია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ და მისი დამატებითი ოქმები ადამიანთა ტრეფიკინგისა და მიგრანტთა უკანონო გადაყვანის შესახებ, თბ., 2004, გვ. 28.

ბიორბი ლანჩავა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი,
ადვოკატი საერთო სპეციალობით

კომპიუტერული დანაშაული

შესავალი

თანამედროვე ელექტრო-გამომთვლელი მანქანის – კომპიუტერის¹ ფართოდ დანერგვამ საზოგადოების ცხოვრებაში მრავალ დადებით მოვლენას დაუღო საფუძველი. დღევანდელი პროგნოზით, უახლოეს წლებში ყველა ადამიანს ექნება შესაძლებლობა, ისარგებლოს კომპიუტერთა და გლობალური ქსელით. ეს პროგნოზი მტკიცდება რეალური ტენდენციითაც. ამ მომენტისათვის მსოფლიოში უმსხვილესი გლობალური ქსელია, ინტერნეტი² ყველა კონტინენტის 130-ზე მეტ ქვეყანაში 150 მილიონ ადამიანზე მეტს აერთიანებს. ამ მონაცემის ზრდის ტემპი თვეში 17%-ს შეადგენს. მაგრამ დადებით პროცესს „მედლის მეორე მხარეც“ აქვს და ეს არის კომპიუტერული დანაშაული.³

კომპიუტერულ დანაშაულს ხშირად XXI საუკუნის კრიმინალურ ფორმას უწოდებენ.⁴ ამ ტიპის დანაშაულის მუდმივად მზარდი რიცხვი საერთო კრიმინალურ სტატისტიკაში და ეგმ-ის განუზომელი პოტენციალი მიუთითებს იმაზე, რომ დღევანდელი მდგომარეობა ამ საშიში პრობლემის მხოლოდ დასაწყისია. მაგალითად, გაჩნდა ისეთი ტრადიციული დანაშაულის – ქურდობის – ახალი ფორმა კომპიუტერული ქურდობა, ანუ ქურდობა კომპიუტერის მეშვეობით. პოლიტიკური კორუფციის, ეკონომიკური ზეწოლის, პირად ცხოვრებაში ჩარევისა და ტერორიზმის, კიბერტერორიზმის რეალიზაცია სამწუხაროდ შესაძლებელი გახდა კომპიუტერის მეშვეობით. „1998 წელს ტერორისტული ორგანიზაციებს ინტერნეტში ეკავათ მხოლოდ 12 ვებ-საიტი.⁵ ახლა მათი რაოდენობა გაიზარდა დაახლოებით 4800-მდე.“⁶ ეს ნეგატიური ტენდენცია მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შეუფერხებელ ზრდაზე და კომპიუტერიზაციის მზარდი ტემპების კვალდაკვალ ამ დანაშაულის დონე კიდევ უფრო მაღლა იწევს – კომპიუტერული დანაშაული ერთ-ერთ ყველაზე უფრო საშიშ დანაშაულად იქცა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემებით, უკვე დღეს კომპიუტერული დანაშაულით მიყენებული ზიანი შეიძლება ნარკოტიკებითა და იარაღის უკანონო ბრუნვიდან მიღებულ შემოსავალს შევადაროთ. მარტო აშშ-ში ასეთი სახის დანაშაულისაგან ყოველწლიური ქონებრივი ზიანი დაახლოებით 100 მილიარდ დოლარს შეადგენს.⁷ ამასთან, ზარალის მთელი მოცულობა დაუდგენელია, ან მათ შესახებ არ ცხადდება. კომპიუტერული დანაშაული ყველაზე მეტ საშიშროებას განსაკუთრებით საფინანსო სფეროს უქმნის. ამ დანაშაულის

¹კომპიუტერი [ინგლ. *Computer*] ინგლისური სიტყვაა და გამომთვლელს ნიშნავს.

²ინტერნეტი [Internet] არის „მსოფლიო ქსელი“, ერთმანეთზე მიერთებული კომპიუტერების საჯაროდ ხელმისაწვდომი ქსელი. იხ.<http://ka.wikipedia.org>

³www.crime-research.org

⁴www.crime-research.org

⁵ვებ-საიტი ან უბრალოდ საიტი (ინგლ. *website, web*-გან – ქსელი და *site* – „ადგილი“) – ერთი ან რამოდენიმე ვებ-გვერდების ერთობლიობა, ხელმისაწვდომი ინტერნეტში HTTP/HTTPS.. პროტოკოლებით.

⁶2007 წელი, ნაპრილი, გაზეთ „რესპუბლიკა“. კვბ-ს გენერალ-მაიორი რეზერვში, ივან იუნკინის ინტერვიუ. დსთ-ს აღმასრულებელი საბჭოს, დეპარტამენტის, ანტიტერორისტული განყოფილების ხელმძღვანელი, ახალი საფრთხეებისა და გამოწვევების მიმართ უსაფრთხოებისა და წიაღმღებობის გაწვევის სფეროში თანამშრომლობისათვის.

⁷ www.crime-research.org

მრავალჯერ ზრდის სწრაფი ტენდენცია აღინიშნება საბანკო საქმიანობაში. ასევე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის განცხადებით, დანაშაულებრივი დაჯგუფებები ახალი ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით უკანონოდ ითვისებენ მილიონობით თანხას, „აცოცხლებენ“ დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ უზარმაზარ ფულად სახსრებს, თავს არიდებენ გადასახადს, კომპლექსურ ღონისძიებებს ატარებენ სხვადასხვა დანაშაულის მოსამზადებლად, ჩასადენად და შესანიღბად.⁸

კომპიუტერული დანაშაულის მოქმედების სივრცეს პოპულარულ ენაზე ეწოდება კიბერსივრცე, კომპიუტერულ დანაშაულს კი კიბერდანაშაული. სიტყვის ნაწილი „კიბერ“ ნასესხებია სიტყვიდან – „კიბერნეტიკა“ [ბერძ. **kybernetike [techne]** მართვის ხელოვნება]. ესაა მეცნიერება, რომელიც სწავლობს მანქანებისა და ცოცხალი ორგანიზმების მიერ ინფორმაციის მიღებას, შენახვასა და გადაცემას, აგრეთვე, ამ ინფორმაციის გამოყენებას მართვისათვის. მეცნიერების ეს დარგი შექმნა ამერიკელმა მეცნიერმა ნ. ვინერმა (Wiener, 1894-1964) 40-იანი წლების ბოლოს. სულ პირველად კი ეს ტერმინი გამოყენებულ იქნა პლატონის მიერ, სავარაუდოდ, გემის ან ეტლის მართვის ხელოვნების სახელწოდების გამოხატვის მიზნით. შემდეგში ტერმინი, თანამედროვე გაგებით, შემოიღო იგივე ნორბერტ ვინერმა, რომელიც, როგორც უკვე აღინიშნა, ითვლება კიბერნეტიკის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების, დამაარსებლად.

კომპიუტერული სისტემები დღეს სულ უფრო და უფრო დიდ ზემოქმედებას ახდენენ საზოგადოების ცხოვრებაზე. შესაბამისად, ეგმ-ის, ეგმ-ის სისტემის ანდა მათი ქსელების მწყობრიდან გამოსვლამ შეიძლება მიგვიყვანოს კატასტროფულ შედეგებამდე, მით უმეტეს, როდესაც ეგმ გამოიყენება ადამიანის ცხოვრებაში, მართებული იქნება, თუ ვიტყვით, რომ კაცობრიობის განვითარების ამ ეტაპზე ისეთ მნიშვნელოვან სფეროებში, როგორიცაა თითოეული ქვეყნისა და საერთაშორისო უსაფრთხოება, ქვეყნის თავდაცვა-უშიშროება, მედიცინა, კოსმოსური სივრცის შემეცნება-შესწავლა და ა.შ.

ყოველდღიურად მსოფლიოში კომპიუტერების და მათთან დაკავშირებული ქსელების მეშვეობით ინახება და გადაიცემა უდიდესი ფასეულობები. მხოლოდ ამერიკული საფინანსო ინდუსტრია ერთ დღეში⁹ ასრულებს რამოდენიმე ათეული მილიარდის ტრანზაქციებს.¹⁰ კომპიუტერულ ქსელებში ინახება, აგრეთვე, ინფორმაცია, რომელიც შეეხება მედიცინას, დაზღვევას, სამეცნიერო კვლევას, მართლწესრიგის დაცვას, სახელმწიფო საიდუმლოებას. დღეისათვის, გლობალიზაციისა და გლობალური ცივილიზაციის პირობებში, პლანეტაზე არ არსებობს ადამიანთა მოღვაწეობის არც ერთი სფერო, რომელიც არ საჭიროებდეს კიბერსივრცისა და კიბერტექნოლოგიის ნაწილს – კომპიუტერს, ამიტომ მსოფლიოს ნებისმიერი განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების სისხლის სამართლის კანონმდებლობაში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს განკუთვნილი კიბერდანაშაულთან ბრძოლას. ისინი შეძლებისდაგვარად ადგენენ ყველა შესაბამისი ქმედებისათვის შესაძლო სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. საკმარისია მაგალითად მოვიყვანოდ ავსტრალიის „აქტი კიბერდამნაშავეობის შესახებ 2001“ (*Cybercrime Act 2001 of Australia*- No. 161, 2001), სადაც ნათლად ჩანს, თუ რამდენი ნორმა როგორი სკურპულოზურობით იწერება, ვითარდება დროში და ა.შ.. აღნიშნული აქტის დასაწყისში ჩაწერილია: **„ეს კანონი ემსახურება და სრულყოფს იუსტიციის სისტემაში არსებულ კომპიუტერულ სამართალდარვევასთან დაკავშირებულ კანონებს და სხვა მიზნებს.“**¹¹

⁸ Воздействие организованной преступной деятельности на общество в целом: Доклад Генерального Секретаря Организации Объединенных Наций // Комиссия ООН по предупреждению преступности и уголовному правосудию. Вена. 13-23 апр. E/CN. 15/1993/3.

⁹ www.cybercrime.gov

¹⁰ ტრანზაქცია - საბანკო ოპერაცია, რომელიც გულისხმობს ფულად გადარიცხვას ერთი ანგარიშიდან მეორეზე

¹¹ იხ.: *Cybercrime Act 2001 of Australia*- No. 161, 2001

ასევე, საჭიროა სწორად იქნეს ფორმულირებული და დასმული ზოგადი ხასიათის კითხვები, მათ შორის, ყველაზე მეტად სამართლის მეცნიერების მიმართ ისეთი საკითხის შესახებ, როგორც ტერორიზმი¹². აღნიშნულ თემატიკასთან „ახლო ნათესაობის“ გამო მას კიბერტერორიზმი¹³ ეწოდება. დღეისათვის იგი მოიცავს თითქმის მთელს ტერორისტულ საქმიანობას.

საინტერესოა, რამდენად სრულყოფილი და სამართლებრივად ადეკვატურია რეალობისადმი ის კანონმდებლობა, რომელიც დღეს არსებობს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისათვის საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში. ყოველი დასმული კითხვა მეტ აქტუალობას იძენს მაშინ, როდესაც მსოფლიოში დაუნდობელი, სასტიკი ბრძოლაა გამოცხადებული ისეთ ავადმყოფურ და ყოვლისმომცველ დანაშაულთან, როგორც ტერორიზმი. მსოფლიოში ისე მწვავედ დგას ეს პრობლემა, როგორც არასდროს. „ტერორიზმი, ეს არის შავი ჭირი, რომლისგანაც უნდა განიკურნოს მსოფლიო ერთხელ და სამუდამოდ. ტერორიზმთან ბრძოლა ეს იგივეა, რაც – ჭიდილი კეთილსა და ბოროტს, თავისუფლებასა და მონობას, სიცოცხლესა და სიკვდილს, სამართლიანობასა და უსამართლობას შორის, ეს უდიდესი მისიაა ჩვენი თაობისათვის“.¹⁴ დღეს როცა, ტერორიზმი ახერხებს არსებობას, და თანაც საკმაოდ ძლიერი სახითა და უკიდურესად საშიში ფორმებით, არსებობს კიბერტერორიზმიც, როგორც მისი ნაირსახეობა.

კომპიუტერული დანაშაული საქართველოში

საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მიღებული პირველი სისხლის სამართლის კოდექსი ძალაში შევიდა 1999 წლის 22 ივლისს, ხოლო ამავე კოდექსის 415-ე მუხლის თანახმად, გარდა 44-ე, 47-ე მუხლებისა და XXXIII თავისა, იგი ამოქმედდა 2000 წლის 15 თებერვლიდან. დამოუკიდებელი საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ ახალ სისხლის სამართლის კოდექსში, კერძო ნაწილის მეცხრე კარის XXXV თავში, ასახვა პოვა სამმა ნორმამ; ესენია 284-ე, 285-ე, 286-ე მუხლები საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ გაცემული საჯარო ინფორმაციის საფუძველზე ცნობილი გახდა, რომ 1999 წლიდან 2008 წლის პირველი კვარტლის ჩათვლით მათში შესული ცვლილებები ასეთი სახით ჩამოყალიბდა: 1) საქართველოს 2000 წლის 5 მაისის №292 კანონით - სსმ I, 2000., №18, მუხ.45-ე; 2) საქართველოს 2000 წლის 30 ივნისის №458 კანონით - სსმ I, 2000., №27, მუხ.83-ე; 3) საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის №2937 კანონით - სსმ I, 2006., №14, მუხ.90-ე; 4) საქართველოს 2008 წლის 19 მარტის №5940 კანონით - სსმ I, 2008., №8, მუხ.47¹⁵-ე ხოლო 2006 წლის 25 ივლისს კოდექსში არსებულ XXXVIII თავს (ტერორიზმი) დაემატა 324¹ მუხლი – „კიბერტერორიზმი“. საქართველოს 2006 წლის 25 ივლისის №3530 კანონით - სსმ I, 2006, №19, მუხ.87-ე. საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ გაცემული საჯარო ინფორმაციის საფუძველზე

¹²ტერორიზმი - ძალადობის გამოყენება პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. შეიარაღებული თავდასხმა, რომლის მიზანია არა მოწინააღმდეგისადმი რაიმე სტრატეგიული ზიანის მიყენება, არამედ შიშის დანერგვა, შანტაჟი. კერძოთ, ტერორისტული აქტი შეიძლება მიმართული იყოს ადამიანების წინააღმდეგ, რომლებსაც ტერორისტების პოლიტიკურ პოზიციასთან საერთო არაფერი აქვთ.

¹³კიბერტერორიზმი - კომპიუტერული იერიშის მიტანა, ინფორმაციული ინფრასტრუქტურის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ობიექტებზე მაქსიმალური ზიანის მისაყენებლად. განხორციელებული პოლიტიკურ და კლასობრივ მოწინააღმდეგესთან ანგარიშსწორების მიზნით, კომპიუტერული ძალადობის გზით.

¹⁴აშშ-ის პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის განცხადება იხ.: www.cnn.com

¹⁵საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, ნორმატიული აქტების სისტემატიზაციისა და ადგილობრივ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის № 01/27/11-1418 პასუხი ჩემს 2008 წლის 13 აპრილის წერილზე.

სტატისტიკური მონაცემებით, 2001 წლიდან 2008 წლის პირველი კვარტლის ჩათვლით რეგისტრირებულია 6 კომპიუტერული დანაშაული (ამათგან ერთი სსკ-ის 285-ე მუხლით, ხოლო ხუთი – 284-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულები), აქედან გახსნილია 2 დანაშაული (სსკ-ის 284-ე მუხლი). სავალალოა, რომ დღემდე საქართველოს გენერალური პროკურატურის ან მის რომელიმე ქვედანაყოფში არ არსებობს სსკ-ის XXXV-ე თავით გათვალისწინებულ დანაშაულების აღკვეთის მიზნით შექმნილი სპეციალური განყოფილება¹⁶. გენერალურ პროკურატურაში არსებული, მწირი სტატისტიკური ინფორმაციითაც კი ნათლად ჩანს კომპიუტერული დანაშაულის დინამიკაში ზრდის ტენდენცია. ასევე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გაცემული საჯარო ინფორმაციის საფუძველზე ცნობილი გახდა, რომ საქართველოს სასამართლო სისტემის უწყებრივი სტატისტიკური დაკვირვების მოქმედ ფორმებში კომპიუტერული დანაშაული ცალკე გამოყოფილი არ არის. პირველი ინსტანციის სასამართლოებში შესული და დამთავრებული სისხლის სამართლის საქმეთა სტატისტიკური მონაცემები კი (2002 წლიდან დღემდე) ასეთია: სსკ-ის XXXV თავით გათვალისწინებული დანაშაულზე (284-ე მუხლის II ნაწილი) გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილია 1 პირის მიმართ (საქმე განხილულია 2004 წელს).¹⁷

1999 წლის 22 ივლისს მიღებულ ახალ სისხლის სამართლის კოდექსში პირველად პოვა ასახვა ისეთი სახის სამართალდარღვევის ინკრიმინირებამ, როგორც კომპიუტერული დანაშაული. XXXV და XXXVIII-ის 324¹ მუხლი სისხლის სამართლის კოდექსის ის თავები და მასში შემავალი ის მუხლებია, რომლებიც ებრძვის კომპიუტერულ დანაშაულს და ზოგადად არეგულირებს ინფორმაციულ სამყაროში არსებულ კიბერკრიმინალს, რომელიც დღეისათვის ასე მრავლად და ძალზედ დიდი მოცულობით არსებობს საქართველოში.

მისასაღმებელია ის ფაქტი, რომ ზემოთ აღნიშნულმა სამმა მუხლმა ადგილი ჰპოვა საქართველოს 1999 წლის ახალ, ხოლო შემდეგში კი ერთ-ერთმა ნორმამ – 2006 წლის სისხლის სამართლის კოდექსში, იმდენად, რამდენადაც სახელმწიფოსათვის სასიცოცხლო საჭიროებას წარმოადგენს ინოვაციური-საკანონმდებლო ინიციატივები, რომლებიც მოახდენს საქართველოს ნორმატიული ბაზის საერთაშორისო და ევროპულ კანონმდებლობებთან ჰარმონიზაციას, უპასუხებს რა საერთაშორისო, ევროპულ სტანდარტებს ინფორმაციული ტექნოლოგიების¹⁸ სამართლებრივი რეგულირების სფეროში, რაც ჩვენს ნაციონალურ სისხლის სამართლის კანონმდებლობას კიდევ უფრო მეტად აახლოებს იმ ქვეყნების შიდა და ასევე, მოქმედ საერთაშორისო კანონმდებლობებთან; რომლებიც კიბერდანაშაულთან ბრძოლაში ქვეყნის შიგნით და გარეთ გაცილებით უფრო დახვეწილი, ადექვატური, ვიდრე ჩვენი კანონმდებლობა ზოგადად, კერძოდ კი სისხლის სამართალი. განსხვავებით ახლო წარსულისაგან, დღევანდელ პოლიტიკურ და სამართლებრივ მდგომარეობას, როგორც ზოგადად ქვეყანაში, ისე, ქართული სისხლის სამართალში შემოაქვს სამართლის განვითარებისათვის, მართალია, არასაკმარისი, მაგრამ მაინც ის მიღწევები და სიკეთეები, რომელიც საერთოდ გააჩნია დღეისათვის სისხლის

¹⁶ინფორმაციული ტექნოლოგია ეს არის ტექნოლოგია, რომელიც საჭიროა ინფორმაციის დამუშავებისათვის. კერძოდ, ის იყენებს კომპიუტერულ ტექნიკას, კომპიუტერულ პროგრამებს ინფორმაციის დაგროვების, შენახვის, გარდაქმნისა და გადაცემისათვის. იხ.- <http://ka.wikipedia.org>

¹⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლო, სასამართლო სტატისტიკისა და ინფორმაციზაციის განყოფილების №28-5 პასუხი ჩემს 2008 წლის 21 მაისის წერილზე.

¹⁸ინფორმაციული ტექნოლოგია ეს არის ტექნოლოგია, რომელიც საჭიროა ინფორმაციის დამუშავებისათვის. კერძოდ, ის იყენებს კომპიუტერულ ტექნიკას, კომპიუტერულ პროგრამებს ინფორმაციის დაგროვების, შენახვის, გარდაქმნისა და გადაცემისათვის. იხ.- <http://ka.wikipedia.org>

სამართლის მეცნიერებას, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს საკმარისი არაა კომპიუტერული კრიმინალის აღსაკვეთისა და მისი პრევენციისათვის.

ასევე მისასაღმებელია საქართველოს პრეზიდენტის – მიხეილ სააკაშვილის მიერ გამოთქმული ინიციატივა და განკარგულება იმის თაობაზე, რომ ხელი მოეწეროს ევროსაბჭოს მიერ ქალაქ ბუდაპეშტში, 2001 წლის 23 ნოემბერს მიღებულ კონვენციას „კიბერდამნაშავეობის შესახებ“ (2008 წლის 28 მარტი, ქ.თბილისი №215 განკარგულება „კიბერდამნაშავეობის შესახებ“ კონვენციის ხელმოწერის თაობაზე).¹⁹ პრეზიდენტის მიერ კონვენციის ხელმოწერის შემდეგ საჭიროა მისი განხილვა საქართველოს პარლამენტის მიერ და შემდეგ მისი რატიფიცირება. ამ კონვენციის და ბევრი სხვა უმნიშვნელოვანესი იურიდიული დოკუმენტის ინპლემენტაცია საქართველოში პირველ რიგში, დამოკიდებულია ზემოაღნიშნული პროცესის მიმართ ხელისუფლების ნების, მზაობის გამოხატვაზე. ეს კიდევ ერთი წინგადადგმული დადებითი ნაბიჯი იქნება იმისაკენ, რასაც საქართველოს კანონმდებლობის საერთაშორისო და ევროპულ კანონმდებლობებთან ჰარმონიზაცია ეწოდება, განსაკუთრებით კიბერდამნაშავეობის სფეროში.

„ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები და წინამდებარე კონვენციის ხელმომწერი სხვა სახელმწიფოები, ითვალისწინებენ რა, რომ ევროპის საბჭოს მიზანია მის წევრთა შორის ერთიანობის უფრო მეტი ხარისხის მიღწევა;

აღიარებენ რა წინამდებარე კონვენციის ხელმომწერ სხვა სახელმწიფოებთან თანამშრომლობის განმტკიცების დიდ მნიშვნელობას;

დარწმუნებული არიან რა, რომ პრიორიტეტული წესით უნდა განხორციელდეს საერთო პოლიტიკა სისხლის სამართლის სფეროში, რომლის მიზანია საზოგადოების დაცვა კიბერდამნაშავეობისაგან, მათ შორის, შესაბამისი საკანონმდებლო აქტების მიღებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცების გზით;

შეგნებული აქვთ რა სიღრმისეული ცვლილებები, რომლებიც გამოწვეულია ციფრული ტექნოლოგიების დანერგვით, კომპიუტერული ქსელების გაერთიანებითა და მიმდინარე გლობალიზაციით;

შეშფოთებული არიან რა იმ საფრთხით, რომ კომპიუტერული ქსელები და ელექტრონული ინფორმაცია შეიძლება გამოყენებულ იქნეს, აგრეთვე, სისხლის სამართლის დანაშაულთა ჩადენისათვის და რომ ასეთ სამართალდარღვევათა ჩადენის მტკიცებულებანი შეიძლება ამ ქსელებში იყოს დაცული და მათი მეშვეობით გავრცელდეს;

აღიარებენ რა სახელმწიფოებსა და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის აუცილებლობას კიბერდამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში და კანონიერი ინტერესების დაცვის აუცილებლობას საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებისა და განვითარების სფეროში;

ვარაუდობენ რა, რომ კიბერდამნაშავეობის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლისათვის საჭიროა სისხლის სამართლის სფეროში კიდევ უფრო ფართო, ოპერატიული და კარგად ორგანიზებული საერთაშორისო თანამშრომლობა;

დარწმუნებული არიან რა, რომ წინამდებარე კონვენცია აუცილებელია იმისათვის, რათა კომპიუტერული სისტემებისა და ქსელების და კომპიუტერული მონაცემების კონფიდენციალურობის, მთლიანობისა და ხელმისაწვდომობის წინააღმდეგ, აგრეთვე,

¹⁹ი.საქართველოს პრეზიდენტის №215 განკარგულება „კიბერდამნაშავეობის შესახებ“ კონვენციის ხელმოწერის თაობაზე 2008 წლის 28 მარტი, ქ.თბილისი

ასეთი სისტემების, ქსელებისა და მონაცემების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ მიმართული მოქმედების შეკავება მოხდეს იმ გზით, რომ უზრუნველყოფილ იქნეს წინამდებარე კონვენციაში აღწერილ ასეთ მოქმედებათა სისხლისსამართლებრივი დასჯადობა და უზრუნველყოფილ იქნეს ასეთ სისხლის სამართლის დანაშაულებთან ეფექტიანი ბრძოლისათვის საკმარისი უფლებამოსილება, ხელი შეეწყოს ასეთ სისხლის სამართლის დანაშაულთა გამოვლენასა და გამოძიებას და განხორციელდეს სასამართლო დევნა მათი ჩადენისათვის როგორც შიდასახელმწიფოებრივ, ისე, საერთაშორისო დონეებზე და იმ გზით, რომ შემუშავდეს მორიგეებანი ოპერატიულ და საიმედო საერთაშორისო თანამშრომლობის თაობაზე;

ახსოვთ რა იმის აუცილებლობა, რომ უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ჯეროვანი ბალანსი მართლწესრიგის შენარჩუნების ინტერესებსა და ადამიანის ფუძემდებელ უფლებათა პატივისცემას შორის, როგორც ეს გათვალისწინებულია ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ 1950 წლის კონვენციით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ 1966 წლის საერთაშორისო პაქტით და, აგრეთვე, ადამიანის უფლებათა შესახებ სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებით, რომლებშიც დადასტურებულია თითოეულის უფლება შეუფერხებლად იქონიოს საკუთარი აზრი, აგრეთვე, უფლება, თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი, მათ შორის, იმის თავისუფლება, რომ მოიძიოს, მიიღოს და გაავრცელოს სხვადასხვაგვარი სახის ინფორმაცია და იდეები, სახელმწიფო საზღვრებისა და იმ უფლების მიუხედავად, რომელიც ეხება პირად ცხოვრებაში ჩაურევლობას;

ახსოვთ რა, აგრეთვე, პირადი მონაცემების დაცვის უფლება, რომელიც გათვალისწინებულია, მაგალითად, ევროსაბჭოს 1981 წლის კონვენციით პირადი ხასიათის მონაცემების ავტომატიზებული დამუშავებისას ფიზიკურ პირთა დაცვის შესახებ;

მხედველობაში იღებენ რა ევროპის ქვეყნების იუსტიციის მინისტრთა 21-ე კონფერენციაზე (პრაღა, 1997 წლის ივნისი) მიღებულ №1 რეზოლუციას, რომელშიც მინისტრთა კომიტეტს რეკომენდაცია მიეცა მხარი დაუჭიროს დამნაშავეობის პრობლემათა ევროპის კომიტეტის (CDPC) მუშაობას კიბერდამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის, რათა უზრუნველყოს, რომ შიდა სისხლის სამართლის დებულებები მეტად იყოს შეთანხმებული და შესაძლებელი გახდეს ასეთ სამართალდარღვევათა გამოძიების ეფექტიან საშუალებათა გამოყენება, აგრეთვე ევროპის ქვეყნების იუსტიციის მინისტრთა 23-ე კონფერენციაზე (ლონდონი, 2000 წლის ივნისი) მიღებულ №3 რეზოლუციას, რომელიც მოლაპარაკების მონაწილე მხარეებს უბიძგებს განაგრძონ ძალისხმევა, რათა გამონახონ ისეთი გადაწყვეტილებანი, რომლებიც რაც შეიძლება მეტ სახელმწიფოს მისცემს საშუალებას გახდეს კონვენციის მონაწილე, და დასტურებს, რომ უნდა შეიქმნას საერთაშორისო თანამშრომლობის ოპერატიული და ეფექტიანი სისტემა, რომელიც სათანადოდ გაითვალისწინებს კიბერდამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის სპეციფიკურ მოთხოვნებს.²⁰

საქართველოში ამ მხრივ ძალზედ მცირედია გაკეთებული და ძალზედ ბევრია გასაკეთებელი.

საინფორმაციო ტექნოლოგიების შესაძლებლობები ქვეყნის განვითარებაში განიხილება როგორც გასაღები XXI საუკუნეში მაღალინდუსტრიული საზოგადოების შესაქმნელად. დღევანდელი

²⁰ „კიბერდამნაშავეობის შესახებ“ კონვენცია, პრეამბულა. (ბუდაპეშტი, 2001 წლის 23 ნოემბერი)

ხელისუფლების პოლიტიკური და ეკონომიკური მიღწევების საფუძველზე, მისი განვითარების შედეგები, ერთი მხრივ, უდავოდ მისასალმებელია, მეორე მხრივ კი საგანგაშო, რადგანაც დღეს უკვე აშკარაა, რომ საკმაოდ მოკლე დროში საჭირო ხდება კიბერდანაშაულობისათვის ელემენტარული სახელმწიფოებრივი წინააღმდეგობის გაწევა. აუცილებელია გაცილებით სრულყოფილი კანონმდებლობის შექმნა, ვიდრე დღეს არის, ვინაიდან საქართველოში საყოველთაო კომპიუტერიზაციის პროგრესისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში კანონმდებლობის შექმნაზე მუშაობის ტემპი უტოლდება 50/1%-ის კომპიუტერიზაციის პროგრესის სასარგებლოდ. საჭიროა ისეთი საკანონმდებლო ინიციატივები, რომლებიც ხელს შეუწყობს საქართველოს ნორმატიული ბაზის სრულყოფისაკენ სვლას და კომპიუტერული ინფორმაციის სამართლებრივი რეგულირების სფეროში უპასუხებს საერთაშორისო სტანდარტებს. მაგალითისათვის, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXXV თავის ნორმების შედგენისას კანონმდებელი იყენებს მუხლების დისპოზიციების აღწერისათვის ერთადერთ მისაღებ ბლანკეტურ ხერხს, თუმცა ამ ხერხმა ვერ განმარტა ჭარბი სპეციალური ტერმინოლოგიით დატვირთული სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების დისპოზიციები (კომპიუტერული ინფორმაცია, განადგურება, ბლოკირება, მოდიფიცირება, ანდა ეგმ-ის, ეგმ-ის სისტემის ან მათი ქსელის მუშაობის მოშლა, ეგმ-ის პროგრამა, ეგმ-ის პროგრამის გამოყენება და ა.შ.). 284-286-ე მუხლების დისპოზიციები ძალიან მშრალი, შეიძლება ითქვას, დროს ჩამორჩენილი და ტრაფარეტული ხასიათისაა, რაც, აგრეთვე, ელემენტარულად აცდენს უფლებამოსილ უწყებებს, მათ ხელმძღვანელებს კომპიუტერულ დანაშაულთან ბრძოლაში დღევანდელი რეალობისათვის საჭირო ადეკვატური სამართლებრივი შეხედულებებისაგან.

სამართლებრივი ნორმების ჭეშმარიტება ან ფიქტობრიობა განისაზღვრება საზოგადოებრივი განვითარების მოთხოვნილებებთან, თეორიულ შეხედულებებსა და წარმოდგენებთან სამართალგამოყენებითი პროცესის შესაბამისობით. კომპიუტერული დანაშაულის შესახებ ნორმებში ბევრი ხარვეზის არსებობა სრულ საფუძველს იძლევა, დღეისათვის ვისაუბროთ დღეისათვის მასზე როგორც ფიქციაზე, ე.ი. ნორმაზე, რომელიც არ შეესაბამება რეალობას, დროს, საზოგადოებრივი განვითარების დღევანდელ მოთხოვნილებებს.

კომპიუტერული დანაშაული საერთაშორისო დონეზე

კომპიუტერული დანაშაული 70-იანი წლების დასაწყისში სოციალური ინტერესისა და კონტროლის სფეროში მოხვდა. 1950 წლიდან მოყოლებული აშშ-ში მრავალი ასეთი სახის ქმედება გამოძღვანდა. ამ ფაქტმა მაშინ სისხლის სამართლის სპეციალისტების, მეცნიერ იურისტთა ყურადღება მიიქცია და დაიწყო ამ ფენომენის ინტენსიური კვლევა ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. შეიძლება გავიხსენოთ პირველი ფაქტი კიბერდანაშაულობის ისტორიიდან: როგორც უკვე ცნობილია, პირველი ადამიანი, რომელმაც გამოიყენა ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანა საგადასახადო სფეროში 620 000 დოლარის ღირებულების დანაშაულის ჩასადენად, იყო ალფონსე კონფესსორე, რისთვისაც 1969 წელს იგი წარდგა ამერიკული სასამართლოს წინაშე. კომპიუტერულ დანაშაულთა შემდგომი ისტორია მრავალფეროვანია და მსოფლიოს ბევრ ქვეყანას მოიცავს:

70-იანი წლების ბოლოს „სეკიურიტი პაციფიკ ბანკიდან“ 10,2 მილიონი დოლარის იქნა მოპარული; 1979 წელი – ყოფილ სსრკ-ში პირველი კომპიუტერული დანაშაული დაფიქსირებული იქნა ვილნიუსში (ლიტვა), ეს იყო 78 584 მანეთის დატაცება; 1984 წელი – შეტყობინება მსოფლიოში პირველი „კომპიუტერული ვირუსის“ შესახებ; 1985 წელი – „ვირუსის“ დახმარებით ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესში ხმის მიძღვნი ელექტრონული სისტემის მწყობრიდან

გამოყვანა; 1987-88 წლები – ყოფილ სსრკ-ში პირველი „კომპიუტერული ვირუსის“ გამოჩენა; 1989 წელი – ამერიკელი სტუდენტის მიერ პენტაგონის²¹ 6000 ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანის ბლოკირება; 1992 წელი – იგნალინსკის ატომური ელექტროსადგურის რეაქტორების მართვის ავტომატური სისტემის განზრახ დარღვევა; 1993 წელი – რუსეთის ცენტრობანკში 68 მილიარდი მანეთის დაუმთავრებელი ელექტრონული თაღლითობა; 1995 წელი – რუსი ინჟინრის მიერ სიტი-ბანკიდან (აშშ) 2,8 მილიონი დოლარის მოპარვის მცდელობა და ა.შ.. თავდაპირველად იუსტიციის ორგანოები, რომლებიც კომპიუტერულ დანაშაულს წააწყდნენ, შეეცადნენ მასთან ბრძოლა ქურდობის, თაღლითობის, ნღობის ბოროტად გამოყენების და ა.შ. ტრადიციული დანაშაულის ნორმებით ეწარმოებინათ, მაგრამ საკითხისადმი ასეთი მიდგომა სრულიათ წარუმატებელი აღმოჩნდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ტრადიციულ დანაშაულთა შემადგენლობა ვერ მოიცავდა მრავალ კომპიუტერულ დანაშაულს, მაგალითად, კომპიუტერის „მოტყუებით“ ფულის ერთი ანგარიშიდან მეორეზე გადატანა. ეს დანაშაული ვერც ქურდობის და ვერც თაღლითობის მუხლებით ვერ დაკვალიფიცირდებოდა. პირველ შემთხვევაში არ არსებობს ქურდობის საგანი – „მატერიალური ნივთი“ (ფული აქ არა ნივთის, არამედ კომპიუტერულ მატარებელზე არის ინფორმაციის სახით დაფიქსირებული), მეორე შემთხვევაში კომპიუტერული ტყუილი სინამდვილეში ისევეა შესაძლებელი, როგორც დაგუშვით, სეიფის გასაღების „მოტყუება“. ასევე, კომპიუტერული სისტემის მატერიალური ელემენტის დაზიანების გარეშე, ინფორმაციული ელემენტის განადგურება არც ქონების დაზიანების ან ქონების განადგურების კვალიფიკაციით იყო შესაძლებელი, თუნდაც მსგავს ქმედებას მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანი გამოეწვია. კრიმინალური რეალობისა და სისხლისსამართლებრივი ნორმების ერთმანეთთან შეუსაბამობამ დღის წესრიგში ამ უკანასკნელის განვითარების მოთხოვნა დააყენა. განვითარება ძირითადად ორი მიმართულებით წავიდა: 1. არსებული სისხლისსამართლებრივი ნორმების უფრო ფართო განმარტებისა და 2. კომპიუტერული დანაშაულის შესახებ სპეციალური ნორმების შემუშავების გზით. პირველი მიმართულება მოქცეულია გარკვეულ ჩარჩოებში; უკანონობას რომ არ მიეცეს გასაქანი, ამ საზღვრების გადაცილება დაუშვებელია, ამიტომაც ევროპის ქვეყნებმა კომპიუტერული დანაშაულის შესახებ სპეციალური ნორმების შემუშავება არჩიეს. პირველად 1973 წელს შვედეთმა მიიღო კანონი კომპიუტერული დანაშაულის წინააღმდეგ. კომპიუტერული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლისა და მისი შესაძლო პრევენციის შესახებ ნორმები შედარებით გვიან, მაგრამ მაინც მიიღო დიდმა ბრიტანეთმა, ავსტრიამ, დანიამ, საფრანგეთმა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, კანადამ, ავსტრალიამ, და სხვა ქვეყნებმა.

ჩამოყალიბდა კომპიუტერული დანაშაულის ცნებაც. მაგალითად, პარიზში, 1983 წელს ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა ჩამოაყალიბა კომპიუტერული დანაშაულის სისხლისსამართლებრივი ცნება როგორც ყოველგვარი მონაცემების დამუშავებისა და მათი გადაცემების სფეროში უკანონო, არაეთიკური და ნებადაურთველი ქმედება.²² გამოიკვეთა კომპიუტერული დანაშაულის სხვადასხვა ჯგუფები: კომპიუტერული დანაშაული ეკონომიკურ სფეროში, კომპიუტერული დანაშაული პირადი უფლებებისა და ხელშეუხებლობის სფეროში, კომპიუტერული დანაშაული საზოგადოებისა და სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ და სხვა.

როგორც აღინიშნა, კომპიუტერული თაღლითობა, კომპიუტერულ მატარებელზე არსებული საბანკო ანგარიშებთან დაკავშირებული დანაშაული, პროგრამების ქურდობა, კომპიუტერული

²¹პენტაგონი [ინგლ. pentagon ბერძ. pentagonon – ხუთკუთხედი] – ხუთკუთხედიანი შენობა (ქ. ვაშინგტონთან ახლოს), რომელშიც მოთავსებულია ა.შ.შ-ის თავდაცვის სამინისტრო.

²²Уголовное право Российской Федерации. Особенная часть. Учебник для Вузов (под.ред. Б.В. Здравомислова), М., 1996, стр.347.

„მეკობრეობა“ კომპიუტერული მომსახურების არამართლზომიერი მიღება, კომპიუტერული დროის ქურდობა და ა.შ. ფართოდ არის გავრცელებული თანამედროვე ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში და კომპიუტერული დანაშაულის უმნიშვნელოვანესი ნაწილს წარმოადგენს.²³

დასკვნა

ნაშრომში ნაჩვენებია, თუ რა სავალალო შედეგები მოჰყვება ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში გაუმართავი კანონმდებლობის ან ამავე კანონმდებლობის საერთოდ არ არსებობს. ასევე, რა სახის პოლიტიკური, სამოქალაქო, სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი ზარალი შეუძლია მოუტანოს საქართველოს და დანარჩენ სამყაროს თანამედროვე პირობებში კომპიუტერულმა დამნაშავეობამ და მისი სათანადოდ კონტროლის, კონტროლის შესუსტებამ ან პრევენციის შეუძლებლობამ, არარსებობამ. რა არის საჭირო საკანონმდებლო ბაზის სრულყოფისათვის, რომ უფრო მეტად იყოს დაცული საქართველოს მოქალაქეების, საქართველოში მცხოვრების პირების ძირითადი უფლებები და თავისუფლებები? ეს არის უფლებები, რომელსაც საქართველოს კონსტიტუცია და სხვა კანონები ადგენს და განუხრელად იცავს. თავის მხრივ კი საერთაშორისო დოკუმენტები ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების სფეროში ავსებს, ამყარებს მათ საერთაშორისო დონეზე.

საქართველოში კომპიუტერული დანაშაულისათვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის შემოღებით სისხლის სამართლის კანონმდებლობა შესაბამისობაში მოდის საყოველთაოდ აღიარებულ საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებთან. ეს კი აუცილებლად განაპირობებს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიღებას, რომელიც მოაწესრიგებს ყველა შესაძლებელ საგამოძიებო მოქმედებას, მათი განხორციელების მექანიზმს დანაშაულის ახალ სახეობასთან ბრძოლის სფეროში და უეჭველად მოითხოვს შესაბამის კრიმინალისტიკურ დამუშავებას კომპიუტერული ტექნიკის მეთოდის, ტაქტიკის, სასამართლო ექსპერტიზის სფეროში, რომელიც ასევე მიმართული იქნება კომპიუტერული დანაშაულის პრობლემის მეცნიერული დამუშავებისაკენ.

თავისთავად, კანონმდებლის მიერ კომპიუტერული დანაშაულის სისხლის სამართლის კოდექსში შეტანა, როგორც უკვე აღინიშნა, დიდი მიღწევაა, მაგრამ პრიორიტეტად უნდა გამოცხადდეს ამ სახის დანაშაულთან ბრძოლა, რეალური პასუხისმგებლობის დაკისრება და არა „მკვდარი“ მუხლების არსებობა. „კომპიუტერული დანაშაულის“ და „ტერორიზმის“ შესახებ თავებში მოცემული ნორმები ბევრ პრობლემას შეუქმნის სამართალდამცავებს. ამ პრობლემის თავიდან ასაცილებლად მნიშვნელოვანია, გაირკვეს, თუ რას ვიცავთ ჩვენ – ზოგადად ინფორმაციულ ურთიერთობებს, თუ – საკუთრების უფლებას კომპიუტერულ ინფორმაციაზე? ეს საკითხი ასევე მეცნიერული დავის საგანია. კომპიუტერული დანაშაულის წარმოშობისა და განვითარების მიზეზთა დადგენა მოითხოვს არსებული სიტუაციის ანალიზს, რომელიც მოქმედებს ქართული საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ და სამართლებრივ განვითარებაზე.

დასავლეთის ქვეყნებში კომპიუტერული დამნაშავეობის პრობლემაზე ჩატარებულმა გამოკვლევებმა ცხადყო, რომ მის წარმოშობას და თანმიმდევრულ ზრდას ხელს უწყობს პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი ფაქტორები.²⁴ იურიდიული ლიტერატურისა და პერიოდული პრესის ჩატარებული ანალიზი გვიჩვენებს, რომ კვლევათა მონაცემები, მნიშვნელოვანწილად განპირობებულია სამეცნიერო-ტექნოლოგიური რევოლუციის

²³Зибер У. Международная книга по компьютерной преступности. Чачестер, 1986.

²⁴Paul Jones "Computer Crimes" magazine computer word #1992p.12.

სწრაფი განვითარების პროცესით. ამ რევოლუციამ, ისევე, როგორც სხვა მისმა წინამორბედმა რევოლუციებმა, საზოგადოების ისტორიაში (აგრარული და სამრეწველო) გამოიწვია სერიოზული სოციალური ცვლილებები, რომელთა შორისაც ყველაზე მნიშვნელოვანია საზოგადოებრივ ურთიერთობათა ახალი სახის და საზოგადოებრიობის ახალი რესურსის - ინფორმაციის წარმოშობა. ეს უკანასკნელი განსხვავდება ადრე ცნობილი რესურსებისაგან მთელი რიგი თავისებურებით, კერძოდ:

1. ის განიცდის არა ფიზიკურ, არამედ – მორალურ ცვეთას;
2. თავიანთი არსით ის არამატერიალურია;

3. მისი გამოყენება იძლევა საშუალებას, მკვეთრად შემცირდეს დანარჩენი რესურსების გამოყენება, რასაც, საბოლოო ჯამში, მიყვავართ საშუალებათა კოლოსალურ ეკონომიამდე.

4. მისი შექმნისა და გამოყენების პროცესი ხორციელდება განსაკუთრებული ხერხით - კომპიუტერული ტექნიკის მეშვეობით. ინფორმაცია თანამედროვე საზოგადოების ცხოვრებაში იქცა ამ საზოგადოების წევრთა მოღვაწეობის საგნად და პროდუქტად, მისი შექმნის, დაგროვების, შენახვის, გადაცემის პირველსაწყისად. ინფორმაციის გადამუშავების პროცესი, თავის მხრივ, ასტიმულირებს მისი წარმოების, პროგრესს ელექტრონულ-გამომთვლელი, ტელეკომუნიკაციისა და კავშირის სისტემას. ყოველივე ეს, ერთობლივად, შედის ახალი ტექნოლოგიის ცნებაში, რომელიც ინფორმაციული პროცესების მეთოდებისა და საშუალებების რეალიზაციის ერთობლიობას წარმოადგენს ადამიანის მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროში, ე.ი. ადამიანის ინფორმაციული მოღვაწეობის რეალიზაციის ხერხს, რომლის განხილვაც, აგრეთვე, შეიძლება, როგორც ინფორმაციული სისტემისა.²⁵ სხვა სიტყვებით – ინფორმაცია ხდება საზოგადოებრივ (ინფორმაციულ) ურთიერთობათა პროდუქტი, იწყებს საქონლის თვისებების შექმნას და იქცევა ყიდვა-გაყიდვის საგნად²⁶. საზოგადოებაში მიმდინარე ინფორმაციული პროცესების შედეგად წარმოიშობა ახალი სოციალური ურთიერთობები, ვითარდება და უკვე არსებული იცვლება. მაგალითად, ამჟამად შესაძლებელია იმ სახელშეკრულებო ურთიერთობათა მნიშვნელოვანი მოცულობის კონსტატირება, რომელიც უკავშირდება გადაცემების დამზადებას სხვადასხვა ფორმით: სამეცნიერო-ტექნიკური დოკუმენტაციის, მონაცემთა გარეშე პროგრამული უზრუნველყოფის, მონაცემთა ბაზის მართვის სისტემით და სხვა.²⁷ ამასთან დაკავშირებით, ახალმა ინფორმაციულმა ტექნოლოგიებმა ბიძგი მისცა არა მხოლოდ საზოგადოების პროგრესს, არამედ გახდა ადრე უცნობი, ნეგატიური პროცესების წარმოშობისა და განვითარების სტიმულატორი. მის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს დამნაშავეობის ახალ ფორმათა წარმოშობა, ასე, მაგალითად, რევოლუციამ ელექტრონიკის დარგში დამნაშავეების, მათი დაჯგუფებისა და გაერთიანებისათვის მისაწვდომი გახდა ტექნიკური საშუალებები, რომლებიც აძლევს მათ შესაძლებლობას, უკანონოდ მიითვისონ მილიონობით დოლარი, გადარიცხონ დანაშაულებრივი გზით მიღებული უზარმაზარი შემოსავლები, თავი აარიდონ გადასახადების გადახდას, გაატარონ დანაშაულის სხვადასხვა სახის მომზადების, ჩადენისა და დაფარვის პოლიტიკური ღონისძიებები.²⁸

საქართველოში უნდა იქნეს მიღებული ნორმატიული აქტები, რომლებიც მოაწესრიგებენ ინფორმაციული გაცვლისა და ინფორმაციის დამუშავების სფეროში წარმოშობილ ურთიერთობებს. ახალ ინფორმაციულ ტექნოლოგიათა გამოყენებისას სამართლებრივად უნდა მოწესრიგდეს სულ მცირე, საკითხთა შემდეგი წრე:

²⁵ **Стась Е.В.** Информатика и теория развития, Москва 1989г.

²⁶ **Карась И.В.** „Экономически и правовой режим информационных ресурсов“, МГУ, 1986 г. с. 40-41

²⁷ **Савельева И.В.** Правовая охрана программного обеспечения, МГУ, 1990 г. с. 9-10.

²⁸ გაეროს გენერალური მდივნის მოხსენება „ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობის ზემოქმედება მთელ საზოგადოებაზე“, ვენა, 15/1993/3.

◦ ინფორმაციული ტექნოლოგიის ძირითადი კომპონენტების, როგორც სამართლებრივი დაცვის ობიექტების, სამართლებრივი განსაზღვრა;

◦ ამ ობიექტების მესაკუთრეთა უფლებებისა და მოვალეობების დადგენა და განმტკიცება;

◦ ინფორმაციულ ტექნოლოგიათა ფუნქციონირების სამართლებრივი რეჟიმის განსაზღვრა;

◦ ინფორმაციისა და მონაცემთა საიდუმლოების კატეგორიის დადგენა;

◦ განსაზღვრულ სუბიექტთა მიერ ინფორმაციის კონკრეტული სახეობის დაუფლების კატეგორიის განსაზღვრა;

◦ ტერმინის – „კონფიდენციალური ინფორმაციის“ განმარტება, სამართლებრივი რეგულირების ფარგლები და, აგრეთვე, სხვადასხვა ფაქტორებისაგან მისი დაცვის ვალდებულების დაკისრება კონკრეტულ სუბიექტზე.

მიღებულ უნდა იქნეს სახელმწიფო პროგრამა საქართველოს საინფორმაციო საზოგადოებაში შესვლის შესახებ, რომლის ძირითადი მიმართულებები იქნება:

◦ ქვეყნის საინფორმაციო ინფრასტრუქტურის ფორმირება და განვითარება;

◦ საინფორმაციო ქსელებში ინფორმაციაზე უფლების რეალიზაცია;

◦ პიროვნების, საზოგადოების და სახელმწიფოს დაცვა უხარისხო და მცდარი ინფორმაციისა და დეზინფორმაციისაგან;

◦ ინფორმაციის, მათ შორის, პერსონალური მონაცემების დაცვა საინფორმაციო ქსელში;

◦ საინფორმაციო ტექნოლოგიების შესაძლებლობის გამოყენება შრომითი საქმიანობის ახალი ფორმების, განათლების და აღზრდის მიზნით;

◦ მომხმარებლის უფლებების დაცვა და კონკურენციის განვითარება ქსელებში;

◦ საინფორმაციო სფეროში (თითოეული) სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის რეალიზაცია;

◦ სტანდარტიზაცია როგორც ქსელებში შეთავსების საშუალება;

◦ საერთაშორისო თანამშრომლობა გლობალურ საინფორმაციო საზოგადოების ჩამოყალიბების პრობლემაზე;

◦ იმ პროგრამაზე სამუშაოების კოორდინაცია, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს შესვლას საინფორმაციო საზოგადოებაში.

ინფორმატიზაციის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის რეალიზაციაში უნდა მონაწილეობდნენ:

◦ საქართველოს პრეზიდენტი;

◦ საქართველოს პარლამენტი;

◦ საქართველოს მთავრობა;

◦ საქართველოს უშიშროების საბჭო;

◦ საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები;

◦ საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები;

◦ საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციები და სხვანი.

ეს იმ აუცილებელი მოქმედებების, გადასადგმელი ნაბიჯების და სამომავლო პროექტთა მოკლე ანალიზია, რომელიც ჩვენმა სახელმწიფომ უნდა აიღოს თავის თავზე, როგორც დადებითი ხასიათის ვალდებულებები და განსაზღვრული ისინი, კოორდინაცია გაუწიოს მათ, რათა ყოველივე სასურველ შედეგებამდე იქნეს მიყვანილი.

GIORGILANCHAVA
Member of the Georgian Bar Association
Advocate with General Specialization

COMPUTER CRIME

Introduction

Broad dissemination of the modern electronic computing machine (ECM) – the computer¹ in the public life has contributed to the basis of numerous positive developments. According to current projections, everyone will have an opportunity to use computers and the global network in the nearest future. This prognosis can be proven by factual trends. At present, the world's greatest global network is the internet² linking together over 150 million people in more than 130 countries of all the continents. The tempo of the growth of this indicator is 17% per month. However, the positive process is accompanied by the “other side of the story” which is the computer crime³.

Computer crime is frequently referred to as the crime of the 21st century⁴. The constantly growing number of this type of crime in the general criminal statistics and the enormous potential of computers indicate that current problems and threats are just the beginning. For instance, a new form of theft emerged – computer theft i.e. theft through the computer. Unfortunately, realization of political corruption, economic pressure, intervention in private life, terrorism and cyber-terrorism became possible through computers as well. “In 1998, terrorist organizations were running only as few as 12 web-sites on the internet⁵. At present, this number has increased up to 4800.”⁶ This negative trend significantly depends on the unimpaired development of the scientific-technical progress and the level of this type of crime is still growing along with the increasing tempo of computerization. Computer crime turned into one of the most dangerous crimes. According to the data of the United Nations, the damage caused by computer crime can already be compared to the income generated from the illegal trade with drugs and weapons. Material damage caused by this type of crime accounts to approximately USD 100 billion in United States only⁷. Moreover, the total volume of damage is not identified or not reported. Computer crime causes particular danger for the field of finance. Significant growth of this type of crime is noticeable in the banking sector. In addition, according to the statement of the UN Secretary General, criminal groups are illegally getting hold of millions of dollars using modern technology, “reviving” massive amounts of money in a criminal way, avoiding taxes and implementing complex activities for the purposes of crime planning, committing and covering⁸.

The area of computer crime activity is referred to as the cyberspace and computer crime is called cybercrime. The element of the word “cyber” derives from the word “cybernetic” [Greek kybernetike [techne] the art of managing]. This is a science studying acquisition, storage and transfer of information by machines and living organisms and usage of this information for management purposes. This field of science was founded

¹Computer is an English word and means calculating.

²Internet is a “worldwide network”, a publicly accessible series of interconnected computer networks.

<http://en.wikipedia.org/wiki/Internet>

³www.crime-research.org

⁴www.crime-research.org

⁵Website or simply a site – one or more websites accessible on the internet via http/https protocols.

⁶April 5, 2007, newspaper “Respublika”. Interview with Ivan Iunkin, KGB Major-General on reserve, Head off the Anti-terrorist Department of the CIS Executive Council for the cooperation for security and resistance to new threats and challenges.

⁷www.crime-research.org

⁸Impact of organized crime on the society at large: Report of the UN Secretary General // UNO Criminal Justice and Crime Prevention Commission. Vienna, April 13-23 E/CN. 15/1993/3

by the American scientist N. Wiener (Wiener, 1894-1964) in the late 40-ies. This term, however, was first used by Plato, most likely in order to refer to the art of managing ships or carriages. Later, the term was introduced by Norbert Wiener with its modern meaning and he is considered founder of cybernetics as a separate and independent field of science.

Computer systems have growing influence over public life. Therefore, ECM system or ECM network failure may cause catastrophic outcomes especially for the reason that on this stage of the evolution of humanity ECM systems are used in the human life and important fields such as: security of individual countries and international security, defense and security of countries, medicine, research and exploration of the space and etc.

Every day, greatest values are being stored and transferred through computers and related networks in the world. Solely the US financial industry implements transactions⁹ of dozens of billions of dollars per day¹⁰. Furthermore, information concerning medicine, insurance, scientific research, violation of the law and order and state secret are stored in the computer networks. At present, in the circumstances of globalization and global civilization, there is no field of human activity on the planet which would not be in need of the cyberspace and the integral part of cyber technology – the computer. Therefore, a significant place is devoted to the fight against cybercrime in the legislations of all developed and developing countries worldwide. They determine criminal liability for all relevant actions as possible. In this view, the Cybercrime Act of Australia should be emphasized (*The Cybercrime Act 2001 of Australia* – No. 161, 2001) clearly demonstrating as to how many provisions are written scrupulously, how they develop in time and etc. The above mentioned act is entitled as follows: “*An act to amend the law relating to computer offences and for other purposes*”¹¹.

In addition, questions of general nature must be formulated and set in a correct way, in particular with regard to legal issues, such as terrorism¹². Due to its “close relation” with the discussed topic, it is referred to as cyber terrorism¹³. At present, it covers almost all terrorist activities. It is interesting as to how perfect and adequate in terms of reality the existing legislation on combating crime in the area of information technology is. Each question gains more importance as the entire civilization has begun a severe fight throughout the world against the universal and morbid crime such as terrorism. Currently, the world faces this problem more critically than ever before. “Terrorism is the cholera which the world needs to be cured from now and forever. Fighting terrorism is the struggle between the good and the evil, freedom and slavery, life and death, justice and injustice, this is the greatest mission of our generation”¹⁴. Today, terrorism still manages to exist and is rather powerful and dangerous, and there is cyber terrorism being one of its varieties.

Computer Crime in Georgia

After Georgia gained independence, the first Criminal Code was adopted on July 22nd, 1999. Under article 415 of this Code, the Code itself was enacted on February 15th, 2000 save articles 44, 47 and chapter XXXIII. The new Criminal Code adopted by the independent Parliament of Georgia, contained three provisions in the chapter XXXV of the section 9 of the General Part; these are: articles 284, 285 and 286. According to the public information issued by the Ministry of Justice of Georgia, during the timeframe of 1999 through the

⁹www.cibercrime.gov

¹⁰Transaction – a bank operation implying transfer of money from one account to another.

¹¹See: The Cybercrime Act 2001 of Australia – No. 161, 2001.

¹²Terrorism – use of violence to achieve political goals. Armed attacks intended to create fear and blackmail rather than cause strategic damage. In particular, terrorist acts may be intended against persons which have nothing in common with the political position of the terrorists.

¹³Cyber terrorism – computerized attacks on key elements of the information infrastructure intended to cause maximal damage in order to revenge on political or class rivals through computer violence.

¹⁴Speech of the President of the United States, George W. Bush, see: www.cnn.com

first quarter of 2008 following amendments to these articles were made: 1) The law of Georgia No.292 of May 5, 2000 – SSM I, 2000., No.18, article 45; 2) The law of Georgia No.458 of June 30, 2000 – SSM I, 2000., No.27, article 83; 3) The law of Georgia No. 2937 of April 28, 2006 – SSM I, 2006., No. 14, article 90; 4) The law of Georgia No. 5940 of March 19, 2008 – SSM I, 2008., No.8, article 47¹⁵; and on July 25, 2006, article 324¹ – “Cyber Terrorism” was added to the chapter XXXVII (Terrorism) of the Code through the law of Georgia No. 3530 – SSM I, 2006., No.19, article 87. Based on the public information issued by the Prosecutor General’s Office, according to statistical data, since 2001 through 2008, 6 computer crimes were registered (one of them is a crime defined by the article 285 of the Criminal Code and five – by the article 284) (two of them were resolved, (article 284 of the Criminal Code)). Unfortunately, there is no special department¹⁶ under the Prosecutor General or its division designated to investigate crimes defined by the chapter XXXV of the Criminal Code of Georgia. Moreover, according to the incomplete statistical information provided by the Prosecutor General’s Office, the trend of dynamic growth of computer crime is clearly visible. Furthermore, according to the public information issued by the Supreme Court of Georgia, computer crime is not separated in the acting forms of institutional statistical monitoring of the Georgian judiciary. Statistical data on the criminal cases filed and decided by the first instance courts of Georgia (since 2002 up to date) is the following: 1 person was sentenced for committing a crime under the chapter XXXV of the Criminal Code of Georgia (part II of article 284) (the case was tried in 2004). Please see appendix for additional information¹⁷.

Incrimination of offences such as the computer crime was for the first time incorporated in the new Criminal Code enacted on July 22, 1999. Chapter XXXV and article 324¹ of the chapter XXXVIII as well as its provisions are the ones to fight computer crime and to generally regulate cybercrime in the information space currently existing in enormous volumes in Georgia.

It is a very positive development that the three articles mentioned above were incorporated in the new Criminal Code of Georgia enacted in 1999 and that later, one of the provisions was included in the Criminal Code of 2006 since innovative legislative initiatives that will harmonize the Georgian legislative basis with the international and European legislation and respond to the European standards existing in the legal regulation area of information technologies¹⁸ represent an essential need for the state. This will ensure that our legislation comes closer to the existing national as well as international legislation which is much more sophisticated and adequate in terms of fighting cybercrime both inside and outside the country as compared to our legislation in general and the criminal law in particular. Unlike the nearest past, the current political and legal situation in the country as well as in the Georgian criminal law, demonstrates achievements and positive developments that are generally attributable to the criminal science today. However, certainly this is not enough for the elimination and prevention of cyber crime.

In addition, the new initiative and decree by the President of Georgia (Presidential Decree No.215 of March 28, 2008, Tbilisi on the “Signing of the Convention “On the Cyber Crime”¹⁹”) on the signing of the Convention “On Cyber Crime” adopted by the Council of Europe in Budapest on November 23, 2001 is rather encouraging. After the signing of the Convention by the President, it must be approved and ratified by the Parliament of Georgia. Implementation of the Convention as well as other essential legal documents in Georgia primarily depends on the governmental will and readiness for the above mentioned process. This will be another positive step towards harmonization of the Georgian legislation with the international and European legislation in particular in the field of cyber crime, seeing that:

¹⁵Ministry of Justice of Georgia, Department for Systematization of Normative Acts and Relations with Local Agencies, Response No.01/27/11-1418 to my letter of April 13, 2008.

¹⁶Prosecutor General’s Office of Georgia, Organizational and Analytical Department, Response No. g13062008/57 to my letter of June 4, 2008.

¹⁷Supreme Court of Georgia, Department of Court Statistics and Informatisation, Response No. 25-5 to my letter of May 21, 2008.

¹⁸Information technology is a technology necessary for information processing. In particular, it uses computer hardware, computer software for data collection, storage, transformation and transfer. *see*: <http://en.wikipedia.org>

*The member States of the Council of Europe and the other States signatory hereto,
Considering that the aim of the Council of Europe is to achieve a greater unity between its members;
Recognizing the value of fostering co-operation with the other States parties to this Convention;
Convinced of the need to pursue, as a matter of priority, a common criminal policy aimed at the protection of society against cybercrime, inter alia, by adopting appropriate legislation and fostering international co-operation;
Conscious of the profound changes brought about by the digitalization, convergence and continuing globalization of computer networks;
Concerned by the risk that computer networks and electronic information may also be used for committing criminal offences and that evidence relating to such offences may be stored and transferred by these networks;
Recognizing the need for co-operation between States and private industry in combating cybercrime and the need to protect legitimate interests in the use and development of information technologies;
Believing that an effective fight against cybercrime requires increased, rapid and well-functioning international co-operation in criminal matters;
Convinced that the present Convention is necessary to deter action directed against the confidentiality, integrity and availability of computer systems, networks and computer data as well as the misuse of such systems, networks and data by providing for the criminalization of such conduct, as described in this Convention, and the adoption of powers sufficient for effectively combating such criminal offences, by facilitating their detection, investigation and prosecution at both the domestic and international levels and by providing arrangements for fast and reliable international co-operation;
Mindful of the need to ensure a proper balance between the interests of law enforcement and respect for fundamental human rights as enshrined in the 1950 Council of Europe Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms, the 1966 United Nations International Covenant on Civil and Political Rights and other applicable international human rights treaties, which reaffirm the right of everyone to hold opinions without interference, as well as the right to freedom of expression, including the freedom to seek, receive, and impart information and ideas of all kinds, regardless of frontiers, and the rights concerning the respect for privacy;
Mindful also of the right to the protection of personal data, as conferred, for example, by the 1981 Council of Europe Convention for the Protection of Individuals with regard to Automatic Processing of Personal Data;
Considering the 1989 United Nations Convention on the Rights of the Child and the 1999 International Labor Organization Worst Forms of Child Labor Convention;
Taking into account the existing Council of Europe conventions on co-operation in the penal field, as well as similar treaties which exist between Council of Europe member States and other States, and stressing that the present Convention is intended to supplement those conventions in order to make criminal investigations and proceedings concerning criminal offences related to computer systems and data more effective and to enable the collection of evidence in electronic form of a criminal offence;
Welcoming recent developments which further advance international understanding and co-operation in combating cybercrime, including action taken by the United Nations, the OECD, the European Union and the G8;
Recalling Committee of Ministers Recommendations No. R (85) 10 concerning the practical application of the European Convention on Mutual Assistance in Criminal Matters in respect of letters rogatory for the interception of telecommunications, No. R (88) 2 on piracy in the field of copyright and neighboring rights, No. R (87) 15 regulating the use of personal data in the police sector, No. R (95) 4 on the protection of personal data in the area of telecommunication services, with particular reference to telephone services, as well as No. R (89) 9 on computer-related crime providing guidelines for national*

legislatures concerning the definition of certain computer crimes and No. R (95) 13 concerning problems of criminal procedural law connected with information technology;

Having regard to Resolution No. 1 adopted by the European Ministers of Justice at their 21st Conference (Prague, 10 and 11 June 1997), which recommended that the Committee of Ministers support the work on cybercrime carried out by the European Committee on Crime Problems (CDPC) in order to bring domestic criminal law provisions closer to each other and enable the use of effective means of investigation into such offences, as well as to Resolution No. 3 adopted at the 23rd Conference of the European Ministers of Justice (London, 8 and 9 June 2000), which encouraged the negotiating parties to pursue their efforts with a view to finding appropriate solutions to enable the largest possible number of States to become parties to the Convention and acknowledged the need for a swift and efficient system of international co-operation, which duly takes into account the specific requirements of the fight against cybercrime;²⁰

In this regard, very little is achieved and a lot more is to be done in Georgia. Capacity of information technologies in the development of a country is considered key for the creation of a highly industrial society in the 21st century. Based on the political and economic achievements of the present government, outcomes of its development are certainly encouraging on the one hand. On the other hand, they are alarming, since, today it is already obvious that there is a need to ensure elementary governmental resistance to cybercrime in a very limited timeframe. A much more sophisticated legislation is needed as compared to the existing laws as the tempo of the development of the legislation in the field of computerization progress and information technologies in Georgia amounts to 50/1% in favor of the computerization progress. Legislative initiatives are needed that would encourage improvement of the Georgian legislative basis and would respond to international legal regulation standards for computer information issues. For instance, in developing provisions of the chapter XXXV of the Criminal Code of Georgia, the legislature uses the only acceptable blanket tool for the description of dispositions of the articles, however this tool failed to define dispositions of the articles of the Criminal Code full of specific terminology (computer information, liquidation, blocking, modification, and/or ECM failure, ECM system or network failure, ECM program, ECM program application and etc.). Dispositions of the articles 284-286 are very scarce, outdated and underdeveloped in terms of criminal law. They are of a conventional nature which on the other hand misleads authorized agencies and their leadership in combating computer crime and in forming adequate legal views for the current reality.

The reality and relevance of legal provisions is determined by the correlation between the needs of the development of the society, theoretical views and visions and the law enforcement process. Existence of numerous deficiencies in the provisions related to computer crime provides grounds for its perception as a fiction, i.e. a provision that does not comply with the reality, time and current needs of the development of the society.

Computer Crime on the International Level

In the 70-ies computer crime got into the area of social interest and control. Since 1950, numerous acts of this nature were uncovered in the United States. At that time, this occurrence has gained attention by the criminal justice and legal scholars. Intensive research activities were launched both on the national and international levels. The first man, who used the electronic computing machine in the tax area for committing an offense with a value of USD 620.000 was Alfonse Confessore. He was brought before the American court for this offence in 1969. The later history of computer crime is diverse and involves many countries of the world:

¹⁹See: Presidential Decree No.215 of March 28, 2008, Tbilisi on the "Signing of the Convention "On Cyber Crime", March 28, 2008, Tbilisi

²⁰"Convention on Cybercrime", Preamble (Budapest, November 23, 2001)

In the late 70-ies, 10.2 million dollars were stolen from the “Security Pacific Bank”; 1979 – the first computer crime in the post Soviet Union was discovered in Vilnius (Lithuania) and represented theft of 78.584 rubles. 1984 – the announcement on the first “computer virus” in the world; 1985 – failure of the electronic voting system in the United States Congress due to a “virus”; 1987-88 – emergence of the first “computer virus” in the post Soviet Union; 1989 – blocking of 6000 electronic computing machines of the Pentagon²¹ by an American student. 1992 – intentional malfunction of the automatic management system of the reactors of the Ingalski nuclear electric station; 1993 – unfinished electronic fraud in the Russian Central Bank in the amount of 68 billion rubles; 1995 – attempted theft of 2.8 million US dollars from the City Bank by a Russian engineer and etc. At first, law enforcement agencies having to deal with computer crime, tried to fight it in a traditional way such as fighting theft, fraud, trust abuse and etc, this attitude, however, turned out to be completely inefficient due to a simple reason that traditional elements of crime could not cover a range of computer crimes. For instance, transfer of money from one account to another though “lye”. This crime could not be qualified neither as theft, or fraud. In the first case, there is no subject of theft – “a material item”, (here, the money is not an item but information stored on a computer carrier). In the second case, computer fraud is possible in reality as say “lying” to a safe key. In addition, without damaging material elements of the computer system, liquidation of an information element could not be qualified as property damage or liquidation even if such an action had caused significant material damage. Incompliance of the criminal reality and criminal provisions has caused emergence of the improvement of the legislation on the agenda. The improvement has basically started in two directions: 1. broader definition of existing criminal provisions and 2. adoption of new provisions related to computer crime. The first direction was placed in a certain framework; in order to avoid encouragement of illegality, it is inadmissible to overstep this framework. Therefore, European countries have preferred to develop specific provisions on computer crime. Sweden was the first country to adopt a law against computer crime in 1973. Provisions related to combating computer crime and potential prevention were adopted relatively later, however, they were adopted by Great Britain, Austria, Denmark, France, United States, Canada, Australia and other countries.

The concept of computer crime emerged as well. For instance, in 1983 in Paris, an expert group of the organization for economic cooperation has created the criminal computer crime concept as an unethical and unlicensed action in any area of data processing and transfer²². Various computer crime groups were identified: computer crime in the field of economics, computer crime in the field of personal rights and inviolability, computer crime against public and state interest and etc.

As mentioned above, computer fraud, offences related to bank accounts existing on computer carriers, software theft, computer “hacking”, illegal usage of computer services, theft of computer time and etc. are widely disseminated in the modern Europe and the United States and represent the essential elements of computer crime²³.

Conclusion

It is shown in the thesis as to how imperfect legislation or absence of legislation as such in the field of information technologies can cause terrifying outcomes. Furthermore, it highlights the types of political, civil, social-economic and legal damage computer crime and the failure of its proper control, deterioration or absence of control can cause to Georgia and the rest of the world in the modern reality. The thesis shows what is necessary for the improvement of the legislation in order to ensure better protection of the fundamental rights and freedoms of citizens of Georgia and persons residing in Georgia. These are human rights determined

²¹Pentagon – a five-sided polygon building (near Washington D.C.). The Pentagon is the headquarters of the United States Department of Defense

²²Criminal Law of the Russian Federation. Special Part. Manual for Law Schools (Edited by B.V. Zdravomislova), M., 1996, p.347

²³Ziber U. International Manual on Computer Crime. Chachester, 1986

and expressly protected by the Constitution and other laws of Georgia on the one hand and international documents on fundamental human rights and freedoms on the other guaranteeing them on the international level.

By introducing criminal liability for computer crime in Georgia, the criminal legislation comes in compliance with universally acknowledged norms of international law. This necessarily causes adoption of a new criminal procedure legislation regulating any possible investigation activities, mechanisms for their implementation in fighting the new type of crime and certainly requires proper criminalist processing in the field of computer technology methodology, tactics, forensics, which will also be focused on the scientific processing of the computer crime problem.

Incorporation of computer crime in the Criminal Code by the legislature is a significant achievement itself, however fighting this kind of crime, imposing real liability must be considered priority as opposed to the existence of “dead” articles. Provisions included in the chapters on “computer crime” and “terrorism” will create numerous problems for the law enforcement. In order to avoid these problems it is important to determine as to what should we be protecting – informational communications in general or property right on computer information? This issue too is a subject of scientific debate. Identification of the causes for the birth and development of computer crime requires analysis of the current situation affecting social-economic and legal development of the Georgian society.

Studies conducted in the western countries on the computer crime problem identified that its emergence and gradual growth is encouraged by political, social-economic and legal factors²⁴. Analysis of legal literature and periodicals demonstrates that the data of the studies are basically a result of the rapid development process of the scientific-technological revolution. This revolution as well as other preceding revolutions has caused significant social changes in the history of the society (agricultural and industrial) the most important among which is the birth of the new kind of public relations and new public resource – the information. The information is different from the other resources known in the past with a number of features:

1. it is subject to moral rather than physical depreciation;
 2. it is immaterial in their nature;
 3. its usage enables significant reduction of the use of other resources which in the end will result in an enormous saving of assets.
 4. the process of its creation and usage is implemented in a special way – using computer technology.
- In the life of the modern society information turned into an object and product of the activities by the members of the society and the society – into a starting place for its creation, gathering, storage and transfer. The information processing process stimulates progress of its production, and the electronic-computing, telecommunication and communication systems. All of the above is part of the concept of the new technology representing a totality of the realization of the informational process methods and remedies in the diverse fields of human activity i.e. a tool for the realization of informational activities that may also be viewed as an information system²⁵. In other words – information turns into a product of public (informational) communication and starts gaining features of a product and becomes an object of sale²⁶. As a result of informational processes underway in the society, new social relations are born and developed and existing relations change. For instance, it is now possible to approve a significant amount of contractual relationships related to data transfer in other forms: scientific-technical documents, software without data, database management system and etc.²⁷ In this regard, new information technologies have encouraged not only public progress, but they also became a stimulator for the emergence and development of unknown and negative processes. Emergence of new types of crime is one of its forms. For instance, the revolution in the

²⁴Paul Jones, “Computer Crimes” magazine computer world No.1992, p.12.

²⁵Stas E.V. Informatics and Development Theory, Moscow 1989.

²⁶Karas I.V. Economical and Legal Regime of the Information Resources, MSU, 1986, pp.40-41.

²⁷Savelieva I.V. Legal Protection of Software, MSU, 1990 pp. 9-10.

electronic field made technical facilities available to criminals, criminal groups and unions enabling them to illegally get hold of millions of dollars, transfer enormous incomes generated from criminal activity, avoid payment of taxes, prepare, commit and cover crimes²⁸.

Legal provisions must be adopted in Georgia regulating relations in the field of information exchange and processing. In using modern information technologies following issues at least must be legally regulated:

- legal definition of basic components of information technologies as objects of legal protection;
- definition and stipulation of the rights and obligations of the owners of these objects;
- determination of the legal regime of the functioning of information technologies;
- identification of the category of information and data secrecy;
- identification of user category authorized to access specific kind of information;
- definition of the term “confidential information”, determination of the legal regulation framework and imposition of the obligation to protect it from various factors on a specific entity.

A state program on the access of Georgia to the information society must be created the main directions of which should be the following:

- creation and development of the information infrastructure of the country;
- realization of the right to information access in the information networks;
- protection of individuals, the society and the state from false and poor quality information as well as disinformation;
- protection of information including personal data in the information network;
- usage of the capacity of the information technologies for a new form of employment, teaching and education;
- protection of users’ rights and development of competition in the networks;
- realization of the liability for every offense in the information area;
- standardization, as a tool for combination within the networks;
- international cooperation with regard to the problem of the formation of a global information society;
- coordination of activities on the program anticipating Georgia’s access to the information society.

Following players should be participating in the implementation of state policy in the field of informatisation:

- President of Georgia;
- Parliament of Georgia;
- Government of Georgia;
- Security Council of Georgia;
- Agencies of the executive branch of the Government of Georgia;
- Local self-governance agencies of Georgia;
- Non-governmental organizations of Georgia and others.

This is a brief analysis of the necessary actions, steps to be taken and future projects that Georgia must undertake as positive obligations and implement and coordinate them in order to achieve desired results.

²⁸Statement of the UN Secretary General “Impact of Organized Crime on the Society at Large”, Vienna, 15/1993/3

ღაზით სუსიტაშვილი

სამართლის დოქტორი

თია სუსიტაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული

ფაკულტეტის დოქტორანტი

სამოქალაქო ნორმების მოქმედება დროში

ზოგადი დებულებები

სამოქალაქო ურთიერთობების განვითარების კვალობაზე პერიოდულად იცვლება კანონმდებლობაც. ადრე მოქმედი ნორმები კარგავს ძალას და მათ ადგილს ახალი ნორმები იკავებს. მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულში და ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში საქართველოში თავი იჩინა სრულიად ახალმა ურთიერთობებმა. ამ ურთიერთობების მოწესრიგების აუცილებლობამ კი განაპირობა ახალი სამართლებრივი აქტების მიღება, რამაც თავისი დადებითი კვალი სამოქალაქო სამართალსაც დააჩნია. ერთ-ერთ ასეთ სიანხლეს საქართველოს 1997 წლის სამოქალაქო კოდექსი წარმოადგენს.

საზოგადოებრივი ურთიერთობების მოსაწესრიგებლად ახალი ნორმების შემოღებასთან დაკავშირებით დიდი მნიშვნელობა აქვს იმის ზუსტ განსაზღვრას, თუ როდის შემოდის ესა თუ ის სამართლებრივი აქტი სამოქმედოდ და როდის კარგავს იგი ძალას. სამართალურთიერთობის სუბიექტებს მხოლოდ მას შემდეგ ექნებათ შესაძლებლობა, სწორად და დროულად იხელმძღვანელონ ახალი ნორმატიული აქტით, როცა ისინი გაეცნობიან მას. ეს კი სამართლებრივი ნორმის სათანადო წესით გამოქვეყნების შემდეგ იქნება შესაძლებელი. სამართალურთიერთობის სუბიექტებსაც მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება დაეკისროთ ახალი ნორმების მოთხოვნათა შესრულება.

სამოქალაქო კანონების მოქმედება დროში, ისევე, როგორც ზოგადად ნორმატიული აქტების მოქმედება დროში, არის ხანგრძლივობა ნორმის სამოქმედოდ შემოღებიდან მის ძალადაკარგულად ცნობამდე. სამოქალაქო კანონმდებლობის სამოქმედოდ შემოღებისა და ძალადაკარგულად ცნობის წესს ადგენს საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს 1996 წლის 29 ოქტომბრის კანონი ნორმატიული აქტების შესახებ და, რაღა თქმა უნდა, თვით სამოქალაქო კოდექსი. არსებობს სამართლებრივი აქტის სამოქმედოდ შემოღების რამდენიმე წესი. ყველაზე უფრო გავრცელებულია წესი, რომლის მიხედვითაც, კანონი ძალაში შედის მასში მითითებულ დღეს. მაგალითად, საქართველოს 1997 წლის 26 ივნისის სამოქალაქო კოდექსის 1504-ე მუხლის ძალით იგი ამოქმედდა 1997 წლის 25 ნოემბრიდან. ხშირად შეიძლება კანონში არც იყოს მითითებული მისი სამოქმედოდ შემოღების კალენდარულ დღეზე და მითითებული იყოს, რომ სამოქმედოდ შემოღებული იყოს „გამოქვეყნებისთანავე“, რაც ნიშნავს, რომ იგი ამოქმედდება გამოქვეყნების დღეს 24 საათზე.

მაგრამ სამართლებრივი აქტების სამოქმედოდ შემოღების ასეთი კონკრეტული ვადები ყოველთვის არ არის მითითებული. ასეთ შემთხვევაში ნორმატიული აქტის სამოქმედოდ შემოღების ვადა მის გამოქვეყნებასთან არის დაკავშირებული. კონსტიტუციის 68-ე და, ნორმატიული აქტების შესახებ, კანონის 42-ე მუხლში მითითებულია, რომ „საქართველოს

საკანონმდებლო აქტი ძალაში შედის მისი ოფიციალურ ორგანოში გამოქვეყნებიდან მეთხუთმეტე დღეს.“ ნორმატიული აქტის ოფიციალურ ორგანოში გამოქვეყნებად ითვლება მისი სრული ტექსტის პირველი გამოქვეყნება „საქართველოს კანონმდებლობის მაცნეში“, ხოლო პარლამენტის მიერ მიღებული ნორმატიული აქტებისა – „საქართველოს პარლამენტის უწყებებში“. ნორმატიული აქტის ოფიციალურ ორგანოში გამოქვეყნებამდე მისი სხვა რომელიმე ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნება არ შეიძლება. საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი ძალაში შედის ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში მისი გამოქვეყნების შემდეგ დეკრეტში მითითებული მომენტიდან, ხოლო პრეზიდენტის ბრძანებულება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე. საკანონმდებლო წესით დეტალურად არის მოწესრიგებული ასევე სხვა თანამდებობის პირებისა და ორგანოების მიერ გამოცემული ნორმატიული აქტების სამოქმედოდ შემოღების წესი.

ახალი ურთიერთობებისა და უფლება-მოვალეობების მოწესრიგება მოქმედი კოდექსით

დიდი პრაქტიკული მნიშვნელობის მქონეა საქართველოს მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლის მოთხოვნათაა სწორი გაგება და ეს გასაგებიცაა – ის ეხება როგორც მოქმედი კოდექსის სამოქმედოდ შემოღებამდე, ისე, კოდექსის სამოქმედოდ შემოღების შემდეგ წარმოშობილ ურთიერთობებსა და უფლება-მოვალეობებს.

სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლის პირველი ნაწილი აზუსტებს ამავე კოდექსის 1504-ე მუხლით დადგენილ წესს და აღნიშნავს, რომ სამოქალაქო კოდექსი ვრცელდება მხოლოდ იმ ურთიერთობებზე, რომლებიც წარმოიშობა ამ კოდექსის ამოქმედების შემდეგ, ანუ 1997 წლის 25 ნოემბრის შემდეგ წარმოშობილ ურთიერთობებზე. ეს დებულება ლოგიკური გაგრძელებაა საყოველთაოდ აღიარებული პრინციპისა, რომ კანონებსა და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს არა აქვს უკუქცევითი ძალა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს პირდაპირ არის კანონით გათვალისწინებული.

მართალია, მოქმედი სამოქალაქო კოდექსი უპირველესად ვრცელდება იმ ურთიერთობებზე, რომლებიც მისი ამოქმედების შემდეგ წარმოიშობა, მაგრამ საქართველოს 1997 წლის სამოქალაქო კოდექსის დროში მოქმედების ფარგლები ამით არ ამოიწურება. სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, მოქმედი სამოქალაქო კოდექსის ნორმები გამოიყენება მაშინაც, როცა ურთიერთობები წარმოშობილია ამ კოდექსის ამოქმედებამდე, მაგრამ უფლებები და მოვალეობები 1997 წლის 25 ნოემბრის შემდეგაა წარმოშობილი. კერძოდ, მასში ნათქვამია, რომ „იმ ურთიერთობათა მიმართ, რომლებიც წარმოიშვა სამოქალაქო კოდექსის ძალაში შესვლამდე, ამ კოდექსის ნორმები გამოიყენება 1997 წლის 25 ნოემბრიდან წარმოშობილი უფლებებისა და მოვალეობების მიმართ“.

სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლის მეორე ნაწილის გამოყენებისათვის აუცილებელია, რომ ურთიერთობა წარმოშობილი იყოს ძალადაკარგული ნორმატიული აქტის საფუძველზე 1997 წლის 25 ნოემბრამდე, ხოლო უფლებები და მოვალეობები წარმოშობილი უნდა იყოს 1997 წლის 25 ნოემბრის შემდეგ და ეს ურთიერთობა უნდა წესრიგდებოდეს მოქმედი სამოქალაქო კოდექსითაც. წინააღმდეგ შემთხვევაში, როცა ძალადაკარგული ნორმატიული აქტის საფუძველზე წარმოშობილი ურთიერთობით გათვალისწინებულ უფლება-მოვალეობებს მოქმედი კოდექსი აღარ აწესრიგებს, საქმე გვექნება ამავე ნორმის შესაბამის ნაწილის პირველი წინადადებით გათვალისწინებულ შედეგთან ანუ ეს ურთიერთობა მოწესრიგდება ძალადაკარგული ნორმატიული აქტით.

კანონის ამგვარი მოთხოვნა შემთხვევითი არ არის. ცნობილია, რომ კერძო სამართალი და, უპირველესად, სამოქალაქო სამართალი უფრო მდგრადი და სტაბილურია. მთელი რიგი სამოქალაქო სამართალურთიერთობები საუკუნეების მანძილზე ერთნაირად წესრიგდებოდა. გამონაკლისი არც 1997 წლის სამოქალაქო კოდექსია. მას ბევრი საერთო აქვს 1964 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსთან. ძველი კოდექსით მოწესრიგებულ სამოქალაქო ურთიერთობებს ახალი კოდექსიც ითვალისწინებს, თუმცა, ახალი საზოგადოებრივ-ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით, შემოაქვს განსხვავებული ან სრულიად ახალი უფლებები და მოვალეობები. ძალადაკარგულ და მოქმედ სამოქალაქო კოდექსში **მრავლადაა ისეთი** ნორმებიც, რომლებიც ანალოგიურად აწესრიგებენ ამა თუ იმ ურთიერთობებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება მოხდეს ისე, რომ 1997 წლის 25 ნოემბრამდე წარმოშობილი ურთიერთობებით გათვალისწინებულ უფლება-მოვალეობებს, რომლებიც 1997 წლის 25 ნოემბრის შემდეგ წარმოიშვა, მოქმედი სამოქალაქო კოდექსი აწესრიგებდეს 1964 წლის კოდექსის **ანალოგიურად, განსხვავებულად ან ამ ურთიერთობის საფუძველზე შემოქმონდეს სრულიად ახალი უფლებები და მოვალეობები**. ამიტომ ბუნებრივად იბადება კითხვა? კოდექსის 1507-ე მუხლის მეორე ნაწილის მოთხოვნა გავავრცელოთ თუ არა დასახელებულ სამივე შემთხვევაზე.

მართალია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლი ამ საკითხთან დაკავშირებით ამომწურავ პასუხს არ იძლევა, მაგრამ ლოგიკურად უნდა დავასკვნათ, რომ კოდექსის 1507-ე მუხლის მეორე ნაწილი უნდა გამოვიყენოთ მაშინ, როცა ძალადაკარგული ნორმატიული აქტის საფუძველზე წარმოშობილი ურთიერთობით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები წარმოიშობა მოქმედი სამოქალაქო კოდექსის სამოქმედოდ შემოღების შემდეგ და როცა ამ უფლება-მოვალეობებს ახალი კოდექსი აწესრიგებს ძალადაკარგული ნორმის ანალოგიურად ან განსხვავებულად. თვალსაჩინოებისათვის მოვიყვანოთ ორი მაგალითი:

მაგალითი 1:

1997 წლის 5 ნოემბერს მხარეებმა დადეს ნასყიდობის ხელშეკრულება გვაროვნულ მოძრავ ნივთზე. იმავე 1997 წლის 28 ნოემბერს მყიდველმა აღმოაჩინა, რომ ნივთი არ იყო სათანადო ხარისხის. გამყიდველმა მყიდველს უარი განუცხადა უხარისხო ნივთის ნივთობრივად უნაკლო ნივთით შეცვლაზე. დავის გადაწყვეტისას საჭიროა, სასამართლომ დადასტურებულად ცნოს, რომ მხარეთა შორის ურთიერთობა წარმოიშვა ძალადაკარგული – 1964 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსის საფუძველზე, ხოლო უხარისხო ნივთის შეცვლის უფლება მყიდველს მოქმედი სამოქალაქო კოდექსის სამოქმედოდ შემოღების შემდეგ წარმოეშვა. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 490-ე მუხლი სადავო ურთიერთობას 1964 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 243-ე მუხლის **ანალოგიურად** აწესრიგებს, სასამართლომ, მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამავე კოდექსით უნდა იხელმძღვანელოს.

მაგალითი 2:

1996 წლის მაისში მხარეებმა დადეს სესხის ხელშეკრულება ოთხი წლის ვადით. შესაბამისად, მხარეთა შორის ურთიერთობა კი წარმოიშვა 1996 წლის მაისში 1964 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსის საფუძველზე, მაგრამ უფლება-მოვალეობები წარმოიშვა უკვე მოქმედი სამოქალაქო კოდექსის დროს – 2000 წელს. საქართველოს 1964 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 225-ე მუხლის თანახმად, მოვალე, რომელიც გადააცილებდა ფულადი ვალდებულების შესრულების ვადას, უნდა გადაეხადა გადაცილებული დროის სარგებელი

ვადაგადაცილებული თანხის წლიური სამი პროცენტის ოდენობით. მოქმედმა სამოქალაქო კოდექსმა ამ საკითხის მოსაწესრიგებლად 1964 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსისაგან **განსხვავებული** წესი შემოიღო, რომლის მიხედვით, მოვალე, რომელიც ფულადი თანხის გადახდის ვადას გადააცილებს, ვალდებულია, გადაცილებული დროისათვის გადაიხადოს მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული პროცენტი (მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლი).

ამრიგად, იმის გათვალისწინებით, რომ ორივე კოდექსი ითვალისწინებს სასესხო ურთიერთობიდან წარმოშობილი ვალდებულების დროული შეუსრულებლობისათვის გარკვეულ პასუხისმგებლობას, ხოლო ეს უფლება-მოვალეობები წარმოშობილია 1997 წლის 25 ნოემბრის შემდეგ, ურთიერთობის მოსაწესრიგებლად გამოყენებულ უნდა იქნეს მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლის მე-2 ნაწილი იმის მიუხედავად, რომ ამ უფლება-მოვალეობებს ახალი კოდექსი **განსხვავებულად** აწესრიგებს. ჩვენ მიერ მეორე მაგალითში განხილულ ანალოგიურ შემთხვევებს პროფესორი ლ. ჭანტურია „ურთიერთობათა მოდიფიცირებას“ უწოდებს და შემდგომ ასკვნის, რომ „ამ მოდიფიცირებას შედეგად ახალი უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობა მოჰყვება, ამიტომ 1507-ე მუხლის თანახმად, მათ მიმართ გამოიყენება ახალი კოდექსი“¹.

ამრიგად, სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მოქმედი კოდექსი მაშინ გამოიყენება, როცა ძალადაკარგული ნორმატიული აქტის საფუძველზე 1997 წლის 25 ნოემბრამდე წარმოშობილი ურთიერთობით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები წარმოიშობა 1997 წლის 25 ნოემბრის შემდეგ და როცა ამ უფლება-მოვალეობებს ახალი კოდექსი აწესრიგებს ძალადაკარგული ნორმის **ანალოგიურად** ან **განსხვავებულად**, ანუ როცა ამ უფლება-მოვალეობებმა განიცადეს მოდიფიკაცია, მაგრამ არ შეცვლილა მათი არსი. შესაბამისად, ამ ნაწილში სრულიად ვეთანხმებით პროფესორ ლ. ჭანტურიას, მაგრამ იმ ნაწილში, რომ თითქოს მოდიფიკაციის შედეგად ახალი უფლებები და მოვალეობები წარმოიშობა და ამიტომ ამჯერადაც 1507-ე მუხლის მე-2 ნაწილით უნდა ვიხელმძღვანელოთ, ვერ დავეთანხმებით შემდეგ გარემოებათა გამო. ჯერ ერთი, „მოდიფიკაცია“ მისი ეტიმოლოგიური მნიშვნელობით საგნის მოვლენის ისეთ სახეცვლილებას გულისხმობს, როცა მისი არსი არ იცვლება და თუ არსი შეიცვალა, ანუ, თუ ჩვენს შემთხვევაში ახალი უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობა იქნა გათვალისწინებული ახალი კოდექსით, საქმე ახალ ურთიერთობასთან გვექნება და ასეთ შემთხვევაში უნდა ვიხელმძღვანელოთ 1507-ე მუხლის არა მეორე, არამედ – პირველი ნაწილით. ვფიქრობთ, ამ თვალსაზრისით სასამართლო პრაქტიკა სწორ გზას დაადგა. კერძოდ:

1996 წლის დეკემბერში მამამთილმა თავის რძალს (ვაჟიშვილის მეუღლეს) აჩუქა ოროთახიანი საცხოვრებელი ბინა. ორი წლის შემდეგ – 1998 წელს მამამთილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში და განმარტა, რომ მისი ვაჟიშვილი და რძალი განქორწინდნენ. რძალი მამამთილს აყენებს შეურაცხყოფას, იჩენს უმადურობას და შვილიშვილის სანახავადაც არ უშვებს მის მიერ ნაჩუქარ ბინაში, ამიტომ სამოქალაქო კოდექსის 529-ე მუხლით მოითხოვა ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა. თბილისის საოლქო სასამართლომ უარი უთხრა მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე იმ საფუძველით, რომ 1964 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსის საფუძველზე მხარეთა შორის წარმოშობილი ურთიერთობა (ჩუქების ხელშეკრულება) არ წარმოშობდა გაჩუქებული ნივთის უკან გამოთხოვის შესაძლებლობას, სამოქალაქო კოდექსის 1507 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ნაჩუქარი ნივთის უკან გამოთხოვის უფლება ხორციელდება მხოლოდ 1997 წლის 25 ნოემბრის შემდეგ წარმოშობილ ურთიერთობებზე.

¹საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, წიგნი მეხუთე, მთავარი რედაქტორი ლ. ჭანტურია, თბილისი. 2000 წელი, გვ. 535.

**შემთხვევები, როცა ძალადაკარგული ნორმატიული აქტით
უნდა ვიხელმძღვანელოთ**

სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლის მესამე ნაწილი რთული შემადგენლობისაა, რომლის მიხედვით: 1) სამოქალაქო კოდექსის ამოქმედების გამო ძალადაკარგული ნორმატიული აქტების საფუძველზე წარმოშობილი ურთიერთობების მიმართ გამოიყენება ძალადაკარგული ნორმატიული აქტი; 2) მხარეებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით ძალადაკარგული ნორმატიული აქტების ნაცვლად გამოიყენონ მოქმედი სამოქალაქო კოდექსი და 3) თუ სამოქალაქო კოდექსი უძრავი ნივთების შესახებ ახალ წესს ითვალისწინებს, გამოიყენება ახალი კოდექსი.

სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლის მესამე ნაწილის პირველი წინადადების მოთხოვნის სწორი გაგებისათვის, თუ როდის უნდა ვიხელმძღვანელოთ ძალადაკარგული ნორმატიული აქტით, საჭიროა ეს ურთიერთობა გავმიჯნოთ დასახელებული ნორმის მეორე ნაწილისაგან. როგორც უკვე ითქვა, სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლის მეორე ნაწილს მხედველობაში აქვს ისეთი შემთხვევა, როცა ძველი ურთიერთობებიდან წარმოშობილ უფლებებსა და მოვალეობებს მოქმედი კოდექსიც აწესრიგებს ანალოგიურად ან განსხვავებულად, მაშინ როდესაც დასახელებული ნორმის მესამე ნაწილს მხედველობაში აქვს ისეთი შემთხვევა, როცა მოქმედი კოდექსის ამოქმედებასთან დაკავშირებით ძველი კანონი ცხადდება ძალადაკარგულად, ხოლო ახალი კოდექსი ადრე წარმოშობილი ურთიერთობების მოწესრიგებას აღარ ითვალისწინებს. ამიტომ სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლის მესამე ნაწილის პირველი წინადადებით გათვალისწინებული მოთხოვნა ისე უნდა გავიგოთ – როცა ახალი კოდექსი ძველი ურთიერთობების მოწესრიგებელ ნორმას არ შეიცავს, ის უნდა მოწესრიგდეს იმავე კანონით, რომლის საფუძველზეც ის წარმოიშვა. დავის განხილვისას სასამართლოს სხვა არჩევანი არა აქვს.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით, საქართველოს 1997 წლის სამოქალაქო კოდექსმა ბევრ ისეთ ურთიერთობის მოწესრიგებაზე თქვა უარი, რომელიც საბჭოთა პერიოდში აქტიურ ურთიერთობად ითვლებოდა. ეს გასაგებიცაა, რადგან სოციალისტური სამართალურთიერთობები საბაზრო ეკონომიკის პირობებში ჯერ კიდევ 1997 წლის 25 ნოემბრამდე გაქრა, ამიტომ საქართველოს 1997 წლის სამოქალაქო კოდექსმა ამ ურთიერთობის მოწესრიგებელი ნორმატიული აქტები ძალადაკარგულად გამოაცხადა და უარი თქვა ამ ურთიერთობების მოწესრიგებაზე. ასე, მაგალითად, მოქმედმა სამოქალაქო კოდექსმა ძალადაკარგულად გამოაცხადა საქართველოს სსრ 1983 წლის საბინაო კოდექსი და უარი თქვა იმ ურთიერთობის მოწესრიგებაზე, რომელიც წარმოიშობოდა საბინაო კოდექსით, რაც სწორედ იმით იყო გამოწვეული, რომ საბინაო კოდექსით გათვალისწინებული ურთიერთობები დღეს საზოგადოებაში აღარ წარმოიშობა. შესაბამისად, საბინაო კოდექსის საფუძველზე 1997 წლის 25 ნოემბრამდე წარმოშობილი ურთიერთობები, თუკი ისინი ამა თუ იმ საფუძველით დღევანდლამდე არ შეწყვეტილა, სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, უნდა მოწესრიგდეს 1983 წლის საბინაო კოდექსით.

სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლის მესამე ნაწილი, გარდა საბინაო ურთიერთობებისა, უნდა ასევე გავრცელდეს საქართველოს სსრ 1964 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილით წარმოშობილ ურთიერთობებზეც, რომლის მიხედვით, „თუ ერთმა მხარემ მთლიანად ან ნაწილობრივ შეასრულა გარიგება, რომელიც სანოტარო წესით მოითხოვს დადასტურებას, ხოლო მეორე მხარე თავს არიდებს გარიგების სანოტარო წესით გაფორმებას, სასამართლოს შეუძლია იმ მხარის მოთხოვნით, რომელმაც გარიგება შეასრულა, ცნოს გარიგება დადებულიად“. იმის გათვალისწინებით, რომ მოქმედმა სამოქალაქო კოდექსმა ამ ურთიერთობათა წარმოშობა და მოწესრიგება აღარ გაითვალისწინა, 1997 წლის 25 ნოემბრამდე დადებული სახლის ნასყიდობის შინაურული ხელშეკრულებიდან წარმოშობილი დავა 1964

წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილით უნდა გადაწყდეს, რაც, სამწუხაროდ, პრაქტიკაში არ ხორციელდება და ასევე მოუწესრიგებელი რჩება 1997 წლის 25 ნოემბრის შემდეგ წარმოშობილი ეს ურთიერთობები. ვფიქრობთ, ამ მიმართებით დიდი გაუგებრობა გამოიწვია „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ“ 1998 წლის 25 ივნისის კანონმა, შემდგომი ცვლილებებითა და დამატებებით, რომელიც არსებითად ეწინააღმდეგება სამოქალაქო კოდექსით დამკვიდრებულ საკუთრების წარმოშობისა და შეწყვეტის ფუძემდებლურ პრინციპებს.

ამრიგად, იმისათვის, რომ სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ძალადაკარგული ნორმატიული აქტის საფუძველზე წარმოშობილი ურთიერთობის მიმართ იგივე ნორმატიული აქტი გამოვიყენოთ, საჭიროა ორი აუცილებელი პირობის არსებობა: 1) სადავო ურთიერთობა წარმოშობილი უნდა იყოს ძალადაკარგული ნორმატიული აქტის საფუძველზე 1997 წლის 25 ნოემბრამდე, ხოლო როდის წარმოიშობა უფლება-მოვალეობები – ძველი თუ ახალი სამოქალაქო კოდექსის მოქმედების პერიოდში – მნიშვნელობა არა აქვს; 2) ამ ურთიერთობის წარმოშობასა და მოწესრიგებას მოქმედი სამოქალაქო კოდექსი არ უნდა ითვალისწინებდეს. სხვა შემთხვევაში საქმე გვექნებოდა სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლის პირველ ან მეორე ნაწილთან.

ძალადაკარგული ნორმატიული აქტის გამოყენების მეორე შემთხვევასთან გვექნება საქმე, როცა ურთიერთობაც და უფლება-მოვალეობებიც 1997 წლის 25 ნოემბრამდე წარმოშობილი, მაგრამ მათი განხორციელება სადავო გახდა 1997 წლის კოდექსის მოქმედების პერიოდში. ამგვარი შემთხვევებში მირია სამემკვიდრეო დავის განხილვის დროს.

მ.კ-მ სარჩელი აღძრა სასამართლოში და განმარტა, რომ მისი პაპა გ.ი. გარდაიცვალა 1981 წელს. სამკვიდროს ფაქტობრივად დაეუფლა და განკარგავდა მამკვიდრებლის შვილი და მოსარჩელის დედა ე.კ. 1974 წელს ეს უკანასკნელი ისე გარდაიცვალა, რომ სამემკვიდრეო უფლების მოწმობა არ მიუღია. ამასთან დაკავშირებით მოსარჩელემ მოითხოვა მემკვიდრეობით სამკვიდრო ქონებაზე საკუთრების უფლების ცნობა.

რაიონულმა სასამართლომ და საოლქო სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილა 1997 წლის სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ საფუძვლიანად გააუქმა საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება და მიუთითა, რომ სამემკვიდრეო ურთიერთობა და უფლება-მოვალეობები წარმოშობილია 1997 წლის 25 ნოემბრამდე, ამიტომ სამემკვიდრეო დავის გადაწყვეტის დროს უნდა გამოიყენონ არა მოქმედი, არამედ 1964 წლის სამოქალაქო კოდექსი.

მოქმედი კოდექსის გამოყენება მხარეთა შეთანხმებით

სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლის მესამე ნაწილის მეორე პირობაა, რომ ძალადაკარგული ნორმატიული აქტის საფუძველზე წარმოშობილი ურთიერთობების მიმართ მხარეებს ურთიერთშეთანხმებით შეუძლიათ გამოიყენონ მოქმედი კოდექსი. ამ დებულების წინამძღვრები ამჯერადაც იგივეა, რაც დასახელებული ნორმის მესამე ნაწილის პირველი წინადადებითაა გათვალისწინებული, ანუ ურთიერთობა წარმოშობილი უნდა იყოს ძალადაკარგული ნორმატიული აქტის საფუძველზე, ხოლო მოქმედი სამოქალაქო კოდექსი ამ ურთიერთობების წარმოშობასა და მოწესრიგებას არ უნდა ითვალისწინებდეს.

წინამძღვართა ერთგვაროვნების მიუხედავად. სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლის მესამე ნაწილის პირველი და მეორე პირობა სხვადასხვა შედეგს ადგენს და ერთი შეხედვით იქმნება შთაბეჭდილება, რომ წინააღმდეგობასთან გვაქვს საქმე, მაგრამ ეს ასე არ არის. პირველ შემთხვევაში ძალადაკარგულ ნორმატიულ აქტს სასამართლო გამოიყენებს დავის გადაწყვეტისას,

რადგან მას არჩევანი არა აქვს მოქმედ კოდექსში ამ ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმების არარსებობის გამო, მეორე შემთხვევაში კი მხარეები სასამართლოს გარეშე, უდავო წესით, ურთიერთშეთანხმებით გამოიყენებენ მოქმედ კოდექსს.

მაგალითი:

1995 წელს მხარეებმა დადეს მარტივი წერილობითი ფორმით სახლის ნასყიდობის ხელშეკრულება. სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, ამ ხელშეკრულებიდან წარმოშობილი დავა ჩვეულებრივ 1964 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 47-ე მუხლის მეორე ნაწილით უნდა გადაწყდეს გარიგების დადებულად ცნობის შესახებ სასამართლოში სარჩელის აღძვრის საშუალებით, მაგრამ მხარეებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით გამოიყენონ მოქმედი კოდექსი და ნასყიდობის ხელშეკრულება დაამოწმონ სანოტარო წესით, ან სანოტარო წესით დამოწმების გარეშე მოახდინონ მისი რეგისტრაცია საჯარო რეესტრში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არასწორად მიგვაჩნია პროფესორ ლ. ჭანტურიას მტკიცება, რომ ასეთ შემთხვევაში, „თუ რომელი კანონი გამოიყენოს სასამართლომ“, მხარეთა ნებაზეა დამოკიდებული და ამიტომ მოსამართლემ უნდა ჰკითხოს მხარეებს, სურთ თუ არა მათ ახალი კანონის გამოყენება², მხარეებმა კიდეც რომ გამოხატონ ნება მოქმედი კოდექსის გამოყენების შესახებ, სასამართლო მოქმედ კოდექსს ვერ გამოიყენებს ამ ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმის არარსებობის გამო, ხოლო, თუ არსებობს ასეთი ნორმა, საქმე გვექნება 1507-ე მუხლის პირველ და მეორე ნაწილთან. თუმცა ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ანალოგიური დავების განხილვისას სასამართლო არ შეეკითხოს მხარეებს, სურთ თუ არა ურთიერთობა მოქმედი კოდექსით მოაწესრიგონ. ორივე მხარის მიერ ასეთი სურვილის გამოთქმის შემთხვევაში სასამართლომ უნდა განუმარტოს მხარეებს მოქმედი კოდექსის გამოყენების წესი და მხარეთა უფლება-მოვალეობები – საკითხი მოაგვარონ სასამართლოს გარეშე.

მოქმედი კოდექსის გამოყენება უძრავ ნივთებთან დაკავშირებით საკითხის განხილვისას

სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლის მესამე ნაწილის მესამე პირობაა, რომ, თუ სამოქალაქო კოდექსი უძრავი ნივთების შესახებ ახალ წესს ითვალისწინებს, გამოიყენება ახალი კოდექსი. კანონის ამ მოთხოვნის თავისებურება ის არის, რომ ურთიერთობა 1997 წლის 25 ნოემბრამდე უნდა იყოს წარმოშობილი. უფლება-მოვალეობების წარმოშობის დროს კი მნიშვნელობა არა აქვს. უფრო მეტიც, ზოგჯერ, ძალადაკარგული ნორმატიული აქტის მიხედვით მოთხოვნის ვადაც შეიძლება 1997 წლის 25 ნოემბრამდე იყოს ამოწურული, მაგრამ თუ ეს ურთიერთობა უძრავ ნივთებს ეხება და მოქმედი კოდექსით სხვაგვარად წესრიგდება, გამოიყენებული უნდა იყოს 1997 წლის სამოქალაქო კოდექსი.

მაგალითი:

1995 წელს მხარეებმა დადეს სახლის (ბინის) ნასყიდობის ხელშეკრულება. ხელშეკრულება დაამოწმეს სანოტარო წესით, მაგრამ 1964 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმების დღიდან სამი თვის

²საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, წიგნი მეხუთე, მთავარი რედაქტორი ლ. ჭანტურია, თბილისი – 2000 წელი, გვ. 536

განმავლობაში ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროში რეგისტრაციისათვის არ მიუძღრთავთ. დასახელებული ნორმის მიხედვით, სამთვიანი სარეგისტრაციო ვადა აღმკვეთი ვადა იყო და ამიტომ ამ ვადის გაშვების შემდეგ მხარეებს რჩებოდათ ერთადერთი გამოსავალი, რომ ხელახლა დაეღოთ ნასყიდობის ხელშეკრულება. მოქმედმა სამოქალაქო კოდექსმა ეს შეზღუდვა მოხსნა. დღეს მხარეებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ მიმართონ რეგისტრაციისათვის საჯარო რეესტრის სამსახურს (თუ არ გავითვალისწინებთ ეკონომიკურ სანქციებს). აღნიშნულიდან გამომდინარე, თუ 1964 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსის საფუძველზე დადებული სახლის (ბინის) ნასყიდობის ხელშეკრულება მხარეებმა 1997 წლის 25 ნოემბრამდე ვერ გაატარეს რეგისტრაციაში და ამოიწურა სამთვიანი ვადა, მხარეებს შეუძლიათ, მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლის მესამე ნაწილის საფუძველზე ნებისმიერ დროს მოითხოვონ საჯარო რეესტრში გარიგების რეგისტრაცია.

მოქმედი კოდექსის გამოყენება შეცვლილ გარემოებებთან ხელშეკრულების მისადაგებისათვის

საქართველოს სამოქალაქო კოდექსმა 398-ე მუხლის სახით შემოიღო მანამდე მოქმედი სამოქალაქო სამართლის კოდექსისათვის უცნობი შინაარსის ნორმა – „ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი“. ამ ნორმის დროში მოქმედების საკითხი სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლისაგან ცალკე განხილვის საგანია, რადგან სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლი არაფერს ამბობს ურთიერთობაში შეცვლილი გარემოებებით გამოწვეულ შესაძლო ცვლილებებზე. სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის დროში მოქმედების წესი პირდაპირ თვით ამ ნორმითაც არაა გათვალისწინებული, ამიტომ პრაქტიკაში ის ბევრ გაუგებრობას იწვევს. როგორია ამ ნორმის დროში მოქმედების წესი? გამოვიყენოთ თუ არა ის იმ ურთიერთობების მიმართ, რომლებიც სამოქალაქო კოდექსის სამოქმედოდ შემოღებამდე წარმოიშვნენ? პასუხი მხოლოდ დადებითი შეიძლება იყოს. შეცვლილ გარემოებებთან ურთიერთობის მისადაგებას არავითარი დრო არ შეიძლება აბრკოლებდეს.

გარემოებების შეცვლა საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების კანონზომიერებაა. ის სამოქალაქო სამართალში სამოქალაქო ურთიერთობების წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტის საფუძველია. სამოქალაქო ურთიერთობების წარმოშობი გარემოებები ორი სახისაა – საერთო და სპეციალური. საერთო სახის გარემოებები, როგორც წესი, იმ საზოგადოებრივ-ეკონომიკური წყობილების შინაარსსა და პრინციპებში გამოვლინდება, რომელ საზოგადოებაშიც ეს ურთიერთობები წარმოიშობა. ჩვეულებრივ ეს გარემოებები სპეციალური ნორმის ჰიპოთეზით არ არის გათვალისწინებული, მაგრამ ყველა კონკრეტულ ურთიერთობაში იქნება ასახული. მაგალითად, საბაზრო ეკონომიკის პრინციპები. რაც შეეხება სპეციალურ გარემოებებს, ის ცალკე რომელიმე ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტის საფუძველია და კონკრეტული ნორმის ჰიპოთეზით აისახება ან იგულისხმება. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 177-ე მუხლით დადგენილია, რომ „**თუ მიწის ნაკვეთს მეზობელი ნაკვეთიდან შენობის ჩამოქცევის საფრთხე ეპყრება**, მესაკუთრეს შეუძლია მეზობელს მოსთხოვოს აუცილებელ ღონისძიებათა გატარება ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად.“ არ არსებობს სამოქალაქო ურთიერთობა საფუძველის გარეშე და თუ მოისპო (გაქრა) ან შეიცვალა ის გარემოება, რომლის საფუძველზეც წარმოიშვა სამოქალაქო ურთიერთობა, შესაბამისად ეს ურთიერთობაც უნდა მიესადაგოს ახალ გარემოებას ან უნდა შეწყდეს იგი. ამიტომაც, სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლი იმპერატიულად მოითხოვს, რომ ძველი ურთიერთობები მიესადაგოს შეცვლილ გარემოებებს, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ურთიერთობა უნდა შეწყდეს. ეს პროცესი ბუნებრივი მოვლენაა. საქმე ის არის, რომ გარემოების შეცვლა ხშირად შეუძლებელს ხდის ვალდებულების

შესრულებას ან უკიდურესად ზარალდება ურთიერთობის მონაწილე ერთ-ერთი მხარე, რაც ფაქტობრივად ვალდებულების შეუსრულებლობის ტოლფასია. ასეთ შემთხვევაში ვალდებულების ჯეროვნად შესრულება შესაძლებელია მხოლოდ ამ ურთიერთობის შეცვლილი გარემოებისადმი მისადაგებით იმის მიუხედავად, თუ როდის წარმოიშვა ეს ურთიერთობა – მოქმედი კოდექსის სამოქმედოდ შემოღებამდე თუ მას შემდეგ. ეს კარგად ჩანს ისეთი საერთო სახის გარემოების შეცვლაზე, როგორიცაა ვალუტის შეცვლა. მაგალითად, როცა საბჭოთა მანეთი რუსული რუბლით შეიცვალა, რუსული რუბლი – ქართული კუპონით და ეს უკანასკნელი – ლარით, სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილე მხარეებმა უპრობლემოდ მიუსადაგეს ხელშეკრულებები შეცვლილ გარემოებებს იმის მიუხედავად, თუ როდის წარმოიშვა ეს ურთიერთობები იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ერთდერთ საგადამხდელო საშუალებას ლარი წარმოადგენს. თუ დღესაც შეიცვლება ლარი სხვა ქართული ვალუტით, 1997 წლის 25 ნოემბრამდე წარმოშობილი ურთიერთობის მასთან მისადაგება ბუნებრივი პროცესი იქნება და ფულადი ვალდებულებები ახალი ვალუტით შესრულდება.

საქართველოს 1997 წლის სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის ანალოგიური ნორმა ადრე არ არსებობდა, მაგრამ ძველი ურთიერთობები მათი წარმოშობის დროის მიუხედავად შეცვლილ გარემოებებს რომ უნდა მიესადაგოს, როგორც ვნახეთ, ეჭვს არ იწვევს. კოდექსის 398-ე მუხლის შემოღებით თითქოს უფრო უნდა გააღვილებულიყო ეს პროცესი, მაგრამ მოხდა პირიქით. ასე, მაგალითად, 2001 წელს ა-მ სარჩელი აღძრა სასამართლოში და განმარტა, რომ 1979 წელს ბ-ს მიაქირავა საცხოვრებელი ბინა იმ დროს მოქმედი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 20 დეკემბრის დადგენილების შესაბამისად – 1 კვ. მ. 16 კაპიკად. მას შემდეგ შეიცვალა გარემოებები: 1. სახელმწიფოში რამდენჯერმე შეიცვალა ვალუტა, საბჭოთა მანეთის ნაცვლად მიმოქცევაში შემოვიდა ეროვნული ვალუტა – ქართული ლარი; 2. სოციალისტური ეკონომიკის პრინციპებით განპირობებული ბინის ქირის მოცულობის კანონით განსაზღვრული წესი საბაზრო ეკონომიკის პრინციპებით შეიცვალა და ბინის ქირის მოცულობის განსაზღვრა მთლიანად მხარეთა ნებას დაექვემდებარა. შესაბამისად, მოსარჩელემ სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის საფუძველზე მოითხოვა 1979 წელს წარმოშობილი ქირავნობითი ურთიერთობის ახალი გარემოებებისადმი მისადაგება. თბილისის საოლქო სასამართლომ 2005 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დააკმაყოფილა იმ საფუძველზე, რომ კოდექსის 398-ე მუხლი – ახალ გარემოებებთან ხელშეკრულების მისადაგება – ეხება იმ ხელშეკრულებებს, რომელიც დაიდო ამ კოდექსის მოქმედების პერიოდში.

ძნელია, დავეთანხმოთ სასამართლოს ამგვარ მოსაზრებას: 1. ჯერ ერთი, აღარ არსებობს ქირის მოცულობის განმსაზღვრელი ის გარემოება, რომლის პირობებშიც წარმოიშვა ეს კონკრეტული ურთიერთობა და თუ ხელშეკრულების ეს პირობები არ მიუუსადაგეთ ახალ გარემოებებს, გამოდის, რომ მხარეები იძულებით უნდა ვამყოფოთ ისევ საბჭოთა სამართლისა და სოციალისტური ეკონომიკის სივრცეში. 2. მეორე წინააღმდეგობა იმაში მდგომარეობს, რომ 1979 წელს ბინის ქირის გადახდის ვალდებულება საბჭოთა მანეთით განისაზღვრა და დღეს მას ქართული ლარი თუ არ ჩაენაცვლა და ე.ი. არ მიესადაგა ამ ახალ გარემოებას, ნიშნავს, რომ დამქირავებელმა ვალდებულება ისევ საბჭოთა მანეთით შეასრულოს.

ამრიგად, ვთვლით, რომ ანალოგიური დავების გადასაწყვეტად სასამართლომ ყველა პირობებში უნდა გამოიყენოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლი, რადგან ძველი ურთიერთობების ახალი გარემოებებისადმი მისადაგებას არავითარი დრო არ შეიძლება აბრკოლებდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ხელშეკრულება უნდა შეწყდეს.

თამარ ჩიტოშვილი

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ
ასოცირებული პროფესორი

ქონების უსასიფლოდ განაკრება, როგორც უსაფუძვლო გამდიდრების საფუძველი.

კანონისმიერი სამართლებრივი ურთიერთობის, როგორც მნიშვნელოვანი სამართლებრივი ინსტიტუტის, ერთ-ერთი ძირითადი სახე უსაფუძვლო გამდიდრებაა. რა არის უსაფუძვლო გამდიდრება, როგორია მისი წარმოშობის ძირითადი საფუძვლები და რა თავისებურებებით ხასიათდება მისგან წარმოშობილი ვალდებულებანი, როგორია სამართლებრივი შედეგები და პასუხისმგებლობა – ეს ის კითხვებია. რომელიც ჩნდება აღნიშნულ ურთიერთობასთან მიმართებით და მისგან წარმოშობილი საკითხები გარკვეულ მეცნიერულ კვლევას საჭიროებს. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ აღნიშნული სამართლებრივი ინსტიტუტის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურა მეტად მწირია, ეს კი ხელს უწყობს იმ პრობლემების დაგროვებას, რომელიც მკვეთრად აისახება უსაფუძვლო გამდიდრებით წარმოშობილი ურთიერთობების რეგულირებისას.

როგორც საქართველოს, ისე, უმეტესი ქვეყნების კანონმდებლობა ძირითადად იძლევა უსაფუძვლო გამდიდრებით წარმოშობილი ვალდებულების შესრულების წესსა და საფუძვლებს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის თანახმად:

„1. პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია მოსთხოვოს ვითომ კრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება, თუ: ა. ვალდებულება გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო არ არსებობს, არ წარმოიშობა, ან შეწყდა შემდგომში; ბ. ვალდებულების საწინააღმდეგოდ ისეთი შესაგებელი იქნა წარდგენილი, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში გამორიცხულია მოთხოვნის წარდგენა.

2. უკან დაბრუნების მოთხოვნა გამორიცხულია, თუ:

ა. შესრულება შეესაბამება ზნეობრივ მოვალეობებს, ან

ბ. გავიდა ხანდაზმულობის ვადა, ან

გ. მიმღებს შეეძლო ევარაუდა, რომ შემსრულებელს სურდა გადაცემა, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა ამ მუხლის პირველი ნაწილის პირობები, ანდა, დ. მოთხოვნა დაბრუნების თაობაზე ბათილი სავალი ხელშეკრულების შესრულებისას ეწინააღმდეგება ბათილობის შესახებ ნორმათა დაცვის ფუნქციას.“

არც აღნიშნული და არც სპეციალური ნორმები შეიცავს უსაფუძვლო გამდიდრების ცნებას. აღნიშნულ ნორმაში მითითებულია პირის მიერ სარგებლის მიღების საფუძვლების არასრული ჩამონათვალი, რაც მხოლოდ ამა თუ იმ პირის მოქმედების შედეგად სარგებლის მიღებაში აისახება. ამასთან, ეს მოქმედება გამოწვეულია პირის მიერ ვალდებულების შესრულების ვარუდით, ანუ მცდარი წარმოდგენა ვალდებულების არსებობის შესახებ.

სამოქალაქო კოდექსის 991-ე მუხლის თანახმად: „პირი, რომელიც სხვა პირის ხარჯზე უსაფუძვლოდ გამდიდრდა სხვა საშუალებითაც, გარდა იმისა, რაც გათვალისწინებულია ამ თავში, მოვალეა, დაუბრუნოს მას მიღებული“. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ პირის უსაფუძვლოდ გამდიდრება შეიძლება მოხდეს, ასევე, სრულიად სხვა პირის ქმედებით

და არა იმ პირისა, რომლის კუთვნილი ქონების ხარჯზეც მოხდა უსაფუძვლოდ გამდიდრება. აგრეთვე, უსაფუძვლოდ გამდიდრების საფუძველი შეიძლება იყოს დაუძლეველი ძალაც.

სამართლის ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე, პირის მიერ სარგებლის მიღება შეიძლება მოხდეს მხოლოდ სამართლებრივი საფუძველით, რომელიც შეიძლება იყოს როგორც სახელშეკრულებო, ისე არასახელშეკრულებო (კანონისმიერი). სარგებლის მიღების უფრო გავრცელებულ სახეს სახელშეკრულებო საფუძველი წარმოადგენს, თუმცა პრაქტიკაში ხშირადია სამართლებრივი საფუძველის გარეშე სარგებლის მიღების შემთხვევები. ასეთი სახით მიღებული სარგებელი ექვემდებარება დაბრუნებას და ემისგან გამომდინარე ურთიერთობების რეგულირება ზოგად ნორმებთან ერთად ხდება სამართლის სპეციალური, ანუ უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებით.

უსაფუძვლო გამდიდრების ძირითადი თავისებურებებია:

ა) სარგებლის მიღება;

უსაფუძვლო გამდიდრების დროს სარგებელი მიიღება ორი სახით: სხვისი ქონების ხარჯზე პირადი ქონების გაზრდით, ან დაზოგვით;

ბ) სარგებლის მიღება ხდება სამართლებრივი საფუძველის გარეშე.

უსაფუძვლოდ სარგებლის მიღება შეიძლება მოხდეს როგორც სუბიექტთა ნებით, ისე, მათი ნებისაგან დამოუკიდებლად. თუ უსაფუძვლო გამდიდრება ემყარება მხარეთა, ან მხარის ნებას, როგორც შემსრულებლის ისე მიმღების მხრიდან, მაშინ უფრო მეტი შესაძლებლობა არსებობს იმისა, რომ ადგილი ჰქონდეს პირის (პირთა) მართლსაწინააღმდეგო ბრალეულ ქცევას, რაც თავისთავად სამართლებრივ შედეგებზეც აისახება.

უსაფუძვლო გამდიდრების დროს სარგებლის მიღება ხდება სამართლებრივი საფუძველის გარეშე, ხოლო, მისი დაბრუნების ვალდებულებას კი განაპირობებს მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი.

უსაფუძვლოდ მიღებული სარგებლის დაბრუნების ვალდებულების აღსრულება სხვადასხვა გარემოებებით არის განპირობებული. იმისათვის, რომ მოსარჩელის მოთხოვნა დაკმაყოფილდეს და მის მოთხოვნას ჰქონდეს სამართლებრივი საფუძველი, უნდა არსებობდეს შემდეგი ძირითადი გარემოებები:

1. მოპასუხეს მიღებული უნდა ჰქონდეს მოგება, სარგებელი;

2. მოპასუხის მიერ სარგებელი მიღებული უნდა იყოს უსაფუძვლოდ, მოსარჩელის ხარჯზე, ე.ი. მოსარჩელის მოქმედების შედეგად, ან მისი ქონების ხარჯზე.

სარგებლის მიღების უსაფუძველობა შეიძლება შემდეგნაირად წარმოგვიდგეს:

– მიმღებს სარგებელი გადაეცა ნაგულისხმევი ხელშეკრულების (კვაზიხელშეკრულების) საფუძველზე. ასეთია ხელშეკრულება, რომელიც დაიდო, თუმცა ბათილია, აგრეთვე, ხელშეკრულება, რომელიც შემსრულებლის ვარაუდით არსებობს, მაგრამ იგი არ წარმოშობილა, არ ითვლება დადებულად;

– მიმღებმა შესრულება მიიღო იმ პირისაგან ვისაც ეს არ ევალებოდა, ანუ, შემსრულებელი ვარაუდობდა, რომ კანონით მას ევალებოდა მისი შესრულება, თუმცა, სხვა იყო ამ შესრულებაზე ვალდებული – მცდარი ვარაუდი შესრულებაზე;

– პირმა სარგებელი მიიღო ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულების შედეგად, მაგალითად, მიწოდების ხელშეკრულების საფუძველზე ნაცვლად ერთი ტონისა მიმღებს მიეწოდა ორი ტონა ნედლეული;

– უსაფუძვლოდ სარგებლის მიღება შეიძლება მოხდეს დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებით – როდესაც, ვალდებული პირის მიერ არ ხდება იმ ხარჯების გადახდა, რომელიც გასწია მოსარჩელემ – შემსრულებელმა.

– როდესაც პირის მიერ უმართებულო შესრულება ხდება მუქარით, იძულებით და ა. შ.;
 – სოლიდარული ვალდებულების დროს, როდესაც ერთ-ერთი მოვალე გადაიხდის და შემდეგ რეგრესის წესით გადახდაზე სხვა მოვალეები უარს იტყვიან.

როგორც აღნიშნულიდან იკვეთება, სარგებლის მიღების უსაფუძვლობა ხშირად არამართლზომიერ ქცევაში აისახება და მოიცავს დელიქტის ნიშნებს, დელიქტის დროს პირდაპირ დგება ზიანი და იგი უდავოდ ანაზღაურებადია, შესაბამისად, არსებობს ბრალიც.

როდესაც პირი ბრალეული, მართლსაწინააღმდეგო ქმედებით აყენებს სხვას ზიანს და, ამასთან ერთად თვითონ უსაფუძვლოდ იღებს სარგებელს (ნამატს, მოგებას), ამ შემთხვევაში, ასევე არსებობს დელიქტური ურთიერთობა, ანუ მიყენებული ზიანი. ე.ი. არსებობს შერეული ფორმა – უსაფუძვლო გამდიდრების, ისე, დელიქტური ვალდებულების ერთობლივად არსებული ინსტიტუტი. ასეთ შემთხვევაში მოპასუხე აბრუნებს როგორც უსაფუძვლოდ მიღებულ სარგებელს, ასევე, მოსარჩელეს (დაზარალებულს) უნდა აუნაზღაუროს ის ზიანი, რომელიც ამ უკანასკნელმა განიცადა მოპასუხის არამართლზომიერი ქცევის შედეგად. ზიანში კი იგულისხმევა როგორც რეალური, ისე, მიუღებელი შემოსავალი.

ზემოაღნიშნულ მახასიათებლებს მოიცავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 982-ე მუხლი, რომლის თანახმად:

„1. პირი, რომელიც ხელყოფს მეორე პირის სამართლებრივ სიკეთეს მისი თანხმობის გარეშე განკარგვის, დახარჯვის, სარგებლობის, შეერთების, შერევის, გადამუშავების ან სხვა საშუალებით, მოვალეა აუნაზღაუროს უფლებამოსილ პირს მიყენებული ზიანი.

2. ბათილი განკარგვის შემთხვევაში უფლებამოსილ პირს შეუძლია ხელმყოფისაგან მოითხოვოს დაუყოვნებლივი ანაზღაურება“.

ამდენად, უსაფუძვლო გამდიდრება გულისხმობს სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მიღებულ სარგებელს, ანუ პირის ქონების გაზრდას, ან დაზოგვას სხვისი ქონების ხარჯზე, რომელიც ეფუძვნება პირთა მართლზომიერ, ან არამართლზომიერ ქცევას, ან ეს შეიძლება გამოწვეულ იქნეს დაუძლეველი ძალის შედეგად.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში მოცემული უსაფუძვლო გამდიდრების ნორმათა უმრავლესობა, შინაარსობრივი თვალსაზრისით, ბუნდოვანია და მათი პრაქტიკაში განხორციელება ხშირად გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული, რაც ჰქმნის მათი ხელახალი რედაქტირებისა და გადამუშავების აუცილებლობას. ამ მხრივ უფრო მეტად საყურადღებოა 978-ე მუხლის 4-ე პუნქტი, ასევე, 988-ე, 989-ე და 990-ე მუხლები.

ამჯერად ყურადღებას შევაჩერებთ და დეტალურად განვიხილავთ 990-ე მუხლს, რომელიც ეხება ქონების უსასყიდლოდ გადაცემას როგორც უსაფუძვლოდ გამდიდრების მომენტს, კერძოდ:

„1. თუ არაუფლებამოსილი პირი რაიმე საგანს უსასყიდლოდ განკარგავს და ეს განკარგვა ნამდვილია უფლებამოსილი პირის მიმართ, მაშინ, ის პირი რომელმაც ამ განკარგვის შედეგად უშუალო სამართლებრივი სარგებელი მიიღო, მოვალეა მიღებული გადასცეს უფლებამოსილ პირს.

2. ბრალის არსებობის შემთხვევაში შესაბამისად გამოიყენება ასევე 984-ე და 985-ე მუხლის მოთხოვნები.“

მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ნორმის პირველი პუნქტი შინაარსობრივი თვალსაზრისით ბუნდოვანია. განსაკუთრებულ დაზუსტებას საჭიროებს გამოთქმა: „განკარგვა ნამდვილია უფლებამოსილი პირის მიმართ“. აღნიშნულ შემთხვევაში დასადგენია, თუ არაუფლებამოსილი

პირის მიერ ქონების განკარგვა რომელი პირის მიმართ ითვლება ნამდვილად და ვინ არის ეს „უფლებამოსილი პირი“:

– პირი, რომელმაც უსასყიდლოდ განკარგა ქონება, თუმცა, მას არ ჰქონდა ამ ქონების გასხვისების უფლება;

– პირი, რომელსაც გადასცეს ეს ქონება, თუ

– პირი, რომელსაც უშუალოდ გააჩნდა უფლება იმ ქონებაზე, რომელიც არაუფლებამოსილმა პირმა უსასყიდლოდ განკარგა.

ზემოაღნიშნულის დასადგენად მუხლის კომენტირება უნდა მოხდეს ზოგადი პრინციპების საფუძველზე. დავიწყოთ იქიდან, რომ საგნის უსასყიდლოდ (გადაცემა) განკარგვა პირის მიერ შეიძლება მოხდეს როგორც ვალდებულების შესრულების მიზნით (ჩუქების დაპირება), ისე, ვალდებულების არ არსებობის შემთხვევაშიც (ჩვეულებრივი ჩუქება). სხვა სახის ვალდებულების შესასრულებლად ქონების განკარგვა არ გულისხმობს „უსასყიდლოდ გადაცემას“ (მაგალითად, მიწოდების ვალდებულება, გაცვლის და სხვა). ამდენად, აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე არაუფლებამოსილი პირის ქმედება უნდა გულისხმობდეს სხვისი ქონების გაჩუქებას, ან ჩუქების დაპირებით გამოწვეული პირადი ვალდებულების სხვისი ქონებით შესრულებას.

ნებისმიერ შემთხვევაში, თუ პირი უსასყიდლოდ გადასცემს სხვას ქონებას, რომლის გასხვისების უფლებაც მას არ ჰქონდა, ეს ნიშნავს, რომ ქონების გადაცემა მოხდა უსაფუძვლოდ, ბათილი გარიგების საფუძველზე. იმისათვის, რომ დადგინდეს თუ რა სამართლებრივი შედეგები შეიძლება დადგეს ასეთ შემთხვევაში, საჭიროა დაზუსტდეს ზოგიერთი არსებითი დეტალი კერძოდ:

1. დაზუსტდეს არაუფლებამოსილი პირის მიერ ქონების გადაცემის საფუძველი, ანუ, უნდა დადგინდეს, სხვისი ქონების განკარგვა მოხდა ჩუქების დაპირების შესრულების მიზნით, თუ ეს იყო ჩვეულებრივი ჩუქება;

2. როგორი ქონების გადაცემა მოხდა – გვაროვნული თუ ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრულის;

3. ნაჩუქარი ქონებისადმი მიმღების დამოკიდებულების კეთილსინდისიერება;

4. ვინ მიიღო სარგებელი ქონების განკარგვით: განმკარგველმა თუ მიმღებმა;

5. არსებობს თუ არა ქონება იმავე სახით, რა სახითაც მოხდა მისი გადაცემა და სხვა.

აღნიშნული საკითხების დაზუსტებით შესაძლებელი იქნება იმის გარკვევა. ეს არის თუ არა უსაფუძვლო გამდიდრება და, შესაბამისად, როგორი სამართლებრივი შედეგი უნდა დადგეს. ააქვე განვმარტავთ, რომ სამართლის ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე, თუ არაუფლებამოსილი პირი განკარგავს (გაჩუქებს) ქონებას, რომლის განკარგვის უფლებაც მას არ ჰქონდა, მაშინ ასეთი განკარგვა იქნება ბათილი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 59-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: „ბათილია კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული აუცილებელი ფორმის დაუცველად დადებული გარიგება, ასევე, ნებართვის გარეშე დადებული გარიგება, თუ ამ გარიგებისათვის საჭიროა ნებართვა“. ბათილი გარიგების შემთხვევაში კი უნდა მოხდეს რესტიტუცია და დადგეს შესაბამისი სამართლებრივი შედეგები, რაც უკავშირდება შესაბამის სამოქალაქო სამართლებრივ პასუხისმგებლობას.

ამდენად, თუ არაუფლებამოსილი პირი უსასყიდლოდ განკარგავს რაიმე ქონებას და ეს ქონება არის გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული, მაშინ 59-ე ნორმის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ეს განკარგვა (ჩუქება) იქნება ბათილი. 976-ე მუხლის შესაბამისად კი, ბათილი გარიგება არის მიმღებისაგან როგორც უსაფუძვლოდ მიღებულის უკან გამოთხოვის

საფუძველი. აღნიშნულ შემთხვევაში დასაჩუქრებული არის პირი, რომელმაც უსაფუძვლოდ მიიღო (გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული) ქონება და, შესაბამისად, სარგებელიც. 990-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე კი დასაჩუქრებული არის ვალდებული, დაუბრუნოს უფლებამოსილ პირს უსაფუძვლოდ მიღებული სარგებელი. უფლებამოსილ პირად კი იგულისხმება ის პირი, რომელსაც გააჩნია უფლება არაუფლებამოსილი პირის მიერ უსაფუძვლოდ გადაცემულ ქონებაზე.

განვიხილოთ ის შემთხვევა და გარემოებები, რომლის მიხედვითაც არაუფლებამოსილი პირის მიერ უსასყიდლოდ განკარგვა ნამდვილი იქნება დასაჩუქრებულის მიმართ, ხოლო გამჩუქებელს, ანუ არაუფლებამოსილ პირს, ზოგადი ნორმებიდან გამომდინარე, დაეკისრება პასუხისმგებლობა უფლებამოსილი, ანუ ქონებაზე უფლების მქონე პირის მიმართ (დაუბრუნოს გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ქონება, ან ურთიერთშეთანხმებით მოახდინოს მისი კომპენსაცია და ა.შ.).

თუ პირი თავისი ვალდებულების (ჩუქების დაპირება) შესასრულებლად გადასცემს მესამე პირს გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ქონებას, რომლის გასხვისების უფლებაც მას არ ჰქონდა, მაშინ ეს უკანასკნელი ვალდებულია, დაუბრუნოს უფლებამოსილ პირს ის სარგებელი, რომელიც მან უსაფუძვლოდ მიიღო სხვისი ქონების მესამე პირისთვის გადაცემის ხარჯზე.

ამდენად, უსაფუძვლო გამდიდრებად არ ჩაითვლება მომენტი იმ პირისათვის რომელიც, ჩუქების დაპირების საფუძველზე საჩუქრად იღებს მოძრავ და, ამავე დროს, გვაროვნული ნიშნით განსაზღვრულ ქონებას, ამასთან, გამჩუქებელი არის არაუფლებამოსილი პირი, ხოლო დასაჩუქრებული პირის დამოკიდებულება ჩუქებისადმი კეთილსინდისიერია. აღნიშნული გარემოებების შემთხვევაში დასაჩუქრებულისაგან არ მოხდება ნაჩუქრი ქონებისა და ამ ქონებით მიღებული სარგებლის გამოთხოვა, რაც იმით არის განპირობებული, რომ კეთილსინდისიერ შემძენს გარკვეული გარემოებების არსებობის შემთხვევაში კანონი უნარჩუნებს მფლობელისაგან სასყიდლით ან უსასყიდლოდ გადაცემულ ქონებაზე საკუთრების უფლებას. შემძენის კეთილსინდისიერება განმარტებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 187-ე მუხლით, რომლის თანახმად, შემძენი კეთილსინდისიერად ითვლება იმ შემთხვევაში, თუკი იგი დარწმუნებულია, რომ ნივთი შეიძინა იმ პირისაგან, ვისაც ჰქონდა მისი გასხვისების უფლება. ნორმის მეორე პუნქტი კი მიუთითებს იმ გარემოებებზე, რომლის გამოც პირი ვერ ჩაითვლება კეთილსინდისიერ შემძენად, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ უნდა დადგეს (ან დგება) შემძენის ფაქტის მიმართ თვით შემძენის დამოკიდებულების კეთილსინდისიერება, არამედ გარკვეული გარემოებების არსებობის შემთხვევაში კეთილსინდისიერ შემძენს ეკარგება გადაცემულ მოძრავ ქონებაზე მესაკუთრედ გახდომის უფლება. ასეთს მიეკუთვნება შემდეგი გარემოებები: ნამდვილი მესაკუთრის მფლობელობიდან მოძრავი ნივთის გამოსვლის ნებითი მომენტის განსაზღვრა, ანუ, თუ კეთილსინდისიერი შემძენის მიერ შეძენილი მოძრავი ნივთი მესაკუთრის მფლობელობიდან გამოვიდა მისი ნების გარეშე, ე. ი. მოპარეს, დაკარგა და ა. შ. მაშინ კეთილსინდისიერების მიუხედავად, შემძენი ვერ გახდება მისი მესაკუთრე და იგი ვალდებულია, ნივთი დაუბრუნოს ნამდვილ მესაკუთრეს, თუმცა ასეთ შემთხვევაში დგება რესტიტუციის საკითხი.

შემდეგი საყურადღებო გარემოებაა შემძენის სასყიდლიანობა, ანუ, თუ შემძენი კეთილსინდისიერია, მაგრამ ნივთის შეძენა მოხდა უსასყიდლოდ, ამ შემთხვევაშიც შემძენი მაინც ვერ მოიპოვებს მოძრავ ნივთზე საკუთრების უფლებას.

კეთილსინდისიერი შემძენის მიერ უსასყიდლოდ შეძენილ მოძრავ ნივთზე საკუთრების უფლების შეძენის მომენტი შეიძლება იქცეს მსჯელობის საგნად, თუკი შეძენილი მიეკუთვნება

გვაროვნული ნიშნით განსაზღვრულ ქონებას, მაგალითად, თუ არაუფლებამოსილი პირი სხვას უსასყიდლოდ გადასცემს გვაროვნული ნიშნით განსაზღვრულ ქონებას, მაშინ კეთილსინდისიერი შემძენი შეიძენს მასზე საკუთრების უფლებას და, შესაბამისად, არ მოხდება შეძენილი ქონების მისგან გამოთხოვა, თუკი აშკარაა, რომ ქონებაზე არაუფლებამოსილმა პირმა ჩუქების დაპირების საფუძველზე, ნაკისრი ვალდებულების შესრულების მიზნით, თავისი ქონების ნაცვლად გააჩუქა სხვისი კუთვნილი ქონება და დაზოგა თავისი, ასეთ შემთხვევაში კეთილსინდისიერი შემძენის მიერ გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ქონების უსასყიდლოდ მიღების ფაქტი არ შეიძლება მივიჩნიოთ უსაფუძვლოდ გამდიდრებად და, შესაბამისად, მიმღებს დაეკისროს მიღებულის დაბრუნების მოვალეობა. ამდენად, თუ არაუფლებამოსილი პირი თავისი ვალდებულების შესრულების მიზნით ნებართვის გარეშე განკარგავს გვაროვნული ნიშნით განსაზღვრულ ქონებას, მაშინ ეს იქნება ბათილი გარიგება. ამ შემთხვევაში არაუფლებამოსილი პირის მიერ გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ქონების გაჩუქების (უსასყიდლოდ გადაცემის) ფაქტი ჩაითვლება მისთვის უსაფუძვლოდ გამდიდრებად. ვინაიდან ბათილი გარიგების საფუძველზე სარგებელს იღებს პირი, რომელიც სხვისი ქონების ხარჯზე ასრულებს თავის ვალდებულებებს, მაშინ ასეთი პირი ვალდებული იქნება, უფლებამოსილ პირს (ქონების მესაკუთრეს) დაუბრუნოს ის სარგებელი რომელიც თავისი ქონების უსაფუძვლოდ დაზოგვის შედეგად მიიღო. მაგალითად: გ-მ ჩუქების დაპირების შესრულების მიზნით ლ-ს გადასცა ერთი ტონა სამშენებლო მასალა (ცემენტი), რომელიც საკუთრების უფლებით ეკუთვნოდა დ-ს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სარგებელი მიიღო როგორც ლ-მ, როგორც კეთილსინდისიერმა შემძენმა, სარგებელი მიიღო, აგრეთვე, გ-მ, როგორც კონკრეტულ სამშენებლო მასალის გასხვისებზე არაუფლებამოსილმა პირმა. აღნიშნულ შემთხვევაში გ. არის ვალდებული, დაუბრუნოს დ-ს ის სარგებელი, რომელიც მან მიიღო თავისი ქონების (სხვისი ქონების ხარჯზე) უსაფუძვლოდ დაზოგვის შედეგად.

კონკრეტულ შემთხვევას თან ახლავს ის გარემოება (კეთილსინდისიერი შემძენის მიერ ქონების უსასყიდლოდ მიღება), რომელიც შეიძლება გახდეს კეთილსინდისიერი შემძენისაგან შეძენილი ქონების გამოთხოვისა და მესაკუთრისათვის მისი გადაცემის საფუძველი. შემძენისაგან (დასაჩუქრებულისაგან) ამ სამშენებლო მასალის გამოთხოვა სავინდიკაციო სარჩელით მოხდება მხოლოდ შემდეგი გარემოებების არსებობისას:

1. თუკი დასაჩუქრებულისათვის გადაცემული სამშენებლო მასალა ისევ იმ სახით არსებობს და არ არის ჯერ კიდევ გახარჯული;
2. თუ აღნიშნულ სამშენებლო მასალას რაიმე ნიშნით მესაკუთრისათვის ინდივიდუალური ღირებულება გააჩნია.

აღნიშნული გარემოებების საფუძველზე დასაჩუქრებულის მიერ ნაჩუქარი ქონების უფლებამოსილი (ქონების მესაკუთრე) პირისთვის დაბრუნების შემთხვევაში ძალაში რჩება ჩუქების დაპირება, რომელიც ვალდებული პირის მიერ უნდა შესრულდეს სხვა ქონების ხარჯზე. თუ არაუფლებამოსილი პირის მიერ გაჩუქებული ქონება ინდივიდუალური ნიშნითაა განსაზღვრული, მაშინ უსაფუძვლოდ გაჩუქებული ქონების გამოთხოვა მოხდება სავინდიკაციო სარჩელის წარდგენით. დაბრუნება უნდა მოხდეს ყველა იმ სარგებელთან ერთად, რომელიც ამ ქონების ხარჯზე მიიღო დასაჩუქრებულმა. 990-ე ნორმიდან გამომდინარე, ურთიერთობების განხილვისას აუცილებლად უნდა მოვიხსენიოთ ისეთი ზოგადი ნორმები, როგორიცაა 59-ე, 102-ე ნორმა. აღნიშნულ ნორმათა შინაარსიდან გამომდინარე, საგნის განკარგვა და მის შესახებ დადებული გარიგება ბათილია, თუკი იგი იდება არაუფლებამოსილი პირის მიერ, უფლებამოსილი პირის ნებართვის გარეშე.

ამდენად, პირი, რომელიც უსასყიდლოდ გადასცემს (გაჩუქებს) სხვის კუთვნილ ქონებას, რომლის გაჩუქების უფლება სპეციალური ნებართვის გარეშე არ ჰქონდა, მაშინ ასეთი გაჩუქება ბათილია და შესაბამისი სამართლებრივი შედეგები დგება. 990-ე ნორმა სწორედ ამ შედეგის დადგომის წესებს მოიცავს, რომელთა შესაბამისად ბათილობის შედეგები დადგება არა ორივე მხარის (გადამცემის და მიმღების) მიმართ, არამედ ბათილობის უარყოფითი შედეგი დგება იმ პირის მიმართ, რომელმაც ასეთი გარიგებით მიიღო სარგებელი. სამართლებრივ შედეგებზე ვერ ვიმსჯელებთ 990-ე, 59-ე, 102-ე, 187-ე, 382-ე ნორმების ერთობლივად განხილვისა და ანალიზის გარეშე.

990-ე მუხლის პირველი პუნქტიდან გამომდინარე, საგნის უსასყიდლოდ გადაცემის შემთხვევაში უპირველეს ყოვლისა უნდა დადგინდეს, თუ ვინ მიიღო სარგებელი – არაუფლებამოსილმა პირმა, რომელმაც უსასყიდლოდ გადასცა სხვას საგანი, თუ პირმა, რომელსაც ეს საგანი გადაეცა. აქვე შეიძლება საკამათო და ორაზროვნად გასაგები გახდეს აღნიშნულ მუხლში მითითებული გამოთქმა: „და ეს განკარგვა ნამდვილია უფლებამოსილ პირის მიმართ“. ვინ შეიძლება იყოს „უფლებამოსილი პირი“? კონკრეტულ შემთხვევაში ეს „უფლებამოსილი პირი“ შეიძლება იყოს პირი, რომელსაც საგანი უსასყიდლოდ გადაეცა არაუფლებამოსილი, მაგრამ ვალდებული პირის მიერ. ასეთ შემთხვევაში იგულისხმება, რომ სამართლებრივი თვალსაზრისით სარგებელი მიიღო არაუფლებამოსილმა, საგნის გადამცემმა პირმა და მასვე ევალება მიღებული სარგებლის უფლებამოსილი პირისთვის დაბრუნება.

საგნის გადამცემის არაუფლებამოსილება ვლინდება კონკრეტული გადაცემული საგნის მიმართ, ანუ აღნიშნულ პირს არ ჰქონდა კონკრეტულ საგანზე უფლება და, შესაბამისად, არ შეეძლო ამ საგნის გასხვისების უფლება, ხოლო, რაც შეეხება არაუფლებამოსილი პირის ვალდებულებას, ეს ნიშნავს, რომ ამ უკანასკნელს გააჩნია კონკრეტული ვალდებულება (ჩუქების დაპირება) კონკრეტული პირის მიმართ.

აქვე შეიძლება მოვიშველიოთ 382-ე მუხლი, რომლის თანახმად: „თუ შესრულების საგანია ნივთი, რომლის შეცვლაც შეიძლება (გვაროვნული ნივთი), მოვალემ ვალდებულება ყოველთვის უნდა შეასრულოს“. ამდენად, თუ საქმე ეხება გვაროვნული ნიშნით განსაზღვრულ ქონებას, მაშინ ვალდებულმა პირმა (უსასყიდლოდ გადამცემი – არაუფლებამოსილი, ან საგნის უსასყიდლოდ მიმღები პირი) ყველა შემთხვევაში უნდა დააკმაყოფილოს უფლებამოსილ პირის მოთხოვნა.

თუ არაუფლებამოსილი პირი (ჩუქების დაპირების საფუძველზე) უსასყიდლოდ გადასცემს სხვას ქონებას, მაშინ, ამ განკარგვით სარგებელს იღებს არაუფლებამოსილი პირი, რომელმაც თავისი ვალდებულების შესრულება მოახდინა იმ ქონებით, რომლის გასხვისების უფლებაც მას არ ჰქონდა, ამიტომ დაბრუნების მოვალეობა დაეკისრება არაუფლებამოსილ პირს, რომელმაც უნებართვოდ და უსასყიდლოდ განკარგა სხვისი კუთვნილი ქონება. 990-ე მუხლიდან გამომდინარე დაბრუნების მოვალეობა შესრულდება, ასევე, 382-ე მუხლის შესაბამისად, მოვალემ ვალდებულება ყოველთვის უნდა შეასრულოს.

თუ არაუფლებამოსილი პირის მიერ გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ქონების უსასყიდლოდ განკარგვა არ მომხდარა ვალდებულების საფუძველზე, მაშინ სარგებლის მიმღებ პირად (უსაფუძვლოდ გამდიდრებულად) ჩაითვლება პირი, რომელმაც უსასყიდლოდ მიიღო (გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული) საგანი. ასეთ შემთხვევაში ეს უკანასკნელი ვალდებულია, დაუბრუნოს მიღებული უფლებამოსილ პირს.

თუ არაუფლებამოსილი პირი უსასყიდლოდ განკარგავს ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრულ ქონებას, მაშინ, ყველა შემთხვევაში (ანუ არაუფლებამოსილი პირის მიერ გადაცემა მოხდება ჩუქების დაპირებით ნაკისრი ვალდებულების საფუძველზე, თუ მის გარეშე) უსასყიდლოდ გადაცემული საგნის (შემძენილის) დაბრუნება უსაფუძვლოდ მიძღები პირისაგან მოხდება სავინდიკაციო სარჩელის საფუძველზე. შესაბამისად გამოიყენება (საჭირო შემთხვევაში) 979-ე მუხლის მეორე პუნქტი, კერძოდ: „თუ უკან დაბრუნება შეუძლებელია გადაცემული საგნის მდგომარეობის გამო, ან თუ მიძღებს რაიმე მიზეზით არ შეუძლია საგნის უკან დაბრუნება, მაშინ მან უნდა აანაზღაუროს მისი საერთო ღირებულება. ღირებულება განისაზღვრება ანაზღაურების მოთხოვნის უფლების წრმოშობის დროის მიხედვით“.

არაუფლებამოსილი პირის მიერ ქონების უსაფუძვლოდ განკარგვის შემთხვევაში, ყოველივე აღნიშნულთან ერთად, გასათვალისწინებელია შემდეგი ძირითადი გარემოებებიც:

1. გამჩუქებელი კეთილსინდისიერად უნდა ფიქრობდეს, რომ მისი ქცევა არის მართლზომიერი და, შესაბამისად, არ უნდა იცოდეს გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ქონების გასხვისებაზე მისი უფლებამოსილების ხარვეზის შესახებ;

2. თუ პირს ეცოდინებოდა უფლებამოსილების ხარვეზის არსებობის შესახებ, მის მიერ ქონების გადაცემა სხვა პირზე (დასაჩუქრებულზე) არ მოხდებოდა.

ამ გარემოებათა გათვალისწინებით იარსებებს უსაფუძვლო გამდიდრების ფაქტი, რის გამოც უნდა მოხდეს უსაფუძვლოდ მიღებულის დაბრუნება უფლებამოსილი პირისთვის, იმ პირის მიერ, ვინც საგნის უსასყიდლოდ გადაცემის შედეგად სარგებელი მიიღო.

აღნიშნულ გარემოებათა არარსებობის შემთხვევაში დადგება პირთა ბრალეულობის სკითხი, რომელიც განსაზღვრავს მათი ვალდებულების შესრულებისა და ზოგადად პასუხისმგებლობის მოცულობის ფარგლებს, კერძოდ, თუ უსაფუძვლოდ გამდიდრების შემთხვევაში შედეგი დგება პირთა განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობის შედეგად, მაშინ პირი, რომლის მართლსაწინააღმდეგო ქცევამ ხელი შეუწყო მისთვის სასარგებლო შედეგის დადგომას, ვალდებულია, დაუბრუნოს დაზარალებულს უსაფუძვლოდ მიღებული გვაროვნული თუ ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრული ქონება და, აგრეთვე, განისაზღვროს უნდა აუნაზღაუროს ის ზიანი, რომელიც პირმა განიცადა იმის გამო, რომ სხვისი მართლსაწინააღმდეგო ქცევის შედეგად შეეზღუდა საკუთარი ქონებით სრული სარგებლობის უფლება.

აუცილებელია განისაზღვროს სარგებელი და ზინი და, შესაბამისად მათი ურთიერთგამიჯვნა, კერძოდ, სარგებელი არის ის უშუალო შემოსავალი, რომელიც მიიღო პირმა უსაფუძვლოდ მიღებული ქონების თავისი შეხედულებისამებრ გამოყენების შედეგად. ასევე, შემოსავალი, რომელიც არ მიუღია მას იმის გამო, რომ უსაფუძვლოდ მიღებული ქონება არ გამოიყენა, თუმცა მას შეეძლო მისი სათანადო ექსპლოატაცია და შესაბამისი სარგებლის მიღება. ვდასაბრუნებელი სარგებლის მოცულობის (ოდენობის) დადგენა უნდა მოხდეს იმ გარემოებათა გათვალისწინებით, რომელიც იძლევა მის რეალურ შესაძლებლობას, მაგალითად, უსაფუძვლოდ მიღებული ქონების დანიშნულება, ხარისხი, მოხმარების ობიექტური საფუძველები, მოცულობა და ა.შ.

რაც შეეხება პირის პასუხისმგებლობის შემთხვევაში ზიანს, ეს არის ის ქონებრივი დანაკლისი, რომელიც კრედიტორმა განიცადა და მიუღებელი რეალური შემოსავალი, რომელიც კრედიტორმა (დაზარალებულმა) ვერ მიიღო, თუმცა, მას მიიღებდა ქონების სათანადო მიზნით გამოყენების შედეგად, ან დამატებითი აუცილებელი ხარჯი, რომელიც მან გაიღო თავისი პირადი ინტერესებიდან და სამეურნეო საქმიანობიდან გამომდინარე.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ კრედიტორისა და მოვალის ქონების გამოყენების მიზნობრიობა უმეტესად განსხვავებულია და ინდივიდუალურ ხასითს ატარებს.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ გარკვეულ შემთხვევებში ვითომ კრედიტორის (მოპასუხის) მიერ უსაფუძვლოდ მიღებული ქონებისა და სარგებლის ღირებულება ერთი და იგივეა და მისი ცალ-ცალკე დადგენის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს. ასეთ შემთხვევაში ხდება მხოლოდ ძირითადი ქონების დაბრუნება და იმ ზიანის მოცულობის განსაზღვრა და ანაზღაურება, რომელიც განიცადა კრედიტორმა იმის გამო, რომ მან ვერ შეძლო თავისი კუთვნილი ქონების მიზნობრივი გამოყენება. მაგალითად: პირის ბრალეული (განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობა) ქმედების გამო მის მფლობელობაში უსაფუძვლოდ აღმოჩნდა ხის მასალა, რომელიც მის მიერ არ ყოფილა გამოყენებული, ამის რეალური და აუცილებელი საფუძველი არ არსებობდა. შესაბამისად, ამ მასალისაგან რაიმე სარგებელი პირს არც მიუღია. რაც შეეხება კრედიტორს (მასალის მესაკუთრეს), მან ამ მასალის გარეშე ვერ დაამზადა ის საოჯახო ნივთები, რომელთა დამზადება მას ევალეობდა ნარდობის ხელშეკრულების საფუძველზე. აღნიშნული ხელშეკრულების შეუსრულებლობით მიუღებელი სარგებელი და შემკვეთისათვის მიყენებული ზიანი, რომელიც ექვემდებარება ანაზღაურებას, წარმოადგენს კრედიტორის ზიანს. ამდენად, (ვითომ კრედიტორი) მოპასუხე ვალდებულია, კრედიტორს დაუბრუნოს უსაფუძვლოდ მიღებული ხის მასალა და ის ზიანი, რომელიც მიაღვა კრედიტორს.

ბრალის არსებობის შემთხვევაში, თუ მოპასუხე მის სარგებლობაში უსაფუძვლოდ აღმოჩენილ ქონებას შეგნებულად არ გამოიყენებს და, შესაბამისად, ვერ მიიღებს სარგებელს, თუმცა შეეძლო მას ამ სარგებლის მიღება, მაშინ მოპასუხე ვალდებულია, კრედიტორს, ასევე, დაუბრუნოს, ის სარგებელი, რომელიც შეეძლო მიეღო მას უსაფუძვლოდ მიღებული ქონების სწორი ექსპლუატაციის შედეგად და ვერ მიიღო.

მაკა სალხინაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით

ნიკოლოზ უზულაძე

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი,
ადვოკატი, თბილისის ჰუმანიტარული
უნივერსიტეტის მასწავლებელი

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეებზე გამოტანილი დადგენილების (განკარგულების) გასაჩივრების თავისებურებანი

საზოგადოებისათვის უკვე კარგადაა ცნობილი, რომ სასამართლო სისტემაში მასშტაბური რეფორმა მიმდინარეობს და რეფორმის უმთავრეს მიზანს ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბება წარმოადგენს. საქართველოში მიმდინარე პროცესები ელვისებური სისწრაფით იცვლება, ვინაიდან ხდება მსოფლიოში აპრობირებული ყველა სათანადო მექანიზმის გამოყენება. საქართველო მიისწრაფის ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისკენ (რასაც, ალბათ, არც თუ ისე დიდი დრო დასჭირდება), რისი დასტურიცაა დემოკრატიულ სახელმწიფოებში ე.წ. „guidelines“ გამოყენება, ხოლო საქართველოში კი მათი ე.წ. „რეკომენდაციების“ სახით შექმნა.

საქართველოს უზენაესი სასამართლო აქტიურად ცდილობს აქტიური მუშაობის მოსამართლეთათვის შრომის შემსუბუქებას, რაც სწორედ ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას გულისხმობს. მიუხედავად ამისა, ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები მოქმედ კანონმდებლობაში ბევრ კაზუსს ამოუხსნელს ტოვებს და მთელი რიგი საკითხები კვლავაც მსჯელობის საგანია.

რა თქმა უნდა, ეს პრობლემა მხოლოდ ადმინისტრაციულ სამართალსა, მათ შორის, ადმინისტრაციულ პროცესს არ ეხება და სამართლის სხვა დარგებშიც ანალოგიური მდგომარეობაა.

ბოლო პერიოდში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეებზე გამოტანილი დადგენილების გასაჩივრების საკითხი ფართო მსჯელობის საგანი გახდა, ვინაიდან მოქმედ კანონმდებლობაში ერთმანეთს ეწინააღმდეგება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ზოგიერთი მუხლი.

როგორც წესი, ადმინისტრაციული გადაცდომის საკითხებს იხილავს ადმინისტრაციული ორგანო ან სასამართლო. საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში 2007 წლის 28 დეკემბერს შეტანილი ცვლილებების საფუძველზე დადგინდა, რომ სასამართლო არ მიიღებს საჩივლს ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ, თუ მოსარჩელემ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით არ გამოიყენა ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობა, ანუ გამოდის, რომ, თუ მაგალითად, ადმინისტრაციული

ორგანო გამოიტანს ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს. მისი გასაჩივრება პირდაპირ სასამართლოში დაუშვებელია. პირმა ჯერ უნდა მიმართოს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს, ხოლო უარის შემთხვევაში – სასამართლოს. სხვათა შორის, 2007 წლის 28 დეკემბრის ცვლილებებამდე პირს უფლება ჰქონდა, შეეტანა საჩივარი ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში ან სარჩელი – სასამართლოში. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის¹ პირველი ნაწილის თანახმად, ფიზიკური პირი ვალდებული იყო, გადაეხადა სახელმწიფო ბაჟი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი არ გამოიყენებდა ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის შესაძლებლობას. რაც შეეხება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს, ამ პრობლემას შემდეგნაირად წყვეტს: ადმინისტრაციული სამართალდარღვევის თაობაზე მიღებული დადგენილება საჩივრდება 10 დღის ვადაში ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში², ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს მიერ გამოტანილი დადგენილება პირს არ აკმაყოფილებს, მას შეუძლია მიმართოს სასამართლოს.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის პროექტის თანახმად, პირს უფლება აქვს, ადმინისტრაციული სახდელის შეფარდების შესახებ განკარგულება ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან 10 დღის ვადაში გაასაჩივროს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში, ხოლო იმ შემთხვევაში, თუკი ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო არ დააკმაყოფილებს საჩივარს, პირს უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად.³

ჩვენი აზრით, პირს უნდა ჰქონდეს იმის შესაძლებლობა, რომ თავად გადაწყვიტოს ჯერ ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს მიმართოს თუ სასამართლოს, თუ სასამართლო რეფორმის პირობებში იმაზე გააკეთებთ აქცენტს, რომ სასამართლოები მეტად გადატვირთულია და საჭიროა სასამართლოებისათვის მდგომარეობის შემსუბუქება, მაშინ კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებები დროულია, მაგრამ თუ ამას პირის ინტერესების დაცვის პრინციპიდან განვიხილავთ, მაშინ არამიზანშეწონილია, პირმა ჯერ ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს მიმართოს და მერე – სასამართლოს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 184-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება არ შეჩერდება, თუ წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელიც მიღებულია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით⁴. ამ მუხლს ეწინააღმდეგება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 275-ე მუხლის პირველი ნაწილი, სადაც წერია, რომ „დადგენილ ვადაში საჩივრის შეტანა მის განხილვამდე შეაჩერებს ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ, ერთი ადმინისტრაციული სახდელის სხვა ადმინისტრაციული სახდელით შეცვლის თაობაზე და საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილებების გადაწყვეტილების აღსრულებას”⁵. ზემოაღნიშნული მუხლები ერთმანეთს ეწინააღმდეგება, მაგალითად, თუ საპატრულო პოლიციის მუშაკმა დააჯარიმა მოქალაქე, რომელიც არ ეთანხმება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმს და გაასაჩივრებს მას ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში, ზემდგომ კი სასამართლოში, ამას გარკვეული დრო დასჭირდება და ჯარიმის გადახდის 1-თვიანი ვადა გავა, თუ ვიხელმძღვანელებთ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, მაშინ მოქალაქის მიერ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის შემთხვევაში საპატრულო პოლიციის მიერ ოქმის

¹საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მუხ. მე-10 (ძვ. რედაქცია).

²საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხ. 273-ე.

³საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის პროექტი, მუხ. 46-ე, 47-ე, 48-ე.

⁴საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხ. 184-ე.

⁵საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხ. 275-ე.

(ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი) შედგენა და შემდგომ მისი გასაჩივრება არ აჩერებს ამ აქტის მოქმედებას და პირს 1-თვიან ვადაში, თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში, დაერიცხება საურავი, ხოლო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 275-ე მუხლის შესაბამისად, თუ საჩივარი შეტანილია დადგენილ ვადაში, მაშინ პირს საურავი აღარ დაერიცხება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პრაქტიკაში სერიოზული პრობლემები წარმოიშვა, იმასთან დაკავშირებით, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ზოგიერთი მუხლი ერთმანეთს ეწინააღმდეგება, ამან კი უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებულ რეკომენდაციებშიც პოვა ასახვა. განვიხილოთ რამდენიმე შემთხვევა: ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის თანახმად, სამართალდარღვევის თაობაზე მიღებული დადგენილება (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი) საჩივრდება 10 დღეში. რეკომენდაციების თანახმად,⁶ თუ პირი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის დროს დაჯარიმდა დადგენილების ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის საფუძველზე, მაშინ თვითონ ეს პირი წყვეტს, დადგენილების (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის) გასაჩივრების რომელი ფორმა გამოიყენოს – მიმართოს სასამართლოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული სასარჩელო განცხადების საფუძველზე, თუ მიმართოს სასამართლოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული საჩივრით. გასაჩივრების ფორმის არჩევა პირის უფლებაა, მაგრამ მითითებულ შემთხვევებში გასაჩივრების განსხვავებული ვადებია დადგენილი. თუ პირი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეზე გამოტანილ დადგენილებას (სამართალდარღვევის ოქმს) ასაჩივრებს საერთო სასარჩელო განცხადების საფუძველზე ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, მაშინ დადგენილება (სამართალდარღვევის ოქმი) უნდა გასაჩივროს ერთი თვის ვადაში. თუ პირი დადგენილებას (სამართალდარღვევის ოქმს) ასაჩივრებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 273-ე მუხლის საფუძველზე, მაშინ გასაჩივრების ვადა არის 10 დღე.

აღნიშნული საკითხი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის პროექტის მიღების შემთხვევაში სადავო აღარ გახდება, ვინაიდან ეს უკანასკნელი არეგულირებს ზემოაღნიშნულ საკითხებს. კერძოდ, ადმინისტრაციული სახდელის შეფარდების შესახებ განკარგულება ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან 10 დღის ვადაში გასაჩივრდება ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში, რომელიც საჩივრის შეტანიდან 15 დღის ვადაში იხილავს საქმეს. ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს განკარგულებაც 10 დღის ვადაში საჩივრდება სასამართლოში, რომელიც სარჩელს იხილავს 20 დღეში. რაც შეეხება რაიონული (საქალაქო) სასამართლოს გადაწყვეტილებას მხარეებმა სააპელაციო ინსტანციაში სათანადო წესით შეიძლება გაასაჩივრონ გადაწყვეტილების მათთვის ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს ასევე 20 დღის ვადაში. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება⁷

პრაქტიკაში ასევე მსჯელობის საგანია საკითხი იმის შესახებ, რომ ზოგიერთი მოსამართლე რაიონული (საქალაქო) სასამართლოს დადგენილების სარეზოლუციო ნაწილში არ უთითებს სად და რა ვადაში შეიძლება მათ მიერ გამოტანილი დადგენილების გადასინჯვა (გასაჩივრების საკითხს მოქმედი კანონმდებლობა არ იცნობს, თუმცა პროექტით ეს საკითხი მოგვარებულია და აღარ იქნება მომავალში მსჯელობის საგანი). მაგალითად, 2005 წლის 27 დეკემბერს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის ერთ-ერთმა

⁶ <http://www.supremecourt.ge> საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები ადმინისტრაციული სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, თბ. 2007წ.
⁷ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის პროექტი, მუხ. 46-ე, 47-ე, 48-ე.

მოსამართლემ გამოიტანა დადგენილება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ, სადაც მიუთითა, რომ დადგენილება საბოლოოა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის წესით გასაჩივრებას არ ექვემდებარება (ივარაუდება, რომ მოსამართლემ გამოიყენა სასკ-ის 267-ე მუხლი), ხოლო იქვე, იმავე დადგენილებაში, მიუთითა, რომ მოცემული დადგენილება შეიძლება გადაისინჯოს ზემდგომი სასამართლოს – თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მიერ (ივარაუდება, რომ მოსამართლემ გამოიყენა სასკ-ის 271-ე მუხლი).⁸ ამ შემთხვევაში მოსამართლე არ უთითებს გასაჩივრების ვადაზე, რომელიც მხარისათვის სავალდებულოა, რომ იცოდეს. ეს ალბათ იქიდან გამომდინარე, რომ იმ პერიოდისათვის ე.წ. რეკომენდაციები ჯერ არ იყო შემუშავებული და მოსამართლეები ერთიან აზრზე არ იყვნენ შეჯერებულნი.

განვიხილოთ სხვა შემთხვევა: 2005 წლის 21 ნოემბერს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის ერთ-ერთმა მოსამართლემ გამოიტანა დადგენილება ადმინისტრაციული სახდელის დადების თაობაზე და მიუთითა, რომ დადგენილება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეთა წარმოების წესით გასაჩივრებას არ ექვემდებარება.⁹ აქ აშკარაა, რომ მოსამართლემ გამოიყენა სასკ-ის 267-ე მუხლი. აქ კი მხარეთა უფლებები უფრო მეტად შეილახა, ანუ აქ მითითებული არც კია, რომ მხარეს უფლება აქვს, ზემდგომი სასამართლოს თავმჯდომარეს მიმართოს გადასინჯვისათვის. ამ შემთხვევაში მხარისათვის ცნობილია ერთი რამ: რომ მას აღარ აქვს უფლება, გაასაჩივროს დადგენილება და, შესაბამისად, საქალაქო სასამართლოს დადგენილება ძალაში დარჩება. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ მხარეს არ ეცნობება გასაჩივრების ვადებსა და წესზე.

ასევე საყურადღებოა სასკ-ის 273-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოტანიდან 10 დღის ვადაში.¹⁰ შეუძლებელია გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყოს დადგენილების გამოტანიდან ეს ვადა უნდა აითვლებოდეს მხარისათვის გაცნობის მომენტიდან. ამ შემთხვევაშიც ირდევს მხარის უფლება. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ სასკ-ის 276-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების გამო, საჩივარს ან პროტესტს განიხილავენ საამისოდ უფლებამოსილი ორგანოები (თანამდებობის პირები) მათი შემოსვლიდან 10 დღის ვადაში. შეუძლებელია, სააპელაციო სასამართლომ 10 დღის ვადაში განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე შეტანილი საჩივრები. ეს უფლება კი სასკ-ის 272-ე მუხლის თანახმად, მხოლოდ სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს აქვს. გამოდის, რომ ამ უკანასკნელმა მხოლოდ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეები უნდა განიხილოს.¹¹

ასევე საინტერესო და პრობლემატურია საკითხი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის გადახდევინებასთან დაკავშირებით. კერძოდ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის თანახმად, პირს, რომელიც გაასაჩივრებს დადგენილებას ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ, სახელმწიფო ბაჟი არ გადახდება.¹²

⁸თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგიის საქმე №4/3798-05წ.

⁹თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგიის საქმე №4/2896

¹⁰საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, 1984წ. (2005 წლის 20 აპრილის ცვლილებები და დამატებები) მუხ. 273-ე.

¹¹იხ. მ. სალხინაშვილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე დადგენილების გამოტანის თავისებურებანი სასამართლო პრაქტიკაში, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“ №1 2006წ.

¹²საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, 1984წ. (2005 წლის 20 აპრილის ცვლილებები და დამატებები) მუხ. 272-ე.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის პროექტის 48-ე მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე სახელმწიფო ბაჟი გადახდება მხოლოდ სამართალდარღვევის ჩამდენ პირს შემდეგი ოდენობით:

ა) სარჩელზე, ადმინისტრაციული სახდელის სახით ჯარიმის შეფარდების შესახებ განკარგულების, ადმინისტრაციული შეთანხმების, ან საურავის დარიცხვის შესახებ განკარგულების თაობაზე – სადავო გადასხდევინებელი თანხის 5%-ის ოდენობით, მაგრამ არ არანაკლებ 10 ლარისა;

ბ) სარჩელზე, კონფისკაციის სახდელის შეფარდების შესახებ განკარგულების თაობაზე— კონფისკაციაქმნილი საგნის ღირებულების 5%-ის ოდენობით, მაგრამ არ არანაკლებ 10 ლარისა;

გ) სარჩელზე, სპეციალური უფლების ჩამორთმევის შეფარდების შესახებ განკარგულების თაობაზე – 30 ლარის ოდენობით.

რაც შეეხება სააპელაციო საჩივარს, სახელმწიფო ბაჟის ოდენობა შეადგენს ზემოაღნიშნული თანხების ორმაგ ოდენობას.¹³

ჩვენი აზრით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის პროექტით გათვალისწინებული საკითხი სახელმწიფო ბაჟის გადახდევინებასთან დაკავშირებით არასწორია, ვინაიდან საქართველოს მოსახლეობის ეკონომიური მდგომარეობას თუ გადავხედავთ, არცთუ ისე ბევრს შეეძლება სახელმწიფო ბაჟის გადახდა ადმინისტრაციული გადაცდომის საქმეებზე და ეს კიდევ უფრო შეამცირებს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ უკანონოდ შედგენილ სამართალდარღვევის ოქმებს და, შესაბამისად, დაკისრებულ ჯარიმებს, ვინაიდან უსახსრობის გამო ბევრი ვერ შეძლებს თავისი უფლებების დაცვას სასამართლოში.

და ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ კარგია ახალი ინიციატივები, ახალი დახვეწილი კანონმდებლობა, მაგრამ ეს მოსახლეობის უფლებების დაკნინების ხარჯზე არ უნდა ხდებოდეს. სასამართლო რეფორმა, საკანონმდებლო სიანხლები ხელს უნდა უწყობდეს დემოკრატიული სახელმწიფოს აღმშენებლობას, რაც კანონმდებლობის მხოლოდ გამკაცრებას კი არა, ლიბერალიზაციასაც უნდა გულისხმობდეს.

ANNOTATION

In the following article is considered such important problem as the decision about the case of violation administrative law.

In the decisions made by the court is not indicated the dates of complaint, how the decisions about the administrative impediment can be reconsidered, which makes itself the big problems.

The fallacious practice which is established in the court will not make any success as in the case of the little impediment is violated the administrative rights. Firstly the administrative organs are violating the human rights and then the courts are making them worst. The way out of a situation is one, first of all in the codex of administrative law violations must be made the compliance changes and before it, the Judges must express all incomplete sides of the codex and try to defense the rights of the citizens.

¹³საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის პროექტი, მუხ. 48-ე.

NINO CACUA
Competitor for doctor's Degree
of Law Faculty of Tbilisi State University

PECULIARITIES OF ADMINISTRATIVE PROCEEDING

Different countries' legislations and legal doctrines minutely but differently determine one of the institutions being regulated by the General Administrative Code, particularly the notion of administrative proceeding, its kinds and peculiarities. Of course, here the matter does not concern terminological details. For instance, in Germany it is called "administrative procedure", in Russia – "administrative process", in Georgia – "administrative proceeding". The case in point is the volume and content load of the given institution's notion. In some countries the norms on administrative proceeding regulate preparation of individual legal administrative acts, their effectiveness and validity (Germany), and in some other ones they also refer to adoption of normative administrative acts (US).

Let us briefly touch upon the notion of administrative proceeding. In Germany administrative proceeding is explained as administrative bodies' activity of extrinsic character, which is directed at preparation and issuance of administrative acts or conclusion of public-legal contracts.¹

Some Georgian administrativists explain that "administrative proceeding is an administrative body's activity that is directed at generation, alternation or discontinuance of legal relationships outside the framework of an administrative body."² In the opinion of Z. Adeishvili, "administrative proceeding includes any action of an administrative body that is directed at issuance of an administrative act."³

In the opinion of A. Kozyrin, administrative proceeding includes "adoption of decisions by administrative bodies, which have to do with rights and legitimate interests of citizens."⁴

I. Lazarev believes that administrative proceeding is a lawmaking activity of the executive power's bodies which is regulated by administrative-procedural norms and is directed at exercising the authorities conferred to these bodies in relations with citizens and legal entities, with the purpose of realization of rights and legitimate interests of these persons.⁵ Such determination of administrative proceeding would not be correct, since it restricts the range of real legal relationships that are settled by means of administrative proceeding. Lazarev focuses attention only on lawmaking activity implemented by the executive power. We believe that the notion of administrative proceeding explained by Georgian lawyers is more precise, since, besides executive bodies, considered as administrative bodies are local self-government's elected-representative bodies, Sakrebulo, legal entities of public law, except for religious and political associations, the court and the parliament, if they fulfill public legal functions, and, in some cases, physical persons as well. In the process of exercising of public legal authorities the latter ones are considered as administrative bodies and are obliged to make decisions taking into account the requirements of the General Administrative Code of Georgia (GACG).

As far as we can see, there is no single approach to determination of the notion of administrative proceeding. Based on the analysis of the abovementioned opinions, we can draw a conclusion that administrative proceeding is only an administrative body's activity of extrinsic character, which is directed at generation, alternation or discontinuance of legal relationships outside its framework by means of preparation and issuance of administrative-legal acts. It is evident that there is a difference between

¹Compare §9 Verwaltungsverfahrensgesetz (VwVfG) vom 25. Mai 1976 j.

²P. Turava, I. Kharshiladze. Administrative Proceeding. "Meridiani". Tbilisi. 2006. p. 16.

³A collective of authors. Text-Book on General Administrative Law. Publishing Training Center. Tbilisi 2005. p. 218.

⁴A.N. Kozyrin. Administrative Law of Foreign Countries. Spark. Moscow. 2003. p. 220.

⁵I.M. Lazarev. Administrative Procedures in the Sphere of Relationships of Citizens and their Organizations with Executive Power Bodies in the RF. Moscow. 2002. p. 7.

administrative “activity” in general and administrative “proceeding” in particular, with respect to each other they appear as the whole and a constituent of the whole. Not all administrative activities represent administrative proceeding. We should emphasize that effectiveness of an administrative body’s functioning depends on correct combination of different forms of administrative activity. Therefore, administrative proceeding is a part of administrative activity and the following represents its product:

- issuance of administrative-legal acts;
- conclusion of administrative contracts.

Administrative proceeding is not only a combination of technical norms, but an essential part of a modern legal state that has its principles and goals, that is developed by practice, lawmaking and science, as well as by democratic and social requirements of a legal state.

We shall not go into a detailed characterization of kinds of proceeding, our main objective is revealing of the legislative omissions existing in administrative proceeding. As it is known, there are three basic types of administrative proceeding: ordinary administrative proceeding, formal administrative proceeding and public administrative proceeding. In a number of cases we can come across administrative proceeding in connection with the complaint or the contract, which will leave out, since their consideration will take us too far. But we shall focus attention on: administrative proceeding by a collegial administrative body and an independent body. The three abovementioned types are basic ones, while all the remaining ones represent variants of one of them. Important is the fact that issuance of the same act with application of more than one type of proceeding is not permissible.

The most important and basic one among the mentioned types is ordinary administrative proceeding, very many provisions of which are common and are applied in the course of formal and public administrative proceeding. Pursuant to GACG, ordinary administrative proceeding is launched based on either the official duty of an administrative body or a citizen’s application. Currently most of individual administrative-legal acts are issued just on the basis of applications of interested persons. With the purpose of launching of administrative procedure, it is important to register an application, which implies entering of an application into the respective register and giving a registration number to it. At the request of an applicant, an administrative body is obliged to send him/her an acknowledgement of registration. Then an administrative body’s reaction follows, which includes checking permissibility and validity of an application. Within the period of three days an administrative body checks permissibility of an application and, in the event that a registered application does not comply with the paragraphs determined by GACG, administrative proceeding is discontinued without checking its validity.

In practice frequent are cases when an interested party submits an application concerning issuance of an administrative act to an unauthorized administrative body. Pursuant to Article 80 of GACG, if the latter ascertains that solving of the issue indicated in the application is out of its competence, it is obliged to determine by itself what administrative body’s leadership solving of the issue refers to and, no later than within a period of 5 days, send the application to it with enclosed materials, without any instructions having to do with solving of the issue designated in it. Peculiarity of the administrative law consists in the fact that determination of the authorized body is not considered as a duty of an interested person. In practice quite frequent are cases when application of this article represents a difficulty, and many practical examples are the evidence of that.

In launching of administrative proceeding, prior to a comprehensive consideration of circumstances of the case, GACG obligates an administrative body to render legal assistance to an interested party. It should also give an explanation of his/her rights and obligations in the course of consideration of the case, familiarize him/her with the order of consideration of the application, type and period of proceeding, as well as to explain what requirements his/her application should comply with. Before we switch to the following stage of administrative proceeding, particularly comprehensive consideration of the case, we cannot but mention the fact that Article 86 of GACG determines that everybody has the right to enter into relationships with an administrative body by the agency of a representative and with assistance of a defense attorney.

This represents a right and not an obligation of an interested party. An administrative body cannot oblige a party to appoint a representative in implementation of administrative proceeding, but there are cases when participation of a representative in administrative proceeding is indispensable:

- In the event that an application was submitted by more than 25 persons, within the period determined by an administrative body the persons that signed the application appoint one representative who is authorized to enter into relationship with the administrative body (Article 89 of GACG). This representative can be either one of the interested parties that signed the application or any other capable physical person; it is also possible that the interested parties may fail to reach an agreement concerning the issue of appointment of a representative. In this case Article 90 of GACG, which is entitled as "Appointment of a representative at the initiative of an administrative body" determines that the first person that signed the application is automatically considered as a representative of the interested party. This article represents an addition to and continuation of Article 89 of GACG. Proceeding from that, I do not consider separate existence of Article 90 as justified.

- If the application was submitted by a person that has no permanent place of residence in Georgia. Article 88 of GACG determines that "an interested party, that participates in administrative proceeding and has no permanent place of residence in Georgia or is registered without indication of the address, is obliged to appoint within the period of 3 days from an administrative body's demand a capable person registered at a certain address in Georgia as a representative to whom all documents intended for him/her will be sent." Making of such demand is possible in the event that issuance of an administrative act with observance of all requirements of the law is impossible without participation of a representative. If an interested party has no permanent place of residence, the law obliges him/her to appoint a representative to whom documents related to administrative proceeding should be sent. In this article we have to do with confusion in notions. In spite of the fact that a notion "representative" is used in the article, the matter concerns not so much the appointment of a representative, but indication of a person to whom official correspondence should be sent.»⁶

One of important rights of an interested party, besides participation in administrative proceeding by the agency of a representative, is the right of challenge. If an application concerning the challenge was not submitted within two days from launching of administrative proceeding, an administrative body, as far as the issue to be solved is concerned, is commonly obliged to collect all information, documentation being significant to the case, thoroughly examine the circumstances and make a decision on the basis of assessment and juxtaposition of these circumstances. A decision made by an administrative body should be not only lawful, but also expedient. In practice frequent are cases of administrative bodies' decision-making without examination of circumstances of the case, which is absolutely inadmissible. It is obliged to accept an application or motion submitted by a party, examine its permissibility and validity. If, as a result of examination of an issue by an administrative body, it turns out that an application or motion is impermissible or insufficiently grounded, an administrative body is authorized not to take further action on it. Before making this decision it is obliged to examine the issue and substantiate the refusal. Examination of a case's circumstances is regulated by Article 96 of GACG, Paragraph 2 of which has the following wording: "It is inadmissible that a circumstance or fact, which has not been examined by an administrative body pursuant to the order established by the law, should serve as a basis for issuance of an individual administrative legal act". This norm is already envisaged by Paragraph 5 of Article 53 of GACG and has the following wording: "An administrative body is not authorized to base its decision on circumstances, facts, evidence or arguments that were not studied or examined in the course of administrative proceeding". Based on comparing of the content of the two articles' paragraphs, it is clear that they are identical and that reiteration takes place.

It is possible to examine circumstances of a case best of all when interested parties have an opportunity of participation in administrative proceeding and expressing their considerations having to do with

⁶Z. Adeishvili, G. Vinteri, D. Kitoshvili. Comments to General Administrative Code. Tbilisi 2002. p. 215.

circumstances of a case. The law envisages both mandatory and voluntary participation of an interested party in administrative proceeding. Participation of an interested party is mandatory if an interested party's legal status deteriorates as a result of the decision to be made as a result of administrative proceeding. In this case an administrative body is obliged to notify a person of launching of administrative proceeding and provide for his/her participation in it. However, in practice frequent are cases when this requirement envisaged by Paragraph 2 of Article 95 of GACG is violated. There are a lot of glaring examples of the facts when interested persons are informed only after the decision has already been made or via mass media. On the contrary, participation is voluntary if an interested party's legal status does not deteriorate as a result of the decision to be made as a result of administrative proceeding. In this case an administrative body is not obliged to notify an interested party of launching of administrative proceeding.

Making a decision with respect to the issue being in administrative proceeding represents the following stage of administrative proceeding. An administrative body is obliged to issue an administrative act within a specified period of time from the moment of launching of administrative proceeding. It should be emphasized that, when administrative proceeding is launched at an administrative body's initiative, the Code does not limit it by a specified period of time for issuing an administrative act. However, in this case transitory provisions of a special law or by-law, or an administrative act of a superior administrative body may envisage the period of time during which an administrative act should be issued. The matter stands differently in case of administrative proceeding launched on the basis of an application. The Code determines that, if an administrative act does not concern a third person, it should be issued no later than 15 days after submission of the application. A general period of administrative proceeding is one month, but in some cases an issue maybe so difficult that a longer period of time is necessary for its solving since, in a number of cases, it is required to collect evidence, carry out expert examination, etc. The total period should not exceed three months. As far as reference time counting is concerned, we believe that Article 15 and Article 94 of GACG contradict each other. In Article 15 of GACG it is said that legal holidays and nonworking days established by the labor legislation of Georgia are not reckoned in counting of periods of time indicated in this Code. However, pursuant to Paragraph 1 of Article 94 of GACG, applied in counting of time is the order established by Articles 59-60 of Civil Procedural Code of Georgia, according to which "a period of fulfillment of an action related to administrative proceeding is determined by an exact calendar date..." (Article 60 of GACG).

Therefore, it is clear that Article 15 and Article 94 of GACG differently determine the time counting order and are evidently at variance with each other. We believe that the discrepancy existing in these articles should be eradicated by means of introduction of a respective amendment. Besides, let us also dwell on Paragraph 1 of Article 94 which, with respect to time counting, points out articles from 59 to 69 inclusive of Civil Procedural Code of Georgia. In our opinion, among them there are articles that have nothing to do with administrative proceeding. For instance, Article 65 of Civil Procedural Code of Georgia "Renewal of Proceeding Period" saying that "the period of time determined by the law for fulfillment of a procedural action, if the law does not envisage otherwise, can be renewed by the court if it considers that a procedural action was not fulfilled for a valid reason. Circumstances indicated in Part 3 of Article 215 of this Code will be considered as a valid reason." According to Paragraph 4 of Article 94 of GACG, period of time missed for a valid reason is renewed by an administrative body. Proceeding from that, we consider it expedient that Paragraph 1 of Article 94 of GACG should only contain Articles 60 and 61 of Civil Procedural Code of Georgia.

Interesting is the issue of renewal of the missed period of time which is also determined by Article 94 of GACG – if an interested party missed the period of time set by the law or an administrative body owing to force majeure circumstances, illness, an administrative body's fault or for some other valid reason, in this case it should submit a written application concerning renewal of the missed period of time no later than 15 days after eradication of the aforementioned circumstances. The application should be enclosed with respective documents and materials confirming the existence of a valid reason for missing the set period of time. An administrative body will consider an application concerning the missed period of time within 5 days. Here we cannot but mention an inaccuracy or technical mistake existing in Part 6 of the same article.

The point is that an administrative body is obliged (since the words “should be renewed” is indicated in Paragraph 2 of Article 94) to renew the period of time missed for a valid reason, at the same time it is indicated in the aforementioned Paragraph 6 that an administrative body is also authorized to renew a period of time set by the same administrative body and missed by an interested party for a valid reason, if that is not prohibited by the law and does not inflict damage to a third person’s rights or legitimate interests. In our opinion, if we logically explain this paragraph, it should contain the word “invalid” instead of “valid”, which gives an opportunity to renew a period of time set by an administrative body that was missed for invalid reason, if that is not directly prohibited by a special law or does not inflict damage to a third person’s rights or legitimate interests.

An administrative act issued as a result of administrative procedure must contain substantiation. It is substantiation, by means of which it should be explained to an interested party why an administrative body made such decision and what legal or factual reasoning it is based on. An act should also contain information on possibility and order of appeal. An administrative act will not come into effect if the interested party does not familiarize itself with it. Therefore, with the purpose of its coming into effect, it is necessary that it should be handed over to the interested party or published in accordance with the order envisaged by the Code.

The following type of administrative proceeding is formal administrative proceeding, on the basis of which an individual administrative-legal act is issued only in the event that it is directly envisaged by the law. However, for the time being there is no such law in Georgia. This type of proceeding is mainly founded on the basis of ordinary administrative proceeding. Participants of formal administrative proceeding are only persons whose interests directly concern the issue to be solved. In case of formal administrative proceeding, participation of an interested party differs from ordinary administrative proceeding. An administrative body is obliged to notify all interested parties of launching of formal administrative proceeding and provide for their participation in administrative proceeding. Participation in formal administrative proceeding is a right but not a duty of interested persons. The main difference of ordinary administrative proceeding from formal one is that the decision making procedure is formalized in general and take place only on the basis of oral hearing, on account of which it is often called “quasi court proceeding”. “Oral hearing session basically resembles a court session. An oral hearing session, like a court session, has a chairman that opens a session and announces which case will be considered. The chairman of an oral hearing session ascertains which of the persons summoned with respect to the case to be considered is present, whether notifications were handed over to the persons that are absent and what are the reasons for their absence. The chairman establishes personalities of those absent and checks the authority of representatives.”⁷ An oral hearing is a public one, it should not last longer than one working day. Publicity does not mean that representatives of public at large are entitled to participate in consideration of a case. Minutes of an oral hearing should made, which will provide for an exact reflection of opinions expressed in the course of the hearing and the situation existing at the session. An administrative body should issue an individual administrative-legal act within the period of five days from the moment of holding of a hearing.

The following type – public administrative proceeding; due to the fact that not only interested persons entitled to participate in the process of issuance of an administrative act but also representatives of public at large have the right to take part in it, and also due to existence of oral hearing, it resembles a court proceeding. This type of administrative proceeding is applied in case of solving of complex issues, that is the ones where it is necessary to hear many participants, consider different views and carefully assess public and private interests. Therefore, public administrative proceeding is a type of administrative proceeding that most of all provides for participation of both interested parties and public at large in the process of issuance of an act. This is one of the factors by which this type of administrative proceeding differs from other ones.

⁷P. Turava, I. Kharshiladze. Administrative Proceeding. “Meridiani”. Tbilisi. 2006. pp. 117-118.

Pursuant to Article 115 of GACG, an individual administrative-legal act is issued by means of public administrative proceeding only if that is directly envisaged by the law. In this respect they single out three cases when the law envisages a possibility of application of this type of administrative proceeding.

It% Issuance of individual administrative-legal acts related to disposal of state or municipal property, licensing, granting of permits having to do with environmental protection and construction, standardization and distribution of telecommunicational frequencies.

It% If that is not directly determined by the law but, proceeding from specificity of an individual administrative-legal act, has to do with the interests of a wide range of persons. For instance, a decision on construction of an urban motorway or a radioactive waste storage, which will have an effect on legitimate interests of the persons living in the vicinity of these units.

It% “A clause on making a decision as a result of public administrative proceeding can also be included in individual laws.”⁸

Therefore, in a number of cases the law concretely defines and gives an exact list of the issues that should be solved by means of public administrative proceeding and, on the contrary, when it does not give a concrete definition and only points out to the interests of a wide range of people.

It is also interesting whether it is necessary to apply public administrative proceeding in consideration of, for instance, all construction-related issues and, accordingly, for granting of permits. Let us draw the following example: if a person decided to build a house in the centre of a city, this issue is sure to require solving by means of public administrative proceeding, but whether it is necessary that the issue should be solved in the order of public administrative proceeding if the same person decided to build a house in some unpopulated and abandoned village.

Public administrative proceeding, like formal administrative proceeding, is founded on the basis of ordinary administrative proceeding. However, there is a number of peculiarities that differentiate it from other types of proceeding. So that broad masses of the population should be able to take part in the process of issuance of an act, an administrative body is obliged to publish a notice concerning presentation of documents for public familiarization.

Spreading of information on public administrative proceeding gives the parties an opportunity of familiarization with the materials presented for public familiarization. Everybody has the right to become acquainted with the information presented for public familiarization and get copies of these documents. Familiarization with information should take place in the body where administrative proceeding takes place, though, on the basis of a grounded decision, familiarization with this decision is possible in another administrative body as well, with the consent of the latter one. Everybody also has the right to submit their written considerations concerning the issuance of an individual administrative-legal act within 20 days from the moment of presentation of a notice or a draft of an individual administrative-legal act for public familiarization. An administrative body carries out registration of this consideration and, within the period of one day, sends it to another respective body and a public expert.

Pursuant to Article 119 of GACG, an administrative body is obliged to prepare a draft of an individual administrative-legal act within one month from the moment of registration of an application or within other period determined by the law. This period is a very short one, since public administrative proceeding includes such enduring stages as: publication of a notice, presentation of considerations, sending for a conclusion, examination of circumstances of a case, etc. At the same time administrative proceeding is not always launched on the basis of an application, in some cases it can be launched by issuance of an administrative act. As for publication of a draft, it is very important since the public gets preliminary information on an administrative body’s possible decision, but its existence does not mean that an administrative body is sure to finally make just this decision. It is possible that significant amendments will be introduced to the prepared draft after the oral hearing. Holding of the oral hearing itself takes place within

⁸P. Turava, I. Kharshiladze. Administrative Proceeding. “Meridiani”. Tbilisi. 2006. p. 121.

the framework of formal administrative proceeding, with observation of the rules envisaged for the oral hearing by the Code, but with the distinction that not only interested parties but any person has the right to present considerations and take the floor during the oral hearing in public proceeding, and with the similarity that issuance of an individual administrative-legal act does not take place in the process of oral hearing, but within a certain period of time. However, this period makes up not five, but ten days. Since “a wide range of citizens is involved in the decision-making process, it is logical that the adopted individual administrative-legal act should also become known to the public at large.”⁹ That is why the law’s imperative requirement is that the adopted act must be published.

Interesting is administrative proceeding in a collegial administrative body that issues an individual administrative-legal act according to the order of ordinary administrative proceeding. Taking into account some peculiarities, it considers applications submitted to this body and makes collective decisions at its sessions with participation of this body’s members that are preliminarily notified of the time and place of holding of the session, as well as of its agenda. This body’s official announces the session open or closed, and in case of his/her absence it is done by an appointed or elected chairman of the session. Since a collegial body makes decisions collectively, Paragraph 2 of Article 105 of GACG determines that “a collegial administrative body is authorized to make a decision if its session is attended by more than a half of its members, but no less than 3 ones.” This article is manifestly at variance with the notion of a collegial administrative body, which is determined by Paragraph “B” of Article 27 of GACG and envisages more than 1 person, which, in our opinion, is not correct. As for Paragraph 2 of Article 105, it also contains an inaccuracy. Pursuant to it, a decision is made when more than a half of a collegial body’s members attend its session, but no less than three members. In the event that a collegial body consists of three members, all three members must attend the session so that an issue should be solved. This norm is significantly limiting and, according to it, even one member of a collegial body can block a decision that is objectionable to him/her by non-appearance at the session. We consider it expedient that in future an amendment should be introduced to Paragraph 2 of Article 105 and that it should be formulated without the words “but no less than three members”.

In the course of holding a session, a collegial administrative body makes minutes of the session. The session’s minutes is signed by the session’s chairman and the secretary, if a person having such functions exists in the body. The persons that signed the session’s minutes bear responsibility for its correctness.

Chapter 11 of GACG regulates the order of issuance of an individual administrative-legal act by an independent body, which implies that, proceeding from public interests, decisions on most important issues should be made not by an administrative body, but an independent body consisting of one or several physical or legal persons having respective qualification. Therefore, important issues are solved by an independent body. Noteworthy is the fact that this body is not called an independent administrative body, i.e. even from the name it can be seen that it should be impartial and objective and, of course, staffed with qualified and experienced cadres. An independent body is designated on the basis of a tender, by an administrative body in the competence of which is solving of the given case. The main purpose of an independent body’s right to issue an individual administrative-legal act is that a possibility of making subjective and biased decisions on most important issues should be maximally ruled out.

Chapter 11 of GACG determines that an independent body issues an administrative-legal act according to the order envisaged for administrative proceeding by this Code, and determines two moments of issuance of an act by it. The first one is mandatory, when the law directly obliges an independent body to issue an administrative-legal act on the following issues:

1. Granting of concession, if the price of concession exceeds 250000 GEL.
2. Making of a decision on privatization of state property, if the price exceeds 100000 GEL.

⁹Z. Adeishvili, K. Vardiashvili, L. Izoria, N. Kalandadze, M. Kopaleishvili, N. Skhirtladze, P. Turava, D. Kitoshvili. Text-Book on General Administrative Law. Publishing Training Center. Tbilisi 2005. p. 248

The second moment is a voluntary one, when the President of Georgia is authorized to designate an independent body for consideration of an administrative complaint.

In spite of the fact that this chapter of the Code determines setting up of an independent body with the purpose of issuance of an individual administrative-legal act, in practice we shall not come across the realization of the articles given in this chapter. Actually, they have not been implemented in Georgia, i.e. these are dormant articles.

The provisions being regulated by Chapter 11 of GACG are very relevant and must be enabled. In democratic foreign countries a number of independent bodies has been set up and they successfully cope with the charged functions and actively participate in solving of many important issues.

Therefore, the purpose of the present article's existence is a short review of organization of administrative proceeding being regulated by the General Administrative Code of Georgia and its comparing with the real practice.

BIBLIOGRAPHY

1. Constitution of Georgia of August 24, 1995;
2. General Administrative Code of Georgia of June 25, 1999;
3. Law of Georgia "On the Procedure for Granting Concessions to Foreign Countries and Companies" of December 21, 1994;
4. Law of Georgia "On Construction Permits" of June 25, 2004;
5. Law of Georgia "On Licenses and Permits" of June 24, 2005;
6. P. Turava, I. Kharshiladze. Administrative Proceeding. "Meridiani". Tbilisi. 2006.
7. Z. Adeishvili, K. Vardiashvili, L. Izoria, N. Kalandadze, M. Kopaleishvili, N. Skhirtladze, P. Turava, D. Kitoshvili. Text-Book on General Administrative Law. Publishing Training Center. Tbilisi 2005.
8. Z. Adeishvili, G. Vinteri, D. Kitoshvili. Comments to General Administrative Code. Tbilisi 2002.
9. A.N. Kozyrin. Administrative Law of Foreign Countries. Spark. Moscow. 2003.
10. I.M. Lazarev. Administrative Procedures in the Sphere of Relationships of Citizens and their Organizations with Executive Power Bodies in the RF. Moscow. 2002. p. 7.
11. A.B. Agapov. Administrative Law. Moscow. 2004.
12. Y.A. Tikhomirov. Administrative Law and Process. Moscow. 2001.
13. L.A. Popov. Administrative Law. Moscow. 2002.
14. D. Galligan. Administrative Law. Moscow. Yurist. 2002.
15. Verwaltungsverfahrensgesetz (VwVfG) vom 25. Mai 1976 j.
16. Bergmann. Verwaltungsrechtsschutz in Deutschland. Wolters Kluwer. 2007 j.

ზურაბ ქნელაუზილი

იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი

**საგადასახადო საიდუმლოების
ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტი**

საგადასახადო საიდუმლოება საქართველოს საგადასახადო კოდექსით (შემდგომში – სსკ) რეგლამენტირებული სამართლებრივი ინსტიტუტია. იგი სიახლეა ჩვენს სამართლებრივ სივრცეში, რომელიც ახალმა საგადასახადო კოდექსმა შემოიღო და მას 2005 წლის პირველ იანვრამდე მოქმედი კოდექსი არ იცნობდა. საგადასახადო საიდუმლოების სამართლებრივი მნიშვნელობის გარკვევისათვის, პირველ რიგში, აუცილებელია მისი ადგილის მოძებნა საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის ტიპოლოგიაში. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა პირდაპირ არ უთითებს, საიდუმლო ინფორმაციის რომელ კატეგორიას მიეკუთვნება საგადასახადო საიდუმლოება, რაც აღნიშნული სამართლებრივი ინსტიტუტის შეფასებითი ანალიზისა და კვლევის აუცილებლობას განაპირობებს. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ჩვენ მიერ ნაშრომის მომზადება და საერთო განსჯისათვის მისი გამოქვეყნება.

საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლი საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის ოთხ კატეგორიას მოიცავს – პირად, კომერციულ, სახელმწიფო და პროფესიულ საიდუმლოებას, ხოლო მათ განმარტებებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი (შემდგომში – სზაკ) და „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონი იძლევა. მიგვაჩნია, რომ ამ ჩამონათვალთან საგადასახადო საიდუმლოება ყველაზე მეტად პროფესიულ საიდუმლოებას შეესაბამება და აკმაყოფილებს კიდევ მისდამი წაყენებულ მოთხოვნებს. იმისათვის რომ, ინფორმაცია მივაკუთვნოთ პროფესიულ საიდუმლოებას, სზაკ-ის 27³-ე მუხლის მიხედვით, აუცილებელია იგი ერთდროულად აკმაყოფილებდეს შემდეგ ორ პირობას: ა) უნდა წარმოადგენდეს სხვის პირად ან კომერციულ საიდუმლოებას და ბ) პირისათვის ცნობილი უნდა გახდეს პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 122-ე მუხლის პირველი ნაწილი განმარტავს, რომ საგადასახადო საიდუმლოებას მიეკუთვნება გადასახადის გადამხდელის შესახებ საგადასახადო ორგანოს მიერ მიღებული ნებისმიერი ინფორმაცია, გარდა დღგ-ის გადამხდელის დასახელებისა და მისამართის, გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომრის შესახებ ინფორმაციის, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონითა (სამეწარმეო რეესტრით) და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით (არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელმწიფო რეგისტრაციის რეესტრით) გათვალისწინებული საჯარო ინფორმაციისა, ხოლო ამავე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილია საგადასახადო ორგანოს თანამშრომლების ვალდებულება – დაიცვან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მიღებული ინფორმაციის საიდუმლოება და გამოიყენონ მხოლოდ იმ მიზნის მისაღწევად, რის გამოც მათთვის ნებადართულია ამ ინფორმაციის გაცემა. აღნიშნული ნორმა, ერთი მხრივ, საგადასახადო ორგანოს თანამშრომელთა მხრიდან გამხელისაგან იცავს გადასახადის გადამხდელთა შესახებ არსებულ (მიღებულ) ინფორმაციას, მეორე მხრივ კი ადგენს ამ ინფორმაციის, როგორც იმთავითვე საიდუმლოს, სტატუსს, ვინაიდან, მისი გამხელისაგან დაცვის ვალდებულებას საგადასახადო ორგანოს მიერ ამ ინფორმაციის მიღებისთანავე საიდუმლო სტატუსის არსებობას უკავშირებს.

გადასახადის გადამხდელთა შესახებ ინფორმაციის საიდუმლოების დაცვის ვალდებულების სუბიექტს საგადასახადო ორგანოს თანამშრომელი წარმოადგენს, ხოლო ამავე ვალდებულების

ობიექტს – მათ მიერ სამსახურებრივ მოვალეობის შესრულების დროს მიღებული ინფორმაცია. მაშასადამე, სსკ-ის 122-ე მუხლით კანონმდებელი გამხელისაგან დაცვის ვალდებულებას მხოლოდ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიღებული ინფორმაციის მიმართ ადგენს, რაც ამ ინფორმაციის პროფესიულ საიდუმლოებად მიკუთვნების ერთ-ერთი პირობაა.

ზემოაღნიშნული ნორმა არ უთითებს „მიღებული ინფორმაციის“ კონკრეტულ სამართლებრივ სტატუსზე, თუ რითია განპირობებული საგადასახადო ორგანოს მხრიდან მათი საიდუმლოდ დაცვის ვალდებულება, საიდუმლო ინფორმაციის რომელ კატეგორიას მიეკუთვნება იგი. სწორედ ამის დადგენა წარმოადგენს ჩვენი კვლევის მიზანს, რათა დავასაბუთოთ საგადასახადო საიდუმლოებისთვის პროფესიული საიდუმლოების სტატუსის მიკუთვნების მოსაზრება. შესაბამისად, ლოგიკურად ჩნდება კითხვა: წარმოადგენს კი გადასახადის გადამხდელთა შესახებ საგადასახადო ორგანოს მიერ „მიღებული ინფორმაცია“ სხვის პირად ან კომერციულ საიდუმლოებას? რა შემთხვევებში წარმოადგენს და რატომ?

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი არ ადგენს „პირადი საიდუმლოების“ ლეგალურ დეფინიციას. იგი არეგულირებს მხოლოდ პერსონალური მონაცემების პირად საიდუმლოებად მიჩნევის საკითხს (სზაკ-ის 27¹-ე მუხლი) და ასეთი საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის/განსაიდუმლოების წესს (სზაკ-ის 31-ე, 44-ე და 48-ე მუხლები). გარდა პერსონალური მონაცემებისა, სხვა კატეგორიის პირადი ხასიათის ინფორმაციის გასაიდუმლოება რეგლამენტირდება სამართლის სხვა სფეროს საკანონმდებლო აქტებით. ასეთი პირადი ხასიათის საიდუმლო ინფორმაციის კატეგორიათა ჩამონათვალს შეიცავს უმაღლესი ნორმატიული იერარქიის მქონე კანონი – საქართველოს კონსტიტუცია.

საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, მის ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან, არავისთვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ჯანმრთელობის, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად. ამდენად, ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ყველა ის ინფორმაცია, რაც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, მის ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან, ინდივიდის პირად საიდუმლოებას მიეკუთვნება¹ და შესაბამისად, საიდუმლო ინფორმაციაა (საიდუმლო ინფორმაციის ცნება იხ. სზაკ-ის 2.1.6 მუხლი).

საქართველოს კანონმდებლობა არ განმარტავს, თუ რა იგულისხმება „ოფიციალურ ჩანაწერებში“, საჯარო დაწესებულებაში თუ კერძო სამართლის ნებისმიერ სუბიექტთან არსებული (დაცული) ჩანაწერი. მიგვაჩნია, რომ კონსტიტუციურ ნორმაში მოხსენიებულ „ოფიციალურ ჩანაწერებში“ უნდა ვიგულისხმოთ ყველა ის დოკუმენტი და ინფორმაციის სხვა მატარებელი, რომელიც საჯარო ინფორმაციას შეიცავს. სზაკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „მ“ ქვეპუნქტის მიხედვით, საჯარო ინფორმაცია განმარტებულია როგორც ოფიციალური დოკუმენტი ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე, საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია. რამდენადაც, კანონმდებლობა საჯარო ინფორმაციას განმარტავს როგორც ოფიციალურ დოკუმენტს, კონსტიტუციურ ნორმაში მოხსენიებულ „ოფიციალურ ჩანაწერებშიც“ უნდა ვიგულისხმოთ სწორედ საჯარო ინფორმაცია, ვინაიდან, ლოგიკურია, რომ ოფიციალური ჩანაწერები მხოლოდ ოფიციალურ დოკუმენტებში შეიძლება არსებობდეს.

¹ კუბლაშვილი. ძირითადი უფლებები. თბ. 2003 წელი. გვ.111.

ამასთან, თუ რა იგულისხმება „კერძო საკითხებში“, ერთმნიშვნელოვნად ამის აღნიშვნა შეუძლებელია. ერთი კი ცხადია ვინაიდან მოცემული საკონსტიტუციო ნორმა რეგლამენტირებულია ასეთად: „რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, მის ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან“, ჯანმრთელობასთან და ფინანსებთან დაკავშირებული ინფორმაციაც ადამიანის შესახებ „კერძო საკითხებთან“ დაკავშირებულ ინფორმაციას მიეკუთვნება. ამდენად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის კერძო საკითხებთან, მისი პირადი საიდუმლოებაა.

„კერძო საკითხებთან“ დაკავშირებულ ინფორმაციას, გარდა ჯანმრთელობასთან და ფინანსებთან დაკავშირებული ინფორმაციისა, აგრეთვე, უნდა მიეკუთვნოთ პირის პერსონალური მონაცემები – საჯარო ინფორმაცია, რომელიც პირის იდენტიფიკაციის, მისი ვინაობის დადგენის, სხვა პირთაგან მისი გამორჩევის შესაძლებლობას იძლევა, ვინაიდან ამ ტიპის ინფორმაციის პირად საიდუმლოებას მიეკუთვნების შესაძლებლობას თვითონ კანონი ადგენს. სზაკ-ის 27¹ მუხლის შესაბამისად, პერსონალური მონაცემების პირად საიდუმლოებად მიჩნევის საკითხს, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, წყვეტს პირი, რომლის შესახებაც არსებობს ეს ინფორმაცია. ასეთ მონაცემებს მიეკუთვნება სახელი, გვარი, დაბადების ადგილი და თარიღი, პირადი ნომერი, ტელეფონის ნომერი, რეგისტრაციის მისამართი, საცხოვრებელი ადგილი – ლომიცილი და ა.შ.

მაშასადამე, პირის პერსონალური მონაცემების გასაიდუმლოება (პირად საიდუმლოებად მიეკუთვნება) ყოველთვის ამ პირის ნებაზე (პირად საიდუმლოებად მიჩნევაზე) არაა დამოკიდებული. კანონით შესაძლებელია გათვალისწინებული იყოს სხვა ისეთი შემთხვევა, როდესაც პერსონალური მონაცემების გასაიდუმლოება დაუშვებელია (მაგ.: თანამდებობის პირთა პერსონალური მონაცემები) ან როდესაც იგი იმთავითვე საიდუმლოა (მაგ.: საჯარო მოსამსახურეთა აღმასრულებელი პრივილეგია) და როცა მას გამხელისაგან პირდაპირ იცავს კანონი. ზოგიერთ შემთხვევაში კი ასეთი პერსონალური მონაცემების გასაიდუმლოების მიმართ შეზღუდულია თვით იმ პირის ნების ავტონომიურობაც, ვის შესახებაც იგი არსებობს.

გარდა პერსონალური მონაცემების, ჯანმრთელობასთან და ფინანსებთან დაკავშირებული ინფორმაციისა, კიდევ რა ფარგლებს მოიცავს „კერძო საკითხთა“ წრე, ამის განსაზღვრისთვის საორიენტაციო განმარტებას იძლევა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონი. აღნიშნული კანონის პირველი მუხლის „ნ“ პუნქტის მიხედვით, პირადი საიდუმლოება განმარტებულია როგორც პირადი ფასეულობის მქონე ინფორმაცია, რომლის საიდუმლოების დაცვასაც მოითხოვს კანონი, აგრეთვე, ყველა ის ინფორმაცია და გარემოება, რომელთან დაკავშირებითაც ადამიანს აქვს კერძო ცხოვრების ხელშეუხებლობის გონივრული მოლოდინი. მაშასადამე, პირადი საიდუმლოება განსაზღვრულია (დახასიათებულია) კონკრეტული და ზოგადი კრიტერიუმებით, მიუხედავად იმისა, ეს ინფორმაცია ფიზიკურ პირს ეხება თუ იურიდიულ პირს. აღნიშნული კრიტერიუმები ალტერნატიული ხასიათისაა და მათი ერთობლივად არსებობა არ არის აუცილებელი ამა თუ იმ ინფორმაციის პირად საიდუმლოებას მიეკუთვნებისთვის.

ინფორმაციის პირად საიდუმლოებას მიეკუთვნების კონკრეტული კრიტერიუმია ის, რომ ამ ინფორმაციის საიდუმლოების დაცვას პირდაპირ უნდა მოითხოვდეს კანონი და ეს ინფორმაცია პირადი ფასეულობის მქონე უნდა იყოს. ამასთან, თუ რა ტიპის ინფორმაცია წარმოადგენს პირადი ფასეულობის მქონეს, ეს შეფასებითი კატეგორიაა. ამის განსაზღვრა პირის წმინდა სუბიექტურ შეხედულებებზეა დამოკიდებული და კონკრეტულად ძნელი სათქმელია. ასე მაგალითად, ადამიანის ჯანმრთელობასთან და ფინანსებთან დაკავშირებული ინფორმაცია სწორედაც რომ პირადი ფასეულობის მქონეა და ვინაიდან მისი საიდუმლოების დაცვას მოითხოვს კანონი – საქართველოს კონსტიტუცია, ამ ტიპის ინფორმაცია, ზემოაღნიშნული

განმარტებიდან გამომდინარე, პირად საიდუმლოებას განეკუთვნება. პირადი ფასეულობის მქონეა, აგრეთვე, ადამიანის „კერძო საკითხებთან“ დაკავშირებული ისეთი ინფორმაცია, როგორიც შეიძლება იყოს პირის ოჯახური მდგომარეობა, მატერიალური და არამატერიალური ქონებრივი მდგომარეობა და ა.შ. მაშასადამე, ამ ტიპის ინფორმაციაც პირად საიდუმლოებას განეკუთვნება.

ინფორმაციის პირად საიდუმლოებას მიეკუთვნების ზოგადი კრიტერიუმია ის, რომ ამ ინფორმაციასთან ან გარემოებასთან დაკავშირებით პირს უნდა გააჩნდეს კერძო ცხოვრების ხელშეუხებლობის გონივრული მოლოდინის განცდა, რაც, აგრეთვე, პირის წმინდა სუბიექტურ შეხედულებებზეა დამოკიდებული. ასე მაგალითად, ადამიანის „კერძო საკითხებთან“ დაკავშირებული ისეთი ინფორმაცია, რომელიც ეხება პირად ცხოვრებას, პირადი საქმიანობის ადგილს, პირად ჩანაწერს, მიმოწერას, საუბარს სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით, ტექნიკური საშუალებით მიღებულ შეტყობინებას და ა.შ., ასევე, პირად საიდუმლოებას მიეკუთვნება.

მაშასადამე, „პირადი საიდუმლოების“ კონკრეტული განმარტებაც კი მეტად ზოგადია. შესაბამისად, შეუძლებელია იმ „საკითხთა“ წრის ლოკალიზება, რომლებიც „კერძო“ ხასიათისაა, რომელიც „დაკავშირებულია ადამიანის . . . კერძო საკითხებთან“ და რომელთა გამხელისაგან დაცვაც „ოფიციალური ჩანაწერების“ მფლობელი ნებისმიერი სუბიექტის კონსტიტუციური ვალდებულებაა.

ვინაიდან საქართველოს კანონმდებლობა არ იძლევა ამა თუ იმ ინფორმაციის პირად საიდუმლოებად მიჩნევის ობიექტურ კრიტერიუმს, კითხვაზე – რა შემთხვევაშია შესაძლებელი გადასახადის გადახდელზე საგადასახადო ორგანოში არსებული ინფორმაცია წარმოადგენდეს პირად საიდუმლოებას? – ცალსახად პასუხის გაცემა შეუძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ეს ინფორმაცია გადასახადის გადახდელისთვის პირადი ფასეულობის მქონეა და მისი საიდუმლოების დაცვას მოითხოვს კანონი, ან, თუ ამ ინფორმაციასთან დაკავშირებით გადასახადის გადახდელს აქვს კერძო ცხოვრების ხელშეუხებლობის გონივრული მოლოდინი. ხოლო, კითხვაზე – რატომაა შესაძლებელი გადასახადის გადახდელზე საგადასახადო ორგანოში არსებული ინფორმაცია წარმოადგენდეს პირად საიდუმლოებას პასუხი ასეთია: სწორედ იმიტომ, რომ ყოველ კონკრეტულ, ზემოაღნიშნულ შემთხვევაში ეს ინფორმაცია გადასახადის გადახდელისთვის პირადი ფასეულობის მქონეა ან/და ამ ინფორმაციასთან დაკავშირებით გადასახადის გადახდელს აქვს კერძო ცხოვრების ხელშეუხებლობის გონივრული მოლოდინი.

მართალია, საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის მეორე პუნქტი ადამიანის (ფიზიკური პირის) უფლებათა მომწესრიგებელი ნორმაა, მაგრამ იგი საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლის დანაწესით, მისი შინაარსის გათვალისწინებით, აგრეთვე ვრცელდება იურიდიულ პირებზე. კერძოდ, ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია იურიდიული პირის ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან, დაცულია გამხელისაგან, თვით ამ პირის (მისი კანონიერი ან/და უფლებამოსილი წარმომადგენლის) თანხმობის გარეშე. თუ რა სახის ინფორმაცია შეიძლება იყოს დაკავშირებული იურიდიული პირის კერძო საკითხებთან, შეიძლება განვსაზღვროთ იურიდიული პირის ცნებიდან გამომდინარე (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის პირველი ნაწილი: იურიდიული პირი არის განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი . . . ორგანიზებული წარმონაქმნი) და დავასკვნათ, რომ ნებისმიერი ინფორმაცია, რაც იურიდიული პირის რეალური მიზნის მისაღწევად გამოიყენება ან რომელიც დაკავშირებულია ასეთი მიზნის მისაღწევად (შესანარჩუნებლად) განხორციელებულ ქმედებასთან, იურიდიული პირის კერძო საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციაა.

საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლით, პირადი საიდუმლოების განსაზღვრებასთან საგადასახადო საიდუმლოების კიდევ უფრო ზუსტად მისადაგების მიზნით საინტერესოა

„კერძო საკითხებიდან“ ცალკე გამოვყოთ და გავარკვიოთ, რა იგულისხმება „ფინანსებთან დაკავშირებულ“ ინფორმაციაში. არის კი გადასახადის გადამხდელთა შესახებ საგადასახადო ორგანოს მიერ მიღებული ყველა დოკუმენტი და ინფორმაცია იმ ინფორმაციის შემცველი, რომელიც დაკავშირებულია პირის ფინანსებთან? ამ კითხვაზე პასუხის გაცემამდე მიზანშეწონილია, უპირატესად განვსაზღვროთ „ფინანსებთან დაკავშირებული ინფორმაციის“ არეალი, თუ რა სახის ინფორმაცია შეიძლება იყოს პირის ფინანსებთან დაკავშირებული.

ზოგადად, ფინანსების ცნების ორი გაგება არსებობს. მისი ერთი გაგებით, ფინანსები ფულს წარმოადგენს, მეორე გაგებით კი ფულად ურთიერთობებს. საფინანსო მეცნიერებასა და საფინანსო სამართლის მეცნიერებაში დამკვიდრებული მოსაზრებით, ფინანსები და ფული ერთი და იმავე შინაარსის კატეგორია არ არის, მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის მჭიდრო კავშირი არსებობს. აღნიშნული მოსაზრებით, ფინანსები თვით ფულად სახსრებს კი არ წარმოადგენს, არამედ ცალკეულ სუბიექტებს შორის ფულადი სახსრების წარმოქმნის, განაწილებისა და გამოყენების თაობაზე წარმოშობილ ურთიერთობებს. ამდენად, ფინანსები ანუ საფინანსო ურთიერთობები – ფულადი ურთიერთობების ფორმით არსებობს². ფინანსური ურთიერთობების ფულადი ხასიათი ფინანსების დამახასიათებელი თავისებურებაა. უფულოდ ფიქრი არ შეიძლება ფინანსურ ურთიერთობებზე. იგი ფინანსების არსებობის აუცილებელი პირობაა, ფინანსურ ურთიერთობებთან კი მხოლოდ მაშინ ვკავშირდებით, როდესაც ადგილი აქვს ფულადი სახსრების რეალურ მოძრაობას³.

რამდენადაც, ფულადი სახსრების განაწილების მთავარ ბერკეტს საგადასახადო სისტემა, კერძოდ კი გადასახადები წარმოადგენს, საგადასახადო ურთიერთობები საფინანსო ურთიერთობათა სფეროს მიეკუთვნება. შესაბამისად, „ფინანსებთან დაკავშირებულ ინფორმაციას“ უნდა მივკუთვნოთ არა მხოლოდ ინფორმაცია პირის კონკრეტული ფულადი სახსრების, მათ შორის, ფულადი მოთხოვნებისა და ფულადი ვალდებულებების თაობაზე, არამედ, ფულად ურთიერთობებთან – გადასახადის გადამხდელსა და საგადასახადო ორგანოს შორის წარმოშობილ საგადასახადო ურთიერთობებთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია.

ნიშანდობლივია, რომ გადასახადის გადამხდელსა და საგადასახადო ორგანოს შორის ინფორმაციის გაცვლა შეიძლება ემსახურებოდეს მხოლოდ შემდეგ მიზანს – საგადასახადო ვალდებულების ოდენობის განსაზღვრას (მათ შორის, დეკლარირებას), საგადასახადო ვალდებულების შესრულებას, ზედმეტად გადახდილი თანხების დაბრუნებას ან გადასახადების ადმინისტრირებას (გადასახადების ადმინისტრირების ცნება იხ. საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-12 მუხლის მე-4 ნაწილი). მართალია, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 122-ე მუხლი გამხელისაგან იცავს გადასახადის გადამხდელის შესახებ საგადასახადო ორგანოს მიერ მიღებულ ნებისმიერ ინფორმაციას, მაგრამ, ეს ინფორმაცია არ წარმოადგენს იმ პირთა შესახებ აბსოლუტურ ინფორმაციას, ვისზეც არსებობს იგი. ვინაიდან ინფორმაცია არის სიახლე, რომელსაც ჰყავს მომხმარებელი, საგადასახადო ორგანო არ შეიძლება იყოს მომხმარებელი იმ ინფორმაციისა, რომელიც ზემოაღნიშნული მიზნის მიღწევას არ ემსახურება. შესაბამისად, გადასახადის გადამხდელთა შესახებ ასეთი ინფორმაცია არც იყრის თავს საგადასახადო ორგანოში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გადასახადის გადამხდელის შესახებ საგადასახადო ორგანოს მიერ მიღებული ნებისმიერი ინფორმაცია ზოგადად საგადასახადო ვალდებულებას უკავშირდება. საგადასახადო ვალდებულებად ითვლება გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის,

²რ.შენგელია. საფინანსო სამართალი. თბ. 2004 წელი. გვ. 24-26.

³რ.კაკულია. ფინანსების ზოგადი თეორია. თბ. 1998 წ. გვ. 24-25.

სხვა ვალდებული პირის ვალდებულება, გადაიხადოს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დაწესებული საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადი, აგრეთვე, ამავე კოდექსით დაწესებული და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს ნორმატიული აქტით შემოღებული ადგილობრივი გადასახადი (სსკ-ის 57.1-ე მუხლი). გადასახადი არის საქარველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, საქართველოს სახელმწიფო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივ ბიუჯეტებში სავალდებულო, უპირობო ფულადი შენატანი, რომელსაც იხდის გადასახადის გადამხდელი, გადახდის აუცილებელი, არაეკვივალენტური და უსასყიდლო ხასიათიდან გამომდინარე (სსკ-ის მე-ნ მუხლი). საგადასახადო ვალდებულების შესრულებად კი ითვლება დადგენილ ვადაში გადასახადის თანხის გადახდა (სსკ-ის 59.1 მუხლი).

მაშასადამე, საგადასახადო ვალდებულება ფულადი ვალდებულებაა, ვინაიდან იგი ყოველთვის ღირებულების ფულად ფორმაში იანგარიშება და სრულდება ლარებში, ხოლო ამ ტიპის ფულადი ვალდებულების თაობაზე ნებისმიერი ინფორმაცია, ცხადია, ფინანსებთანაა დაკავშირებული. ამდენად, მიგვაჩნია, რომ *ზემოაღნიშნული მიზნით გადასახადის გადამხდელის შესახებ საგადასახადო ორგანოში არსებული ნებისმიერი ინფორმაცია (დოკუმენტი) პირის ფინანსებთან და ქონებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებული ინფორმაციაა*. შესაბამისად, კითხვაზე – შეიძლება თუ არა გადასახადის გადამხდელზე საგადასახადო ორგანოში არსებული ინფორმაცია წარმოადგენდეს პირად საიდუმლოებას? – პასუხი დადებითია.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 04 მაისის №301 ბრძანებით დამტკიცებული „საგადასახადო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის შენახვის რეჟიმის და დაშვების წესის შესახებ“ ინსტრუქციის (შემდგომში – ინსტრუქციის) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი გასაზღვრავს საგადასახადო ორგანოში არსებული საიდუმლო დოკუმენტებისა და ინფორმაციის ჩამონათვალს. აღნიშნული ჩამონათვალი პირობითად შეიძლება დავაჯგუფოთ სამ კატეგორიად: ა) საგადასახადო ორგანოში არსებული *კონკრეტული საიდუმლო დოკუმენტები*; ბ) საგადასახადო ორგანოში არსებული *საიდუმლო სახიათის კონკრეტული ინფორმაცია*, რომელთა მატარებლების თაობაზე არ არის მითითებული ამ ჩამონათვალში და გ) საგადასახადო ორგანოში არსებული გადამხდელთა შესახებ *სხვა წყაროებიდან მიღებული ინფორმაცია*. მაშასადამე, ინსტრუქციის აღნიშნული ნორმის მიხედვით, საგადასახადო ორგანოში არსებულ დოკუმენტებსა და ინფორმაციას, კონკრეტული ჩამონათვალი დოკუმენტებისა და ინფორმაციის გარდა („ა“-„ო“ ქვეპუნქტები), აგრეთვე განეკუთვნება „*გადამხდელთა შესახებ სხვა წყაროებიდან მიღებული ინფორმაცია*“ („ა“ ქვეპუნქტი).

ამასთან, ნორმა არ აზუსტებს რა იგულისხმება „წყაროში“, ინსტიტუციონალური თუ დოკუმენტური წყარო. ინფორმაცია გადამხდელის მიერ უნდა იყოს წარმოდგენილი, თუ სხვა პირებისგან, ინფორმაცია შემოსავლების სამსახურის სისტემაში უნდა იყოს შექმნილი, თუ სხვა უწყებაში და ა.შ. ასეთი ინფორმაცია შეიძლება იყოს საგამოძიებო დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი დადგენილებები, საბანკო ანგარიშების გახსნის/დახურვის შესახებ საბანკო დაწესებულების შეტყობინება, უძრავი ქონებისა და ავტოსატრანსპორტო საშუალებების გასხვისების შესახებ მარეგისტრირებელი ორგანოების ინფორმაცია, აუდიტორული დასკვნა, ქონების ღირებულების შეფასება, ექსპერტის დასკვნა, სპეციალისტის ცნობა, ლიცენზია, ნებართვა, სერტიფიკატი და ა.შ.

ვინაიდან აღნიშნული ნორმატიული აქტით არ არის განმარტებული საგადასახადო ორგანოში გადამხდელთა შესახებ არსებული „*ინფორმაციის*“ ცნება და მისი მომცველობა, შესაბამისად, ინსტრუქციის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი არაკონკრეტული, ზოგადი ხასიათისაა, რის გამოც მიგვაჩნია, რომ ინსტრუქციის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი არ მოიცავს „საგადასახადო

საიდუმლოებას” მიკუთვნებული ინფორმაციისა და დოკუმენტების ამომწურავ ჩამონათვალს. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია იმის ზუსტი კონკრეტიზაცია, თუ რა სახის ინფორმაცია არ შედის ინსტრუქციის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ ჩამონათვალში, კერძოდ კი საგადასახადო ორგანოში გადამხდელთა შესახებ არსებულ სხვა წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციაში. ასე, მაგალითად, ამ ჩამონათვალში არ შედის და არც „სხვა წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციას” განეკუთვნება შემდეგი დოკუმენტები – საგადასახადო სამართალდარღვევათა საქმის წარმოების მასალები, საკონტროლო-სალარო აპარატის რეგისტრაციასთან დაკავშირებული დოკუმენტები, საგადასახადო ვალდებულების ან „საგადასახადო მოთხოვნის” შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენების შესახებ საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილებები და ა.შ.

საგადასახადო ორგანოში გადამხდელის შესახებ საიდუმლო ინფორმაცია შეიძლება არსებობდეს ელექტრონული, დოკუმენტური და ზეპირი ფორმით (მაგ.: საგადასახადო სამართალდარღვევის თაობაზე სატელეფონო შეტყობინება). ამასთან, საიდუმლო დოკუმენტები, მათი შექმნის ფორმის მიხედვით, პირობითად ორ კატეგორიად შეიძლება დავყოთ: პირველი, რომელთა სტანდარტული ფორმებიც დამტკიცებულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (მაგ.: მთავრობის დადგენილებით, ფინანსთა მინისტრის ბრძანებით, საგადასახადო ორგანოს ბრძანებით) და რომელთა გამოყენებაც ხდება მათი შევსებით. ასეთებია: „საგადასახადო მოთხოვნა”, „გადასახადის გადამხდელის მოთხოვნა”, საგადასახადო დეკლარაცია, „საინკასო დავალება”, „საგადასახადო დავალება”, მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტები და ა.შ. ხოლო, მეორე, რომელთა სავალდებულო რეკვიზიტებიც დამტკიცებულია კანონით ან ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით და რომელთა გამოყენებაც ხდება მათი შედგენით. ასეთებია: გადამხდელის გადამხდელთა წერილები და მასზე გაცემული პასუხები, საგადასახადო ორგანოს ბრძანებები, შემოწმების თაობაზე გაგზავნილი შეტყობინებები, შემოწმების აქტები, საჩივრები და მასზე მიღებული გადაწყვეტილებები და ა.შ.

საგადასახადო ორგანოში არსებული საიდუმლო ინფორმაცია, წარმოშობის წყაროს მიხედვით, შეიძლება ორ კატეგორიად დაიყოს – პირველად და წარმოებულ ინფორმაციად. პირველად ინფორმაციას მიეკუთვნება გადამხდელის შესახებ საგადასახადო ორგანოს მიერ მიღებული ნებისმიერი ინფორმაცია. ასე, მაგალითად, დეკლარაციები, გაანგარიშებები, „გადასახადის გადამხდელის მოთხოვნა”, მარეგისტრირებელი ორგანოების ინფორმაცია, გადამხდელთა განცხადებები და საჩივრები და ა.შ. ხოლო წარმოებულ ინფორმაციას მიეკუთვნება პირველადი ინფორმაციის გადამუშავების შედეგად შექმნილი ინფორმაცია. ასე, მაგალითად, შემოწმების აქტი, საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი, „საგადასახადო მოთხოვნა”, საგადასახადო ორგანოს შესაგებლები და ბრძანებები და ა.შ. მიუხედავად აღნიშნული დაყოფისა, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ, ვინაიდან გადამხდელის შესახებ საგადასახადო ორგანოში არსებული ნებისმიერი ინფორმაცია ზოგადად საგადასახადო ვალდებულებას, კერძოდ კი საგადასახადო ვალდებულების ოდენობის განსაზღვრას (მათ შორის, დეკლარირებას), საგადასახადო ვალდებულების შესრულებას, ზედმეტად გადახდილი თანხების დაბრუნებას ან გადასახადების ადმინისტრირებას ეხება, ყველა ეს ინფორმაცია პირდაპირ თუ არაპირდაპირ გადასახადებთან და, შესაბამისად, ფინანსებთანაა დაკავშირებული.

ამასთან, ინფორმაცია პირდაპირაა დაკავშირებული გადამხდელთან, თუ იგი ცალსახად უთითებს პირის საგადასახადო ვალდებულების – ზედმეტად გადახდილი თანხის ოდენობაზე. ასე მაგალითად, საშემოსავლო გადასახადის, მოგების გადასახადის, დღგ-ს დეკლარაციები, „გადასახადის გადამხდელის მოთხოვნა”, „საგადასახადო მოთხოვნა”, დარიცხვის ბრძანება და ა.შ. ეს დოკუმენტები უშუალოდ შეიცავს პირის ფულადი (საგადასახადო) ვალდებულების/

მოთხოვნის რაოდენობრივ მაჩვენებლებს, ხოლო ინფორმაცია გადასახადებთან არაპირდაპირაა დაკავშირებული, თუ იგი მიმართულია საგადასახადო ვალდებულების ოდენობის განსაზღვრისაკენ. ასე, მაგალითად, ქონების გადასახადის დეკლარაცია, მარეგისტრირებული ორგანოების ინფორმაცია, ქრონომეტრაჟის, ინვენტარიზაციის, დათვალიერების მასალები, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურები, სასაქონლო ზედნაღებები და ა.შ. მიუხედავად ამა თუ იმ დოკუმენტი/ინფორმაციით პირის საგადასახადო ვალდებულების ოდენობის განსაზღვრის ხარისხისა (პირდაპირია თუ არაპირდაპირი), ყველა ამ ინფორმაციის/დოკუმენტის მიღება და დამუშავება საერთო კონსტიტუციურ მიზანს – გადასახადების გადახდის ვალდებულების შესრულებას ემსახურება (საქ. კონსტ. 94.1 მუხლი). ამდენად, ყველა ეს დოკუმენტი/ინფორმაცია გადასახადებთან და შესაბამისად, ფინანსებთანაა დაკავშირებული.

საინტერესოა, შეიძლება თუ არა ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული პირის ფინანსებთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნებამ ზიანი მიაყენოს ამ პირის კონკურენტუნარიანობას? - ცხადია შეიძლება. ვინაიდან, პირის კონკურენტუნარიანობის ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი მისი გადახდისუნარიანობის თაობაზე არსებული (მოპოვებული) ინფორმაციაა, რასაც იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ ზოგიერთი კატეგორიის პირადი საიდუმლოება იმავდროულად პოტენციურად შეიძლება წარმოადგენდეს პირის კომერციულ საიდუმლოებას. იგი სწორედაც რომ პოტენციურად წარმოადგენს პირის კომერციულ საიდუმლოებას, ვინაიდან სსჯკ-ის 27² მუხლის მიხედვით, ამა თუ იმ ინფორმაციისათვის კომერციული საიდუმლოების სტატუსის მინიჭებისათვის არასაკმარისია ვარაუდი, რომ ამ ინფორმაციის გამჟღავნებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას და აუცილებელია მთელი რიგი ადმინისტრაციული პროცედურების გავლაც.

მაშასადამე, საგადასახადო საიდუმლოება, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტი, სრულად აკამოფილებს პროფესული საიდუმლოებისადმი კანონმდებლობით წაყენებულ კრიტერიუმებს – ინფორმაცია წარმოადგენს გადასახადის გადამხდელთა პირად საიდუმლოებას და იგი საგადასახადო ორგანოს თანამშრომლებისათვის ცნობილი ხდება პროფესიული მოვალეობის შესრულებისას. ამასთან, გადასახადის გადამხდელის უფლება – მისი თანხმობის გარეშე მესამე პირთათვის ხელმიუწვდომელი იყოს საგადასახადო ორგანოში არსებული, მის პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია, სპეციალურ ვალდებულებას – ამ ინფორმაციის გამხელისაგან დაცვის ვალდებულებას წარმოშობს საგადასახადო ორგანოს თანამშრომელთა მიმართ.

საგადასახადო საიდუმლოების დაცვის ვალდებულება საჯარო სამართლებრივი ხასიათის, თანაც კანონისმიერი ვალდებულებაა, ვინაიდან მისი წარმოშობის კაუზალურ საფუძველს მხოლოდ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობის აქტები – საქართველოს საგადასახადო კოდექსი და მის საფუძველზე გამოცემული ფინანსთა მინისტრის ბრძანება წარმოადგენს. დაუშვებელია, გადასახადის გადამხდელი და საგადასახადო ორგანო წინასწარ შეთანხმდნენ ამ ვალდებულების წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტის სამართლებრივ საფუძველზე, როგორც ეს ხდება სახელშეკრულებო ვალდებულებისას. ამასთან, საგადასახადო საიდუმლოების დაცვის ვალდებულება ცალმხრივი ვალდებულებაა, ვინაიდან მხოლოდ, საგადასახადო ორგანოა ვალდებული, გამხელისაგან დაიცვას გადასახადის გადამხდელთა შესახებ მიღებული ინფორმაცია ყოველგვარი შემხვედრი (საპასუხო) შესრულების გარეშე და მხოლოდ გადასახადის გადამხდელია უფლებამოსილი, მოითხოვოს მის შესახებ არსებული ინფორმაციის საიდუმლოების დაცვა, ხოლო ასეთი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში – ზიანის ანაზღაურება.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი გადასახადის გადამხდელის შესახებ საგადასახადო ორგანოში არსებული ინფორმაციის განსაიდუმლოების ორ კანონიერ საშუალებას იცნობს.

პირველი, როდესაც, გადასახადის გადამხდელის წერილობითი ნებართვის შემთხვევაში მის შესახებ ინფორმაცია შეიძლება გადაეცეს სხვა პირს. ამასთან, ვინაიდან საგადასახადო კანონმდებლობა არ უთითებს, ნებართვის სანოტარო ფორმით დამოწმების აუცილებლობაზე, მიგვაჩნია, რომ ნებართვის მიღებისათვის საკმარისია მარტივი წერილობითი ფორმა. და მეორე, როდესაც, საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, ცალკეული გადასახადის გადამხდელის შესახებ იდენტიფიცირებული ინფორმაცია გადასცეს მხოლოდ შემდეგ პირებს: ა) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომლებს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს წევრებს – ამ უკანასკნელთა მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების მიზნით, ბ) სამართალდამცავ ორგანოებს – მოსამართლის ბრძანების საფუძველზე იმ პირთა შესახებ, რომლებიც კანონით იდეგენებიან საგადასახადო სამართალდარღვევებისათვის, გ) სასამართლოს – გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ვალდებულებების ან პასუხისმგებლობის განსაზღვრის მიზნით სასამართლოს წარმოებაში არსებულ საქმესთან დაკავშირებით, დ) სხვა სახელმწიფოების საგადასახადო ორგანოებს – საერთაშორისო ხელშეკრულებათა შესაბამისად და ე) სასამართლოს აღმასრულებლებს – საგადასახადო დავასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში. ყველა სხვა შემთხვევაში ინფორმაციის გამხელა საგადასახადო საიდუმლოების დაცვის ვალდებულების დარღვევად ჩაითვლება.

საგადასახადო საიდუმლოების დაცვის ვალდებულების დარღვევის ორ შესაძლო შემთხვევას იცნობს საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა – საგადასახადო საიდუმლოების განხმაურებას/გამჟღავნებას (მაგ.: ინფორმაციის გამოყენება არასამსახურებრივი, პირადი მიზნებისათვის ან გადაცემა სხვა პირისათვის) და საგადასახადო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტების ან ინფორმაციის დაკარგვას (მაგ.: დაბეგვრის საქმის დაკარგვა საგადასახადო ორგანოს არქივიდან ან მასალების სხვა გზით გასვლა მათი დაცვისათვის პასუხისმგებელი პირის მფლობელობიდან). ამასთან, რამდენადაც ეს ვალდებულება არაა კერძო სამართლებრივი, მისმა შეუსრულებლობამ/დარღვევამ შეიძლება გამოიწვიოს მხოლოდ საჯარო სამართლებრივი პასუხისმგებლობა – სისხლის სამართლებრივი ან დისციპლინური პასუხისმგებლობა და გავრცელდეს მხოლოდ საგადასახადო ორგანოების თანამშრომელთა მიმართ.

აქვე საყურადღებოა, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 122-ე მუხლის მე-2 ნაწილით, აგრეთვე, დადგენილია საგადასახადო ორგანოს თანამდებობის პირის, მოწვეული სპეციალისტის ან/და ექსპერტის ვალდებულება – დაიცვან გადასახადის გადამხდელთა შესახებ მონაცემთა საიდუმლოება, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას. ცხადია, საგადასახადო კოდექსის აღნიშნული დანაწესი არა მარტო არ ცვლის, არამედ ამყარებს კიდევ საგადასახადო საიდუმლოების მიმართ პროფესიული საიდუმლოების სტატუსის არსებობას და არ ამცირებს ამ პირების ვალდებულების ხარისხს, დაიცვან აღნიშნული ინფორმაციის (მონაცემების) საიდუმლოება მართლსაწინააღმდეგო გამხელისაგან, მაგრამ არსებითად იცვლება სამართლებრივი პასუხისმგებლობის რეჟიმი მოწვეული ექსპერტისა (სსკ-ის 116-ე მუხლი) და სპეციალისტის (სსკ-ის 117-ე მუხლი) მიმართ.

მართალია, მათი მოწვევა ადმინისტრაციული ხელშეკრულების საფუძველზე ან ადმინისტრაციული ორგანოების ურთიერთდამარების ფარგლებში ხორციელდება, მაგრამ, ერთი მხრივ, რთულია ინფორმაციის გასაიდუმლოების დაცვის ვალდებულების მათი მხრიდან შესრულების კონტროლი და ამ ვალდებულების დარღვევის ფაქტების გამოვლენა, მეორე მხრივ კი შეუძლებელია გამოვლენილი დარღვევის ყოველ კონკრეტულ ფაქტზე საჯარო სამართლებრივი პასუხისმგებლობის გავრცელება, ვინაიდან მათი უმრავლესობა შეიძლება არ წარმოადგენდეს საჯარო მოსამსახურეს და პროფესიულ საქმიანობას ასრულებდეს არა

დაქირავებულის, არამედ – მომსახურების კონტრაგენტის სახით. სწორედ ამ პირების მიერ საგადასახადო საიდუმლოების დაცვის ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფას ემსახურება სსკ-ის 122-ე მუხლის მე-4 ნაწილი, რომლის მიხედვითაც, პირს, რომელმაც მიიღო ამ მუხლით განსაზღვრული ინფორმაცია, უფლება არა აქვს, გაახმაუროს ამ ინფორმაციის საიდუმლოება და ვალდებულია, მისი ამსახველი დოკუმენტები დაუბრუნოს საგადასახადო ორგანოს.

ბუნებრივია, ჩნდება კიდევ ერთი კითხვა – არის თუ არა საგადასახადო საიდუმლოების ინსტიტუტი შესაბამისობაში საქართველოს არასაგადასახადო კანონმდებლობასთან? – ვფიქრობთ, პასუხი ამ შეთხვევაშიც დადებითია. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის მიხედვით, საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით სახელმწიფო, კომერციულ და პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა.

აღნიშნული ნორმის დანაწესით, დაშვებულია საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შეზღუდვის ორი შესაძლებლობა. პირველი, როდესაც საჯარო ინფორმაცია დადგენილი წესით არის მიკუთვნებული სახელმწიფო, კომერციულ და პირად საიდუმლოებას, და მეორე, როდესაც საჯარო ინფორმაცია იმთავითვე არ არის ღია კანონით პირდაპირ განსაზღვრულ შემთხვევებში. ასეთი ინფორმაცია შექმნისთანავე დაცულია გამხელისაგან კანონით და მისი განსაიდუმლოება მხოლოდ სპეციალური პროცედურების გავლის შემდეგაა შესაძლებელი (მაგ.: იმ პირის კანონით დადგენილი წესით გამოხატული თანხმობა, რომლის თაობაზეცაა საჯარო ინფორმაცია) ან დაუშვებელია. ასეთ ინფორმაციას განეკუთვნება ადამიანის ჯანმრთელობასთან და ფინანსებთან დაკავშირებული ინფორმაცია (საქ.კონსტ.-ის 41.2-ე მუხლი), საჯარო მოსამსახურეთა აღმასრულებელი პრივილეგია (სზაკ-ის 29-ე მუხლი), ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებასთან დაკავშირებული შიდაუწყებრივი ხასიათის დოკუმენტები (სზაკ-ის 99.1-ე მუხლი), საგადასახადო საიდუმლოება (სსკ-ის 122-ე მუხლი), პარლამენტის წევრისთვის განდობილი ინფორმაცია (საქ.კონსტ.-ის 52.3-ე მუხლი), სასამართლო აქტების პროექტები და სხვა მოსამზადებელი მასალა (სასკ-ის 21.3-ე მუხლი), სანოტარო მოქმედების საიდუმლოება (სკ-ის ნშ მე-9 მუხლი), სახალხო დამცველისთვის გადაცემული ინფორმაცია (საქართველოს ორგანული კანონი სახალხო დამცველის შესახებ მე-20.2 მუხლი), კონტროლის პალატის მუშაკისთვის ცნობილი ინფორმაცია (საქართველოს კანონი კონტროლის პალატის შესახებ 72-ე მუხლი) და ა.შ.

რამდენადაც, საგადასახადო საიდუმლოების შესახებ საგადასახადო ორგანოს მიერ მიღებული ნებისმიერი ინფორმაციის გასაიდუმლოება კანონისმიერი ვალდებულებაა, ინსტრუქციის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტში ჩამოთვლილი ყველა დოკუმენტისა და ინფორმაციის გასაიდუმლოების მიზეზს სწორედ საქართველოს საგადასახადო კოდექსის აღნიშნული ნორმა (სსკ-ის 122-ე მუხლი) წარმოადგენს. ხოლო, საიდუმლო დოკუმენტებისა და ინფორმაციის კატეგორიათა ჩამოთვლის მიზეზს კი ნორმის შემფარდებლის მიერ სსკ-ის 122-ე მუხლის სწორი გაგებისა და გამოყენების გაადვილების ხელშეწყობა.

ვინაიდან, საგადასახადო კოდექსი საგადასახადო საიდუმლოებად მიიჩნევს საგადასახადო საიდუმლოების შესახებ საგადასახადო ორგანოს მიერ მიღებულ ნებისმიერ ინფორმაციას, ცხადია, ინსტრუქციის დამტკიცებისას ნორმის დამდგენი პირი ვერ მოიცავდა საიდუმლო ხასიათის ინფორმაციის (ინფორმაციის მატარებლების) ამომწურავ ჩამონათვალს, მაგრამ, უდავოა, რომ იგი არსებული რედაქციით ნამდვილად უწყობს ხელს საგადასახადო ორგანოთა თანამშრომლებს საგადასახადო საიდუმლოების გამხელისაგან დაცვის ვალდებულების სწორ რეალიზებაში.

ვფიქრობთ, ჩვენი მოსაზრებების გადმოცემით შევეცადეთ მოკრძალებული წვლილი შეგვეტანა საგადასახადო საიდუმლოების ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტის გაანალიზებაში. ცხადია, წინამდებარე ნაშრომს არ შეიძლება ჰქონდეს აღნიშნული სამართლებრივი ინსტიტუტის ამომწურავი გამოკვლევის პრეტენზია, მით უმეტეს, რომ დღემდე იგი ცალკე შესწავლის საგანი პრაქტიკულად არ ყოფილა. ამდენად, ყოველ საქმიან შენიშვნას და გამომხატურებას ავტორი მაღლიერების გრძნობით მიიღებს. საბოლოო ჯამში, ვიმედოვნებთ, რომ აღნიშნული მცდელობით საფუძველი ჩაეყრება და მომავალში კიდევ უფრო გაღრმავდება საგადასახადო საიდუმლოებასთან დაკავშირებული პრობლემების კვლევა, რაც დიდად შეუწყობს ხელს როგორც გადასახადის გადამხდელთა და საგადასახადო ორგანოთა ურთიერთთანამშრომლობას, ასევე, მათი უფლება-მოვალეობების მართლზომიერ რეალიზებას.

ZURAB DZNELASHVILI
Student of the High School of Justice

RESUME

ON SOME LEGAL ASPECTS OF TAX CONFIDENTIALITY

Tax confidentiality is a legal institute regulated by the Tax Code of Georgia. It is a certain novelty in our legal space introduced by the new version of the tax Code. In order to understand a meaning of a legal importance of the tax confidentiality, it is necessary first of all to find its due place in the typology of the secret-containing information

Tax legislation of Georgia does not indicate directly a category of the secret information to which the tax confidentiality may belong. This, in its part proves a necessity to estimate analytically and study-in the aforementioned legal institute. This is a main purpose for which the given work has been prepared, published and submitted to a large public for reviewing.

The Constitution of Georgia covers four categories of the secret-containing information: personal, commercial, governmental and professional. These categories are explained in the General Administrative Code and the Law of Georgian „On Freedom of Speech and Expression of Views”. We think that the tax confidentiality stands closer to the professional secret and meets almost all requirements established towards it.

A subject of obligation to keep secrecy of the taxpayers-related information filed with the tax authorities, is an officer of such tax authority, while the object of the same obligation is the information obtained by such officer in the course of performing of his/her official duties. Thus, Article 122 („Tax Confidentiality”) of the Tax Code of Georgia determines the obligation of non-divulgence towards the information being obtained by the tax officers when performing their official duties, only. This is the first precondition for placing of this type of information in the category of professional secrets.

The tax liability is considered to be the monetary liability, since it is in all cases calculated and performed in GEL. So, it is clear that any and all information concerning the monetary obligation, is related to finances. Therefore, any information/document kept with the tax authorities regarding a taxpayer for determining a size of his/her tax liabilities and fulfillment of the same, is the one involving the finances and property ownership state of a taxpayer and, according to Point 2 of Article 41 of the Constitution of Georgia, such information shall be considered as the personal secret. This is the second precondition for placing of this type of information in the category of professional secrets.

Thus, when reading the whole text of this work made in Georgian, a reader can agree with us and conclude that the tax confidentiality as legal institute meets all the criteria established by the legislation for the professional secrets, namely, 1 – this information belongs to the personal secrets of a taxpayer; and 2 – this information becomes known to a tax officer in the course of performing his/her official duties.

ქეთევან ცხადაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი

**ადმინისტრაციული გადაცდომა და მისი გაეიჯვნა
სისხლის სამართლის დანაშაულისაგან**

1. შესავალი

სისხლის სამართლის დანაშაულისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ობიექტის მატერიალური ბუნების ერთიანობამ კანონმდებელი და იურისტ-მეცნიერები დანაშაულისა და გადაცდომის გამიჯვნის პრობლემის წინაშე დააყენა. დანაშაულისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ურთიერთგამიჯვნის საკითხი პრობლემატურია როგორც თეორიული, ისე, პრაქტიკული თვალსაზრისით. ადმინისტრაციული გადაცდომის ინსტიტუტი განსაკუთრებით აქტუალურია, ვინაიდან, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, მას მჭიდრო კავშირი აქვს სისხლის სამართლის დანაშაულის ინსტიტუტთან. უნდა აღინიშნოს, რომ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის პრობლემა თანამედროვე ეტაპზე, ვინაიდან დღეისათვის საქართველოში ხორციელდება ახალი ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კანონმდებლობის ჩამოყალიბება.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს ადმინისტრაციული გადაცდომისა და სისხლის სამართლის დანაშაულის ურთიერთგამიჯვნის პრობლემების წარმოჩენა, ის ობიექტური კრიტერიუმით, რაც შეიძლება გახდეს ამ ორი სამართალდარღვევის გამიჯვნის საფუძველი. ყურადღებას გაგამახვილებთ სამართლებრივ შეხედულებების ევოლუციაზე გადაცდომისა და დანაშაულის გამიჯვნის თაობაზე.

მართალია, ფორმალური ნიშნის მიხედვით ქმედების მიკუთვნება დანაშაულისათვის ან ადმინისტრაციული გადაცდომისათვის სირთულეს არ წარმოადგენს, თუმცა აღნიშნული ვერ მიგვანიშნებს, თუ რა უდევს საფუძვლად კანონმდებლის მიერ ამა თუ იმ ქმედების მიჩნევას დანაშაულად ან ადმინისტრაციულ გადაცდომად. დანაშაულისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამიჯვნის პრობლემა შეიძლება წარმოიშვას როგორც სამართალშემოქმედების, ისე, სამართალგამოყენების სტადიაზეც. ზოგიერთ შემთხვევაში ადმინისტრაციული გადაცდომის და დანაშაულის კანონით დადგენილი ნიშნები იმდენად ჰგავს ერთმანეთს, რომ სამართალშემფარებლის მიერ რთულია ქმედების ზუსტი დაკვალიფიცირება.

2. გადაცდომისა და დანაშაულის გამიჯვნის პრობლემები

აღნიშნული პრობლემა კონტინენტური სამართლის მეცნიერებაში ყოველთვის აქტუალურ საკითხს წარმოადგენდა. მითითება იმის თაობაზე, რომ დანაშაულად მართოდენ საზოგადოებრივად საშიში ქმედება უნდა ჩაითვალოს, საბჭოთა ხელისუფლების უკვე პირველივე წლების საკანონმდებლო აქტებში ვხვდებით. პირველ კოდიფიცირებულ საკანონმდებლო აქტში გარკვევით არის მითითება დანაშაულის ცნების სპეციფიკურ მატერიალურ ნიშანზე, მის საშიშროებაზე

საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემისათვის. საქართველოს სსრ-ის 1923 წლის სისხლის სამართლის კოდექსის მე-6 მუხლის თანახმად, დანაშაულად ჩაითვლებოდა ყველა საზოგადოებრივად საშიში მოქმედება ან უმოქმედობა, ჩადენილი მართლწესრიგის წინააღმდეგ. რა თქმა უნდა, მაშინ დანაშაულის ცნება სრულყოფილი არ იყო. არასწორი იყო, ასევე, მითითება იმაზე, თითქოს დანაშაულად ითვლებოდა ყოველგვარი მოქმედება, რომელიც ემუქრებოდა საბჭოთა მართლწესრიგს. მართლწესრიგი შეიძლება დაარღვეულ იქნეს როგორც ადმინისტრაციული ისე, დისციპლინური სამართალდარღვევის, ან კიდევ სამოქალაქო დელიქტის შედეგად, რომლებსაც დანაშაულთან ვერ გავაიგივებთ. საბჭოს პერიოდიდან მოყოლებული, საზოგადოებრივი საშიშროება, როგორც დანაშაულის შემადგენელი ელემენტი, შეტანილ იქნა დანაშაულის ცნების დეფინიციის მიხედვით სისხლის სამართლის კოდექსის მიერ.

თანამედროვე სისხლისა და ადმინისტრაციული სამართლის მეცნიერებაში დანაშაულისა და გადაცდომის გამიჯვნის ძირითად კრიტერიუმად მიჩნეულია სამართალდარღვევის საზოგადოებრივად საშიში ხასიათი. ყოველი სამართლებრივი დარღვევა გარკვეული ხარისხით, მეტად ან ნაკლებ საზოგადოებრივი საშიშროების შემცველია. ნებისმიერი სამართლებრივი დარღვევა მიმართულია კონკრეტული საზოგადოებრივი ურთიერთობის წინააღმდეგ, არღვევს მართლწესრიგს. აღსანიშნავია ის რომ, სამართალდარღვევის არსი აისახება სწორედ მართლწესრიგად კმელების საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხში. დანაშაულს გადაცდომისაგან სწორედ რომ საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხი მიჯნავს. ეს ნიშანი უდევს საფუძვლად სამართალდარღვევების დაყოფას სისხლის სამართლის დანაშაულად თუ ადმინისტრაციული სამართალდარღვევად და, შესაბამისად, მათ სისტემატიზაციას შესაბამის საკანონმდებლო აქტებში. მართალია, საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსი არ ასახელებს ადმინისტრაციული ცნების დეფინიციისას მნიშვნელოვან ნიშანს – საზოგადოებრივ საშიშროებას, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ადმინისტრაციული გადაცდომა არ წარმოადგენს საზოგადოებრივად საშიშ მოქმედებას. ყველა სამართალდარღვევა თავისი არსით სწორედ რომ საზოგადოებრივი საშიშროების შემცველია. საზოგადოებრივი საშიშროება, როგორც მატერიალური ნიშანი, დამახასიათებელია ნებისმიერი სამართალდარღვევისათვის.

ისმის კითხვა: როგორ უნდა მოახდინოს კანონმდებელმა დანაშაულის გამიჯვნა გადაცდომისაგან, თუ კი ორივე მათგანისათვის დამახასიათებელია საზოგადოებრივი საშიშროება?

იურიდიული მეცნიერება და კანონმდებლობა განარჩევენ საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათსა და ხარისხს. საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათი ესაა სამართალდარღვევის თვისობრივი მარჯვენა, ხოლო ხარისხი – რაოდენობრივი მარჯვენა.¹ საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათი განისაზღვრება იმ საზოგადოებრივი ურთიერთობების მნიშვნელობით, რაც ხელყოფილია სამართალდარღვევით, ანუ სამართალდარღვევის ობიექტით, ხოლო საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის განსაზღვრისას კი მხედველობაში მიიღება სხვადასხვა ფაქტორები, როგორცაა სამართალდარღვევით გამოწვეული შედეგის სიმძიმე, შესაძლებელი ზიანის მოცულობა, სამართალდარღვევის ჩადენის დრო, ადგილი, ვითარება და სხვ. შესაბამისად, რაც უფრო დიდია ხელყოფის ობიექტის საზოგადოებრივი ღირებულება, შესაძლო მიყენებული ზიანის მოცულობა, მით უფრო შესაძლებელია დასაბუთდეს კმელების მომეტებული საზოგადოებრივი საშიშროება და პირიქით.

უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხი თავის საბოლოო გამონახტულებას უმეტესწილად ნორმის სანქციაში პოვებს. რაც უფრო მკაცრი სასჯელია

¹ იხ. **ლ. სურგულაძე**, სისხლის სამართალი, დანაშაული, თბილისი, 1997, გვ. 49.

გათვალისწინებული სანქციით, მით უფრო შესაძლებელია ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს საზოგადოებრივი საშიშროების შემცველი სამართალდარღვევა.

ადმინისტრაციული გადაცდომის გამიჯვნის კრიტერიუმი გათვალისწინებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის კოდექსის 166-ე მუხლით², რომელიც ეხება წვრილმან ხულიგნობას და საქართველოს სისხლის სამართლის 239-ე მუხლით³, რომელიც ეხება ხულიგნობას. აღნიშნულ ორ მუხლს შორის გამიჯვნის კრიტერიუმს წარმოადგენს საზოგადოებრივი წესრიგის უხეში დარღვევა. ადმინისტრაციულ გადაცდომად მიიჩნევა წვრილმანი ხულიგნობა, რომელიც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგსა და მოქალაქეთა სიმშვიდეს, ხოლო სისხლის სამართლის დანაშაულს წარმოადგენს იგივე ქმედება, ჩადენილი ძალადობით ან ძალადობის მუქარით. ადმინისტრაციული გადაცდომის გამიჯვნის კრიტერიუმი გათვალისწინებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის კოდექსის 119-ე მუხლითაც, რომელიც ეხება სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის წესების დარღვევას. აღნიშნული მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევა, რომელსაც მოჰყვება სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობის, აგრეთვე სხვა ქონების ან ადამიანის სხეული მსუბუქი დაზიანება. „მსუბუქი დაზიანება“ ანუ მიყენებული ზიანის ხარისხი, ეს არის ის განმასხვავებელი ელემენტი, რითაც ადმინისტრაციული გადაცდომა განსხვავდება სისხლის სამართლის დანაშაულისაგან, ხოლო ანალოგიური სამართალდარღვევა, რომელმაც უფრო სერიოზული ზიანი გამოიწვია, კვალიფიცირდება როგორც სისხლის სამართლის დანაშაული (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლი).

კანონმდებელი დანაშაულისა და ადმინისტრაციული ქმედების გამიჯვნის ობიექტურ კრიტერიუმს უნდა ადგენდეს, რაც არ უნდა იყოს დამოკიდებული ქმედების სუბიექტურ აღქმასა და შეფასებაზე. ზემოთ მოყვანილ მაგალითებში ადმინისტრაციული სამართალდარღვევისა და დანაშაულის გამიჯვნის კრიტერიუმი ობიექტურია.

3. ა) სისხლის სამართლის დანაშაულისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამიჯვნა გერმანულ სამართალში

გერმანულ იურიდიულ მეცნიერებაში ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის ერთ-ერთ ძირეულ საკითხს წარმოადგენს დანაშაულისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ურთიერთმიმართებისა და მათი გამიჯვნის საკითხი. აღნიშნული საკითხის პრობლემურობა გამოწვეულია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კანონმდებლობის გაორებული ბუნებითა და მისი ახლო კავშირით სისხლის სამართლის დარღვევასთან.

გერმანიაში, სისხლის სამართლებრივი რეფორმის პირველ ეტაპზე, ნორმები, რომლებიც არეგულირებდა სხვადასხვა საზოგადოებრივ სფეროს, სისხლის-სამართლებრივ ხასიათს ატარებდა. ვინაიდან, იმ პერიოდისათვის ჯერ არ არსებობდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გაგება, შესაბამისად, სამართალდარღვევისათვის გამოიყენებოდა სისხლის სამართლებრივი სანქცია. თანდათან კანონმდებლობაში მძიმე დანაშაულთა გვერდით ჩამოყალიბდა ისეთი სამართალდარღვევები, რომლებიც ნაკლებად საზოგადოებრივი საშიშროების შემცველი იყო და, შესაბამისად, მათ მიმართ სისხლის სამართლებრივი სანქციის გამოყენება ერთობ

²იხ. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მიღებული 1984 წლის 15 დეკემბერს, 2008 წლის 11 მარტის მდგომარებით.

³იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მიღებული 1999 წლის 22 ივლისს, 2008 წლის 21 მარტის მდგომარებით.

უსამართლოდ და მკაცრად გამოიყურებოდა. ერთი მხრივ, აღნიშნულმა პროცესმა ზეგავლენა მოახდინა დანაშაულისა და ადმინისტრაციული გადაცდომის ურთიერთგამიჯვნის თეორიის ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე და, მეორე მხრივ, ადმინისტრაციული გადაცდომის ინსტიტუტის თეორიულ-მეცნიერულ შესწავლაზე.

როგორც გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაშია აღნიშნული⁴, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამიჯვნა სისხლის სამართლის დანაშაულისაგან შეიმჩნეოდა ჯერ კიდევ 1870 წლის რაიხსტაგის მიერ მიღებულ სისხლის სამართლის კოდექსში. მართალია, ამ დროისათვის ზუსტად განსაზღვრული სამართლებრივი ზღვარი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევასა და სისხლის სამართლის დანაშაულს შორის არ არსებობდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, კანონმდებლობაში ფორმალური განსხვავება დანაშაულსა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას შორის უკვე დიდი ხნის წინ შეიმჩნეოდა.

გერმანულ იურიდიულ მეცნიერებაში ადმინისტრაციული სამართალდარღვევისა და სისხლის სამართლის დანაშაულის გამიჯვნის შესახებ ყველაზე ცნობილი თეორია ეკუთვნის გამოჩენილ გერმანელი მეცნიერს – დ.გოლდშმიდტს, რომელიც ითვლება გერმანული ადმინისტრაციული სამართლის ფუძემდებლად. გოლდშმიდტის თეორია შეიცავდა დასაბუთებას იმის თაობაზე, რომ არსებობდა დამოუკიდებელი სახის კანონსაწინააღმდეგო ქმედება, რომელიც თავისი სამართლებრივი ბუნებით განსხვავდებოდა დანაშაულისაგან. მან თავისი კვლევის შედეგად ადმინისტრაციული გადაცდომა, ფართო გაგებით, მიიჩნია სისხლის სამართლის ნაწილი, ხოლო ვიწრო გაგებით – ადმინისტრაციულ სამართლის ინსტიტუტად. გოლდშმიდტმა დაასაბუთა ადმინისტრაციული დელიქტისა და სისხლის სამართლის დანაშაულის მკაცრი დიფერენციაციის დაწესების აუცილებლობა.⁵ გოლდშმიდტის თეორიის მიმდევრებმა – ე. ვოლფმა და ხ. ლანგმა დაადასტურეს, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევა – ფორმალური თვალსაზრისით, მიეკუთვნება სისხლის სამართლის კანონმდებლობას (სისხლის სამართალს – ფართო გაგებით), ხოლო მატერიალური თვალსაზრისით – ადმინისტრაციულს (ადმინისტრაციის (მმართველობის) ინტერესების ბუნებიდან გამომდინარე).⁶ გოლდშმიდტის ზოგიერთმა იდეამ გამოხატულება პოვა გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის პროექტში (1909-1911 წწ.). აღნიშნულ პროექტებში შეინიშნება მცდელობა ფორმალური გამიჯვნისა, კოდექსის პირველ ნაწილში დანაშაულისა (Verbrechen) და მცირე მნიშვნელობის დანაშაულებისა (Vergehen), ხოლო მეორე ნაწილში – გადაცდომების (Übertretungen). გოლდშმიდტის იდეები საფუძვლად დაედო 1952 წლის პირველ „ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა შესახებ“ გერმანიის ფედერაციულ კანონს.

ბ) თანამედროვე კონცეფციები დანაშაულისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამიჯვნის თაობაზე (სისხლის სამართლის რეფორმის შემდეგ (1950-60 წწ.))

გერმანიის საკონსტიტუციო-სამართლებრივმა პრაქტიკამ და კანონმდებლობის განვითარებამ დიდი ზეგავლენა მოახდინა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის თეორიულ-მეცნიერულ გამოკვლევის სფეროში. ორი სამართალდარღვევის არსის და მათი განმასხვავებელი ნიშნების შესწავლის შედეგად მეცნიერებმა შეიმუშავეს თანამედროვე კონცეფციები დანაშაულისა და

⁴ BVerfGE 23, 113

⁵ იხ. J. Goldschmidt, Das Verwaltungsrecht: eine Untersuchung der Grenzgebiete zwieschen Strafrecht und Verwaltungsrecht auf rechtsgeschichtlichen und rechtsvergleichenden Grundlage, 1902, S.342.

⁶ იხ. H. Lang, Verbandsunrecht: Beitrage zur gesamten Strafrecht-wissenschaft., 1966, S. 49-57; Wolf E., Die Stellung der Verwaltungsdelikte im Strafrechtssystem, 1930, Bd.2, S.516.

გადაცდომის გამიჯვნის შესახებ. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ახლად ჩამოყალიბებული, თანამედროვე კონცეფციები პრინციპიალურად არ განსხვავდებოდა ადრე არსებული კონცეფციებისაგან.

თანამედროვე კონცეფციათანაგ საინტერესოა პროფესორ ა. ვიმერის კონცეფცია. ვიმერმა ადმინისტრაციული გადაცდომისა და სისხლის სამართლის დანაშაულის თანაფარდობა განიხილა ფორმულის სახით. მან ამ თეორიას საფუძვლად დაუდო სამართალდარღვევის ეთიკური ღირებულებები (ethnische Wertvollen) და ამ ღირებულებების შესაბამისად განისაზღვრებოდა, უნდა მიეკუთვნებინათ ესა თუ ის ქმედება სისხლის სამართლის დანაშაულისა თუ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევისათვის. შესაბამისად, ქმედების სიმძიმე განისაზღვრებოდა ეთიკური ღირებულებების შეფასების საფუძველზე.⁷ აღნიშნულმა თეორიამ გამოხატულება ჰპოვა გერმანიის სისხლის და ადმინისტრაციულ სამართალში. ამ თეორიის მიხედვით ამ ორ ძირითად სამართალდარღვევა განასხვავებს საზოგადოებრივი მორალი (Sozialethik). შესაბამისად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად უნდა იქნეს გაგებული „მორალურად ინდიფერენტული კანონსაწინააღმდეგო ქმედება.“ სამართალდარღვევები გარკვეულწილად აყენებენ ზიანს საზოგადოებას სხვადასხვა ხარისხით და, შესაბამისად, ყველა ქმედების მიმართ სისხლის სამართლებრივი სანქციის გამოყენება არ არის გამართლებული. ვიმერის აღნიშნული თეორია განმტკიცებულია გერმანიის ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკითაც. გერმანიის ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლომ 1959 წლის 4 თებერვლის №18 გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის დამახასიათებელი ნიშანია „მისი მორალური და ეთიკური ინდიფერენტულობა“ და, შესაბამისად, დაადგინა, რომ ადმინისტრაციულმა სამართალდარღვევამ, აღნიშნული თვისებიდან გამომდინარე, არ შეიძლება ხელყოს ადამიანის უფლებები და თავისუფლებები.⁸

დანაშაულისა და გადაცდომის დიფერენციაცია მხოლოდ მორალური ნიშნით არ შეიძლება მივიჩნიოთ აბსოლიტურად. ვიმერის თეორიის სუსტ არგუმენტად მიგვაჩნია ის, რომ სისხლის სამართლის დანაშაულის და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამიჯვნის კრიტერიუმად მხოლოდ მორალისა და ეთიკის მიჩნევა არ არის საკმარისი. ასეთ შეფასებას უფრო ფილოსოფიური საფუძველი გააჩნია, ვიდრე – იურიდიული. ნებისმიერ შემთხვევაში, როგორც დანაშაული, ისე, მცირე მწიფელობის დელიქტიც კი ამორალური საქციელია, მორალთან და ეთიკასთან შეუთავსებელი. აღნიშნული ქმედების ნიშანი შეიძლება შეფასებული იქნეს როგორც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ერთობლივი დამახასიათებელი ნიშანი.

ასევე საინტერესოა გერმანელი კრიმინალისტების პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია ი. რენებერგის, რ. შტილერის, ჰ. ვებერის შედგენილი თეზისები. თეზისების ავტორთა აზრით, „საზოგადოებრივი საშიშროების“ კატეგორია, არ გამოდგება დასასჯელ ქმედებათა უმრავლესობის – გადაცდომების – საზოგადოებრივი არსის სწორად დახასიათებისათვის, ვინაიდან ეს ნიშანი არ შეესაბამება გადაცდომათა უმნიშვნელო ხასიათს. მათი აზრით, დასასჯელ ქმედებათა სხვადასხვა სახის გაერთიანება დანაშაულებრივი ქმედების ერთიან ცნებაში და მათი დახასიათება საერთო ნიშნის – „საზოგადოებრივი საშიშროების“ მიხედვით მიზანშეუწონელია, ვინაიდან ასეთი გაერთიანების შედეგად მიიჩქმალება დასასჯელ ქმედებათა ორი ძირითადი ჯგუფის - დანაშაულისა და გადაცდომის - თვისებრივი განსხვავება, რაც ხელს შეუშლის მართლმსაჯულების სწორად განხორციელებას სისხლის სამართლის სფეროში.⁹

⁷იხ. **A. Wimmer**, Straftat und Ordnungswidrigkeit // NJW., 1957, S.1169

⁸იხ. BVerfGE 9, 167 (171); *Eb. Schmidt*, DRZ 1948, 412 (414); *R. Schmitt*, Ordnungswidrigkeitenrecht, S.11.

⁹იხ. **H. Weber**, Zum Begriff der Straftat im künftigen Strafgesetzbuch, `Staat und recht`, 1963, 110. S. 72-73.

გერმანიაში მოგვიანებით, 1952 წელს, მიღებულ იქნა კანონი „ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა შესახებ“, რომელმაც საბოლოოდ განამტკიცა სისხლის სამართლისაგან დამოუკიდებელი სამართალდარღვევა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის სახით (rdnungswidrigkeit). ამასთან, აღნიშნულმა კანონმა ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის დაადგინა პასუხისმგებლობა ჯარიმის (Geldbusse) სახით და დაარეგულირა ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის დამოუკიდებელი ადმინისტრაციული წარმოება (Bussgeldverfahren).¹⁰ კანონში არ არის ლაპარაკი იმ კრიტერიუმებზე, რომლის თანახმადაც, ესა თუ ის ქმედება შეიძლება მიეკუთვნებოდეს სისხლის ან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას. კანონმა დაადგინა, რომ ადმინისტრაციული გადაცდომისათვის განსაზღვრულია მხოლოდ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ჯარიმის სახით.¹¹ აღნიშნული ნორმის საფუძველზე შესაძლებელია ვიმსჯელოთ იმ მნიშვნელოვან კრიტერიუმზე, რომელიც საშუალებას გვაძლევს, გავმიჯნოთ სისხლის სამართლის დანაშაული ადმინისტრაციული გადაცდომისაგან. უნდა აღინიშნოს შემდეგი – მიუხედავად იმისა, რომ მიღებულია კანონი „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ“, მაინც მითითებული საკითხი პრობლემატური და რთულია ზღვარის გაკლება დანაშაულსა და ადმინისტრაციულ გადაცდომას შორის.

გ) სამართლებრივი პოზიციები სისხლის სამართლის დანაშაულისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამიჯვნის თაობაზე გერმანიის ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებში

უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართლის დანაშაულისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამიჯვნის საკითხის შესწავლისას არ არის საკმარისი მხოლოდ თეორიული კონცეფციების გაანალიზება, არამედ იმ მიდგომების და პოზიციების განხილვაც, რომელიც სასამართლო პრაქტიკის შედეგად ჩამოყალიბდა. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის ანალიზიდან ირკვევა, რომ სასამართლო აფასებს არა მხოლოდ სამართალდარღვევის მორალურ-ეთიკურ მხარეს, არამედ – მატერიალურ მხარესაც. სასამართლომ ასევე დაადასტურა მეცნიერთა შეხედულება იმის თაობაზე, რომ დანაშაულისა და გადაცდომის გამიჯვნისას აუცილებელია, მხედველობაში იქნეს მიღებული საზოგადოებრივი საშიშროება, როგორც ერთ-ერთ მნიშვნელოვანი ელემენტი სამართალდარღვევის.¹²

გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში დაადასტურა დანაშაულისა და გადაცდომის ავტონომიურობა და დააზუსტა, რომ „სისხლის სამართლის დანაშაულისაგან განსხვავებით ადმინისტრაციული სამართალდარღვევა ყველა შემთხვევაში არ წარმოადგენს არამნიშვნელოვან დანაშაულს, არამედ – არამნიშვნელოვანი დელიქტია.“¹³ საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ დანაშაულსა და გადაცდომას შორის ზღვარი უნდა იქნეს გაკლებული კანონმდებლის მიერ ყოველ კონკრეტულ შემთხვევისათვის ისტორიული სიტუაციისა და კონსტიტუციურ-სამართლებრივი შეფასების გათვალისწინებით.¹⁴

გერმანიის საკონსტიტუციო პრაქტიკა მოწმობს იმაზე, რომ გერმანიის ფედერალურ ორგანოებს შორის არის აზრთა სხვადასხვაობა დანაშაულისა და გადაცდომის გამიჯვნის საკითხთან

¹⁰იხ. დღეისათვის სისხლის სამართლის დანაშაულის გამიჯვნა ადმინისტრაციული გადაცდომისაგან ფორმალურად შესაძლებელია, *Nach R. Schmitt, Ordnungswidrigkeitenrecht, S.14; vgl. auch Weber, ZStW 92 (1980), S.313; Maurach/Zipf, AT 1, §1 Rn 32.*

¹¹იხ. Gesetz über Ordnungswidrigkeiten (OWiG), art.1.

¹²იხ. VerfGe 9, 171.

¹³იხ. BVerfGe 22, 73.

¹⁴იხ. BVerfGe 22, 49

დაკავშირებით. საკონსტიტუციო სასამართლოს 1969 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში დაფიქსირებულია ჰესენის პროკურორის პოზიცია, რომ დანაშაულის გარდაქმნა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად წარმოადგენს მხოლოდ დასახელების შეცვლას, მკაფიო გამიჯვნის კროტერიუმის არარსებობის გამო.¹⁵ გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ დანაშაულის გადატანა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებში არ ამოიწურება მხოლოდ მათი სახელის შეცვლით, არამედ სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში ნეგატიური ფინანსური შედეგების შეცვლით (ჯარიმა სისხლის სამართლის და ჯარიმა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობის მიხედვით). აღნიშნული სანქციების განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ ჯარიმა არის სასჯელის ზომა საშიში ქმედებისათვის და მისი დაკისრება შესაძლებელია მხოლოდ სასამართლოს მიერ. იგი განიხილება როგორც სამართალდამრღვევის ვალდებულება, ფულადი სახით აანაზღაუროს მის მიერ ჩადენილი არაწინააღმდეგობრივი მართლსაწინააღმდეგო ქმედება. შესაბამისად, შესაძლებელია ჯარიმის დაკისრების უფლებამოსილების გადაცემა ადმინისტრაციული ორგანოების იურისდიქცისათვის.

აღნიშნულმა გადაწყვეტილებამ განამტკიცა მრავალი გერმანელი მეცნიერის აზრი იმის თაობაზე, რომ კანონმდებელმა უნდა განსაზღვროს სანქციის შესაბამისობის ზღვარი ყოველ კონკრეტულ შემთხვევიდან გამომდინარე, ხოლო საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელმა ორგანომ კი უნდა გადაამოწმოს კანონმდებლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების კონსტიტუციურობა. ამრიგად, გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ ბევჯერ დააფიქსირა თავისი პოზიცია სისხლისა და ადმინისტრაციული სამართლის წინააღმდეგობრივ ნორმებთან დაკავშირებით და, შესაბამისად, კანონმდებელს მისცა მითითება აღნიშნული ხარვეზების გამოსწორებად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დასკვნის სახით ითქვას, რომ გერმანიის სამართლებრივ დოქტრინაში დანაშაულისა და გადაცდომის გამიჯვნის შემდეგი კრიტერიუმებია დადგენილი: ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხი; საზოგადოებრივი ურთიერთობების მორალურ-ეთიკური ღირებულებები; სამართალდარღვევათა საქმეთა უწყებრიობა; სამართალდამრღვევის მიმართ შესაბამისი სანქციის შეფარდება.

5. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება

საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება¹⁶ მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ, გასაჩივრებული ნორმიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმის კონსტიტუციურობასთან ერთად, იმსჯელა იმაზე, თუ რა სახის სამართალდარღვევა არსებობდა – იყო ეს ადმინისტრაციული გადაცდომა, თუ სისხლის სამართლის დანაშაული.

მოსარჩელეს კონსტიტუციურ სარჩელში ნორმათა არაკონსტიტუციურად ცნობის ერთ-ერთ არგუმენტად მოჰყავს შემდეგი გარემოება: თავისი შინაარსით სასამართლო სხდომის დარბაზში წესრიგის დარღვევა და, შესაბამისად, აღნიშნული სამართალდარღვევისათვის პირის პასუხისმგებებაში მიცემა – პატიმრობა 30 დღე-ღამის ვადით – ეს არის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა და ამიტომ იგი უნდა იყოს გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში.

¹⁵იხ. BVerfGE 27, 18

¹⁶იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება, საქმე №1/3/393.397, საქართველოს მოქალაქეები – ვახტანგ მასურაშვილი და ონისე მებონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 26 ივლისის დადგენილებაზე, რომელშიც სადავო ნორმით გათვალისწინებული სამართალდარღვევა, ასევე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად არის მიჩნეული. უზენაესმა სასამართლომ აღნიშნული სასამართალდარღვევა, სასამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე და საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, მიაკუთვნა ადმინისტრაციულ გადაცდომას. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ ყოველგვარი ქმედება, რომელიც იწვევს სასამართლოში წესრიგის ხელყოფას, წარმოადგენს ადმინისტრაციულ გადაცდომას იმის მიუხედავად, თუ საპროცესო სამართლის რომელი დარგითაა განსაზღვრული დამრღვევისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების პროცედურა.

საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციაში არ შედის კონკრეტული სამართალდარღვევის სახეობის დადგენა. აქედან გამომდინარე, სასამართლომ არ უნდა გაარკვიოს სადავო ნორმით რა ტიპის – სისხლის თუ ადმინისტრაციული სამართალდარღვევაა გათვალისწინებული, მაგრამ აღნიშნა, რომ, როდესაც კანონმდებლობით ხდება პასუხისმგებლობის ისეთი ზომის შემოღება, როგორცაა დაპატიმრება, პირველ რიგში, მკაფიოდ უნდა ჩამოყალიბდეს თავად სამართალდარღვევის შინაარსი, რომლისთვისაც გათვალისწინებულია პასუხისმგებლობის ეს ზომა, ასევე, ის ძალზე მკვეთრად და აშკარად უნდა განსხვავდებოდეს იგივე ობიექტის წინააღმდეგ მიმართული, სხვა სახის სამართალდარღვევისა და მისთვის დაწესებული პასუხისმგებლობისაგან.

ვიზიარეთ საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციას იმის თაობაზე, რომ აღნიშნული პირობების დაცვა აუცილებელია, რადგან, ერთი მხრივ, სამართალდარღვევმა ზუსტად უნდა იცოდეს, რა შინაარსის სამართალდარღვევისათვის უფარდებენ მას პატიმრობას, ხოლო, მეორე მხრივ, სამართალშემფარდებელმა (მოსამართლემ) შეძლოს შესაბამისი ნორმების სწორად და აღეკვატურად გამოყენება. უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს კანონმდებლობაში ხშირად ვხვდებით ნორმის ბუნდოვანებასა და მის არაკონკრეტულობას. ამ კონკრეტული საქმიდან გამომდინარე კი ნათლად ჩანს, რომ აუცილებელია მკაცრად იქნეს გამოიჯნული სისხლისა და ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობის სფეროები. პირველ რიგში, კანონი უნდა იყოს ხელმისაწვდომი, წინასწარ განჭვრეტადი და ზუსტად განსაზღვრული, აგერთვე, უნდა შეიცავდეს სხვა გარანტიებს თვითნებობის რისკისგან დასაცავად. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებებიდან ნათლად ჩანს ის, რომ სასამართლოს ხშირად უწევს კანონმდებლის ხარვეზის გამო მსჯელობა. შესაბამისად, კანონმდებელმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ქმედების ობიექტური კრიტერიუმები

და აუცილებელი სიზუსტით ჩამოაყალიბოს. ნორმის დისპოზიციაში რეგლამენტირებული ქმედება თავისი შინაარსით აუცილებლად უნდა შეესაბამებოდეს გათვალისწინებულ პასუხისმგებლობის ზომას.

KETEVAN TSKHADADZE
Post-graduate Student of Tbilisi State University

ADMINISTRATIVE OFFENCE AND ITS DELINEATION FROM CRIME

1. Introduction

The unity of material characteristic of the concept of crime on one hand and the object of administrative offence on the other, made the legislator and legal scholars face the problem of delineation of the crime and offence. The issue of delineation of crime and administrative offence is quite problematic not only from theoretical, but also practical viewpoint as well. Due to its nature, the institute of administrative offence is an issue of current importance, as far as it has a tight linkage with the institute of crime. It should be pointed out that the problem of administrative offences and administrative liability gains special significance today, as far as currently a new legislation of administrative offences is being established.

This paper aims at promoting the problem of delineation of administrative offence and crime, the objective criterion that can create the basis for making distinctions between these two violations of law. I will focus on the evolution of legal opinions in regards the delineation of offence and crime.

It is obvious that it is not difficult to qualify an action as a crime or administrative offence according to the formal feature; the action is stipulated in the Criminal Code or any other legislative act. However, this cannot tell us on what grounds the legislator assumes an action to be a crime or an administrative offence. The problem of delineation of crime and administrative offence can emerge at the stage of lawmaking and application of law as well. In some cases, the characteristics of administrative offences and the crime, as specified by the law, are so much like each other, that it is quite difficult for the user of the law to provide exact qualification for the action.

2. Problems of Delineation of offence from crime

This problem has always represented an issue of current importance for the continental law. Indication about the idea that only the societally dangerous act can be regarded as a crime is provided in the legislative acts of the very first year of the Soviet government. In the first codified legal acts there is a clear reference to the specific material characteristic of the concept of crime, on the danger it poses to the system of public relations. In accordance with the Article 6 of the Criminal Code of Georgia of 1923, any action or inaction, posing danger to society would be considered to be a crime, committed against the legal order. Of course, the concept of crime was not perfect that time, and it was incorrect to make reference that any action, posing danger to the Soviet legal order would be considered a crime. As far as the legal order can be broken by the administrative or disciplinary violation, or a civil delict, which cannot be equalized with the crime. Since then, societal dangerousness – as an element constituting the crime, has been inputted into the definition of the concept of crime by all the subsequent criminal codes.

In contemporary criminal and administrative law the main criterion for delineating crime and offence is the dangerous nature of violation of law that may be societally dangerous. All the legal violation implies more or less degree of societal dangerousness at some extent. Any violation of law, committed against

particular public relations, breaks the legal order. It is worth pointing out that the essence of violation of law is reflected in the degree of societal dangerousness of the action committed against the law. The crime is distinguished from the offence by the degree of its societal dangerousness. This creates the grounds for delineating crime and administrative offences, and, correspondingly, their systematization in respective legal acts. It is true that while defining the administrative concept, the Code of Administrative Offences of Georgia does not provide the characteristic sign – societal dangerousness; however, this does not mean that the administrative offence does not represent an action that is dangerous for the society. All the violations of law, with their essence, include certain danger to the society. Societal dangerousness, as a material sign, is characteristic to any violation of law.

There is a question: How can the legislator delineate crime from offence, if both of them are characterized with societal dangerousness?

The law and legislation distinguish between the nature and extent of societal dangerousness. The nature of societal dangerousness – this is a qualitative indicator of the violation of law, and the extent of – the quantitative indicator¹. The nature of societal dangerousness is defined by the meaning of public relationship, which is breached by the violation of law, i.e. the object of the violation of law. As for defining the extent of societal dangerousness, various factors are taken into consideration, such as the gravity of the result caused by the violation of law, volume of possible harm, time, place, circumstances of violation of law, etc. Correspondingly, the more the public value of the object of violation and the volume of the possible damage, the more possible it is to prove the increased societal dangerousness caused by the action, and vice versa.

It should be pointed out that the degree of societal dangerousness finds its final reflection mostly in the sanction of the norm. The more strict punishment is envisaged by the sanction, the more it is possible to delineate the violation that includes the societal dangerousness.

Criterion for delineating the administrative offence is provided in the Article 166 of the Law on Administrative Offences of Georgia², which refers to the minor hooliganism, and the Article 239 of the Criminal Code of Georgia, which also refers to hooliganism. The criterion for making distinction between the two articles is the gross violation of the public order. The administrative offence is a minor hooliganism, which disturbs the public order and the peace of citizens, and the same action, which, if committed through violence or threat of violence, represents a crime. Besides, the criterion for distinguishing the administrative offence is provided in the Article 119 of the Code of Administrative Offences of Georgia, which refers to the violation of rules of transportation facilities. The violation of the law foreseen in the part 8 of this Article, which was resulted in the minor damage of a transportation facility, commodity, motorway, road or other construction, also the slight harm to property or human body – “minor damage”, i.e. the extent of the caused damage is the distinguishing element, which makes the administrative offence different from the crime. As for the analogous offence causing more serious damage, it is qualified as the crime (Article 276 of the Criminal Code of Georgia).

The legislator should define an unbiased criterion for delineating the crime and administrative offence, which should not depend on the subjective perception and evaluation of the action. In the examples provided above, the criterion for distinguishing between the administrative offence and crime should be objective.

3. a) Separation of Crime and Administrative Offence in the German Law

In the German law, the issue of inter-reference of crime and administrative offence, and their delineation represents one of the basic issues of administrative and criminal law.

¹See: L. Surguladze, Criminal Law, Crime, Tbilisi, 1997, p.49.

²See: Code of Administrative Offences of Georgia, adopted on December 15, 1984, as of March 11, 2008.

Challenges of these issues are generated by the dual nature of the legislation of administrative offences of the Federal Republic of Germany, and with its close linkage with the field of criminal law.

In Germany, at first stage the norms that regulate various public spheres, have the nature of criminal law. As far as for this period the notion of administrative offence has not existed yet, correspondingly, the sanctions of criminal justice used to be applied for any violations of law. Little by little, offences that contained less societal dangerousness appeared alongside the grave crimes in the legislation, and, correspondingly, application of sanctions of criminal law against them looked unfair and strict. On one hand, this process influenced the establishment and development of the theory of delineation of crime and administrative offence, and, on the other hand, on the theoretical and scientific research of the institute of administrative offence.

As one of the judgments of the German Federal Constitutional Court has it³, delineation of administrative offences from crimes was observed in 1870 in the Criminal Code adopted by Reichstag. Obviously, by that time there was no clearly defined legal line drawn between the administrative offence and the crime, though, despite this, the formal difference between the crime and administrative offence was present in the legislation long time ago.

In the German legal science, the most famous theory regarding the delineation of administrative offence and crime is the theory of an outstanding German scientist D. Goldschmidt, who is considered the founder of German administrative law. Goldschmidt's theory contained proofs that there was an independent unlawful action, which, with its legal nature would be different from crime. As the result of his research, he regarded an administrative offence as a part of criminal law in the broad meaning, and an institute of administrative law in the narrow meaning. Goldschmidt proved the necessity to institute a clear difference between the administrative delict and crime⁴. Followers of Goldschmidt's theory E. Wolf and H. Lang confirmed that from the formal viewpoint the administrative offence belongs to criminal law (with the broad meaning of criminal law), and from the material viewpoint – to administrative law (judging from the nature of interests of the administration (government))⁵. Goldschmidt's some ideas found reflection in the draft Criminal Code of Germany (1909, 1911). In these drafts there is an attempt of formal delineation – of the crime (Verbrechen) and minor crimes (Vergehen) in the first part of the code, and in the second part – of the offences (Übertretungen). Goldschmidt's ideas laid a foundation for the first German Federal Law on Administrative Offences of 1952.

b) Present-day concepts regarding the delineation of crime and administrative offences (after the reform of criminal justice (1950-60))

Constitutional-legal practice of Germany and development of legislation greatly influenced the theoretical-scientific research of administrative responsibility. As the result of studying the essence of two violations of law and their distinguishing features, there were modern concepts generated among the scholars regarding the delineation of crime and violation. However, it should be mentioned that the principles of newly formed concepts do not differ from the already existing concepts.

Among these concepts an interesting modern concept belongs to the professor A. Wimer. Wimer discussed the relevance of administrative offence and crime in the form of a formula. He based this theory on the ethical values of violations of law (ethnische Wertvollen), and this or that action would be considered in relevance with these values and then it would be qualified as either crime or administrative offence. Correspondingly, gravity of action was defined on the grounds of evaluation of ethical values.⁶ This theory

³ BVerfGE 23, 113

⁴ **J. Goldschmidt**, Das Verwaltungsrecht: eine Untersuchung der Grenzgebiete zwieschen Strafrecht und Verwaltungsrecht auf rechtsgeschichtlichen und rechtsvergleichenden Grundlage, 1902, S.342.

⁵ **H. Lang**, Verbandsunrecht: Beitrage zur gesamten Strafrecht-wissenschaft., 1966, S. 49-57; Wolf E., Die Stellung der Verwaltungsdelikte im Strafrechtssystem, 1930, Bd.2, S.516.

⁶ **A. Wimmer**, Straftat und Ordnungswidrigkeit // NJW., 1957, S.1169.

found its reflection in the criminal and administrative law of Germany. Contemporary explanation of this theory is that the difference between these two basic violations of law – this is a social morale (Sozialethik). Correspondingly, the “morally indifferent unlawful action” should be understood as administrative offence. The violations of law somehow cause damage to the society with different extent, and, correspondingly, it is not justified to apply sanctions of criminal law against all the actions. Wimer,s theory is strengthened in the practice of the Federal Constitutional Court of Germany. The Federal Constitutional Court of Germany stated in its judgment #18 of February 4, 1959, that a characteristic feature for the administrative violation of law is “its moral and ethical indifference” and correspondingly defined that, due to these features; the administrative offence cannot violate human rights and freedoms.⁷

We cannot regard the differentiation between the crime and offence as absolute only with the morale feature. I think the weak argument of Wimer,s theory is that it is not enough to consider only the morale and ethics as criteria for delineating the crime and administrative offence. Such evaluation has a more philosophic grounds rather than legal. In any case, the crime and even the delict of minor importance is an immoral action, inconsistent with the morale and ethics. Characteristics of this action can be evaluated as a common feature of administrative offences.

It is interesting to see what the position of German criminalists is in reference to this issue. The theses compiled by I. Reneberg, R. Schtiller, H. Weber should be pointed out specifically. The authors of these theses think that the category of “societal dangerousness” cannot be used as a correct characterization of the social essence of violations – majority of punishable actions, as far as this feature does not correspond to the minor feature of violations. They think that unification of various types of punishable actions in one concept of criminal action, and their characterization according to the common feature of “societal dangerousness” is not reasonable, as far as the result of such unification, the qualitative difference between crime and offence – two main groups of punishable actions will be hidden and disregarded, which will disturb correct administration of criminal justice.⁸

Later, a law on Administrative Offences was passed in Germany in 1952, which ultimately strengthened the offence independent from criminal justice – in the form of an administrative violation of law (Ordnungswidrigkeit). Besides, this law imposed a liability for administrative offences in the form of a fine (Geldbusse), and regulated the separate administrative proceedings (Bussgeldverfahren)⁹ for administrative offences. There is no mentioning in the law of the criteria according to which this or that action can be considered to be either criminal or administrative violation of law. The law defined that only the administrative responsibility is defined in the form of a fine for administrative offences.¹⁰ On the grounds of this norm we can judge the important criteria that enable us separate the crime from administrative offences. It should be pointed out that despite the law on Administrative Offences has been adopted, still, this issue remains to be problematic and it is difficult to draw a line of demarcation between crime and administrative offences.

c) Legal positions regarding the delineation of crime from administrative violation of law in the judgments of the Federal Constitutional Court of Germany.

It should be pointed out that while studying the issue of separation of crime and administrative offences, it is not enough to consider only theoretical concepts, but it is needed to discuss the attitudes and positions

⁷ BVerfGe 9, 167 (171); *Eb. Schmidt*, DRZ 1948, 412 (414); *R. Schmitt*, Ordnungswidrigkeitenrecht, S.11.

⁸**H. Weber**, Zum Begriff der Straftat im künftigen Strafgesetzbuch, “Staat und recht”, 1963 .1 1 0 . S. 72-73.

⁹For now, it is formally possible to separate the criminal offence from the administrative violation of law, *Nach R. Schmitt*, Ordnungswidrigkeitenrecht, S.14; vgl. auch *Weber*, ZStW 92 (1980), S.313; *Maurach/Zipf*, AT 1, §1 Rn 32.

¹⁰Gesetz über Ordnungswidrigkeiten (OWiG), art.1.

¹¹See: BVerfGe 9, 171.

which were established in the course of judiciary practice. From the analysis of Federal Constitutional Court of Germany it is clarified that the court assesses not only the moral-ethical side of violations, but also its material side as well. The Court also confirmed the scholars' opinion that while separating the crime and offence it is necessary to consider the societal dangerousness as one of the significant elements of violation of law.¹¹

In one of its judgments the Federal Constitutional Court of Germany confirmed the autonomy of crime and offence and clarified that 'unlike crime, the administrative offence does not represent an insignificant crime in all the cases, but - it is an insignificant delict.¹² The Constitutional Court pointed out that the differentiating line between the crime and offence should be defined by the legislator for every particular case, considering the historical situation and constitutional-legal assessment.¹³

Constitutional practice of Germany proves that there are different opinions among the federal bodies of Germany regarding the issue of separation of crime and offence. In the motivation part of the judgment of Constitutional Court of July 16, 1969 there is a position of Hessen, the prosecutor, stating that turning a crime into an administrative offence is only a change of the name as far as there are no clear criteria for delineation.¹⁴ Federal Constitutional Court of Germany defined that transferring the crime in Administrative Offences is not exhausted only by changing its name, but in case of committing an unlawful action, the negative financial outcomes will be changed as well (a fine in accordance with the criminal legislation and a fine in accordance with the administrative law). Difference of these sanctions is found in the following: this is a type of punishment for dangerous action and only the court can impose it. It is considered as a liability of a violator to reimburse the unlawful action s/he has committed, with money. Correspondingly, it is possible to delegate the right to impose the fine to the jurisdiction of administrative bodies.

This decision strengthened the opinions of many German scholars about the idea that the legislator should define the limit of relevance of sanctions reasoning from every single case, and the body that exercised the constitutional control should verify the constitutionality of the judgment made by the legislator.

Thus, Federal Constitutional Court of Germany has stated its position many times in regards to contradictory norms of criminal and administrative law and correspondingly the legislator was asked to find the remedy for these gaps.

It can be concluded from above that the German legal doctrine defines following criteria for delineating the crime and offence: extent of societal dangerousness of the action; moral-ethical values of the society; bodies dealing with the cases of violations of law; defining respective sanction for the violator.

5. Judgment of the Constitutional Court of Georgia dated December 15, 2006

The judgment¹⁵ of the Constitutional Court of December 15, 2006 is significant as far as, reasoning from the appealed norm, alongside the constitutionality of the appealed norm, the Constitutional Court had to discuss what kind of violation of law was present, whether it was an administrative offence or a crime.

With the purpose of recognizing the norms as unconstitutional, one of the arguments of the appellant included the following circumstance: with its contents, breaking the order in the courtroom and sentencing the person for this violation of law – up to 30 days of imprisonment – this is an administrative responsibility and this should be stipulated in the Code of Administrative Offences.

In this judgment the Constitutional Court makes reference to the Decree of July 26, 2006 of the Supreme Court of Georgia, where the violation of law, foreseen in the disputable norm, in a similar way, is recognized

¹²See: BVerfGE 22, 73.

¹³See: BVerfGE 22, 49

¹⁴See: BVerfGE 27, 18

¹⁵Judgment of the Constitutional Court of Georgia of December 15, 2006, case #1/3/393.397, Citizens of Georgia – Vakhtang Masurashvili and Onise Mebonia versus the Parliament of Georgia.

as administrative offence. The Supreme Court decided that this violation, judging from its legal nature and considering the actual circumstances of the case, was an administrative offence. The court also stated that any action that causes violation of order at court represents an administrative offence regardless which part of the procedural law defines procedures for imposing a responsibility for the violator.

The Constitutional Court defined that determination of the type of a particular violation of law does not represent a competence of Constitutional Court. Consequently, the court should not define what the type of offence is in the disputable norm – criminal or administrative, but it pointed out that when the legislation decides to introduce the measures such as arrest, first of all, the contents of the law violation should be clearly defined, for which this measure is applied. Besides, it should absolutely and clearly be different from other types of offences and respective responsibilities imposed upon the same object.

I share the position of the Constitutional Court that it is necessary to observe these conditions, as far as, on one hand, violator should exactly know for what kind of violation s/he is going to be arrested, and on the other hand, the imposer of punishment (judge) should be able to use respective norms correctly and adequately. We should point out that in our legislation we often face ambiguous and unclear norms. From this particular case it follows that it is necessary to strictly delineate the spheres of legislation of criminal and administrative justice, as far as, firstly the law should be accessible, foreseeable and precisely defined, and it should also imply the guarantees for being protected from the risk of arbitrary decisions. It is clearly seen from the decisions provided above that the court often has to argue about the gap of a legislator. Correspondingly, the legislator should necessarily keep in mind the objective criteria of the action; accurately state the action that should necessarily ensure that it corresponds to the imposed measure of responsibility.

ბაკურ ლილუაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული
ფაკულტეტის დოქტორანტი

**უსხოვლავი, როგორც მხარეები,
სამოქალაქო პროცესში**

1. საქართველოს სასამართლოებში სამოქალაქო საქმეთა განხილვის დროს ზოგჯერ მხარეებზე გამოდიან უცხოელი მოქალაქეები და იურიდიული პირები, აგრეთვე, მოქალაქეობის არ მქონე პირები.

სანამ უცხოელთა (ფიზიკურ, იურიდიულ და მოქალაქეობის არმქონე პირთა) სამოქალაქო პროცესში მხარეებად მონაწილეობის სამართლებრივ საფუძვლებს შევხებოდეთ, მანამდე მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მოკლედ განვიხილოთ საკითხი იმის შესახებ, თუ რა ივლისხმება ცნებაში „მხარეები“ და რა მოთხოვნები წაყენება მათ საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

ცნება „მხარე“ ხშირად გამოიყენება სამართლის სხვადასხვა დარგებში და მათ შორის – სამოქალაქო სამართლაშიც. მაგ. სკ-ის 51-ე მუხლის თანახმად, „ნების გამოვლება, რომელიც მოითხოვს მეორე მხარის მიერ მის მიღებას, ნამდვილად ჩაითვლება იმ მომენტიდან, როცა იგი მეორე მხარეს მიუვა“. ამავე კოდექსის 55-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „ბათილია გარიგება, რომელიც დადებულია ერთი მხარის მიერ მეორე მხარეზე გავლენის ბოროტად გამოყენებით“ და ა. შ.

მხარე, მატერიალური სამართლის თვალსაზრისით, ესაა პირი (ფიზიკური ან იურიდიული), რომელიც არის მატერიალურ – სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე (მაგ. გამყიდველი, მყიდველი, გამქირავებელი, შემკვეთი და სხვა).

მატერიალურ სამართლებრივი თვალსაზრისით, მხარის უფლებებსა და მოვალეობებს განსაზღვრავს მატერიალურ – სამართლებრივი ნორმა.

ისე, როგორც სამართლის სხვა დარგები, სამოქალაქო საპროცესო სამართალიც ხშირად იყენებს „მხარის“ ცნებას, თუმცა არ განსაზღვრავს ამ ცნების შინაარსს. მაგ. სსკ-ის მე-3 მუხლის თანახმად, „მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში“ სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ამავე კოდექსის 79-ე მუხლის თანახმად, „მხარეებზე სასამართლოში შეიძლება გამოვიდნენ ფიზიკური და იურიდიული პირები“. „მხარეების“ ცნებას ხშირად იყენებს სსკ-ის სხვა მუხლები.

მატერიალურ სამართლებრივი და საპროცესო სამართლებრივი ნორმების ანალიზი საფუძველს გვაძლევს ერთმანეთისაგან განვასხვავოთ „მხარის“ ცნება მატერიალურ და საპროცესო სამართლებრივი თვალსაზრისით, მატერიალურ – სამართლებრივ ურთიერთობას პირები ამყარებენ ერთმანეთთან ნებაყოფლობით, ურთიერთშეთანხმებით (ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, მაგ. დელიქტურ ვალდებულებებში), ამიტომ შემთხვევითი არაა, რომ გარიგებას სკ-სი განმარტავს როგორც ნების გამოვლენას, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ.

სხვა ვითრებასთან გვაქვს საქმე სამოქალაქო პროცესში. აქ მხარე მიმართავს სასამართლოს თავისი უფლების დარღვევა, მოითხოვს ამ უფლების დაცვას, ასახელებს პირს, რომელმაც ეს უფლება დაარღვია და პასუხი უნდა აგოს ამისათვის. მოპასუხე უნდა ჩაებას პროცესში

როგორც მხარე და დაიცვას თავი. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი წააგებს საქმეს, ანუ მის წინააღმდეგ იქნება გამოტანილი გადაწყვეტილება. სარჩელის აღძვრა სასამართლოში დამოკიდებულია პირის (მხარის) ნებაზე, მაგრამ, მოპასუხედ ყოფნა საქმეში არაა დამოკიდებული მის ნებაზე.

ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავდება თვით მატერიალურ სამართლებრივი და საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობები. ერთ-ერთი ფუნდამენტური სხვაობა, რომელიც არსებობს მათ შორის, როგორც ეს აღიარებულია, მდგომარეობს იმაში, რომ სამოქალაქო საპროცესო ურთიერთობის სავალდებულო მონაწილე არის სასამართლო.¹ ეს იმას ნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო ურთიერთობა წარმოიშობა არა პირებს შორის, არამედ მოსარჩელესა და სასამართლოს შორის, მოპასუხესა და სასამართლოს შორის და არა მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის.

მხარის ცნების სრულყოფილად განსაზღვრისათვის შეიძლება მივუთითოთ კიდევ ერთ გარემოებაზე. ესაა ინტერესთა დაპირისპირებულობა სასარჩელო წარმოების დროს – მოსარჩელე ცდილობს მიიღოს მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილება, მოპასუხე კი ცდილობს, რომ სასამართლომ უარი უთხრას მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე. მხარეთა ინტერესების დაპირისპირებულობა სასარჩელო წარმოების სავალდებულო პირობაა. თუ ასეთი დაპირისპირებულობა არ არსებობს, პროცესი უნდა შეწყდეს. კერძოდ, თუ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე ან მოპასუხემ ცნო სარჩელი, ან კიდევ, თუ სასამართლოში საქმის წარმოების დროს გარდაიცვალა ერთ-ერთი მოდავე მხარე (ვთქვათ, მოპასუხე), რომლის მთელი ქონება, მათ შორის, სადავო ქონება, მემკვიდრეობით მიიღო პროცესში მონაწილე მეორე მხარემ (მოსარჩელემ), პროცესი უნდა შეწყდეს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

– მხარეებად (მოსარჩელედ ან მოპასუხედ) საპროცესო სამართლებრივი თვალსაზრისით შეიძლება გამოვიდნენ სასამართლოში არამართო პირები, რომლებიც მატერიალურ სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი არიან, არამედ, დაინტერესებული პირებიც, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ დაირღვა მათი უფლებები და ინტერესები, თუმცა შემდგომში, საქმის გახილვისას, შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ისინი არ არიან სადავო მატერიალურს მართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი.

მოსარჩელე არის პირი, რომელმაც აღძრა სარჩელი თავისი უფლების დასაცავად, მოპასუხე არის პირი, რომელმაც, მოსარჩელის განმარტებით დაარღვია მისი უფლება, თუმცა შეიძლება აღმოჩნდეს, რომ მოსარჩელეს არა აქვს ის უფლება, რომლის დაცვასაც იგი მოითხოვს ან მოპასუხედ დასახელებულ პირს სინამდვილეში არ დაურღვევია ეს უფლება.

ამრიგად, მხარეები სამოქალაქო სამართლის თვალსაზრისით ეწოდება იმ პირებს, რომელთა სახელით მიმდინარეობს საქმე და რომელთა შორის დავა სამოქალაქო უფლების შესახებ სასამართლომ უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს.

ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი პრაქტიკული ღირებულება აქვს გერმანელი იურისტების როზენბერგის, შვაბისა და გოტვალდის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სამოქალაქო პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობას იძენს „მხარის“ საპროცესო სამართლებრივი ცნება („მხარის“ ფორმალურ ცნება), რადგან პროცესის წამოწყებისათვის არაა საჭირო წინასწარ გაირკვას, არის თუ არა მოსარჩელე სადავო მატერიალური სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე. არაა აგრეთვე საჭირო წინასწარ გაირკვეს მართლა დაარღვია თუ არა მოპასუხემ მოსარჩელის უფლება. ყოველივე ეს გაირკვევა სასამართლოს გადაწყვეტილებით — პროცესის ბოლოს ანუ საქმის განხილვის შედეგად. მთავარია, რომ პირმა მიმართოს სასამართლოს სარჩელით და ამ

¹შეადარე თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი. თბ. 2005. გვ.63.

სარჩელში მითითებული იყოს მოპასუხე, რომელმაც პასუხი უნდა აგოს სადავო უფლების დარღვევისათვის.²

რაც შეეხებათ უცხოელებს, სამოქალაქო პროცესში მათ უზრუნველყოფილი აქვთ სამართლებრივი დაცვა, მათ შორის, სასამართლოსადმი დაუბრკოლებლად მიმართვის შესაძლებლობა იმავე მოცულობით, რა მოცულობითაც ჩვენი ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს. ეს უფლება გარანტირებულია არა მარტო ეროვნული (შიდასახელმწიფოებრივი) ნორმატიული აქტებით, არამედ მრავალი საერთაშორისო ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებით. ამავე დროს, როგორც მიუთითებს ცნობილი გარმანელი იურისტი ხ. შაკი, უცხოელთა, როგორც სამოქალაქო პროცესის მონაწილეთა, დახასიათებას, მათ საპროცესო მდგომარეობის განსაზღვრას აქვს სრულიად გარკვეული მნიშვნელობა.³

საქართველოს კონსტიტუციის 47-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოში მცხოვრებ უცხოელ მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს საქართველოს მოქალაქის თანაბარი უფლებები და მოვალეობები აქვთ. საქართველოს კონსტიტუციის 47-ე მუხლს აკონკრეტებს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის 57-ე მუხლი, რომლის თანახმად, „უცხო ქვეყნის მოქალაქეები და იურიდიული პირები, აგრეთვე, მოქალაქეობის არმქონე პირები სამოქალაქო პროცესში საქართველოს ტერიტორიაზე სარგებლობენ ისეთივე სამართლებრივი გარანტიებით, რომლითაც საქართველოს მოქალაქეები და იურიდიული პირები“.

ამრიგად, უცხოელებს საქართველოში მინიჭებული აქვთ ნაციონალური რეჟიმი, ხოლო სამოქალაქო პროცესში მათ უჭირავთ იგივე სამართლებრივი მდგომარეობა, როგორც ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს და იურიდიულ პირებს. ეს იმას ნიშნავს, რომ უცხოელებს შეუძლიათ ჰქონდეთ სამოქალაქო საპროცესო უფლებები და მოვალეობები. ამასთან, იმისათვის, რომ მათ განახორციელონ სამოქალაქო საპროცესო უფლებები, ისინი, ისევე როგორც საქართველოს ფიზიკური და იურიდიული პირები, უნდა პასუხობდნენ გარკვეულ მოთხოვნებს. როგორია ეს მოთხოვნები?

ამ მოთხოვნებს შორის პირველ რიგში აღსანიშნავია საპროცესო უფლებაუნარიანობა. სსკ-ის მე-80 მუხლის თანახმად, „საქართველოს ყველა ფიზიკური და იურიდიული პირი აღჭურვილია უნარით, ჰქონდეთ სამოქალაქო საპროცესო უფლებები და მოვალეობები (საპროცესო უფლებაუნარიანობა).“

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, საპროცესო უფლებაუნარიანობა მთლიანად ვრცელდება უცხოელ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზეც, თუმცა სსკ-ის მე-80 მუხლში ლაპარაკია მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებზე. ქართული კანონმდებლობის მიხედვით, საპროცესო უფლებაუნარიანობის წარმოშობის და განვითარების თვალსაზრისით რაიმე შეზღუდვა არ არსებობს. არ არსებობს იგი პირის ფიზიკური თუ ფსიქიკური მდგომარეობის მიხედვითაც. ასეთი ან სხვა სახის შეზღუდვები კიდევ რომ არსებობდეს იმ უცხო ქვეყნის კანონმდებლობაში, რომელი ქვეყნის მოქალაქეც ეს ფიზიკური პირია, საქართველოს სასამართლოებმა მაინც უნდა იხელმძღვანელონ ჩვენი ქვეყნის საპროცესო კოდექსით. ასეთი დასკვნის საფუძველს გვაძლევს „კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლი, რომლის თანახმად, უცხოელებს გააჩნიათ ისეთივე უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა, როგორც საქართველოს მოქალაქეებს.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ განსხვავება სამოქალაქო საპროცესო უფლებაუნარიანობაში მართლაც განსხვავებულია ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში. ეს განსხვავება ზოგჯერ გამოიხატება

²Rosenberg/ Schwab/ Gottvald./ Zivilprozessrecht. s. 200-243. Verlag C.H. Beck. Munchen 1993.

Othmar Jauernig. Zivilprozessrecht. Verlag C.H. Beck. Munchen 1993. s. 48-67.

³Х. Шак. Международное гражданское процессуальное право. перевод с немецкого. М. изд-во БЕК 2001, стр. 256.

³ "Гражданское процессуальное уложение Германии". Москва изд-во Вольтерс Клувер 2006.

⁴Grunsky Zivilprozessrecht/ Verlag C.H. Beck. Munchen. 2003. s. 65-79.

იმით, რომ საპროცესო კანონმდებლობა საერთოდ არ ცნობს უფლებაუნარიანობის ცნებას და იყენებს მის ნაცვლად სხვა ცნებას. მაგ. ინგლისის საპროცესო კანონმდებლობა საერთოდ არ შეიცავს რაიმე მითითებას საპროცესო უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობის შესახებ. მაგრამ მეცნიერულ ლიტერატურაში და პრაქტიკაში აღიარებულია, რომ ის, ვინც შეიძლება იყოს მატერიალურ სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე, მას შეუძლია იყოს პროცესის მონაწილეც, ანუ მას შეუძლია აღძრას სარჩელი სასამართლოში.

გერმანული კანონმდებლობა საპროცესო უფლებაუნარიანობას მჭიდროდ (ორგანულად) უკავშირებს უფლებაუნარიანობას მატერიალურ სამართლაში; „ის, ვინც აღჭურვილია უფლებაუნარიანობით, იგი აღჭურვილია საპროცესო უფლებაუნარიანობითაც“ (მუხ. 50).⁴

როგორც ვხედავთ, გერმანიის საპროცესო კანონმდებლობა უფლებაუნარიანობის მეშვეობით ზოგადად განსაზღვრავს საპროცესო უფლებაუნარიანობას.⁵

რაც შეეხება ფიზიკური პირის საპროცესო ქმედუნარიანობას. ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობის ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ საპროცესო ქმედუნარიანობის წარმოშობის საფუძველი და წესი იგივეა, რაც მატერიალური ქმედუნარიანობის წარმოშობისთვისაა საჭირო, ე.ი. საპროცესო ქმედუნარიანობა მჭიდროდ უკავშირდება ქმედუნარიანობას მატერიალურ სამართალში. იგივე მდგომარეობაა უცხო ქვეყნის სამართალშიც.

მაგ. გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 52-ე მუხლის თანახმად, „პირი აღჭურვილია საპროცესო ქმედუნარიანობით იმდენად, რამდენადაც მას შეუძლია იკისროს სახელშეკრულებო ვალდებულებები“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პირს აქვს სრული ქმედუნარიანობა იმდენად, რამდენადაც ამ პირს აქვს მატერიალური ქმედუნარიანობა.

ავსტრიის კანონმდებლობით, პირს შეუძლია გამოვიდეს პროცესში დამოუკიდებლად იმდენად, რამდენადაც მას შეუძლია იკისროს ვალდებულებები. ამ შემთხვევაშიც საპროცესო ქმედუნარიანობა მთლიანად უკავშირდება ქმედუნარიანობას მატერიალურ სამართალში.⁶

ამერიკის სამოქალაქო სამართალწარმოების ფედერალური წესები არ შეიცავენ რაიმე განმარტებას მხარეთა საპროცესო უფლებაუნარიანობის ან საპროცესო ქმედუნარიანობის შესახებ. ლიტერატურაში და პრაქტიკაში აღიარებულია მათი ორგანული კავშირი მატერიალურ უფლებაუნარიანობასა და ქმედუნარიანობასთან: ის, ვისაც აქვს სამოქალაქო უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა, მას შესაბამისად აქვს საპროცესო უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობაც.⁷

შეიძლება დავსვათ ასეთი კითხვა: უცხო ქვეყნის ფიზიკური პირი, რომელიც გამოდის საქართველოში მხარედ, თუმა არ არის პროცესუალურად ქმედუნარიანი თავისი ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით, მაგრამ საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით იგი აღჭურვილია საპროცესო ქმედუნარიანობით, შეიძლება თუ არა დაშვებულ იქნეს ჩვენს პროცესში მხარედ, როგორც პროცესუალურად ქმედუნარიანი?

საქართველოს კანონმდებლობა არ შეიცავს პირდაპირ პასუხს ამ საკითხზე. ლიტერატურაში გავრცელებული შეხედულების თანახმად, თუ უცხოელი თავისი ქვეყნის სამართლის მიხედვით პროცესუალურად არაქმედუნარიანია, იგი შეიძლება აღიარებულ იქნეს ქმედუნარიანად იმ ქვეყნის კანონით, რომელსაც სასამართლო განეკუთვნება.⁸

ეს საკითხი ყველაზე უფრო სწორედ გადაწყვეტილია გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლში. რომლის თანახმად, „უცხოელი, რომელიც თავისი ქვეყნის სამართლის მიხედვით არ წარმოადგენს პროცესუალურად ქმედუნარიან პირს, ითვლება პროცესუალურად

⁵FASCHING H/W/ Lehrbuch des Osterreichihischen zivilprozesrechts/ Wien/ 1990. s/ 55.

⁶L. Teplý. R. Whitten. Civil Procedure. 1994.

⁷X. Шак. იხ. მითითებული ნაშრომი გვ. 260.

⁸„Гражданское процессуальное уложение Германии“. Москва изд-во Вольтерс Клувер 2006.

ქმედუნარიან პირად, თუ იგი აღჭურვილია საპროცესო ქმედუნარიანობით იმ სამართლის მიხედვით, რომელსაც განეკუთვნება საქმის მწარმოებელი სასამართლო“.⁹

ვფიქრობთ, ასეთი პოზიცია შეიძლება გაზიარებულ იქნეს, მით უფრო, რომ უცხოელებზე საქართველოს კანონმდებლობით ვრცელდება ნაციონალური რეჟიმი.

5. იურიდიული პირები სამართლის ისეთივე სუბიექტები არიან, როგორც ფიზიკური პირები. ამავე დროს, მათ უფლებაუნარიანობას და ქმედუნარიანობას გააჩნია გარკვეული თავისებურებანი.

ისე, როგორც ფიზიკური პირების მიმართ, იურიდიული პირების საპროცესო უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა საქართველოსა ევროპის ქვეყნების სამართალში მჭიდროდ უკავშირდება მატერიალურ სამართლებრივ უფლებაუნარიანობას და ქმედუნარიანობას. პრინციპი, რომლითაც ეს ქვეყნები ხელმძღვანელობენ, შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგნაირად:

ა) ის, ვინც აღჭურვილია ზოგადად უფლებაუნარიანობით, იგი აღჭურვილია საპროცესო უფლებაუნარიანობითაც.

ეს პრინციპი ეფუძნება შემდეგ საფუძვლებს: თუ პირი აღჭურვილია უნარით, იქონიოს სამართლით განსაზღვრული უფლებები და იკისროს ვალდებულებები, მას კიდევ უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, დაიცვას ეს უფლებები, რისთვისაც მას უნდა აუცილებელად გააჩნდეს საპროცესო უფლებაუნარიანობა.

ბ) ის, ვინც აღჭურვილია ზოგადად ქმედუნარიანობით, იგი აღჭურვილია საპროცესო ქმედუნარიანობითაც.

ეს პრინციპიც ეფუძნება შემდეგ საფუძვლებს: თუ პირს მინიჭებული აქვს სრული შესაძლებლობა, თვითონ, თავისი მოქმედებით შეიძინოს უფლებები და იკისროს ვალდებულებები (დადოს გარიგებები), მას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, თავისივე მოქმედებით დაიცვას შეძენილი უფლებები, ანუ მიმართოს სასამართლოს სარჩელით ან იყოს საქმეზე მოპასუხე.

ზუსტად და ნათლად ეს პრინციპი გამოხატულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსშიც, რომლის 79-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად „მხარეებად სასამართლოში შეიძლება გამოვიდნენ ფიზიკური და იურიდიული პირები. „ეს იმას ნიშნავს, რომ იურიდიული პირები აღჭურვილი არიან საპროცესო უფლებაუნარიანობით და საპროცესო ქმედუნარიანობით“.

საქართველოში უცხო ქვეყნის იურიდიულ პირებს გააჩნიათ ისეთივე უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა, როგორც ჩვენი ქვეყნის იურიდიულ პირებს. ამასთან დაკავშირებით იბადება შემდეგი კითხვა: რომელი სახელმწიფოს კანონმდებლობით განისაზღვრება უცხო ქვეყნის იურიდიული პირის უფლებაუნარიანობის მოცულობა?

გავრცელებული შეხედულების თანახმად, იურიდიული პირის შექმნას, რეორგანიზაცია, უფლებაუნარიანობა და სხვა საკითხები ინდა მოაწესრიგოს იმ სახელმწიფოს კანონმდებლობამ, რომელსაც ეკუთვნის იურიდიული პირი, ანუ იურიდიული პირის პირადმა კანონმა. ამ საკითხზე არსებობს სხვადასხვა მოსაზრება. მაგ. ინკორპორაციის თეორიის თანახმად, იურიდიული პირის ეროვნულობა, მისი პირადი კანონი განისაზღვრება იმ ქვეყნის მიხედვით, სადაც იურიდიული პირი შეიქმნა და რეგისტრირებულია. ექსპლუატაციის დოქტრინის მიხედვით, პირად კანონად უნდა ჩაითვალოს იურიდიული პირის ძირითადი საქმიანობის შესრულების ადგილი. კონტინენტური ევროპის ქვეყნებში გავრცელებულია ბინადრობის დოქტრინა, რომლის თანახმად, იურიდიული პირის პირად კანონად განისაზღვრება მისი ადმინისტრაციული ცენტრის ადგილსამყოფელი, ანუ პირად კანონად გვევლინება იმ ქვეყნის კანონი, რომელ ქვეყანაშიც იურიდიული პირის ადმინისტრაციას მდებარეობს.

⁹Nouveau Code de Procedure civile. 96° edition. Cuche A. Procedure civile. Dalloz, 1997, P. 101

ამ დოქტრინის გათვალისწინებითაა ჩამოყალიბებული საქართველოს სკს-ის შესახებ კანონის 24-ე მუხლი.

6) უფლებაუნარიანობით და ქმედუნარიანობით არ ამოიწურება ის მოთხოვნები, რომლებიც წაყენებათ მხარეებს. ერთ-ერთი სხვა მოთხოვნაა იურიდიული ინტერესი. უფლებაუნარიანობასა და ქმედუნარიანობასთან ერთად, პირს უნდა გააჩნდეს იურიდიული ინტერესი მის მიერ აღძრული სარჩელის გადაწყვეტისადმი, რათა იგი დაშვებულ იქნეს პროცესზე მხარედ.

იურიდიულ ინტერესს იღვალისწინებს როგორც საქართველოს, ასევე, სხვა ქვეყნების კანონდებლობაც. განსხვავება შეიძლება მდგომარეობდეს იურიდიული ინტერესის მოცულობაში. ზოგიერთი ქვეყნის კანონდებლობის თანახმად, ინტერესი ვრცელდება ყველა სახის სარჩელზე, ზოგიერთი ქვეყნის კანონდებლობის მიხედვით კი მხარეს უნდა გააჩნდეს ინტერესი მხოლოდ აღიარებითი სარჩელების მიმართ.

მაგ. საფრანგეთის ახალი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, საქმის წარმოება სასამართლოში ხელმისაწვდომია ყველასათვის, ვისაც გააჩნია მოთხოვნის დაკმაყოფილების კანონიერი ინტერესი ან ამ მოთხოვნის წინააღმდეგ თავდაცვის ინტერესი. ინტერესი მხარეს გააჩნია ყოველთვის, თუ გადაწყვეტილებას საქმეზე შეუძლია რაიმე სარგებელი მოუტანოს მას.¹⁰

აშშ სამოქალაქო საპროცესო სამართლის ფედერალური წესები საკმაოდ ფართო მნიშვნელობას ანიჭებს იურიდიულ ინტერესს პროცესში. ამ წესები თანახმად, „ყოველი სარჩელი შეიძლება აღიძრას რეალურად დაინტერესებული პირის სახელით“.¹¹ ე.ი. თუ პირს არ გააჩნია ინტერესი, ხოლო სარჩელის აღძვრა თავისთავად არ ნიშნავს, რომ მას ასეთი ინტერესი გააჩნია, იგი ვერ იქნება დაშვებული პროცესზე მხარედ.

გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 256-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, აღიარებითი სარჩელები, ანუ სარჩელები სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის შესახებ, დოკუმენტის ნამდვილობის თუ სიყალბის შესახებ და ა. შ. შეიძლება აღიძრას, თუ მოსარჩელეს აქვს ამისთვის იურიდიული ინტერესი.¹² იურიდიული ინტერესი სრულიად გარკვეულ როლს ასრულებს საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობითაც. სსკ-ის 79-ე მუხლის თანახმად, „სასამართლო საქმის განხილვას შეუდგება დაინტერესებული პირების განცხადებით“. თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი კანონმდებლობით, იურიდიული ინტერესი არ წარმოადგენს ამ პირობას, რომლის გარეშე პირი ვერ იქნება დაშვებული პროცესში მხარედ, ანუ რომლის გარეშე სასამართლო ვერ მიიღებს განსახილველად სარჩელს, რადგან, თუ პირმა მიმართა სასამართლოს, იგულისხმება, რომ მას უკვე გააჩნია იურიდიული ინტერესი (დაინტერესებულია ამ საქმის გადაწყვეტით).

სხვა ვითარებასთან გვაქვს საქმე აღიარებითი სარჩელების შემთხვევაში. სსკ-ის 180-ე მუხლის თანახმად, სარჩელი შეიძლება აღიძრას უფლებებისა თუ სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენის, დოკუმენტების ნამდვილობის აღიარების ან დოკუმენტის სიყალბის დადგენის შესახებ, თუ მოსარჩელეს აქვს იმის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი აღიარება სასამართლოს გადაწყვეტილებით მოხდეს.

როგორც ვხედავთ, იურიდიული ინტერესი წარმოადგენს აღიარებითი სარჩელის მიღებისა და განხილვის ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას.

¹⁰Federal Rules OF civil procedure. West publishing CO.1994, S.6.

¹¹ლაწვრილებით იხ. **Luke**, Zivilprozessrecht. Verlag C.H. Beck. Munchen, 1999, s.100-107.

BAKUR LILUASHVILI
PhD Student of law faculty
of Iv. Javakhishvili
Tbilisi State University

FOREIGNERS, AS PARTIES IN CIVIL PROCEDURE

1. In the court of Georgia at discussing Civil Cases sometimes the parties can be foreign citizens, juridical persons and the persons who don't have citizenship.

Before speaking about judicial ground of foreigners taking part foreigners (physical, juridical entities and the person, who doesn't have citizenship) in civil cases as parties, we think to discuss the question what 'party' means and what requirements they are to satisfy according to legislation of Georgia.

2. 'Party' is often used in different fields of law and in civil law among them. For example: by the 51st article of civil code, expression of the will that requires its receipt from the other party, be considered real when the other party will receive it. By the second part of the 55th article of the same code: 'The agreement, which has been made by wicked influence on the second party, is annulled'.

Party, by substantive law is the person, (physical or juridical), taking part in the substantive legal relation (for example: a seller, a buyer, tenant, a person who makes orders).

From substantive law viewpoint the rights and duties of the party are determined by substantive-law norm.

As other branches of law, civil procedure law often uses the notion 'party' without definition. For example: by the 3rd article of CPC 'The parties start to plead a cause in the court' by prosecuting claim or stating. By the 79th article of the same code 'The parties in the court may be physical or juridical persons'. The notion 'party' is often used by other items of CPC.

The analysis of substantive law and procedural norms, give us opportunity for discerning the notion, 'party' from the viewpoint of substantive and procedural law: 'The person can relate each other voluntarily, on the basis of mutual agreement (except some exception: for example: delictual obligations). Therefore, the agreement is defined as an expression of will, which is directed to the producing, changing or canceling of juridical relation.

There is a different case in civil procedure. The party appeals the court with complain of breaking his rights and he demands to protect them. The party names the person, who has broken this rights and he is to answer for it. The defendant must involve in this process as a party and defend himself. Otherwise, he will lose the action, so the decision will be against him. Claim in the court depends on the person's will, but to be a defendant, doesn't depend on his will.

There is a great difference between substantial legal relation and procedural legal relation. One of the basic differences is that the court is taking part in the procedural relation.¹ So, the civil procedure relation is formed not between the court and claimant, defendant and court, but between the person or defendant and claimant.

For complete definition of the notion 'party', we can point to one more circumstance: it is an opposition of interest in the process of action. It is expresses by the fact that the claimant tries to get a desirable decision; the defendant tries the court to deny satisfaction of claim.

Opposition of interests of the parties is the essential factor for pleading. If there isn't such opposing, the process must be cancelled: particularly, if a claimant refused his claim or a defendant recognized the claim, or one of the parties died and the other party (claimant) received his heritage.

Judging from the above-mentioned, we can conclude:

¹ Comp. T. Liluashvili, Civil Procedural Law. Tbilisi, 2005, P. 63.

- parties of the court (as a claimant or defendant) can be not only the persons who take part in substantial legal relation, but the persons, who think that their rights have been neglected. Though at discussing action it may be ascertained that they aren't the participants in substantial legal relations.

- A defender is the person who claimed for defending his rights. A defendant is the person, who has broken the defender's rights, through may be ascertained that the claimant doesn't have that rights that he asks to defend or a defendant has not broken a claimer's rights.

So, by civil law, the parties are the persons, whose rights must be discussed and decided by the court.

It's important to discuss the opinions of German lawyers Rosenberg, Schwab and Gottvald; they thought that procedural legal notion 'parties' gets a significant meaning in civil procedure, as far as for starting the process it isn't necessary to find out if the defender is a participant of material juridical relation. It isn't necessary to find out if the defendant had broken the defender's rights. This will be ascertained by the court decision – at the end of the court after discussing the case. It's important that the person applies with claim to the court. The defendant must be indicated in this claim - the person, who is obliged to take responsibility.²

3. As for foreigners, in civil procedure they are guaranteed with juridical defense. They can apply with request to the court in that way, as physical and juridical persons of our country do. This rights are guaranteed not only with national (inside state) - legal acts, but with international mutual and multi partial contracts. At the same time, as famous German lawyer H. Shack says, the participants' characterizing have great importance in Civil Procedure for determining their process condition.³

By the first paragraph of the 47th item of Georgian Constitution the foreign citizens and the persons who don't have citizenship have equal rights with the citizens of Georgia. The 47th article of Constitution is supported by the 57th article of the law, 'about private law': 'The foreign citizens, the juridical persons and the persons who haven't citizenship on the territory of Georgia can use the same juridical guarantees as the citizens of Georgia and judicial persons'.

So, in Georgia the foreigners are conferred the national regime; in civil procedure they have the same juridical condition as our citizens and juridical persons have. It means that the foreigners may have civil procedure rights and duties. Besides, in order to realize them civil procedure rights, they must correspond to the following requirement. What are these requirements?

Among these demands, first of all, must be noted procedure rights. By the 80th article of CPC: 'every physical and juridical person of Georgia is conferred capacity of having civil procedural rights and duties (competence and capacity)'.

Though the 80th article of CPC deals with citizens of Georgia, this law concerns foreign physical and juridical persons as well. By Georgian Legislation there aren't any limits about procedural ability. There aren't any limits for the persons with psychic or physic disabilities. If there are such kinds of limits in those countries, where these foreigners live, the courts of Georgia should rely on the procedure code of our country.

By the 21st article of international private law, the foreigners have such legal capacity as the citizens of Georgia.

There are differences at civil procedural legal capacity between some countries of Europe: the procedure legislation doesn't recognize competence and capability as notions. For example: procedure legislation of England doesn't indicate to the process competence and capabilities. But scientific literature and practice prove that the person who may be a participant of material judicial relation, can be the participant of process, so he can claim in the court.

German legislation closely connects process competences and capabilities with competences and capabilities in substantial law: 'he person, who has competence and capability, he has process competence and capability too.' (article 50).⁴

²Rosenberg/ Schwab/ Gottvald./ Zivilprozessrecht. s. 200-243. Verlag C.H. Beck. Munchen 1993.

Othmar Jauernig. Zivilprozessrecht. Verlag C.H. Beck. Munchen 1993. s. 48-67.

³H. Shack, International Civil Procedural Law. (Translated from German). Moscow, 2001, P. 256.

⁴"Code of Civil Procedure of Germany" Moscow, 2006.

As far as we can see, procedure legislation of Germany determines process competence and capability by competence and capability in general.⁵

4. As for procedural legal capacity of the physical person, by analysis of Georgian Legislation we can conclude that the basis and rule of formulating legal capacity is the same as procedural legal capacity. So, procedural legal capacity is tied up with legal capacity in substantial law. There is the same condition in law of foreign country.

For example, by the 52nd article of German civil procedural code: ‘the person, has a procedural legal capacity, in case if he can take obligations under the contract’ Thus we can say that the person has a complete legal capacity so, as he has substantial legal capacity.

By Austrian legislation the person can take part in a procedure independently in case if he can take obligations. In this case procedural legal capacity is tied up with legal capacity in substantial law.⁶

The Civil Procedure of Federal Rules of the USA do not contain any definition of the procedure competence or legal capacity of the parties. In literature and in practice their organic connection with substantial competence and legal capacity is acknowledged: one, who has civil competence and legal capacity, has procedure competence and legal capacity⁷.

We put a question: can a person physical entity of a foreign country, who acts in Georgia as a party, owns such rights according to Georgian legislation, but according to his/her native country’s legislation is not eligible to perform, be allowed to participate in Georgia at the process as a party or not?

Georgian legislation does not have a direct answer to this question. According to the assumption dominated in literature, if a foreigner is not eligible to act as a party in the process according to his/her native country laws, he/she can be regarded as such one according to the laws of the country, to which the court belongs to⁸.

Most clearly this question is solved in Civil Procedural Code of Germany, 55th article, according with ‘a foreigner, who is not eligible, can be regarded as such one if he/she is eligible to perform by the legislation to which the court belongs to’⁹.

We assume that such supposition can be shared especially when according to Georgian legislation foreigners fall under national regime.

Juridical persons are subjects of law exactly like physical ones, though their competence and legal capacity have some peculiarities.

The procedural competence and legal capacity of physical persons as well as juridical ones, is tightly connected with the substantial legal competence and legal capacity in Georgian and European law as well. The principle according with these countries conduct can be outlined in the following way:

a) One, who has generally legal capacity, has procedural legal capacity as well.

This principle has the following basis: if a person possesses ability to have legally defined rights and perform obligations, he/she should also have opportunity to protect these rights, and for this purpose he/she should by all means possess competence for participation in the process as a party.

b) One, who has generally capacity, has procedural capacity as well.

This principle has the following basis: if a person is given a full possibility to obtain rights and perform obligations (make an agreement) by him/herself and by his/her own activities, such person should also have an opportunity to protect the obtained rights through his/her own activities, this means to sue or be defendant/respondent party at court.

This principle is clearly and properly showed in Georgian civil procedural code as well. According to article 79, part I ‘Juridical persons as well as physical ones can stand for parties at court.’ This means that juridical persons have procedural competence and legal capacity.

⁵ Grunsky Zivilprozessrecht/ Verlag C.H. Beck. Munchen. 2003. s. 65-79.

⁶ FASCHING H/W/ Lehrbuch des Osterreichihischen zivilprozesrechts/ Wien/ 1990. s/ 55.

⁷ L. Teply.R.Whitten. Civil Procedure.1994.

⁸ H. Shack, International Civil Procedural Law. (Translated from German). Moscow, 2001, P.260.

⁹Code of Civil Procedure of Germany’. Moscow, 2006.

In Georgia, juridical persons of a foreign country have the same rights and legal capacity as physical ones of our country. In connection with this one question props up: which country's legislation defines the capacity of foreign physical person's competence?

According to a well-spread supposition the questions of creating, reorganizing, rightfulness etc. of a physical person should be settled through the legislation of the country this physical person belongs to. That is to say the corporate private law. Several opinions exist connected with this matter, e.g. following the incorporation theory the nationality and private law of a corporate is defined according to the country in which this corporate was created and registered. According to the exploitation doctrine the place of performing the main activity of a corporate should be regarded as private law. In the countries of continental Europe an inhabitant doctrine is accepted, according to which the private law of a corporate is defined considering the location of its administrative centre. Thus, the private law is the county's law in which the corporate's administration is located.

Taking into the consideration this doctrine, the 24th article of The Civil Procedural Code of Georgia is created.

6. The competence and legal capacity are not the only requirements for the parties. One of them is a juridical interest. Together with competence and legal capacity, one should also have an interest towards the decision of the case he/she has sued in order to be regarded as a party at the process.

The juridical interest is considered in Georgian, as well as in other countries' legislations. The difference may be found only in the level of interest. In some counties legislations interest is considered for any kind of sues, and in other ones a party should own this kind of interest only in case of acknowledgement sues.

For instance, according to the new Civil Procedural Code of France a case trial is available to satisfy demand for everyone who has a legal interest, or an interest to defend him/herself from such demand. A party always has an interest if a decision of the case can bring any profit¹⁰.

The Federal Rules of civil procedure of the *USA* gives particular importance to juridical interest at the process. According to these laws: 'any sue on behalf of a really interested person can be accepted'¹¹. i.e. if a person does not have an interest, and only to sue does not necessarily mean to have one, can not be allowed as a party at the process.

According to the article 256, part I of the Civil Procedural Code of Germany acknowledgement sue, i.e. sues about presence/absence of legal relations, validity or falseness of a document etc. can be sued if a claimer possesses a legal interest¹²See in detail Luke, *Zivilprozessrecht*, Verlag C.H. Beck, Munchen, 1999, S.100-107

A juridical interest has quite a clear role according to Georgian Civil legislation as well. According to article 79 of the Civil Procedural Code : "A court will start to consider a case on the basis of declaration of interested persons". However it should be mentioned that according to our legislation a juridical interest is not the particularity of a person without which a court can not accept a sue, because if a person goes to court it means he/she already has the juridical interest (is interested to solve this matter).

We have different situation in case of acknowledgement sues. According to article 180 of the Civil Procedural Code, a sue can be accepted in order to proclaim the presence/absence of rights or legal relations, acknowledgement of document validity or falseness, if a claimer has a juridical interest that court should declare such an acknowledgement.

As we see, a juridical interest is one of the necessary requests to accept and hear an acknowledgement sue.

¹⁰Nouveau Code de Procedure civile.96e edition. Couche A. procedure Civile.Dalloz, 1997,P101

¹¹Federal Rules of Civil Procedure. West Publishing CO.1994,S.6

¹²See in detail Luke, *Zivilprozessrecht*, Verlag C.H. Beck, Munchen, 1999, S.100-107

ქეთევან ჯაფარიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული
ფაკულტეტის დოქტორანტი

**უსაფუძვლო გამდიდრებით ნაკომოვობილი ზიანის სწავა, მისი
ანაზღაურების ნესი და საფუძვლავი**

ვალდებულება – სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების ყველაზე გავრცელებული და, ამავდროულად, ყველაზე მრავალფეროვანი სახეობაა. სამოქალაქო სამართლის უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს ვალდებულებათა მარეგულირებელი ნორმები – ვალდებულებითი სამართალი, რომელსაც სამოქალაქო სამართლის დიდი ნაწილი უკავია. ვალდებულებითი სამართლის მნიშვნელოვან ინსტიტუტს კი უსაფუძვლო გამდიდრების ნორმათა ერთობლიობა წარმოადგენს, რომლის მიზანია ზოგადად, უსაფუძვლოდ, გაუმართლებლად შექმნილი ქონების (შელავათის, უპირატესობის, უფლების) ამოღება და ამგვარად წარმოშობილი ზიანის ანაზღაურება და თუ ქონებრივი მიმოქცევაში „სამართლიანობის“ აღდგენა – ქონებრივი შელავათი იმას უნდა დაუბრუნდეს, ვის ხარჯზეც მოხდა სხვა პირის ქონების გაზრდა, ანუ მისი „უსაფუძვლო გამდიდრება“.¹ კონდიქციური ვალდებულება, როგორც წესი, წარმოიშობა თვით დაზარალებული პირის მართლზომიერი მოქმედების შედეგად. სწორედ მის მიერ დაშვებული შეცდომა ან უზუსტობა, რაც სრულებითაც არ ნიშნავს მისი მოქმედების არამართლზომიერებას, ხდება სხვა პირის მიერ ქონების უსაფუძვლოდ შექმნის ან დაზოგვის საფუძველი.

ქართულ სამართალში უსაფუძვლო გამდიდრების გადახდევინების ინსტიტუტი საკმაოდ დიდი ხანია არსებობს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, პრაქტიკაში მის გამოყენებას მოსდევს დავის მხარეების მრავალრიცხოვანი შეცდომები, რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ სასამართლოს მიერ სარჩელების დაკმაყოფილებაზე უარყოფითი გადაწყვეტილების მიღებისთვის. საქმე იმაშია, რომ უსაფუძვლოდ შექმნილი ქონების დაბრუნების სარჩელი (კონდიქციური სარჩელი) არ წარმოადგენს უკანონო მფლობელობიდან ქონების დაბრუნების ერთადერთ საშუალებას. კერძოდ, ქონების დაბრუნების სარჩელთა ჯგუფს მიეკუთვნება – ბათილი გარიგების (რესტიტუციის) შედეგების გამოყენების სარჩელი; უკანონო მფლობელობიდან ქონების დაბრუნების (ვინდიკაციური) სარჩელი; გარიგების არასათანადო შესრულების შედეგად მიღებული ქონების დაბრუნების სარჩელი; დელიქტური ვალდებულებებიდან წარმოშობილი და სხვ. თუ რის საფუძველზე უნდება პირს ქონების დაბრუნების ან გადმოცემის მოთხოვნის უფლება, ანდა რა საშუალება გამოიყენა მან თავისი უფლების დაცვისათვის – ყველაფერ ამაზე არის დამოკიდებული სასამართლო პროცესში მტკიცებულების ტვირთის გადანაწილება, ქონების დამკავებელი მხარის ბრალის დადგენის აუცილებლობა, უკანონო შემძენის პასუხისმგებლობის ფარგლების განსაზღვრა და ა.შ. თუ სასამართლომ დაადგინა, რომ მხარეთა შორის ჩამოყალიბებული ურთიერთობების პირობებში არ არსებობს ქონების, როგორც უსაფუძვლოდ მიღებულის, დაბრუნების საფუძველი, მაშინ სარჩელი არ დაკმაყოფილდება.

მაშასადამე, უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ ნორმები წარმოადგენს მოქალაქეების და იურიდიული პირების ქონებრივი ინტერესების დაცვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საშუალებას.

¹მ.თოდუა, შ.ქურდაძე, ცალკეული კატეგორიის სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილებათა მიღების თავისებურებანი, თბილისი 2005 წელი, გვ. 229-230.

ამასთან, თეორიაშიც და პრაქტიკაშიც არსებობს სხვადასხვა მოსაზრება უსაფუძვლო გამდიდრებით წარმოშობილი ზიანის ცნების, მისი ანაზრაურების წესისა და საფუძვლების შესახებ.

ცნება – „უსაფუძვლო გამდიდრება“ და სამართლებრივი ბუნება რომის სამართლიდან მომდინარეობს, სადაც ტერმინი „condictio“ აღნიშნავდა ფორმულარულ პროცესში გამოყენებულ იმ განსაკუთრებულ ვალდებულებით სარჩელებს, რომლებშიც მათი გამოძწვევი მიზეზები არ იყო მითითებული. შესაბამისად, ამ სარჩელებს აბსტრაქტული ხასიათი გააჩნდა. ამგვარი სარჩელი გარკვეული თანხის (certa pecunia) ან გარკვეული ნივთის (certa res) მიღებაზე იყო მიმართული.² ამ სახის სარჩელი წარმოიქმნებოდა მხოლოდ იმ მკაცრად განსაზღვრული კონტრაქტებიდან (სტიპულაცია, სესხი, ე.წ. წიგნის ვალი), რომლებსაც გააჩნდა რეალური ხელშეკრულების ფორმა. დროთა განმავლობაში, რომელმა იურისტებმა დაიწყეს კონდიქციის გამოყენება ისეთ ურთიერთობების მიმართ, რომელთა შედეგად მოპასუხე ვალდებული იყო, უკანონო მფლობელობაში არსებული ნივთი ან ამ ნივთის ღირებულება დაებრუნებინა მოსარჩელესთვის. გარდა ამისა, აღნიშნული სარჩელი გამოიყენებოდა იმ შემთხვევებშიც, როდესაც მოსარჩელე მოპასუხეს გადასცემდა გარკვეულ თანხას ან მოძრავ ნივთს იმ განსაზღვრული მიზნის მისაღწევად, რომლის იმთავითვე მიუღწეველი იყო მისი მიუღწევლობა ან შემდგომში გამოვლინდებოდა. კონდიქცია გამოიყენებოდა იმ შემთხვევაშიც, როდესაც თანხა გადაცემული იყო ვალის დაფარვის მიზნით, მზითვის ან მექვიდრეობის სახით, მაგრამ ეს ვალი ფაქტობრივად არ არსებობდა, ქორწინება არ შედგა, ანდერძი კი რაიმე მიზეზების გამო ბათილად იყო ცნობილი. კონდიქციის გამოყენების სფეროს გაფართოვებას, რა თქმა უნდა, ხელს უწყობდა მისი აბსტრაქტულობა, რაც ნებისმიერი, სხვის უკანონო მფლობელობაში არსებული ნივთის დაბრუნების მოთხოვნის შესაძლებლობას იძლეოდა.

კლასიკური პერიოდის რომაულ სამართალში სამართლიანობის სავსებით ჩამოყალიბებული იდეები ამგვარი სარჩელის საფუძველი გახდა. ან დოუსონის (Dawson, O.S. 49) სიტყვებით, „ეს იყო შეგნებული მიმართვა უსაფუძვლო გამდიდრების და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული ეთიკური პრინციპებისადმი“. იუსტინიანეს კოდექსში (Corpus Iuris Civilis) „condictio“ ხშირად არის დაკავშირებული ius naturale-სთან (ბუნებითი სამართალი), bonum e equum (სასარგებლო და სამართლიანი) და jus gentium-თან (ხალხის უფლება), „ბუნებითი სამართლის თანახმად, სამართლიანია, როდესაც არავინ უნდა გამდიდრდეს სხვის საზიანოდ“. ისიც აღსანიშნავია, რომ თუნდაც „condictio“ თავისი კლასიკური გაგებით სხვადასხვა სფეროში გამოიყენებოდა, ეს იყო ერთადერთი სარჩელი ერთიანი ფორმულირებით. „condictio-ს“ კლასიფიკაცია სხვადასხვა ტიპის სარჩელებად დაიწყო პოსტკლასიკურ პერიოდში ამ ცნების სამართლიანობის პრინციპიდან (aequitas) გამომდინარე.

„Condictio-ს“ სხვადასხვა ტიპები პირველად განვითარდა იუსტინიანეს დროს. ისინი დღემდე შემორჩა კონტინენტური ევროპის ქვეყნების კოდექსებს და მეტ-ნაკლებად ცხად ფორმულირებებად ჩამოყალიბებული, წარმოადგენს უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ სარჩელთა არსს, რომლის შინაარსი შემდგომში მხოლოდ ერთი მიმართულებით დაშორდა რომაულ სამართალს: ბუნებითი სამართლის წარმომადგენლები რომაული სამართლის წყაროებში სათანადო „ხელმოსაჭიდს“ ეძებდნენ და შეიქმნა ზოგადი სარჩელი სასარგებლო ხარჯების ანაზღაურების შესახებ. მოცემული სარჩელის თანახმად, „ის, ვისი ქონებიდანაც რაღაც დაიხარჯა სხვის სასარგებლოდ“, უფლებას იძენს მოითხოვოს დახარჯულის დაბრუნება ნატურით ან ღირებულებით გამოხატულებაში.³

² Бартошек М. Римское право (понятия, термины, определения). – М.: 1989. – с. 83-84.

³ კონრად ცვაიგერტი, ჰაინ კოტცი, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტომი II, თბილისი 2001 წელი, გვ. 228-230.

თავისი შინაარსით რომის სამართალში ცნობილი კონდიქციის ინსტიტუტი განსხვავდება თანამედროვე კანონმდებლობებში ცნობილი უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე ვალდებულებების (კონდიქციური ვალდებულებების) ინსტიტუტისაგან, რადგან უკანასკნელი პირველის ქვესახეობას წარმოადგენს, ანუ უსაფუძვლო გამდიდრების ვალდებულებები შეადგენს მხოლოდ ერთ ნაწილს იმ მოთხოვნებისა, რომელთა გადახდევინება, რომის სამართლის შესაბამისად, ხდებოდა კონდიქციის მეშვეობით. კონდიქციების მეშვეობით, უსაფუძვლო გამდიდრების ვალდებულებებთან ერთად, ხდებოდა გარიგებების ურთიერთობებიდან გამომდინარე მოთხოვნებისა და ზარალის ანაზღაურების მოთხოვნების დაკმაყოფილებაც. მეორე, კონდიქციური სარჩელი, რომელიც დაცვის განსაკუთრებულ საშუალებას წარმოადგენს, გაჩნდა რომის სამართალში და შემდეგ განვითარდა როგორც უნივერსალური აბსტრაქტული სარჩელი. მისი მიზანი იყო მხარეთა შორის არსებულ ქონებრივ ურთიერთობებში სამართლიანობის აღდგენა იმ შემთხვევაში, როდესაც მოქმედი სამართლებრივი ნორმები არ იძლეოდა უფლების დაცვის სხვაგვარ საშუალებას ან მათი გამოყენება არაეფექტური იყო, ან გამოიწვევდა სასამართლო დაცვის უფლების დაკარგვას, შესაბამისად კი, რომის სამართლის სპეციფიკიდან გამომდინარე, თვით მატერიალური უფლების დაკარგვას. ამოცანა, რომელიც აღნიშნული სამართლებრივი ინსტიტუტის წინაშე დგას, განაპირობებს იმ მოთხოვნების მრავალფეროვნებას, რომელთა დაცვა კონდიქციის მეშვეობით ხდება.

უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე ვალდებულებების ფუნქციური დანიშნულებაა ქონებრივი სარგებლის უკანონოდ შემქმნის მიერ ქონებრივი სფეროს აღდგენა დაზარალებულისთვის იმ ქონების მინიჭებით, რომელიც შემქმნის უსაფუძვლო დანაზოგს ან ქონებრივ შენაძენს წარმოადგენს. უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე ვალდებულებების წარმოშობის საფუძველს სხვადასხვა სახის იურიდიული ფაქტები წარმოადგენს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე ვალდებულებები წარმოადგენს დამოუკიდებელ ინსტიტუტს, რომელიც ემსახურება სუბიექტის საკუთრების და სხვა უფლების დაცვას.

კონდიქციურ ვალდებულებათა ელემენტებად, როგორც ზოგადად მიჩნეულია სამოქალაქო სამართალურთიერთობებისთვის, უნდა ვიგულისხმოთ მისი სუბიექტები, საგანი (ობიექტი), შინაარსი, ანუ მისი მონაწილეების უფლება-მოვალეობანი.

უსაფუძვლო გამდიდრების ურთიერთობის სუბიექტები არიან: ა) „მიძღები“, ან „ვითომ-კრედიტორი“ ან „გამდიდრებული“, ანუ ის პირი, რომელმაც მიიღო შესრულება (ნივთი, უფლება), ან დაიზოგა მისი ქონება და ამის შედეგად გამდიდრდა; ბ) „შემსრულებელი“, ან „გადამცემი“, ანუ ის პირი, რომელმაც ბათილი ვალდებულება შეასრულა ან სხვაგვარად გადასცა მიძღებს ქონებრივი შეღავათები; რაც შეეხება ხსენებული ვალდებულების ობიექტს, აქ ერთმანეთისგან უნდა განვასხვაოთ სამართლებრივი ზემოქმედების ობიექტი და ობიექტი რომლისკენაც მიმართულია შესაბამისი სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილეთა ქცევა, არის ეს ინდივიდი თუ სოციალური ერთობა. სამართლის ზემოქმედებაზე რეაგირება შეუძლია მხოლოდ ადამიანთა ქცევას. თავის მხრივ, აღნიშნული ქცევა მიმართულია მატერიალური და სულიერი სამყაროს საგნებზე, რომელთა მეშვეობითაც ხდება ადამიანთა განსხვავებული მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. ზუსტად ეს საგნები (მატერიალური და არამატერიალური სიკეთე) გამოდის ობიექტებად (საგნებად) შესაბამისი სამართალურთიერთობებისა. ამ შემთხვევაში „ობიექტისა“ და „საგნის“ გაგება ერთმნიშვნელოვანია. აღნიშნული სრულად ვრცელდება უსაფუძვლო გამდიდრების შედეგად წარმოშობილ ვალდებულებებზე. მეტად საინტერესოა საკითხი იმის შესახებ, თუ რა ურთიერთკავშირშია ერთმანეთთან უსაფუძვლო გამდიდრების შედეგად წარმოშობილ ვალდებულებებში მისი ისეთი ელემენტები, როგორც არის ვალდებულების შინაარსი და მისი ობიექტი (საგანი). ხსენებული ვალდებულების შინაარსში მოისაზრება, ერთი მხრივ, კრედიტორის

უფლება, რომელსაც, მეორე მხრივ, შეესაბამება მოვალის ვალდებულება, ანუ კრედიტორისათვის ნებადართული ქცევის შესაძლებელი ზომა და მოვალისათვის დაწესებული სავალდებულო ქცევის ზომა. ამ ქმედებით რეალიზაცია, რომელთა მსვლელობისას ხდება კრედიტორისა და მოვალის ურთიერთქმედება, წარმოადგენს უფლებებისა და ვალდებულებების განხორციელებას, ეს უფლებები და ვალდებულებები კი ქმნის კონდიქციურ ვალდებულებათა შინაარსს. აქედან გამომდინარე, კრედიტორისა და მოვალის ურთიერთქმედება არის არა ვალდებულების შინაარსი, არამედ ამ შინაარსის რეალიზაცია. კრედიტორისა და მოვალის მოქმედება მიმართულია ქონებრივი სარგებლის გადაადგილებაზე ერთი პირის სამეურნეო სფეროდან, რომელსაც იგი წარმოექმნა კანონიერი საფუძვლის გარეშე, მეორე – იმ პირის სამეურნეო სფეროში, რომელსაც ამ ქონებაზე გააჩნია უფლება. სწორედ ეს ქონებრივი სარგებელი წარმოადგენს ობიექტს (საგანს) უსაფუძვლო გამდიდრების შედეგად წარმოშობილი ვალდებულებისა.

უსაფუძვლო გამდიდრების შედეგად წარმოშობილ ურთიერთობებზე საუბრისას უნდა აღინიშნოს, რომ ერთი პირის მიერ ქონების შექმნა მეორე პირის ხარჯზე ნიშნავს ერთი პირის ქონების მოცულობის ზრდას და, ამავე დროს, მეორე პირის ქონების მოცულობის შემცირებას. შექმნა გულისხმობს ქონების რაოდენობრივ დანამატს, მისი ღირებულების გაზრდას შემქმნის მხრიდან რაიმე შესაბამისი დანახარჯების განხორციელების გარეშე. მაგალითად, როდესაც მოქალაქე მოქმედებს სხვა პირის დავალებით და შეცდომით გადასცემს ვალს ვიღაც მესამე პირს; როდესაც ორგანიზაცია ხელმოკრედ ანაზღაურებს თავის სახელზე მიღებულ საქონელს და ა.შ.

ქონების დაზოგვა ნიშნავს, რომ პირს უნდა დაეხარჯა საკუთარი სახსრები, მაგრამ არ დახარჯა სხვა პირის მიერ გაწეული დანახარჯების გამო, ან სხვა პირისთვის სათანადო ანაზღაურების გადაუხდელობის შედეგად. მაგალითად, თუ ამხანაგობის საგადასახადო დავალების შესრულებისას ბანკი შეცდომით ჩამოწერს თანხას სხვა ამხანაგობის ანგარიშიდან, მაშინ დაიზოგება ერთი ამხანაგობის ქონება და, შესაბამისად, შემცირდება მეორე ამხანაგობის ქონება. თუ პირი, მესაკუთრის თანხმობის გარეშე, ფაქტობრივად სარგებლობს რაიმე ნივთით და მესაკუთრეს არ უხდის სათანადო ანაზღაურებას, მაშინ დაიზოგება ქონება, ნივთის მესაკუთრისთვის შესაბამისი ანაზღაურების გადაუხდელობის შედეგად.

კონდიქციურ ვალდებულებას შესაძლებელია ჰქონდეს როგორც დაცვითი, ასევე, საპასუხისმგებლო ფუნქცია. საპასუხისმგებლო ფუნქცია მას გააჩნია მაშინ, როდესაც შემქმნი განზრახ არღვევს დაზარალებულის ქონებრივ უფლებებს ან, თუმცა უსაფუძვლო გამდიდრების შედეგად წარმოშობილი ვალდებულება მისი ნებისგან დამოუკიდებლად გაჩნდა, მაგრამ ის გამიზნულად აკავებს ქონებას თავისთან. პასუხისმგებლობად ჩაითვლება ზიანის ანაზღაურება ქონების ღირებულების შეცვლასთან დაკავშირებით, ასევე, ვალდებულება, დაუბრუნდეს დაზარალებულს მიღებული შემოსავალი და შემქმნის მიერ ქონებასთან დაკავშირებული ხარჯების არმიღება. კონდიქციურ ვალდებულებათა დაცვითი ფუნქცია კი გამოიყენება მაშინ, როდესაც შემქმნის ქმედებაში არ აღინიშნება ბრალის ნიშნები და ჩამოთვლილი უარყოფითი შედეგები არ დგება.⁴ კონდიქციური ვალდებულება, როგორც უკვე აღინიშნა, ძირითადად წარმოიშობა თვით დაზარალებული პირის მართლზომიერი მოქმედების შედეგად. სწორედ მის მიერ დაშვებული შეცდომა, ან უზუსტობა, რაც სრულებითაც არ ნიშნავს მისი მოქმედების არამართლზომიერებას, ხდება სხვა პირის მიერ ქონების უსაფუძვლოდ შექმნის ან დაზოგვის საფუძველი. რაც შეეხება ზიანის მიყენების შედეგად წარმოშობილ ვალდებულებას, მისი საფუძველი ყოველთვის ზიანის მიყენების არამართლზომიერი მოქმედებაა. უმეტეს შემთხვევაში უსაფუძვლოდ შექმნილი ან დაზოგილი ქონების დაბრუნების ვალდებულებაში მიმღები პირის

⁴Гражданское право. Учебник, Часть вторая, Под. ред. А. Г. Калпина, Москва 2002. С. 536.

ბრალი არ არსებობს. ამიტომ ასეთ შემთხვევაში მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე მსჯელობა უსაფუძვლოა. სულ სხვა მდგომარეობაა მაშინ, როცა არსებობს ქონების მიმღების ბრალი – განზრახვა, ან უხეში გაუფრთხილებლობა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ქონების უსაფუძვლო მიმღებს ზიანის ანაზღაურებისათვის პასუხისმგებლობა მხოლოდ მაშინ დაეკისრება, თუ ქონების მიღებისას იცოდა ან, უხეში გაუფრთხილებლობის გამო, უცნობი იყო ქონების სამართლებრივი საფუძველი და ამის შესახებ მოგვიანებით შეიტყო. მიმღებს პასუხისმგებლობა ეკისრება შესრულებულის მიღების სამართლებრივი საფუძველის ზარვეზის თაობაზე ინფორმაციის მიღების ან მოთხოვნის სასამართლო წარმოებაში გადაცემის დროიდან. კონდიქციურ ვალდებულებაში მოთხოვნის დაკმაყოფილება ხდება უსაფუძვლოდ შეძენილი ან დაზოგილი ქონების და არა დაზარალებულისთვის მიყენებული ზიანის ოდენობის ფარგლებში. სწორედ ეს ერთ-ერთი ფაქტორია, რომელიც განასხვავებს ხსენებულ ვალდებულებას სხვა ვალდებულებებისგან. უსაფუძვლოდ შეძენილი ან დაზოგილი ქონება შეიძლება გაცილებით ნაკლები იყოს, ვიდრე – დაზარალებულისთვის მიყენებული ზიანი.

უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ ნორმების ძირითადი მიზანი დაზარალებული მხარის დაცვაა. სწორედ ამიტომაც ქონების უსაფუძვლოდ მიმღებს, როცა მას შეეძლო ამ ქონების ნორმალური სამეურნეო გაძლოლის შემთხვევაში მიეღო სარგებელი, მაგრამ ეს არ გააკეთა ბრალეული ქმედებით, ეკისრება ზიანის ანაზღაურება, ანუ მიუღებელი სარგებლის გადახდა.

კანონის თანახმად, შემოსავლის მიღება უსაფუძვლოა იმ შემთხვევაში, როდესაც შემძენმა იცოდა ან უნდა სცოდნოდა თავისი შენაძენის უსაფუძვლობის თაობაზე. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ზიანის ანაზღაურების ის შემთხვევები, როდესაც შემოსავალი ფულის სახით იყო მიღებული. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 981-ე მუხლის თანახმად, ფულად ვალზე გადახდილ უნდა იქნეს პროცენტი. ამ შემთხვევაში მართებული იქნება შემოსავალზე პროცენტების დარიცხვა სხვისი თანხით სარგებლობის გამო, რადგან ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ შემოსავალი წარმოადგენს პირის უსაფუძვლო გამდიდრებას. ფულად ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტების სამართლებრივი ბუნების შესახებ დავამ სამეცნიერო წრეში მეტად მწვავე ხასიათი მიიღო. მ. როზენბერგის აზრით, წლიური პროცენტი ფულად ვალდებულებებზე წარმოადგენს განსაკუთრებულ კატეგორიას, რომელიც არ შედის არც „ზიანის“ და არც „პირგასამტეხლოს“ კატეგორიებში. წლიური პროცენტის კვალიფიცირება ხდება სხვისი ფულადი საშუალებების გამოყენებისათვის ეკვივალენტური ანაზღაურებით. აღნიშნულ დახასიათებას ავტორი არ ავრცელებს იმ პროცენტებზე, რომლებიც შეიძლება ამოღებულ იქნეს სხვისი ფულადი საშუალებების არამართლზომიერი გამოყენებისთვის⁵. სხვა მკვლევარები სხვისი ფულადი საშუალებების არამართლზომიერი გამოყენებისათვის პროცენტის გადახდას აკვალიფიცირებენ სამოქალაქო-სამართლებრივ პასუხისმგებლობად⁶. ნ. დ. ეგოროვი და დ. გ. ლავროვი სხვისი ფულადი სახსრების არამართლზომიერი გამოყენებისთვის პროცენტის გადახდას განიხილავენ ნაირსახეობად, რომელიც ექვემდებარება ამოღებას კრედიტორის სასარგებლოდ იმ ზარალისათვის, რომლის ზომა განისაზღვრება საბანკო პროცენტის სააღრიცხო განაკვეთით და ამიტომაც არ საჭიროებს მტკიცებას. დ. გ. ლავროვი თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში გამოიყენება ზარალის გამოთვლის აბსტრაქტული მეთოდი, რამდენადაც ასეთი შეიძლება არც იყოს. ამავე დროს, ნ. დ. ეგოროვი პროცენტს, სხვისი ფულადი სახსრების არამართლზომიერი გამოყენებისათვის, არ მიაკუთვნებს კანონიერ პირგასამტეხლოს, თუმცა გადასახდელი პროცენტისა და მოვალისგან

⁵ **Розенберг М. Г.** Правовая природа процентов годовых по денежным обязательствам. Гражданский кодекс России. Сб. памяти С. А. Хохлова/Отв. ред. А. Л. Маковский. М., 1998. С. 304-333.

⁶ **Гражданское право.** Учебник. Т. 1. 5-е изд. /Под. ред. А. П. Сергеева, Ю. К. Толстого. М., 2000. С. 544-552 (автор - Н. Д. Егоров);

ამოღებული ზარალის შეფარდება წარმოებს ჩათვლითი პირგასამტეხლოსა და ზიანის შეფარდების ტიპით. ჩვენი აზრით, ამ საკითხთან დაკავშირებით ერთმნიშვნელოვნად მიგვაჩნია, რომ პროცენტის გადახდა უნდა ჩაითვალოს მხოლოდ ზიანის ანაზღაურებად.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია ვარაუდი, რომ პროცენტის გადახდაზე მოთხოვნა ყოველთვის განხილულ უნდა იქნეს როგორც სარჩელი უსაფუძვლო გამდიდრებიდან, მიუხედავად იმისა, თუ რატომ ხდება პროცენტის დარიცხვა. იმ შემთხვევაში, თუ პროცენტი გადახდევინებულ უნდა იქნეს ხელშეკრულების შეუსრულებლობით გამოწვეული ვალდებულებების შედეგად, მაშინ სარჩელი ძირითადი ვალის გადახდაზე წარმოადგენს სახელშეკრულებო სარჩელს, ხოლო სარჩელი პროცენტის გადახდის შესახებ – არასახელშეკრულებო სარჩელს, რომელიც წარმოიშობა უსაფუძვლო გამდიდრებიდან და თან ახლავს სახელშეკრულებო სარჩელს. ამასთან, სარჩელის კვალიფიკაციისას მხედველობაში არ მიიღება, აღემატება თუ არა პროცენტები ვალის ძირითად თანხას და, როგორც უკვე აღინიშნა, შესაბამის შემთხვევაში შეიძლება წარდგენილ იქნეს მოთხოვნა ზიანის ანაზღაურებაზე იმ ნაწილში, რომელიც უკავშირდება პროცენტის თანხას. მეცნიერთა ნაწილი ეთანხმება ამ მოსაზრებას და მიიჩნევს, რომ პროცენტის გადახდის მოთხოვნა უნდა განიხილებოდეს როგორც უსაფუძვლო გამდიდრებით გამოწვეული სარჩელი, რომელიც თან ახლავს „სახელშეკრულებო სარჩელს, მიუხედავად იმისა, თუ რა მიზეზით ხდება ამ პროცენტების“ დარიცხვა, თუმცა აღნიშნული მოსაზრება არ არის მართებული და პროცენტის გადახდაზე მოთხოვნა არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც უსაფუძვლო გამდიდრებიდან წარმოშობილი, ვინაიდან შესაძლოა ზოგიერთ შემთხვევაში, ხელშეკრულების დადებისას, პროცენტის გადახდა მხარეებს შორის არსებით პირობად იქნეს მიჩნეული და ეს მოთხოვნა სწორედ ამ შეთანხმებიდან წარმოიშვას არა როგორც თანხმლები, არამედ – როგორც ძირითადი ვალდებულება.

იურიდიულ მეცნიერებაში განიხილება საკითხი ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობის შესახებ, რომელიც გამოწვეულია უარის თქმით არშემდგარი ხელშეკრულების შესრულებაზე. ეს შესაძლებლობა დაკავშირებულია „იმ მხარის ბრალთან, რომელიც მონაწილეობდა ხელშეკრულების დადებაში. საუბარია სიტუაციებზე, როდესაც ერთ-ერთი მხარე, რომელიც ხელშეკრულების დადებაში და ამ ხელშეკრულების პირობების შეთანხმებაში მონაწილეობს, მოლაპარაკების დასკვნით სტადიაზე (მათ შორის – ხელშეკრულების ტექსტის შედგენის და მის პარაფირების შემდეგ) მოულოდნელად უარს ამბობს ხელშეკრულების ხელის მოწერაზე და არ იძლევა დამაჯერებელ ახსნა-განმარტებას“.⁷

მაშასადამე, ხელშეკრულების არშემდგარად ცნობა წარმოადგენს, პირველ რიგში, მხარეთა შორის წარმოქმნილი სამართლებრივი ურთიერთობების დაცვის საშუალებების არსებით შევიწროებას, რაც ხდება სახელშეკრულებო ვალდებულებებისთვის დამახასიათებელი მეთოდების გამორიცხვით, მაგრამ, როგორც უკვე იყო აღნიშნული, არშემდგარი ხელშეკრულების შემთხვევაში არსებობს სპეციალური დაცვის საშუალებების გამოყენების შესაძლებლობა. ამ დროს, ზოგადი წესის მიხედვით, „არშემდგარი ხელშეკრულება, პრინციპში, არ უნდა წარმოქმნიდეს სამართლებრივ შედეგებს, იგი იურიდიულად ირელევანტურია“.⁸ ასეთი ხელშეკრულების სპეციალური შედეგები შეიძლება გაჩნდეს მხოლოდ ცალმხრივად მისი შესრულების შემთხვევაში. სპეციალური შედეგების რიცხვს მიეკუთვნება, უპირველეს ყოვლისა, უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ ნორმების გამოყენების შესაძლებლობა.

⁷Садиков О. Н. Недействительные сделки // Юридический мир. 2000. №6. С. 9-10.

⁸Кучер А. Преддоговорные соглашения в соответствии с российским законодательством и некоторыми иными правовыми системами // Хозяйство и право. – 2002. – N11. – С. 8.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის საფუძველზე ხელშეკრულება დადებულია ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდებიან საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. არშემდგარი ხელშეკრულების შემთხვევაში ეს მომენტი არ დგება, შესაბამისად, არ არსებობს ამგვარი ხელშეკრულების შესრულების სამართლებრივი საფუძველიც. ასეთი ხელშეკრულების შესრულების შემთხვევაში ერთი მხარე (შემძენი) შესაბამისი საფუძვლის გარეშე იძენს ან ზოგავს ქონებას მეორე მხარის (დაზარალებულის) ხარჯზე, ანუ ადგილი აქვს უსაფუძვლო გამდიდრებას.

არშემდგარად აღიარებული ხელშეკრულების ნატურით შესრულების შემთხვევაში (ქონების გადაცემა, სამუშაოების შესრულება, მომსახურების გაწევა) დაზარალებულს აქვს შემდეგი უფლებები:

- დაიბრუნოს ან აუნაზღაურდეს ყველა ის შემოსავლი, რომელიც შემძენმა მიიღო ან შეეძლო მიეღო ქონების გამოყენების შედეგად, მისი ბრალის არსებობის შემთხვევაში;

- აუნაზღაურდეს ის ზიანი ანაზღაურება, რომელიც გამოწვეულია ქონების ღირებულების შემდგომი შეცვლით, აქაც განმსაზღვრელია მიმღების ბრალის ხარისხი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიაჩნია, რომ, თუ ხელშეკრულება არშემდგარად არის მიჩნეული და განცხადებულია უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების გამოყენების ან ხელშეკრულების არდადების შედეგების გამოყენების სარჩელი, მაშინ ამ შემთხვევაში ეს სარჩელი უნდა დაკმაყოფილებდეს.

საერთო სამართლის ქვეყნების კანონმდებლობა შეიცავს წინასახელშეკრულებო პასუხისმგებლობის კიდევ ერთ განსაკუთრებულ საფუძველს – სპეციალურ დაპირებას (specific promise or promissory estoppel). მოლაპარაკების მსვლელობისას ერთმა მხარემ შეიძლება გასცეს განსაკუთრებული დაპირება, რომელიც ხელშეკრულების დადების სურვილს დაადასტურებს. ეს ყოველივე იმაზეა გათვლილი, რომ მეორე მხარე განახორციელებს გარკვეულ ქმედებებს. თუ დაპირებულმა მხარემ იცის, რომ მეორე მხარე ენდობა მის სიტყვას და ამის გამო განახორციელებს გარკვეულ დანახარჯებს, მაშინ შეპირების მიმცემ მხარეს არ შეუძლია შეწყვიტოს მოლაპარაკება ისე, რომ მეორე მხარეს არ აუნაზღაუროს გაწეული დანახარჯები.⁹

უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ არსებული წესები წარმოადგენს იმ სპეციალურ საფუძველს, რომლის თანახმადაც, მოლაპარაკებაში მონაწილე მხარემ შესაძლოა მიიღოს კომპენსაცია მოლაპარაკების მეორე მხარის არასათანადო ქმედების გამო. კონტინენტური სამართლის ქვეყნებში გამოიყენება წესები უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ, აშშ-ში კი რიგ შემთხვევაში მიმართავენ ნაგულისხმევი შეთანხმების კონცეფციას (implied contract). უფრო ხშირად უსაფუძვლო გამდიდრების დაბრუნების საკითხი დგება მაშინ შემთხვევაში, როდესაც მოლაპარაკების მსვლელობისას ერთი მხარე მეორე მხარეს უმხელს გარკვეულ ინფორმაციას, რომელსაც კომერციული ღირებულება გააჩნია, მეორე მხარე კი განაგრძობს ამ ინფორმაციის გამოყენებას მოლაპარაკების შეწყვეტის შემდეგაც. ამ შემთხვევაში ინფორმაცია მართებულად იყო მიღებული (რადგან ინფორმაციის მფლობელმა საკუთარი ნებით გამოაშკარავა იგი), შესაბამისად, დაუშვებელია უკანონო მეთოდებით ინფორმაციის მიღებისთვის პირის პასუხისმგებლობის ზოგადი საფუძვლების გამოყენება. თუ მხარეები ვარაუდობენ მოლაპარაკების პროცესში რაიმე კომერციული ინფორმაციის გახსნას, რიგ შემთხვევაში ისინი ღებენ შეთანხმებას კონფიდენციალურობის შესახებ.

უსაფუძვლო გამდიდრების დაბრუნების ვალდებულება არ არის წინასახელშეკრულებო პასუხისმგებლობის სახეობა, მაგრამ შეიძლება იყოს გამოყენებული დაზარალებული მხარის

⁹СПС ГАРАНТ. Hofman v Red Owl Stores. Wis. 2d 697-98. 133. N. W. 2d 274-275. – 1965.

მიერ მის ხარჯზე მიღებული ან დაზოგილი ქონების დაბრუნების მიზნით. იურისპრუდენციაში არ არსებობს აზრთა თანხმობა მოლაპარაკების მსვლელობისას მიღებული ინფორმაციის არამართებული გამოყენებით მიყენებული ზიანის ბუნების შესახებ. ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ მხარეებს ზღუდავს ინფორმაციის შენახვის შეთანხმება, თუნდაც ამგვარი შეთანხმება ფორმალურად არ არის გაფორმებული ხელშეკრულების სახით (ე.წ. „ნაგულისხმევი შეთანხმება“ ანუ implied contract). მეცნიერების მეორე ნაწილი მიიჩნევს, რომ უნდა იყოს გამოყენებული დელიქტური სამართლის ნორმები ან დებულებები უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ. დაზარალებული მხარისთვის გადასახდელი თანხის ოდენობის გათვლა იმაზეა დამოკიდებული, თუ რომელი აღნიშნული საფუძველი იქნება გამოყენებული. ამასთან, ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულებების პრინციპები მხარეებს აკისრებს მოლაპარაკების მსვლელობისას მიღებული კონფიდენციალური ინფორმაციის შენახვის ვალდებულებას, ასევე, ვალდებულებას, არ გამოიყენონ ეს ინფორმაცია საკუთარი მიზნების მისაღწევად მიუხედავად იმისა, დაიდება არა შემდგომში ხელშეკრულება.

მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ: „უსაფუძვლო გამდიდრების შედეგად წარმოქმნილი ვალდებულება“ სამოქალაქო სამართლის ტრადიციული ინსტიტუტია, რომელიც დამახასიათებელია არა მხოლოდ კონტინენტური (რფ, საფრანგეთი, გერმანია და ა.შ.), არამედ ანგლოსაქსური (აშშ, დიდი ბრიტანეთი, კანადა და ა.შ.) სამართლის სისტემის ქვეყნებისთვის. რა თქმა უნდა, სხვადასხვა ქვეყანაში არსებობს სხვადასხვაგვარი მიდგომა კანონმდებლობის ამ ინსტიტუტის მიმართ და სწორედ ამიტომაც, საინტერესო და მრავლის მოძებნა უსაფუძვლო გამდიდრების მომწვესრიგებელი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმების შედარება სხვა ქვეყნების კანონმდებლობასთან, კერძოდ კი გერმანიის და საფრანგეთის კანონმდებლობასთან.

ქართული სამართლის სერიოზული კავშირურობითობანი გერმანულ სამართალთან XX საუკუნიდან დასტურდება. საქართველო უძველესი დროიდანვე ძირითადად იმ ქვეყნების სამართლის გავლენას განიცდიდა, გერმანელებთანაც საქართველოს კულტურული კავშირები ძველი დროიდან ჩანს. ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ გერმანულ კულტურასთან ქართულის დამკავშირებელ ხიდს აზროვნების აბსტრაქტული სტილი წარმოადგენდა, რამაც ყველაზე ღიად იჩინა თავი XX საუკუნეში. ერთი შეხედვით პარადოქსული ამბავი მოხდა – დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობა საფრანგეთში დაბინავდა, კულტურული კავშირები კი გერმანულთან უფრო ძლიერი აღმოჩნდა. ეს შეეხო არა მხოლოდ ლიტერატურულ ურთიერთობებს, არამედ ფოლოსოფიასა და სამართალს. მარტივი და გასაგები ენით დაწერილი ფრანგული სამოქალაქო კოდექსი ვერ აღმოჩნდა ისე გავლენიანი, როგორც გერმანიის სამოქალაქო სჯულდება. საქართველომ დამოუკიდებლობის ხელმეორედ მოპოვების შემდეგ გეზი აიღო ევროპისაკენ გერმანიის გზით. დიდი სამართლებრივი რეფორმის პროცესში არ დარჩენილა სამართლის არც ერთი სფერო, სადაც მეტ-ნაკლები თანამშრომლობა არ გაბმულიყო გერმანულ იურისტებთან. ყველაზე მეტად ამ თანამშრომლობის კვალი დაეტყო კერძო სამართალს, და ამ გზით საქართველო მტკიცედ დაადგა ევროკავშირის სამართალთან ჰარმონიზაციის გზას.¹⁰

გერმანიის სამოქალაქო კოდექსი ვალდებულებით სამართალში „უსაფუძვლო გამდიდრების“ მოთხოვნის რეგულირებას სპეციალურ ნაკვეთს უთმობს. გერმანიის სამოქალაქო კოდექსში იგი იწყება ყოვლისმომცველი ზოგადი დათქმით:

„თუ ერთი პირი მეორის მოქმედების შედეგით, ან სხვა სახით რაიმეს იძენს სათანადო საფუძვლის გარეშე, ვალდებულია შექმნილი მეორე პირს დაუბრუნოს. ამგვარი ვალდებულება წარმოიქმნება სამართლებრივი საფუძვლის შემდგომი მოშლის ან იმ შემთხვევებში, როდესაც

¹⁰ბ.ზიბიქ. ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში. თბილისი, 2005 წელი, გვ.91.

ქმედებები, მიმართული გარიგების შესასრულებლად, დასახულ მიზანს ვერ აღწევს”. ამასთან, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 815-ე მუხლი მიუთითებს, რომ უსაფუძვლო გამდიდრება დაბრუნებას არ ექვემდებარება, თუ არ არსებობს შედეგი, რომლის მიღწევა ქონებრივი წარდგენის მიზანს წარმოადგენდა, თანაც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ მიზნის მიღწევა თავიდანვე შეუძლებელი იყო (დაზარალებულისთვის) ან დაზარალებულმა ბოროტი განზრახვით ხელი შეუშალა ამ შედეგის მიღწევას.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის § 812 განასხვავებს უსაფუძვლო გამდიდრების შემთხვევებს „სხვა პირის ქმედებით” და „რაიმე სხვა სახით”. პირველ ჯგუფს ე.წ. „მოსარჩელის უშუალო ქმედებების შედეგად უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ სარჩელებს” („Leistungskonditionen”) განეკუთვნება შემთხვევები, როდესაც საუბარია მოპასუხის სასარგებლოდ ნებაყოფლობით და შეგნებულად შესრულებულის დაბრუნებაზე, რადგან მას არ გააჩნია „სამართლებრივი საფუძვლები”. ამგვარი „შესრულების” („Leistung”) ყველაზე მნიშვნელოვანი შემთხვევაა ფულის გადარიცხვა ან საკუთრების უფლების გადაცემა ნივთზე, ხელწერილის, სავალო ვალდებულების ან თამასუქის გადაცემა, აგრეთვე, სხვადასხვა მომსახურების გაწევა იმ პირობით, რომ ეს შეამცირებს მიმღების ხარჯებს, რომლებსაც წინააღმდეგ შემთხვევაში ის აუცილებლად გასწევდა. „შესრულება” შეიძლება იმაშიც მდგომარეობდეს, რომ ერთი პირი მეორის წყალობით გათავისუფლდეს ვალდებულებისგან მესამე პირის მიმართ. ყველა ჩამოთვლილ შემთხვევაში გადამწვევტია ის, თუ როგორ ხორციელდება ქონებრივ ღირებულებათა გადაცემა: კანონიერად თუ „სათანადო კანონიერი საფუძვლის” („ohne rechtlichen Grund”) არმქონე მოქმედებებით, ანუ შეუძლია თუ არა „შესრულებულის” მიმღებს თავის სასარგებლოდ მიუთითოს მას და „შემსრულებელს” შორის მოქმედი ხელშეკრულების ან სხვა შეთანხმების არსებობაზე, რაც მას მიღებულის შენარჩუნების უფლებას ანიჭებს. გერმანიის საკანონმდებლო პრაქტიკაში (სხვისი უფლების) „ხელყოფის გამო სარჩელს” („Eingriffskondiction”) ღიდი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით როდესაც საუბარია არა საკუთრების უფლების, არამედ – სხვა აბსოლუტური უფლების დარღვევაზე. სხვისი საპატენტო უფლებების, სამრეწველო ნიმუშების ან სავაჭრო ნიშნების გამოყენების უფლების დამრღვევმა, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის § 812-ის თანახმად, მოცემული უფლებების მფლობელს უნდა გადაუხადოს სალიცენზიო ბეგარა საყოველთაოდ მიღებული ტარიფით, მაგრამ არ არის ვალდებული, დააბრუნოს მოგება (BGHZ 82,299; BGHZ 99,244). იგივე ეხება პორტრეტულ გამოსახულებასა და სახელზე უფლების დარღვევას. პირი, რომელმაც ცნობილი მსახიობის ან მეწარმის პორტრეტული გამოსახულება ან სახელი გამოიყენა თავისი პროდუქციის რეკლამისათვის, ვალდებულია, გარკვეული თანხა გადაიხადოს უსაფუძვლო გამდიდრების გამო. მოცემულ თანხას განსაზღვრავს ის ანაზღაურება, რომელსაც მიიღებდა მსახიობი და მეწარმე თავისი გამოსახულების და სახელის კომერციული მიზნებით გამოყენების შემთხვევაში. ვფიქრობ, აღნიშნული ნორმების მსგავსი კონკრეტული შემთხვევების მარეგულირებელი მუხლები გათვალისწინებულ უნდა იქნეს საქართველოს კანონმდებლობაშიც.

რიგ შემთხვევებში სხვისი უფლების დამრღვევს შეუძლია მიიღოს საშუალო სალიცენზიო ბეგარაზე ბევრად მეტი მოგება. მაგრამ აქ დაისმის კითხვა: შეუძლია თუ არა პირს, ვისი უფლებაც დაირღვა, მოითხოვოს ამ მოგების დაბრუნება? გერმანიის სამოქალაქო კოდექსის § 812-ის საყოველთაოდ მიღებული, მაგრამ სადავო განმარტების თანახმად, ამგვარი შესაძლებლობა არ არსებობს. დადგენილი სასამართლო პრაქტიკის თანახმად, სამრეწველო საკუთრების უფლების დარღვევის შემთხვევაში, დაკმაყოფილდება სარჩელები მოგების ამოღების შესახებ (იხ. BGHZ 60,206). ზოგჯერ მსგავსი სარჩელების სამართლებრივი დასაბუთება გათვალისწინებულია გერმანიის სამოქალაქო კოდექსის § 687(2)-ში, მაგრამ უფრო ხშირად – ჩვეულებითი სამართლის ერთ-ერთ ნორმაში.

სხვადასხვა ქვეყნის, მათ შორის, გერმანიისა და საფრანგეთის კანონმდებლობაში საკამათო ხდება ერთი და იგივე ფაქტებისგან წარმოშობილი მოთხოვნები, რომლებიც შეიძლება დაკვალიფიცირდეს სხვადასხვა სამართლებრივი ნორმების პოზიციებიდან და აქედან გამომდინარე, წარმოქმნას სამართალურიერთობის რამდენიმე შესაძლებელი ვარიანტი. შესაბამისად, ეს სამართალურიერთობანი უზრუნველყოფს მოსარჩელის უფლებას, აირჩიოს მოთხოვნის ფორმა. თუმცა, ძირითადი პრობლემა ზუსტად იმაში მდგომარეობს, მიეცეს თუ არა მოსარჩელეს არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა. როგორც უკვე ითქვა, ეს პრობლემა არაერთგვაროვნადაა მოწესრიგებული სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობით. მაშინ, როდესაც გერმანული სამართლებრივი ოჯახის მეცნიერება და სასამართლო პრაქტიკა შესაძლებლად მიიჩნევს სხვადასხვა მოთხოვნათა კონკურენციას,¹¹ საფრანგეთის კანონმდებლობა მთლიანად უარყოფს ამგვარ გამოვლინებას.¹² სარჩელების კონკურენციის დაშვება არ არის მიზანშეწონილი არც საქართველოს კანონმდებლობისთვის, ვინაიდან მოსარჩელისათვის მოთხოვნის სახის არჩევის უფლების მინიჭება არღვევს სამართლის სისტემის წყობას, ხდება გაგების აღრევა, ხოლო მხარეები ორ სამართალურიერთობაში იძენენ უფლებას. მაგრამ მოყვანილ არგუმენტში სადავოა, ზომ არ ირევა ერთმანეთში ფორმალური (სამართლებრივი) და ფაქტობრივი? საქმე იმაშია, რომ უფლებას წარმოადგენს მხოლოდ ფორმა საზოგადოებრივ, ფაქტობრივ ურთიერთობებში და არა თვით ეს ურთიერთობა, ხოლო სამართალურიერთობების სახის განსაზღვრა ხდება ფაქტების სამართლებრივი კვალიფიკაციის მომენტში, ე.ი. მოთხოვნის არჩევის მომენტში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ფაქტების სამართლებრივი კვალიფიკაცია – ეს არის ფაქტობრივი სიტუაციის ფორმალურ გაგებაში აყვანა, რომლის დასაბუთებისას უკვე აღარ არსებობს არჩევანი. ამ ლოგიკის შედეგად ვიღებთ იმას, რომ ურთიერთობის ერთგვარადი კვალიფიკაციისა და მოთხოვნის არჩევის შემდეგ მეორედ კვალიფიკაციის სხვა ვარიანტის გამოყენება მომავალში შეუძლებელია.

ფრანგულ სამოქალაქო კოდექსში, გერმანიის სამართლის საპირისპიროდ, არ არსებობს ზოგადი ნორმები უსაფუძვლო გამდიდრების რესტიტუციის თაობაზე. აღნიშნულის ერთ-ერთი მიზანი ის არის, რომ პოტიე (Pothier), რომლის ნაშრომებმა დიდი გავლენა იქონია საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსზე ვალდებულებითი სამართლის ნაწილში, დიდ ყურადღებას უთმობდა „*condictio indebiti*“ (სარჩელი შეცდომით უსამართლოდ გადახდილის დაბრუნების თაობაზე) უსაფუძვლო გამდიდრებასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის სხვა ფორმების საზიანოდ. ამის გარდა, მან მნიშვნელოვნად გააფართოვა „ნებართვის გარეშე სხვისი საქმეების წარმართვის“ („*negotiorum gestio*“) კვაზისახელშეკრულებო კონსტრუქციის სამოქმედო სფერო. ამრიგად, აუცილებლობის შემთხვევაში, უმართებულოდ შესრულებულის (ხელშეკრულების გარეშე) ანაზღაურების მრავალრიცხოვანი შემთხვევები მოცემული სარჩელის მეშვეობით წყდება. საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსში უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ გაბნეული უამრავი ნორმიდან უმთავრესი ეხება შეცდომით უმართებულოდ გადახდილის დაბრუნებას (*paiement de l'indu*) და ნებართვის გარეშე სხვისი საქმეების წარმართვას (ფრ. *gestion d'affaires*). საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსში ორივე ინსტიტუტი გაერთიანებულია ნაკვეთში „კვაზისახელშეკრულებები“ („*quasicontracts*“, Art. 1371ff). ფრანგული სამართალი უმართებულოდ გადახდილის დაბრუნების (*repetition de l'indu*) შესახებ ნორმის მეშვეობით წყვეტს დიდ რიცხვს შემთხვევებისა, გერმანული სამართალი კი იყენებს სარჩელს თავად მოსარჩელის მიერ უმართებულოდ შესრულებულის დაბრუნების თაობაზე სარჩელით (*Leistungscondiktion*). რასაკვირველია, თანამედროვე ფრანგული დოქტრინის მეშვეობით მრავალი სიტუაციის რეგულირება შეიძლება მოცემული სამართლებრივი ინსტიტუტის დახმარების

¹¹ Winfield and Solowicz on Tort/by W.V.H. Rogers. 15th ed. L., 1998. p. 9;

¹² Жоллио де ла Морандьер Л. Гражданское право Франции /Пед. с. фр. Е. А. Флейшиц, М., 1960. Т. С. 469.

გარეშეც. აღნიშნულ სიტუაციებს მიეკუთვნება სარჩელები უკანონოდ გაწეული მომსახურების ღირებულების დაბრუნების, არარსებული მიზნების მისაღწევად გადაცემული საკუთრების რესტიტუციის შესახებ სხვისი უფლების „ხელყოფის“ შემთხვევები და, პირველ ყოვლისა, შემთხვევები, რომლებიც რეგულირდება „actio in rem verso“ სარჩელის მეშვეობით, როდესაც მოპასუხის სასარგებლოდ შესრულებულის დაბრუნება მოსარჩელესთან ხდება მესამე პირის მეშვეობით, რომელიც მოსარჩელის მიერ შესრულებულის მიმღებია. აქ გამოიყენება ზოგადი სარჩელი უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ. პირველად მისი პრინციპები ჩამოაყალიბა საკასაციო სასამართლომ საქმეში Boudier (Req. 15.6.1892, D.P. 1892, 1.596, S. 1893.1.281, Labbé-ს შენიშვნები).

ფრანგული სამართალი არ მიჯნავს (როგორც ეს გერმანულ სამართალში ხდება) მოსარჩელის „საკუთარი ქმედების შედეგად“ გამდიდრებას („Leistung“) „რაიმე სხვა საშუალებით“ („in sonstiger Weise“) გამდიდრებისგან. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კანონმდებლობაში, როგორც უკვე ითქვა ითქვა, უსაფუძვლო გამდიდრების ძირითადი არსი სწორედ ამ ინსტიტუტების გამოიწვევაა ჩადებული. სსკ-ის 976-ე მუხლის მიხედვით, პირს, რომელმაც შეასრულა არარსებული ვალდებულება, შეუძლია მოითხოვოს მიმღებისგან ამ შესრულების სახით გადაცემული ქონების უკან დაბრუნება. 991-ე მუხლის მიხედვით კი დაბრუნებას ექვემდებარება არა მხოლოდ შესრულების შედეგად დამდგარი გამდიდრება, არამედ სხვა საშუალებითაც შეძენილი ქონებრივი შეღავათი. აქ საქმე გვაქვს კონდიქციურ ვალდებულებათა ორ დიდ ჯგუფად დაყოფასთან, რომელთა წინაპირობები საკმაოდ განსხვავდება ერთმანეთისგან. პირველი ჯგუფი, საფრანგეთის კანონმდებლობისგან განსხვავებით, მოიცავს შემთხვევებს, როდესაც კონდიქციური მოთხოვნა წარმოიქმნება შესრულების („ვალდებულების შესასრულებლად“) შედეგად დამდგარი გამდიდრების გამო, პირობითად – „შესრულების კონდიქცია“. მეორე ჯგუფს განეკუთვნება შემთხვევები, როდესაც გამდიდრება არა შესრულების შედეგად, არამედ „სხვა საშუალებით“ დგება. იგი შეიძლება როგორც „გამდიდრებულის“, „დაზარალებულის“, ასევე, მესამე პირის არამიზანმიმართული მოქმედების შედეგად, ან სულაც ადამიანთა მონაწილეობის გარეშე დადგეს.¹³ თუმცა ამ საკითხთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ მითითებული საფუძვლით კონდიქციურ ვალდებულებათა გამოიწვევა შესაძლოა უმეტესწილად არამართებული აღმოჩნდეს, ვინაიდან ხშირ შემთხვევებში ეს ორი ჯგუფი შინაარსობრივად კვეთენ ერთმანეთს და არსებითად არ განსხვავებიან ერთმანეთისგან.

გერმანული სამართლის სისტემაში აღსანიშნავია, რომ ბათილი ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ქონების უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლება, ხორციელდება უსაფუძვლო გამდიდრების წესების შესაბამისად, ე.ი. რესტიტუცია კონდიქციის შესატყვისია. მხედველობაში მიიღება ის არსებითი ნიშანი უსაფუძვლო გამდიდრებისა, როგორც არის მისი განსაზღვრა ქონების უსაფუძვლო შეძენის ან დაზოგვის კრიტერიუმით. საქართველოში რესტიტუციისა და კონდიქციის გაიგივება შეუძლებელია. ამის მიზეზი კი შემდეგია: ბათილ გარიგებას არავითარი იურიდიული შედეგი არ მოჰყვება მისი დადების მომენტიდან და მხარე, რომელმაც მიიღო ქონება არ იძენს მასზე უფლებას და ამ გაგებით არ მდიდრდება, ხოლო რესტიტუციისა და კონდიქციის გაიგივება გერმანიის სამართლის სისტემისათვის მისაღებია და აიხსნება განსაზღვრული მიდგომით, რომელიც დამახასიათებელია მხოლოდ გერმანული სამართლებრივი ოჯახისათვის. საქმე იმაშია, რომ გერმანიის სამართლებრივი ტრადიცია განიხილავს გადაცემას, როგორც აბსტრაქტულ გარიგებას, რომელსაც გადააქვს უფლება, მიუხედავად გარიგების იურიდიული ძალისა. ბათილი გარიგების შედეგად გადაცემა წარმოშობს უფლებას, რომელიც შემადგენელია შექმენის უსაფუძვლო გამდიდრებისა და უზრუნველყოფს დაზარალებულის უფლებას კონდიქციურ სამართალზე.

¹³ მ.თოდუა, შ.ქურდაძე, ცალკეული კატეგორიის სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილებათა მიღების თავისებურებანი, თბილისი 2005 წელი, გვ. 231.

რომელიც გაიგივებულია რესტიტუციასთან. უნდა აღინიშნოს, რომ გერმანიის სამოქალაქო კოდექსის უსაფუძვლო გამდიდრების მომწესრიგებელ ნორმებს უწოდებენ აბსტრაქციის პრინციპის იგივეობას. საქართველოში და იმ ქვეყნების სამართლის სისტემებში, სადაც გადაცემა არაა აბსტრაქტული, არამედ კაზუალურია, ე.ი. მისი სამართლებრივი ეფექტი დამოკიდებულია გარიგების იურიდიულ ძალაზე, საქმე სხვაგვარადაა. თუ ხელშეკრულება როგორც გარიგების სახე ბათილია, მაშინ გადაცემაც არ წარმოშობს შემძენის უფლებას და ქონების დაბრუნებაც არ შეიძლება განხორციელდეს უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე წესების საფუძველზე.¹⁴


ამრიგად, უსაფუძვლო გამდიდრება და მისგან წარმოშობილი ვალდებულებებიდან არსებული ზიანის სამართლებრივი ნორმების ერთობლიობა მეცნიერებაში განიხილება როგორც სამოქალაქო უფლებების დაცვის უნივერსალური ინსტიტუტი, როდესაც ხდება დაზარალებულის დარღვეული ინტერესის აღდგენა. აღსანიშნავია, რომ დღესდღეობით განსახილველ ინსტიტუტს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სამოქალაქო სამართლის ნორმების იმ დამცავი მექანიზმების რიცხვში, რომლებიც მოქმედებენ საზოგადოებაში მატერიალურ ფასეულობათა ნორმალური ცირკულაციის ამა თუ იმ მიზეზით დარღვევის დროს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას შემდეგი: თანამედროვე საბაზრო ურთიერთობების განვითარების დინამიკის და კანონმდებლობაში არსებული ორაზროვნების და უზუსტობის გათვალისწინება კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ვალდებულებების საკითხების ნორმატიული რეგულირება იმსახურებს განსაკუთრებულ ყურადღებას გამომდინარე მათი დღევანდელი აქტუალობიდან და ეს უნდა ხდებოდეს მუდმივი სრულყოფის და თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინების გზით. უნდა იყოს გათვალისწინებული, აგრეთვე, უცხოელი ინვესტორების ამჟამინდელი ყურადღება ქართული ბიზნესის მიმართ, რაც გულისხმობს უცხოური ინვესტიციების მიმართ დაინტერესებას როგორც ქართული მეწარმეების, ასევე, უშუალოდ სახელმწიფოს მხრიდან. არსებობს უფლებების დაცვის და სტაბილურობის გარანტიების მწვავე აუცილებლობა, რაც საკანონმდებლო დონეზე უნდა იყოს გამოცხადებული და რისი გარანტიც სახელმწიფო უნდა გახდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელია ვისაუბროთ, ჯერ ერთი, სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობაზე, მეორე კი შეუძლებელია მოელოდო სამაშულო მრეწველობის სუბიექტებისა და, თავისთავად, სამოქალაქო ბრუნვის უცხოელი მონაწილეებისგან აქტიური და, რაც მთავარია, ლეგალური სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებას, რომელიც, როგორც ცნობილია, სახელმწიფოს ბიუჯეტის და მთლიანად ეკონომიკური სიტუაციის ფორმირების საფუძველს წარმოადგენს.

როგორც ცნობილია, საქართველოში აღიარებულია, რომ ქვეყნის შიდა კანონმდებლობასთან მიმართებაში პრიორიტეტულია ის საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომლებთანაც მიერთებულია საქართველო, თუ ისინი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას. აღნიშნული მდგომარეობა, უეჭველია, დადებით წინაპირობას უქმნის ქართული სამართლის შემდგომი სრულყოფის პროცესს საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისად. საქართველოში გადადგმულია ნაბიჯები სამართლებრივი ნორმების სრულყოფილების და გაუმჯობესების გზაზე, მაგრამ ფაქტია, რომ არსებობს სამართლებრივი ნორმების არაერთგვაროვანი განსაზღვრა, არაზუსტი ფორმულირება, რაც, თავის მხრივ, პრაქტიკაში ქმნის შეუსაბამობას და მეტყველებს ნორმების უფრო დეტალურად დამუშავების აუცილებლობაზე. ამის განხორციელება უზრუნველყოფს მოქალაქეების და იურიდიული პირების უფრო მეტ დაცულობას და მათ მიერ საკუთარი უფლებების განხორციელების რეალურ შესაძლებლობას.

¹⁴Актуальные проблемы гражданского права, выпуск седьмой Сборник статей под редакцией **О. Ю. Шилохвоста**, Москва 2003, С. 189-190.

დიდი პალატის გადაწყვეტილებაში გამოყენებულ ნორმათა განმარტებანი



საქართველოს უზენაესმა სასამართლომ გამოსცა უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილებებში გამოყენებული სამართლებრივ ნორმათა განმარტებების კრებული. ეს არის კრებულის მეორე გამოცემა და იგი მოიცავს 2001-2007 წლებში დიდი პალატის მიერ მიღებულ 39 გადაწყვეტილებას. აქედან, 7 გადაწყვეტილებით განმარტებულია სამოქალაქო-სამართლებრივი, 23 გადაწყვეტილებით – ადმინისტრაციულ-სამართლებრივი და 9 გადაწყვეტილებით – სისხლისსამართლებრივი ნორმები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა იხილავს საქმეებს, რომელიც თავისი შინაარსით იშვიათ სამართლებრივ პრობლემას წარმოადგენს. გადაწყვეტილებაში დასაბუთებული განმარტებით ღვინდება განსახილველ დავასთან დაკავშირებული ნორმის ნამდვილი შინაარსი, რაც უზრუნველყოფს ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას. კრებულში მოცემულია დიდი პალატის გადაწყვეტილებებით განმარტებულ ნორმათა ძირითადი შინაარსი მოკლე, მკაფიო და ნათელი დებულებების სახით, რათა მკითხველი სწრაფად გაეცნოს ამ ნორმათა არსს და პრაქტიკაში მარტივად შეძლოს მათი გამოყენება. უპირველეს ყოვლისა, კრებული განკუთვნილია მოსამართლეთათვის, აგრეთვე, ადვოკატებისა და სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებისათვის, თუმცა იგი ასევე საინტერესო იქნება ნებისმიერი იურისტისა და სტუდენტისათვის, რომლებიც სწორად და საფუძვლიანად შეძლებენ თავიანთ საქმიანობასა და სასწავლო პროცესში დიდი პალატის გადაწყვეტილებათა გამოყენებას. ამასთან, საჭიროების შემთხვევაში, უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილებათა სრული ტექსტები დაინტერესებულმა პირებმა შესაძლებელია მოიძიონ ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ბიბლიოთეკაში.


სამაგიდო წიგნი მოსამართლეებისთვის

2008 წლის 21 მარტს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილმა საზოგადოებას რეფორმის ფარგლებში განხორციელებული კიდევ ერთი სიახლე გააცნო. სამაგიდო წიგნი მოსამართლეებისთვის – ასე შეიძლება ეწოდოს წარდგენილ კრებულს.


უზენაესი სასამართლოს ინიციატივით შემუშავებული პრაქტიკული რეკომენდაციების წიგნი სამოქალაქო სამართლის სფეროში მომუშავე მაგისტრები მოსამართლეებისთვისაა განკუთვნილი. მსგავსი სახელმძღვანელოების მომზადება და გამოცემა სასამართლო რეფორმის პრიორიტეტად არის მიჩნეული, რადგან შეთავაზებული რეკომენდაციები, პირველ რიგში, საქმეთა განხილვის დროს ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს, რაც სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების საწინდარია.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილმა განაცხადა: „აღნიშნულ დოკუმენტში დეტალურადაა ახსნილი და განმარტებული კონკრეტული კატეგორიის დავების განხილვასთან დაკავშირებული ყველა საპროცესო-სამართლებრივი ასპექტი. ეს დოკუმენტი სამაგიდო წიგნი გახდება თითოეული მოსამართლისათვის, სწორედ მისი მეშვეობით შეძლებენ მოსამართლეები ყველა საპროცესო საკითხის ერთნაირად განხილვასა და, შესაბამისადვე სწრაფად საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას.“

აღნიშნული რეკომენდაციები ამერიკის იურისტთა ასოციაციის კანონის უზენაესობის ინიციატივის ფინანსური მხრადჭერით მომზადდა.



რეკომენდაციები



სასამართლო რეფორმის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებაა, ამიტომ უზენაესმა სასამართლომ მიზნად დაისახა სასამართლოს ნორმათა უმრავლესობასთან დაკავშირებით ისეთი ერთიანი მიდგომის განვითარება, რაც ხელს შეუწყობს სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებას.

ამ მიზნით, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ შეიმუშავა და გამოსცა რეკომენდაციები სასამართლო პრაქტიკასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული სამართლის სასამართლო პრაქტიკა პრობლემატურ საკითხებზე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკი სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით, სისხლის სამართლის პროცესის ძირითად საკითხებზე მაგისტრატი მოსამართლეებისათვის.


კრებულები წარმოადგენს არა მარტო რეკომენდაციებს, არამედ – საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესაბამისი პალატების, დიდი პალატის სასამართლო პრაქტიკას, რომელიც ჩამოყალიბდა განვლილ პერიოდში და რასაც მუდმივად და თანმიმდევრულად იყენებენ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები.

სამართალი და კინო 100 ფილმში


საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ გამოიცა ბენიამინ რივაიასა და პაბლო დე სიმას წიგნი – „სამართალი და კინო 100 ფილმში“. წიგნი შეეხება ჩვენთვის სრულიად ახალ თემატიკას - სამართლისა და კინოს ურთიერთმიმართებას.

ფაქტობრივად, ეს არის მსოფლიო მასშტაბით ერთ-ერთი პირველი სერიოზული გამოკვლევა, რომელიც დაწერილებით მიმოიხილავს ე.წ. იურიდიული კინოს ფენომენს. წიგნში შეკრებილია საყოველთაოდ ცნობილი 100 ფილმი და მათი სიუჟეტები განხილულია სამართლის თვალთახედვით. ფილმების ანალიზი ნათელყოფს, თუ რა დიდ ყურადღებას უთმობს იურიდიული კანონი სხვადასხვა, ძალიან მნიშვნელოვან სამართლებრივ საკითხებს, სამართლის პრინციპებს, თეორიას, ფილოსოფიას, ასევე, სამართლის სხვადასხვა სფეროს (სისხლის, სამოქალაქო, ადმინისტრაციული, შრომის, საოჯახო, სასჯელსრულებით, საპროცესო) კონკრეტული ნორმების ჩვენებას.

ავტორები მიუთითებენ, რომ მსგავსი საგანი (სამართალი და კინო) უკვე იკითხება ესპანეთის რამდენიმე უნივერსიტეტში და ამ მეთოდს - ფილმების განხილვით სამართლებრივ საკითხებზე მსჯელობასა და დისკუსიას - წარმატებით იყენებენ ესპანეთის საჯარო მოხელეთა (მათ შორის, მოსამართლეთა) მოსამზადებლად შექმნილ სპეციალურ დაწესებულებებში. ქართულ ენაზე ამ ნაშრომის თარგმნა მიზნად ისახავს მსგავსი საგნის სწავლებას იურისტებისათვის, პირველ რიგში, იუსტიციის უმაღლეს სკოლაში, ხოლო მომავალში, თუკი უნივერსიტეტები დაინტერესდებიან ამ თემატიკით - იურიდიული ფაკულტეტების სტუდენტებისათვის. წიგნის მთარგმნელები არიან ტარიელ ხუნწარია და ირინა ჭელიძე, სამეცნიერო რედაქტორები: სამართლის დოქტორები, პროფესორები – თევდორე ნინიძე და კონსტანტინე კუბლაშვილი.



ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო



კონრად-ადენაუერის ფონდსა და GTZ-ის (გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების) დაფინანსებით გამოიცა „ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო“, რომლის ავტორები არიან მაია კობალეიშვილი, ნუგზარ სპირტაძე, კატერინე ქარაძე და პაატა ტურავა.

ავტორები, ბოლო დროის საკანონმდებლო ნოვაციების ჭრილში, შედარებითი სამართლებრივი კვლევის საფუძველზე, სასამართლო პრაქტიკის მაგალითების, კაზუსების მოშველიებით, დეტალურად განიხილავენ ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის აქტუალურ საკითხებს, ჯეროვან ადგილს უთმობენ ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა თავისებურებებს, ადმინისტრაციული სამართალწარმოების მომწესრიგებელი კანონმდებლობის სრულყოფის გზებს. ნაშრომში მიმოხილულია ადმინისტრაციული პროცესის პრინციპები, ვრცლად არის განხილული ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა უწყებრივი ქვემდებარეობის და განსჯადობის, ადმინისტრაციულ პროცესში მხარეთა და მესამე პირების ინსტიტუტები, დეტალურად არის ახსნილი ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სამართლებრივი ფორმების – ინდივიდუალური და ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების, რეალაქტის, ადმინისტრაციული ხელშეკრულების საპროცესო-სამართლებრივი მნიშვნელობა. ნაშრომში გამოკვლეულია ადმინისტრაციული სამართალწარმოების სტადიები, სარჩელის სახეები ადმინისტრაციულ პროცესში, სააპელაციო და საკასაციო ინსტანციაში სამართალწარმოების თავისებურებანი. წიგნი ხელს შეუწყობს მეცნიერული დისკუსიის განვითარებას და პრაქტიკულად გამოსადეგი იქნება ადმინისტრაციული სამართალწარმოების საკითხებით დაინტერესებული პირებისათვის. პუბლიკაცია მეტად ღირებულია სტუდენტებისათვის. იგი დიდ დახმარებას გაუწევს ყველა იმ იურისტს, რომელიც დაინტერესებულია ადმინისტრაციული სამართლისა და ადმინისტრაციული სამართალწარმოების პრობლემატიკით.

საავტორო უფლებები სმოკრებაში

გამოვიდა მეორე, გადამუშავებული გამოცემა წიგნისა – „საავტორო უფლებები ცხოვრებაში“. წიგნი განკუთვნილია საავტორო უფლებების შესახებ ცოდნის შესწავლისა და გაღრმავებისაკენ. „საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ“ საქართველოს კანონის ფაქტობრივად ყოველი მუხლის შინაარსის განმარტებისა და გაგებისათვის მოყვანილია შესაბამისი ცხოვრებისეული მაგალითი. ეს მაგალითები რეალურია და არცერთია შეთხზული.

წიგნი რეკომენდებულია იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის როგორც დამხმარე სახელმძღვანელო და განკუთვნილია არა მარტო მათთვის, არამედ – მოსამართლეებისათვის, ადვოკატებისათვის, ასევე, ინტელექტუალური საკუთრებით დაინტერესებული ნებისმიერი მკიხველისათვის.



გამონატვის თავისუფლება



საქართველოს უზენაესი სასამართლოს და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეგიდით გამოვიდა საერთაშორისო სამართლის დოქტორის ქალბატონ ევა გოცირიძის წიგნი: „გამონატვის თავისუფლება“.

ავტორის მიერ შესწავლილია სამართლიანი ბალანსის მიღწევის გზები, ერთი მხრივ, გამონატვის თავისუფლებასა და, მეორე მხრივ, სხვა პირთა უფლებებს ან საერთო საჯარო ინტერესებს (როგორცაა ქვენენის ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და ტერიტორიული მთლიანობის, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვა, უწესრიგობისა და დანაშაულის თავიდან აცილება, მორალისა და ჯანმრთელობის დაცვა, მართლმსაჯულების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფა) შორის. წიგნში ეს საკითხი განხილულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს იურისპრუდენციის საფუძველზე; კერძოდ, შესწავლილია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამოსამართლო სამართალი, შექმნილი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის გამოყენებასთან დაკავშირებით.

ქ-ნ ევა გოცირიძის მიერ შესრულებული გამოკვლევა წარმოადგენს ადამიანის უფლებათა ევროპულ სამართალში გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკითხების პირველ ვრცელ გამოკვლევას საქართველოში ამ თემატიკის ისტორიული, თეორიული თუ პრაქტიკული ასპექტების ჩათვლით. ამასთან, გამოკვლევა არ არის შემოფარგლული არც საკუთრივ გამონატვის თავისუფლებასთან დაკავშირებულ სპეციფიკური პრობლემებით და არც მხოლოდ და მხოლოდ ევროპული კონვენციითა და მისი პრაქტიკით. ერთი მხრივ, მასში დამუშავებულია საერთოდ ადამიანის უფლებათა დაცვაზე ევროპული კონტროლის განხორციელებების თავისებურებანი (მაგალითად, „სუსიდიურობის პრინციპი“, „ეროვნული შეფასების თავისუფლების“ დოქტრინა); მეორე მხრივ, სისტემური და კომპლექსური საკითხები (მაგალითად, „შედარებითი ანალიზის“ ბლოკი); შესწავლილია შედარებით ახალი და თვით ევროპაშიც კი ნაკლებად დამუშავებული ადამიანთა ჯგუფის დიფამაციის საკითხი. ერთ-ერთი გამორჩეული სიახლეა ევროპაში „სამმაგი იურისდიქციის“ პრობლემის გაშუქება, რომლისკენაც აქამდე არ ყოფილა მიპყრობილი ქართველ იურისტთა ყურადღება.

წიგნის თემატიკა საინტერესო და აქტუალურია როგორც კანონმდებლობის სრულყოფის, ისე იმ თვალსაზრისით, რომ მოსამართლეებმა და ყველა იმათ, ვინც ადამიანის უფლებათა საკითხებს წყვეტს, საკანონმდებლო ხარვეზების არსებობის პირობებშიც კი, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს იურისპრუდენციაზე დაყრდნობით, უზრუნველყონ გამონატვის თავისუფლების ეფექტიანი დაცვა; კონფლიქტის შემთხვევაში კი - მისი გონივრული დაბალანსება დაპირისპირებულ ინტერესებთან.

ავტორთა საყურადღებოდ!

ჟურნალში გამოსაქვეყნებლად წარმოდგენილი ნაშრომის შინაარსი უშუალოდ უნდა უკავშირდებოდეს მის სათაურს.

სარედაქციო კოლეგია ნაშრომს დასაბეჭდად იღებს თემის აქტუალობის, მისი დამუშავების ხარისხისა და საქართველოში სამართლის განვითარებაზე შესაძლო გავლენის გათვალისწინებით.

ნაშრომი წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსიებით, ქართულ ენაზე, დოქტორანტივისათვის – ქართულ და ინგლისურ ენებზე. სხვა ავტორებს თარგმანის ნაცვლად შეუძლიათ, ქართულ ტექსტთან ერთად წარმოადგინონ ინგლისურენოვანი რეზიუმე.

ქართული ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს „AcadNusx“-ში ან „LitNusx“-ში, ხოლო ინგლისური – „Times New Roman“-ში; შრიფტის ზომა – 11, სქოლიო – 8; სქოლიო უნდა აიკრიფოს „Footnote“-ით. ხაზებს შორის დაშორება – ერთი ერთეული. დოქტორანტების მიერ წარმოდგენილი ნაშრომის მოცულობა უნდა იყოს 10-12 გვერდი. სხვა სახის ნაშრომი არ უნდა აღემატებოდეს 12 გვერდს.

გადაწყვეტილებას ნაშრომის გამოქვეყნების, გამოქვეყნებაზე უარის თქმის ან შესწორების შესახებ იღებს სარედაქციო კოლეგია, რომელიც უფლებას იტოვებს, მოსთხოვოს ავტორს, შეიტანოს შესწორებები, დამატებები ნაშრომში; უარი თქვას ან გადადოს მისი გამოქვეყნება, შეასწოროს ენობრივად და დახვეწოს სტილისტურად.

გამოსაქვეყნებლად წარმოდგენილი ნაშრომი სარეცენზიოდ ეგზავნება ავტორისათვის ანონიმურ მეცნიერს. თუ ერთი რეცენზია იქნება უარყოფითი, ნაშრომი არ გამოქვეყნდება, ხოლო რეცენზიის წარმოდგენლობა არ ჩაითვლება უარყოფით რეცენზიად.

წარმოდგენილ ნაშრომში საავტორო უფლების დარღვევის შემთხვევაში პასუხისმგებელია ავტორი.

ჟურნალი „მართლმსაჯულება“ უფლებას იტოვებს, გამოიყენოს გამოქვეყნებული ნაშრომი ავტორის ნებართვისა და მისთვის ჰონორარის გადახდის გარეშე.

ავტორის შეხედულებები, დასკვნები და განმარტებები შეიძლება არ ემთხვეოდეს ჟურნალის ძირითად პოზიციას.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ. №32

E_mail: www.supremecourt.ge

ტელ.: 98-51-72